

კვირის პალიტრა

1168
2002

პეპსი

სვ

(121) 3/X.-9/X.2002.

60 თ.



ვინ
აკონტროლებს
მას

მაკა ასათიანის
უახლოესი
მეგობარი
მამაკასი



ალი ქართული როგანი — „ქალური ინტუიცია ანუ ...“



ფარულაგა:
განაგანა
რუქრად
ვიდა



ლადო ჭანტუშიამ
გეუღლის პაპრატნი
აითვალდუნა



..... უსვზ მიქროფონუნი გემოუსსადაბიანთ:
ვადერი გელბასნიანს გარეთ მამა ელოდაბა,
სასწრაფოდ გამოვიდასო, მთადი ჩემი
რომანტიკა უსსრად ძრვბოდა..."



| | |
|--|----|
| მინიატურები | |
| „დედა რომელია, დედა?“ | 3 |
| ერთი კითხვა | 4 |
| პოლიტიკა | |
| „ჩემი მხრივ კი ბვირებით, რომ ამ ბუნდს ერთ საკანში ჩავსვამ...“ | 5 |
| პოეზია | |
| ● უიღბლო ვინა-სანიკარი „პატარა ნინოს“ ფიქრებს „მიუხვდა“... | 6 |
| ● „თავგაპე ჩიტში ნამღვილ ჩიტს არ ბუღისხმოლა!“ | 7 |
| ● „იცით, როგორ უყვარს კუტიტს საქართველო?“ | 8 |
| ოჯახი | |
| ჭანტურიები თეფუებისა და სასამართლოს კოლექციას აბროვებენ | 9 |
| კრიმინალი | |
| ● ნიკა ლომინაის მკვლელობაში ეჭვიბანილი თავს დამნაშავედ არ ცნობს | 12 |
| ● უგნაესი სასამართლო „კანონიერ ქურდებს“ ასამართლებს | 13 |
| ● პატიმრები 4 ბრამ ჰერონისა და „სამსუნების“ ტელევიზორს იტხოვდნენ | 14 |
| ● რესტორან „დედის ბაღთან“ ჩაღენილი მკვლელობისთვის 23 წლის ახალბაგრღას ასამართლებენ | 15 |
| ქალი საქმისთან | |
| როგორ გაღაურჩა ია ფარულავა 250 ღოლარით დაჯარიმებას ამერიკაში | 16 |
| ტენი | |
| ერთგული მკითხველი | 18 |
| ღატაკტორი | |
| ორმომი ჩავარდნილი პარლამენტარი საშველად კოლიტიკურ ოპონენტს მტისმობს... | 19 |
| მოდა | |
| ვინ არის მაკა ასათიანის უახლოესი მეგობარი მამაკაცი? | 22 |
| მოგზაური | |
| მეფლავური, რომელსაც ბამის უმინია... | 25 |
| ანტიდავკისანტი | |
| ინფორმაციულ-მედიცინებითი კოლაჟი გორა ღვალის უბის წიგნაკიდან | 26 |
| პერსონა | |
| ქართველი გენერლის კოსმოსური ანტენა და მარშით დაწყებული ნაშრომები | 28 |
| ადამიანი | |
| არისტოკრატ „დეიდა ბალერინას“ ერთ ღროს ღოლუ აბაშიკე ისავლა | 30 |
| უახლოესი | |
| ● უჩვეულო ნაღვი ციდან | 32 |
| ● უჩვეულის შავი მაგია | 33 |

ჭანტურიები თეფუებისა და სასამართლოს კოლექციას აბროვებენ



ახლობლებთან თავს ვიწონებ ხოლმე: აი, ხელავთ, როგორი ცოლი ვარ – გათხოვებიდან მესამე თვეს, ქმარი პროფესორად ვაქციე, მესამე წელს – მინისტრად, ახლა კი უგნაესი სასამართლოს თავმჯდომარეა-მეთქი...

9

როგორ გაღაურჩა ია ფარულავა 250 ღოლარით დაჯარიმებას ამერიკაში

მოვეყვი საშინელ ავტოკატას-გროფაში, 7 ნაკერი დამადეს თავზე. საჭესთან ჩემი მეგობარი იჯდა. ძალიან სწრაფად მიჰყავდა მანქანა. წითელზე ხელმარჯვნივ გადაუხვია და მოპირდაპირე მხრიდან მომავალმა მანქანამ დაგვარგყა.



16

ნიკა ლომინაის მკვლელობაში ეჭვიბანილი თავს დამნაშავედ არ ცნობს



თუ მისი დანაშაული დადასტურდა, ცხადი იქნება, რომ ის, ვილაც დაინგერესებულმა პირმა დაიქირავა ანუ – ქილერია. ჩემი აზრით, არ შეიძლება, მათ რაიმე ნაცნობობა ჰქონოდათ ერთმანეთთან, რადგან ნიკა იმ ავგოსადგომზე, რომელსაც ჭელიძე მეთვალყურეობდა, მანქანას იშვიათად აყენებდა.

12

ვინ არის მაკა ასათიანის უახლოესი მეგობარი მამაკაცი?

როგორი სკანდალური ინფორმაციაც არ უნდა გავრცელდეს, არც ერთს არ შეგვიტოკდება ნერვი – ამაში ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული. მაკა ასათიანის სახელის პოპულარობა იმდენად დიდ სიმაღლეზეა აყვანილი, რომ არაფერი არ უნდა გაგვიკვირდეს...



22

| | |
|-------------------------------|-------|
| ფავორიტები | |
| ფინანსურების ვარსკვლავები | |
| მწვრთნელების წინააღმდეგ | 34 |
| ანოვალა | |
| ეჭიმი, როგელას | |
| 215 ალაშიანი მოაკვლინა | 36 |
| აქანს მიღვა | |
| ● ერიკა კრისტენსენი – | |
| მომავალი სუპერვარსკვლავი | 38 |
| ● გუსიკოს ქალთა რეპიტინგი | 38 |
| ვარსკვლავი | |
| ჰელენა ბონემ კარტერი: | |
| „არავითარი წარსული! | |
| არავითარი მომავალი!“ | 39 |
| ტენდენცია | |
| მოდის იმპერია სახიფათო | |
| ტრინტინას იღებს!.. | 41 |
| ფორვარდი | |
| კიპო-უტივარი და | |
| „დიდი გმირობა“ „მილანში“ | 42 |
| რომანი | |
| ქალური ინტუიცი ანუ | |
| ჰიანაის ფრთები (დასაწყისი) | 44 |
| რეცეპტი | |
| ასალგაზრდობის | |
| შენარჩუნების 15 ხერხი | 48 |
| ავტო | 49 |
| შემოქმედი | |
| ერეკლე ბაღურაშვილი: | |
| „მსოფლიო ღონის კინო გვქონდა | |
| და რატომღაც წიხლი ჰქრის“ | 50 |
| შეამოწმეთ თქვენი ცოდვა | |
| ტესტი ერუდითიანზე | 51 |
| გომორდი | 52,53 |
| ჯანმრთელობა | |
| ● ალკოჰოლიზმი | 54 |
| ● საშინაო აუთიჯი | |
| წნევიანებისთვის | 55 |
| ● მამაკაცები და პლასტიკური | |
| ქირურგია | 56 |
| ● გინეკოლოგის მთავარი | |
| საგრუნავი | 57 |
| ქართველები | |
| ირანე მარუშისკე – | |
| ქართულ სამეფო-სამთავროთა | |
| გამაერთიანებელი | 58 |
| ტაქარი | |
| რა უნდა ვიცოდეთ, როდესაც | |
| ეკლესიაში მივდივართ | 59 |
| სასარგებლო აზრები | |
| აფორიზმების ენციკლოპედია | 60 |
| სქანვორდი | 61 |
| ჰოროსკოპი | |
| კვირის (7-13 ოქტომბერი) | |
| ასტროლოგიური პროგნოზი | 62 |
| ტესტი | |
| ღმერთს ხომ არ მოგაპაღათ? 63 | |
| კალენდრული | |
| ჰრელ-ჰრელი ამბები | 64 |

ბარეკანა: გიორგი შორაშვილის კოლაჟი

საზოგადოებრივ-კოლექტიური შურნალი „გზა“
 ბამოდის კვირავი მრთხელ, სუთვაბათობით
 ბაჭვით „კვირის კალიტრის“ ღამათება
 შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
 რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
 მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
 რედაქტორი: გოჩა ტყემელაშვილი
 მენეჯერი: კიაზო ბინინაშვილი
 მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
 შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

რა უნდა ვიცოდეთ, როდესაც ეკლესიაში მივდივართ



აუცილებელია, ეკლესიაში მივიდეთ იმ იერსახით, რომლითაც ღმერთმა გაგვარჩინა, – ე.ი. მაკიაჟისა და სამკაულების გარეშე. დაუშვებელია ფეხი ფეხზე გადაღებული ჯდომა, საუბარი, ცნობისმოყვარეობის გამოვლენა. ქალებს ხშირად აინტერესებთ, შეიძლება თუ არა დედათა წესის დროს ეკლესიაში შესვლა...

59


არისტოკრატ „დიდა ბაღურისა“ ერთ დროს დიდო ახაშვი იხატა

ჩემზე უმცროს მამაკაცს მოეწონდა, მაგრამ არ ვიკადრე და ცოლად არ გაყვევი. მერე მოდიოდა ხოლმე პერიოდულად და მეუბნებოდა: ცოლი არ მიყვარს, შენ მიყვარხარ და გავიპართო. შევსდი და ეს ჩემს ქმარს ვუამბე...



30

ასალგაზრდობის შენარჩუნების 15 ხერხი



ნებისმიერი ეჭიმი გეგყვის, რომ ჯანმრთელობასა და გარეგნობაზე ზრუნვა მანამდე, დიდი ხნით ადრე უნდა დავიწყოთ, ვიდრე მასში რაიმე ცვლილებას შევამჩნევთ. ყველა წინამდებარე ხერხი ზედმიწევნით მარტივია, თანაც საფუძვლიან კვლევებს ეფუძნება...


48

ქართული ინსუიცია ახუ ჯიამაძის თრობი

უცნობი მანქანიდან სასწრაფოდ გადმოვიდა, ჩემოდანზე წამოსკუპებული ნინი სრულიად უცერემონიოდ წამოაყენა, ჩემოდანს ხელი წამოავლო და მანქანის საბარგულში მოათავსა:
 – რაღას უდგახარ? – დაჯექი.



44



„დედა ჩემელია, დედა?!“

ცნობილ ლექსზე დაწერილი ცნობილი სიმღერის ცნობილი მისამღერი ყველას გეხსოვებათ:

„ქუთაისი ქალაქია ინდუსტრიის მშენებელი, წყალტუბო კი მხარე არის მისი დაბამშენებელი!“

იმის მიუხედავად, რომ მკვლევართა მტკიცებით, ეს წ. მისამღერი მერე „შიაწებეს“ გალაკტიონის ბრწყინვალე სტრიქონებს, სიმართლის მარცვალი მასში მაინც არაა, ანუ მაშინდელი ტერმინოლოგია რომ ვიხმართ „სოციალისტური რეალიზმის“ პრინციპებს ეხამებოდა – „ქუთაისში ცხრა თუ ათი „საკავშირო მნიშვნელობის“ ქარხანა მუშაობდა, – საავტომობილოდან სწყობილი და ლითოფონის ქარხნით დამთავრებული ეტაკვ, „ლითოფონი“ რა არის?).

ახლა, ქუთაისელებმა და, განსაკუთრებით, მათმა მამებმა გუბერნატორმა არ იფიქრონ, რომ მაინცდამაინც მათ სამი ათას ხუთასწლოვან ქალაქს

უწყო პროვოკაციას“, არა, – უბრალოდ მიხდოდა, თქვენთვის შემეხსენებინათ, რომ საქართველოში „ცხოვნებუ-

ნი“ კომუნისტების ეპოქაში, ყველა ქალაქსა თუ რეგიონს თავისი პეცფუნქცია“ და დანიშნულება

არონდა: რუსთავი ფოლადთან და ლებთან ასოცირდებოდა; ბათუმი

ციტრუსთან და გემებთან;

ხეთი – ღვინოსთან, მგერელო – ჩაისთან;

აფხაზეთი – ასწლის მოცეკვავე მღერალ ბერიკაბთან და რუს

ტრისტებთან; გურია შევარდნაძესთან და

ახლა ნუ ვიკა-

ობებთ, ის დრო სჯობდა

დღევანდელი, უბრალოდ

განიშნოთ, რომ რუსთავის მეტა-

ურგიულ კომბინატში ძალი პატრონს ვერ ცნობს,

ლების გადანაჭრებს კი გალატაკებული მოსახლეობა

შიდან თხრის და ჯართში აბარებს; ბათუმში გემის

ახიც აღარ არის, ყოველ შემთხვევაში ისეთის, რომელ-

საქართველოს დროშით დაცურავს ან მსოფლიოს

მელიძე პორტში „ზალოგში“ არ იყოს ჩადებული,

ხეთის ყურძენი საზამთროდ „იქცა“, სამეგრელო

ობილი „აქციების“ შემდეგ ჯერჯერობით მხოლოდ

ტის“ წევრი, მებაჟე და სხვა „წარმატებული ბიზნესმენი“ – ძირითადად 18-30 წლის ჯგულები, რომელთა ავტორიტეტი პირდაპირპროპორციულია მათი ჰალსტუხის სიდიდისა.

რატომ გავაკეთე ახლა, ეს – როგორც სკოლაში გვასწავლიდნენ, – „შედარებითი დახასიათება?“ იმიტომ, რომ როგორც საქართველოს შიგნით, მის ქალაქებსა და კუთხეებს, ასევე „საერთაშორისო თანამეგობრობაში“ თვით საქართველოს, უნდა ჰქონდეს თავისი ფუნქცია, დანიშნულება, სახე და ადგილი. რა ვქნათ, რა წყალში ჩავვარდეთ? „მსოფლიოს ბელელს“ კანადას უწოდებენ, „მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარ დამცველს“ – ამერიკის შეერთებულ შტატებს, „თანამედროვეობის ინტელექტუალურ-ტექნოლოგიურ ტვინს“ – იაპონიას;

„სამყაროს კულტურულ და სულიერ კერას“ – ევროპას (ერთიანდება ის ხალხი და ჩვენც ერთად მოვიხსენიოთ); „კაცობრიობის გენოფონდის მარაგს“ – ჩინეთს და ა.შ.

ერთი სიტყვით, ყველა „კარგი სათაური“ „დააკავებუ-

ლია“!

სად არის გამოსავალი?! სად და ხალხურ სიბრძნეში. აბა, გაიხსენეთ

ქართული – „დედას ავადმყოფი ბავშვი უფრო უყვარსო“ და რუსუ-

ლი – Нет семьи без урода ე.ი. რა?! რა

და ის, რომ ჩვენ უკვე ვაქვს ჩვენი – „დებილი ბავშვის“ ადგილი, რომელსაც ყველაფერი ეპატიება, რომელ-

იც ჩაისვრის – დაბანენ, მოშვიდება – აჭმევენ, იტირებს – მიეფერებიან და ა.შ.

„დედას“ კი მაინც ვეყვარებით, „მსოფლიო ოჯახის“ სრულუფლებიანი წევრიც ვიქნებით და სხვაზე მეტიც გვეპატიება...

P.S. დებილი იმის დებლია, რომ ყველაფერს ვერ ხვდება. არადა, ზემოთ რომ ვთქვი – „ჩაისვრის – დაბანენ, მოშვიდება – აჭმევენ, იტირებს – მიეფერებიან“-მეთქი, მთლად მასეც არ არის საქმე: იტირებს – მიეფერებიან, კიდევ იტირებს – კიდევ მიეფერებიან, კიდევ, კიდევ იტირებს და... დებილების სახლში ჩააბარებს დედამისი...

P.P.S. „დედა რომელია, დედა?!“

პროპოკატორი



ჩაბნელებენ თუ არა თბილისს?

— ამჟამად რა ეტაპზეა „ეი-ი-ეს თელასის“ და საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელებს შორის მოლაპარაკება? რა დათმობაზე შეუძლია წასვლა „ეი-ი-ეს“ თელასს, რომ ქალაქ სრულ ჩაბნელებას გადაურჩეს?

ირაკლი ვილაჯიძე,

„ეი-ი-ეს თელასის“ ლობისტი:

— ჩაბნელების საფრთხე, რომელიც ქალაქს 3 ოქტომბრიდან ემუქრება, თუკი მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდება, რეალურია. „ეი-ი-ეს თელასი“ საბითუმო ბაზართან არანაირ ულტიმატუმზე აღარ წავა. ერთადერთი დათმობა, რასაც ჩვენი მხრიდან ადგილი ექნება, არის ის, რომ მათ თანხის გადახდის რამდენიმე ვარიანტს ვთავაზობთ: ვალები გაიქციოს, ოღონდ დარჩენილი თანხის სავასურად შემოიტანონ ბუნებრივი აირი რუსეთიდან, ან ფული იმ კრედიტიდან გადაიხადონ, რომელსაც მსოფლიო ბანკიდან აიღებენ... მთელ ამ აუიოტაჟს ერთი ახსნა



აქვს: ერთ-ერთ ხელშეკრულებაში, რომელიც „ეი-ი-ეს მტკვარს“ ეხება, წერია: თუკი ამ ბლოკის მიმართ დავალიანება 40 მილიონზე ნაკლებია, მაშინ „ეი-ი-ეს თელასი“ ვალდებულია, ეს ბლოკი აამუშაოს. საბითუმო ბაზარს ამ ბლოკის მიმართ აქვს 50 მლნ ლარის ვალი. „ეი-ი-ეს თელასს“ კი, საბითუმო ბაზრის მიმართ 26 მლნ ლარის დავალიანება აქვს. ეს ვალები რომ გაიქციოს, მაშინ საბითუმო ბაზარს „ეი-ი-ეს მტკვრის“ 24 მლნ დარჩება.

ელიზბარ ერისთავი,
ენერგომარეველთა კომისიის თავმჯდომარე:

— ჯერჯერობით ელექტროენერგია თბილისს არ შეუწყდება. გადავწყვეტეთ, ეს პირობა ძალაში იყოს მანამდე, სანამ მოლაპარაკებები გაგრძელდება. წარმოქმნილი დავის შედეგია ის, რომ შეფერხ-



და წინასწარ დაგეგმილი ტარიფის გაზრდა, რომელიც 1 ოქტომბრიდან უნდა შესულიყო ძალაში. ტარიფის გაზრდის შესახებ დადგენილება სემეკმა ოუსტიციის სამინისტროდან უკან გამოიწვია და არ დააბრუნებს მანამდე, სანამ „ეი-ი-ეს თელასი“ ხელს არ მოაწერს საბითუმო ბაზართან ურთიერთშედეგების აქტს. ეს იმის შედეგია, რომ ტარიფის 1,3 თეთრით გაზრდის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა მემორანდუმი, რომლის ერთ-ერთ პუნქტში „ეი-ი-ეს თელასი“ საბითუმო ბაზრის მიმართ დავალიანების გასტუმრების პირობას იღებს. ამ პირობის შესრულებამდე ტარიფი არ გაიზრდება. მემორანდუმი ასევე ავალდებულებს „ეი-ი-ეს-ს“, აამუშაოს „ეი-ი-ეს მტკვრის“ მე-9 ენერგობლოკი, რაზეც „ეი-ი-ეს მტკვარი“ უარს აცხადებს, სანამ საბითუმო ბაზრისგან არ მიიღებს 50 მილიონამდე ლარს. ასე რომ, მოლაპარაკებები გრძელდება...

ვინ იქნება პირსონა ნონ-გრატა?

— დემოკრატიული კოალიცია, სადაც რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია გაერთიანდა, მოითხოვს — რუს პოლიტიკურ მოღვაწეთა ერთ ჯგუფს საქართველოში ჩამოსვლა აეკრძალოს. რამდენად სერიოზულია ეს მოთხოვნა და მოუტანს თუ არა მისი განხორციელება რაიმე სიკეთეს საქართველოს?

დავით ზურაბიშვილი,

„თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრი:

— ვფიქრობ, ეს საკითხი ჩვენ არ უნდა

დავკვივნივინა. მაგრამ რადგან ეს საქართველოს ხელისუფლებამ აქამდე არ გააკეთა, ამიტომ ჩავთვალეთ საჭიროდ, ასეთი განცხადების გაკეთება ჩვენს თავზე აგველო. ნებისმიერი სახელმწიფოს ელემენტარული მოვალეობაა, დაიცვას საკუთარი ღირსება. მაგალითად, ყირინოსკის რომ ვუთხრათ უარი საქართველოში შემოსვლაზე, ეს იქნება სიმბოლური ჟესტი, მკაფიო მინიშნება და სიგნალი, რომ ეს არის ქვეყანა, რომელიც შეურაცხყოფად იღებს იმ ტონს, რომლითაც ის საქართველოზე საუბრობს.

თუკი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩვენს განცხადებაზე დადებით რეაგირებას მოახდენს, მაშინ საქართველოში შემოსვლა პირველ რიგში, აეკრძალებათ: რუსეთის თავდაცვის მინისტრს სერგეი ივანოვს, რუსეთის ფედერაციის სათათბიროს წევრს ვლადიმერ ყირინოსკის, რუსეთის გენშტაბის უფროსს ანატოლი კვანინს და ყველა იმ პირს, რომელიც გაკლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე და შეურაცხყოფს სახელმწიფოს ღირსებას.

5 ოქტომბერს მორიგი მუსიკალური სეზონი იწყება

— რა პროგრამით გახსნის წლები სეზონს ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს სიმფონიური ორკესტრი და როგორ ხვდება იგი თავისი დამფუძნებლის 100 წლის იუბილეს?

პანტაზ მატყაშარიანი, ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი:

— ეს სეზონი ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. 2002-2003 წლის მთელი მუსიკალური სეზონი ევგენი მიქელაძის საიუბილეო თარიღს მიეძღვნება. თუმცა, გულდასაწყვეტია, რომ უსასწრობისა და დარბაზის უქონლობის გამო, ამ ღირსშესანიშნავ თარიღს საკადრისად ვერ აღვნიშნავთ. 5 ოქტომბერს წლები სეზონს ვერდის „რეკვიემი“ გაუხსნით. ორკესტრთან ერთად მსმენელის წინაშე წარდგებიან ბათუმის

კაპელა და სოლისტები — პაატა ბურჭულაძე, ბადრი მისურაძე, მაცვლა ქასრაშვილი და თეა დემურაშვილი. შემდეგ გაიმართება ცნობილი ქართველი მევიოლინის, მარინა იაშვილის საიუბილეო კონცერტი. ამას მოჰყვება ვერდის უკანასკნელი ოპერა „ფალსტაფი“ ექვსი მოძღვრლის, მათ შორის ორი დიდი ვარსკვლავის — ვიუნტერ ფონ კანენის და მარტინ კრენცლეს მონაწილეობით. შესრულება რეპერტუარი, რომელიც არასოდეს შესრულებულა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ეს არის რიჰარდ შტრაუსის „მეტამორფოზები“, ვაგნერის „ტრისტანი და იზოლდა“ და სხვა. ამით გვინდოდა, გავეგრძელებინა მიქელაძის მიერ დამკვიდრებული ტრადიცია — საქართველოსთვის ახალი ნაწარმოებების შესრულება-პოპულარიზაცია. სეზონი უკვე

ინსნება, მაგრამ ორკესტრს კიდევ ბევრი პრობლემა აქვს მოსგვარებელი. ჯერჯერობით მხოლოდ ის არის გარკვეული, რომ „რეკვიემს“ ოპერის თეატრი უმასპინძლებს. კულტურის მინისტრი კი ცდილობს დაგვეხმაროს, მაგრამ ჩვენი პრობლემები ისე შორიდან და იმდენად „ზემოდან“ მოდის, რომ მისი გადაწყვეტა მხოლოდ კულტურის მინისტრის დონეზე ვერ მოხერხდება. მთელი ეს წლები პრეზიდენტს ჩემი ნახვა არ უნდოდა, ახლა კი მე არ მინდა მისი ნახვა. ახლა „ღირსების ორდენი“ შემომთავაზეს, მაგრამ უარი ვთქვი — არ მინდა: ღირსებაყრილი ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელს „ღირსების ორდენი“ არაფერში სჭირდება... მოუხდევად პრობლემების სიმრავლისა, ორკესტრი კონცერტისთვის მზად არის და ვფიქრობ, არავის დატოვებს გულგრილს.

მონაგვლა ნანა კიბიშაშორია

რუსეთთან „მჭიდრო კავშირში შემჩნეულ“ ბორის კატაშვილას საშინელი ბრალდება წაუყენეს — პარლამენტარი სახელმწიფო გადართალების მომზადებაში იმზილება, თუმცა თავად, ამ ფაქტს უარყოფს და აცხადებს, რომ თითოაც ვერაფერს დააკარებს... ბორის კაკუბავა იმ სკანდალის ეპიცენტრში მოექცა, რომელიც უშიშროების საბჭოს მიერ შემუშავებული დოკუმენტის 27-ე მუხლის გამოშვების გამო მოხდა; შეგახსენებთ — ამ მუხლის მიხედვით, მკაცრი პასუხი მოეთხოვება ყველას — პარლამენტარების ჩათვლით, — ვინც უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან დანაშაულებრივ კავშირში იქნება მხილებული. როგორც ცნობილია, ამ, უკვე ყბადაღებულად ქცეული 27-ე მუხლის გამო, ბევრი ჩვენში „კუდიანებზე ნადირობის“ შესახებ ალაპარაკდა. პირველ მსხვერპლად კი, სწორედ ბორის კაკუბავას მოიაზრებენ, რომელიც შეიძლება, გადაჰყვეს კიდევ თავის ერთ ექსპანსიურ განცხადებას.



„ჩემი მხრივ კი გპირდებით, რომ

ამ გუნდს ერთ საკანში ჩავსვამ...»

ნიკო ჩავახიშვილი

— 27 სექტემბრისთვის დაგეგმილი იყო აფხაზეთიდან დევნილთა სამგლოვიარო შეკრება. ჰოდა, ერთ-ერთ ინტერვიუში განვაცხადე, რომ შეკრებაზე დევნილთა სახალხო პარტია 100000 კაცს მოუყრის თავს და შევარდნაძეს „გადაადგებენ“-მეთქი. „გადაადგებაში“ იარაღით და ძალისმიერი მეთოდებით გადაყენებას კი არ ვუვლისხმობდი, არამედ იმას, რომ ხალხს მშვიდობიანი, კონსტიტუციური მოთხოვნით, პრეზიდენტის გადაყენების უფლება აქვს. ვიდაც-ვიდაცებმა კი, ეს ისე გაიგეს, როგორც სურდათ. ვიტალი ხაზარაძემ გადაწყვიტა, რომ ამ ეტაპზე საჭიროა, სასწრაფოდ მოეფეროს შევარდნაძეს და პროკურატურას მიმართა თხოვნით — განიხილოს, თუ რამდენად კანონიერია კაკუბავას ასეთი განცხადებები. გენპროკურორმა მოუსმინა ხაზარაძეს, დაჰკითხა ჟურნალისტი, რომელსაც ინტერვიუ მივეცი და განმარტება გააკეთა, რომ ჩემს სიტყვებში არ არის არავითარი კრიმინალი. ამ წლებში განმავლობაში სულ შევარდნაძის ხელისუფლებას ვებრძვი და მშვიდობიანი გზით მის გადაყენებას მოვითხოვ და ახლა გახდა ეს

კრიმინალი და დანაშაული? უბრალოდ, ვთქვი, რომ ხალხს მოთმინების ფიალა აევსო და ადვილად მოსალოდნელია, იარაღს ხელი მოჰკიდოს და ქუჩაში გამოვიდეს-მეთქი. ამის უფლებას ხალხს არ ვაძლევთ, რადგან არ გვინდა, საქართველოში შეიარაღებული არეულობა მოხდეს, არ გვინდა იმის გამეორება, რაც შევარდნაძემ კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ თავის დროზე ჩაიდინა! არ გვინდა ამის გაკეთება, მაგრამ თუ საშველი არ დააღვა შევარდნაძის თავხელობას, მაშინ ხალხი იძულებული გახდება, ხელი იარაღს მოჰკიდოს — მე ასე ვფიქრობ, თუმცა ეს არ არის მოწოდება, — არიქა, შევარდნაძე იარაღით დაამხეთ-მეთქი!..

— **თქვენ განაცხადეთ, რომ გენპროკურატურაში თქვენს წინააღმდეგ საქმე არ აღძრულა...**

— ჩემს წინააღმდეგ საქმე არც აღძვრება, რადგან დანაშაული არ ჩამიდენია. მე მხოლოდ ვიდაც-ვიდაცების უკანონო ქმედებებს ვწინააღმდეგობა და მათ გარეწრობას ვამხელ. მათ ხელს ვუშლი და ცდილობენ, როგორმე მომიშორონ. არაფერი გამოუვათ — ვერც დამაპატიმრებენ და ვერაფერსაც მიზამენ, პირიქით — მალე იმასაც მივალწევ, რომ ხალხი

დამნაშავეებს ციხეში ჩასვამს. დიას! ხალხის მოთხოვნით უნდა დაპატიმრებულ იქნას: შევარდნაძე, ხაზარაძე, ბაბილაშვილი, სოსო ყიფიანი და კიდევ პრეზიდენტის რამდენიმე მსახური — დამქაშები, რომლებიც პარლამენტშიც სხედან და კანცელარიაშიც. ჩემი მხრივ კი გპირდებით, რომ ამ გუნდს ერთ საკანში ჩავსვამ, უერთმანეთოდ რომ არ მოიწყინონ და თანაც — შევარდნაძეს იქაც ხომ დასჭირდება ყურმოჭრილი მონები!..

— **მაგრამ სკანდალურ 27-ე მუხლს ვერაფერობით მხოლოდ თქვენს სახელს უკავშირებენ...**

— ჩემ გარდა, ამ დოკუმენტში არავინაც არ მოიაზრება — მხოლოდ ჩემთვის შექმნა ავთო იოსელიანმა! გეტყვი, რაშიცაა საქმე. 10 სექტემბერს დავწერე მიმართვა და 11 პოლიტიკური პარტიის ლიდერს დავუგზავნე. მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ 27 სექტემბერს, „ლოკომოტივის“ სტადიონზე 100000 კაცს მოვუყრიდით თავს და პასუხს მოვთხოვდით შევარდნაძეს, მოვითხოვდით მის უპირობო გადადგომას, პარლამენტის დაშლასა და 25 დღეში, გამჭვირვალე არჩევნების ჩატარებას. მოსაწვევების დარიგებისას ხელი მოვაწერინეთ პარტიის ლიდერებს, რომ სამი დღის ვადაში უნდა შეეტყობინებინათ, თუ რამდენი კაცის გამოყვანა შეეძლოთ 27 სექტემბერს. ეს მიმართვა ხელში ჩაუვარდა ავთო იოსელიანს და 12 სექტემბერს, უშიშროების საბჭოში მიიტანა: გაიგეთ? — კაკუბავა თურმე ასიათასკაციან შეკრებას გვემავს და ხელისუფლების ჩამოგდებას აპირებს; ის ჩვენი მტერია და უნდა დავაპატიმროთ... ურჩივს: სჯობს, ჯერ კანონი მივიღოთ, რადგან კაკუბავა პარლამენტარია და მის დაპატიმრებას ვერ შევძლებთო. ამის შემდეგ, ტელევიზიით გამოვიდა პეტრე მამრადე და განაცხადა, რომ თურმე ამ კანონის ძალით, როცა „ბარადა“ (ეს მეტსახელი ავთო იოსელიანმა დამარქვა) ქუჩაში 100000 კაცს გამოიყვანდა, მის დაპატიმრებას შეძლებდნენ. წარმოგიდგენიათ? ავთომ ისიც კი თქვა ჩემზე, რომ თურმე „გრუ“-მ (რუსეთის სამხედრო და ზვერვა. — ავტ.) სახლი მომცა სუხდალში (მოსკოვიდან 500 კილომეტრში). რა, მართალია? ხომ არ შეიძლება, ვინც შევარდნაძის პოლიტიკას შეეწინააღმდეგება, ყველა მტრად გამოაცხადოს! პარლამენტში 90% სხვადასხვა ქვეყნის აგენტი რომ ზის, მიიღონ ლუსტრაციის კანონი და ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს, ვინ არის აგენტი და ვინ — არა...



60600 ჯავახიშვილი

შიღგღჟ შიციშ-სჟიქჟი

„პატარა ნინოს“ შიქიშჟს „შიქიშჟს“ ...

ვახტანგ რჩეულიშვილის და ნინო ბურჯანაძის ორთაბრძოლა, რომელიც რამდენიმე წლის წინ დაიწყო, კვლავაც გრძელდება. ამჯერად განეგ-გამონევის საგნად იქცა მოსკოვში რუს დეპუტატებთან შესახვედრად გასამგზავრებული დელეგაციის ხელმძღვანელის ვაკანსია. უძებლო ვიცე-სპიკერო, რბილად რომ ვთქვათ, „გადაადგეს“. დიდი მცდელობის მიუხედავად, პარლამენტმა ვახტანგ რჩეულიშვილი ამ დელეგაციის ხელმძღვანელად არ დაამტკიცა. მასთან რჩეულიშვილი ეს წყენა დღემდე ვერ დაივიწყა და აცხადებს, რომ ის ნინო ბურჯანაძის ამბიციების მსხვერპლი გახდა:

— ბურჯანაძემ თავის ხუმტურებსა და ამბიციებს გადაგვაყოლა: ვერ გავიგე, რას გადამიკიდა, რა უნდა ჩემან? ჯერ იყო და ჩემს ვიცე-სპიკერად დამტკიცებისას ატენა ერთი ვაი-უშველებელი. თურმე ნუ იტყვით, „პატარა ნინოს ფიქრები — მეც პრეზიდენტი ვიქნები“ ყოფილა და ამიტომაც კონკურენტს ხელავლა ჩემში(!). მაშინ ვერ მივხვდი, რატომ მებრძოდა ბურჯანაძე და ვფიქრობდი: ვინ არის, ვის დაეკარგა-მეთქი? ძალიან ამბიციური გოგონა ყოფილა — თავიდანვე ჟვანიას ღირსეულ მემკვიდრედ ემზადებოდა. ჩემი სიტყვები: შევარდნაძე ისტორიის სანაგვეზე-მეთქი, ჩემს საწინააღმდეგოდვე გამოიყენა, — ეს როგორ გაბედაო? ახლა კი ჟვანიასა და სააკაშვილთან ერთად თვითონ რას აკეთებს? ქართულ-რუსუ-

ლი დაპირისპირების დროს, მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად უჭირდა შევარდნაძეს, საიღუმლო დოკუმენტის 27-ე პუნქტი საქვეყნოდ გამოამხურა. როგორ შეიძლება ასეთ ადამიანს ენლო? მე რომ მკითხოთ, ეს სახელმწიფო დანაშაულია, მაგრამ ბურჯანაძის იმპინმენტის მომხრე მაინც არა ვარ. იყოს, რას მიშლის... უბრალოდ, იცოდეს — მაგისი ერთადერთი ფუნქცია ის არის, რომ ჩაქუჩი ეჭიროს და სპიკერის მაგიდას უკაკუნოს.

— პარლამენტს რომ ნდომოდა თქვენი კანდიდატურის მხარდაჭერა, მხოლოდ ბურჯანაძე ვერაფერს დაგაკლებდათ. გამოდის, რომ თქვენი კოლეგებისთვისაც მიუღებელია თქვენი პიროვნება?

— ვახტანგ რჩეულიშვილი მარტო ბურჯანაძისთვის კი არა, ჟვანიას მთელი გუნდისთვისაც მიუღებელია, რადგან ყოველთვის ხაზს ვუსვამდი მათ არაკომპეტენტურობას. სწორედ ამ გუნდის წყალობით გაუჩნდა კიბო საქართველოს, კორუფციის სახით. კიბოები არიან ჟვანია, სააკაშვილი, ბურჯანაძე და მთლიანად შევარდნაძის გუნდი, რომელმაც ეს სისტემა შექმნა. ახლა კი შევარდნაძის მიღწევებს (თბილისისა და ვაშინგტონის მოკავშირეებად გახლომას ვგულისხმობ) თვითონ იბრალებენ. ხოლო თავს ისე აჩვენებენ ყველას, რომ ყველაფერი ცუდი მარტო პრეზიდენტის გაკეთებულია... არადა, ლომის წილი შავ საქმეებში თვითონ მიუძღვით. აბა, რუსულ-ქართული ურთიერთობები მოავკარონ — ამას ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს გადასარჩენად! თვითონ არ შეუძლიათ

და არც მე მიშვებენ რუსეთში.

— მაინც რა მოხდა რეალურად, როგორ დაიგეგმა გენადი სელეზნიოვთან შეხვედრა?

— როდესაც რუსებმა საჰაერო დაბომბვა განახორციელეს პანკისში, აზრი გამოვთქვი, რომ კარგი იქნებოდა, თუ რუს კოლეგებთან ერთად დავსხდებოდით და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნას შევეცდებოდით. „მრეწველებმა“ მხარი დამიჭირეს. რუსული მხარეც დაინტერესდა და შემოგვთავაზა, რომ ოფიციალური დელეგაცია ჩასულიყო მოსკოვში. ბურჯანაძეს პირდაპირ უთხრეს, რომ დელეგაციის ხელმძღვანელად ვიცე-სპიკერს ანუ მე მომიარებდნენ. ბურჯანაძემ ჯერ ელდარ შენგელაიას კანდიდატურა შესთავაზა პარლამენტს, მაგრამ რადგან ეს ბიუროს გადასაწყვეტი იყო და 19 კაცი მე მიჭერდა მხარს, მივუტანე ხელმოწერები და ვუთხარი: რეგლამენტს ნუ არღვევთ-მეთქი. მაშინ ადგა, მოსკოვში დარეკა და დელეგაციის ხელმძღვანელად საკუთარი კანდიდატურა წარადგინა. ამის შემდეგ, შეკრიბა ფრაქციის თავმჯდომარეები და აფერისტულად იკითხა: წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, მოსკოვში რომ დავრეკო და დელეგაციას მე ვუხელმძღვანელო? ამაზე უარს ვინ ეტყობა?! ბურჯანაძის იქ ჩასვლა რუსებს ისე არ აინტერესებთ, როგორც თქვენ ჩინეთის იმპერატორის მიღება... ეს ყველაფერი ჩემან ფარულად გააკეთა. წარმოგიდგენიათ, ეს ქალი როგორ ცდილობს ყველას მოტყუებას?! თუ წესიერად და ჭკვიანად არ მოიქცევა, ამგვარ ინტრიგებს გადააჰყვება კიდეც, ძვირად დაუჯდება ეს ამბები...

— გამოდის, რომ თქვენ მიერ დაგეგმილი შეხვედრიდან ტექნიკურად „მოგტყვის“?

— ხელს არ აძლევთ, რომ ვინმემ მათ გარეშე მოახერხოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოწესრიგება. ეშინიათ, რომ ყველა პოლიტიკურ ძალასთან გამოენახავ საერთო ენას და მათი ადგილი პოლიტიკაში აღარ დარჩება. ასე იყო ადრეც... 1997 წელს, როცა პარლამენტი აფხაზეთის კომისიის თავმჯდომარის პოსტზე ჩემს კანდიდატურას იხილავდა, იცით, რა განაცხადა სათუნა ზოფერიამ? რჩეულიშვილი აქტიური კაცია და რაიმე ქმედითი ნაბიჯი რომ გადადგას აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად, არჩევნებზე რა გვეშველებაო? იმ სულელს გულში ნაფიქრი ზმამაღლა წამოსცდა. მე ვუპასუხე: ოღონდ თქვენ აფხაზეთი დაიბრუნეთ და კაბინეტში ჟვანიას სურათს დავკიდებ-მეთქი. კიდევ იცით, რატომ შეეწინააღმდეგნენ ასე ჩემს კანდიდატურას? იციან, რომ რუსების დიდი ნდობით ვსარგებლობ.

— ამდენი დაბობვისა და აგრესიის შემდეგ მაინც ჯიუტად

გჯერათ, რომ რუსეთი ჩვენი კეთილი მეზობელია?

— რუსეთთან საბოლიშო არაფერი მაქვს. მის დანაშაულზე საქართველოს მიმართ ყოველთვის ვსაუბრობ, მაგრამ მტრად კი არ მთვლიან რუსები, ფიქრობენ, რომ მათთან ერთად ვეძებ გამოსავალს. სხვა პოლიტიკოსების კი არ სჯერათ, რადგან ისინი ზმამაღალი განცხადებების მეტს, არაფერს აკეთებენ. მომსწრე ვარ, როგორ შეხვდნენ ერთმანეთს ელდარ შენგელაია და პასტუხოვი. ელდარი არწმუნებდა, რომ ძალიან უყვარდა რუსეთი, პასტუხოვი კი პირიქით — საქართველოს სიყვარულს ეფიცებოდა. არც შენ გიყვარს რუსეთი და არც შენ — საქართველო, ყველაფერს აკეთებთ იმისთვის, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობა არ გამოსწორდეს და ამ აფერიის მონაწილე არ ვიქნები-მეთქი, — ვთქვი და ოთახიდან გამოვედი. ახლაც ასე ხდება...

— პარლამენტში ამბობენ, რომ ამ ვიზიტით რუსებთან მორიგი ქულების ჩანერვას ცდილობდით?

— ეს უბრალოდ სასაცილოა! სააკაშ-

ვილს კი არ ვგაგარ, ყველაფერში მხოლოდ და მხოლოდ, საკუთარი ინტერესები რომ მაძიებდავლებს. ახლა რომ წივის და კივის — „იტერას“ შემოსვლა არ გვინდაო. რატომ? იმიტომ, რომ კონტროლის სფეროებს დაკარავვენ...

— შეხვედრა დროებით გადაიღო, მაგრამ საინტერესოა, მაინც რაზე აპირებთ საუბარს რუს კოლეგებთან?

— იმაზე, რაც ასე გვაწუხებს ორივე მხარეს — როგორმე დავარეგულიროთ ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის.

— და ამას თქვენს მეტი ვერავინ შეძლებს?

— ჩემზე უკეთესად ამ საკითხს მხოლოდ ორი კაცი მოაგვარებს — ასლან აბაშიძე და ვაჟა ლორთქიფანიძე, მაგრამ არც ერთს არ სურს ზედმეტი ტვირთის აღება თავის თავზე. ამიტომაც ვთავაზობდი პარლამენტს საკუთარ კანდიდატურას, მაგრამ ჯიუტად უარმყვეს. თუ ვინმეს იპოვიან, ვინც ჩემზე კარგად მოაბამს თავს ამ საქმეს, კი, ბატონო, პრეტენზიები აღარ მექნება...

ჩვენი საგარეო პოლიტიკა იმდენად დაიძაბა, რომ მიმდინარე მოვლენების მიმართ პარლამენტს მიღმა დარჩენილი პოლიტიკოსებიც ვერ რჩებიან გულგრილნი და კულისებში მსჯელობენ, ვისი აჯობებს — რუსეთის თუ ამერიკის? რა აჯობებს — ეს ცოტა ძნელი სათქმელია, მაგრამ სად აჯობებს — ამ კითხვაზე თითქმის ყველას ერთგვაროვანი პასუხი აქვს. გონებაბანჯილი პოლიტიკოსები ხვდებიან, რომ რუსეთ-ამერიკის ინტერესები

საქართველოში უპირისპირდება ერთმანეთს. ერთმანეთს უპირისპირდება იმ პოლიტიკოსთა პოზიციებიც, რომელთაც მკვეთრად გამოხატული პრორუსული თუ პროამერიკული ორიენტაცია აქვთ, მაგალითად, ირაკლი ნერეთელი მარადი ლოზუნგით — „გაიყვანეთ რუსის ჯარი, გაუმარჯოს ნატოს!“ და ვახტანგ გოგუაძე ასევე მარადი ლოზუნგით: — „რუსეთი ჩვენი ძმაა, ვინ არის ნატო?!“

„თეზსაჲ ჩიტუი ნაღვილ ჩიტს არ გულისხმობდა!“

ირაკლი ნერეთელი:
— საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა იმაზე მეტად ხელყოფილი ვეღარ იქნება, როგორიც დღესაა. მაგრამ მდგომარეობა ძალიან ძალიან შეიცვლება. მოვლენები ისე განვითარდება, რომ ხელისუფლების სათავეში ეროვნული ძალები მოვლენ. ამერიკის და ნატოს წევრი სხვა ქვეყნების მხარდაჭერით აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და რუსეთიც თავის ადგილზე დაეშლება.

— ბევრს ეცინებოდა თქვენს უცვლელ ლოზუნგზე — გაიყვანეთ რუსის ჯარიო, რომ ამბობდით. დღეს კი ფაქტია, რუსეთის და რუსის ჯარის ხსენებაზე აღარავინ იცინის...



— ჩვენ იმიტომ ვართ ყველაზე მაგარი და მართალი პარტია, რომ 15 წლის წინ ჩამოვყალიბეთ პოლიტიკური დოქტრინა, რომლის თანახმადაც წინასწარ განვსაზღვრეთ, ვინ იყო საქართველოს მტერი და ვინ მოყვარე. რუსეთს რამდენჯერაც მიეცა საქართველოს „დათრევის“ შანსი, არც ერთხელ არ გაუშვია ხელიდან. ასეთ შანსს არც მომავალში გაუშვებს. შეიძლება ასეთი ქვეყნის ჯარი და სამხედრო ტექნიკა საქართველოში იყოს?

— ამის მიუხედავად, ზოგიერთი პოლიტიკოსი კვლავინდებურად ფიქრობს, რომ რუსეთი ჩვენი ძმაა და მეგობარია...

— ზოგიერთ პოლიტიკოსში ვის გულისხმობთ? ვახტანგ გოგუაძეს თუ ვახ-

ტანგ რჩეულიშვილს? უახლოეს მომავალში გაფართოებული კონფერენციის ჩატარებას ვაპირებ, სახელწოდებით „საქართველოს დამოუკიდებლობა, რუსეთი და დასავლეთი“. კონკრეტული ისტორიული ფაქტებით და არგუმენტებით დავასაბუთებ, რატომ არის რუსეთი მტერი და ამერიკა — მეგობარი. ისინი, ვინც დღეს რუსეთთან მეგობრობაზე ლაპარაკობენ, ყველანი პასუხისმგებელი უნდა მიეცნენ, როგორც სამშობლოს მოღალატეები. სანამ რუსეთის აგრესია საქართველოს მიმართ ასე ამკარადა გამოხატული, მანამდე მასთან მეგობრობასა და ძმობაზე ლაპარაკი, შშიშარა, ლაჩარი და მოღალატე კაცის ბოღვაა. ჩემი აზრით, ვახტანგ გოგუაძემ და ყველა სხვა პოლიტიკოსმა ასეთი არაქართული და არაკაცური პოზიციისთვის, რომელსაც საფუძვლად უდევს სამშობლოს სიყვარულის და თავმოყვარეობის დეფიციტი, პასუხი უნდა აგონ. როცა გლობალიზაციის, ლაპარაკი იმაზე, რომ რუსეთი მანინ ჩვენი მეგობარია, ისეთივე სასაცილო უბადრუკობაა, როგორც არის, მაგალითად: „მგელი ბურვაკის მეგობარია,

იმიტომ, რომ მგელს, ძალიან უყვარს ბურვაკის ხორცი!“

ბუნებრივია, რომ ამერიკაც და რუსეთიც საქართველოში თავის დასაყრდენ პარტიებს ეძებენ. მაგალითად, რიჩარდ მილსი უკვე შეხვდა და ესაუბრა რამდენიმე პოლიტიკური პარტიის ლიდერს. ამერიკა მხოლოდ პოლიტიკურ წრეებში კი არაა, მთელ საქართველოში ეძებს და ხედავს მოკავშირეს. დანარჩენი პარტიების არ ვიცი, მაგრამ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის სახით მას მართლაც უღალატო მოკავშირე ჰყავს. ახლა ჯერ რიჩარდ მილსზეა. მან თვითონ უნდა გაარჩიოს, ვინ არის ნამდვილი მოკავშირე და ვინ ცრუ.

— მართალია, რომ ჩვენთა შორის ძმადნაფიცები გყავთ?

— მე ხევესური და სვანი ძმადნაფიცები მყავს. ჩვენნი არ მყავს, იმიტომ რომ იქ არ იციან, რა არის ფიცვერცხლი. ასეთი ტრადიცია მათ არ აქვთ. მე ჩვენნი მეგობრები მყავს და თუკი დასჭირდებათ, ყოველთვის კაცურად დაუდგები გვერდში. საქართველოს მთავრობამ ჩვენები რომ

გადასცა რუსეთის მხარეს, სამარცხვინო ფაქტია. ჩვენნი მეგობრების „ალ-ქაი-დას“ ტერორისტებთან შედარებაც მკრეხელობაა.

— ჩვენებს ესარჩლებით? მგონი, ჩვენ ჩვენი ბრძოლა გვაქვს მოსაგები. თავდაცვის მინისტრი ამ ბოლო დროს, ბევრს ლაპარაკობს ჩიტებსა და „რაგატკებზე“...

— თქვენ ალბათ გულისხმობთ თევზადის პასუხს, როდესაც ჰკითხეს — კიდევ რომ დაირღვეს საქართველოს საჰაერო სივრცე და რუსეთის ბომბდამშენი ჩვენს საზღვრებში შემოვიდეს, რას იზამთ? მაშინ უპასუხა თავდაცვის მინისტრმა, — გადმოვა და კი ჩიტსაც დაიჭერსო. ზოგმა ეს პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო. თევზადე ჩიტში ნამდვილ ჩიტს კი არ გულისხმობდა, გულისხმობდა იმას, რომ საქართველოზე თავდასხმის შემთხვევაში, რუსეთს სერიოზული პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა. მაგრამ იმედი მაქვს, საქმე აქამდე არ მივა.

„იხით, რგორ უყვარს პუტინს საქართველო?“

პანსტანგ გომუაძე:

— რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ დიდი ხანია არ გამიკეთებია კომენტარი. მაგრამ ძალიან კარგად ვიცი, რა ხდება, რა საიდუმლო შეთანხმებასთან გვაქვს საქმე. რუსეთი ეუბნება საქართველოს, შენ ებრძოლე ტერორისტებს, დაიჭირე ისინი და მერე ეს დაჭრილი ვეფხვი მე გადმომეციო. დაჭრილ ვეფხვს რუსეთი და ამერიკა ერთად ებრძვიან და ვერ ერევიან და ჩვენ როგორ დავიჭერთ? ამიტომ ვამბობ:

სწორად მოიქცა ჩვენი პრეზიდენტი, როდესაც სიტუაციის დარეგულირებისკენ წარმართა პროცესი.

— ირაკლი წერეთლის აზრით, ამ პროცესის დარეგულირება მხოლოდ ამერიკის მხარდაჭერით არის შესაძლებელი.

— მე ვიყავი და ვარ ერეკლე მეფის ჯარისკაცი და ილია მართლის მიმდევარი. ვიცი ისიც, რომ ისტორიულად ყოველთვის ისინი იყვნენ მოღალატეები, ვინც სხვების ღალატზე ლაპარაკობდნენ. ირაკლი წერეთელი უმწიფარ პოლიტიკოსთა რიგს მიეკუთვნება. ვინც რუსეთთან ურთიერთობის დათბობისკენ არ მიისწრაფვის, ის მხოლოდ რუსეთის მტერი



სიყვარულს გულისხმობდა ირაკლი წერეთელი, როდესაც მითხრა: მგელს უყვარს ბურვაკი, იმიტომ, რომ ძალიან უყვარს ბურვაკის ხორციო.

— არ დაგავიწყდეთ არც თქვენ და არც ირაკლი წერეთელს, რომ იმ მგელმა ნახევარი მილიონი ქართველი დღეს 5 მილიონ ერად გვაქცია. უფრო სწორად, დაგვტოვა როგორც ერი. ირაკლისნაირმა პოლიტიკოსებმა კი ერეკლე მფორის დროინდელ საქართველომდე მიგვიყვანეს.

— ალბათ არც წერეთელი შეიცვლის თქვენი რჩევით პოზიციას და თქვენც იმავე აზრისა დარჩებით. კერძოდ, „რუსეთი ჩვენი ძმია, ვინ არის ნატო?“

— ნატო ვინ არის?! ნატო აღარ არის. მისგან უკვე დაშლილი ყოფილი სამხედრო ორგანიზაციის შემოკლებული სახელია დარჩა. ან ამერიკა რა გგონიათ? ვერ ხედავთ, მთელ კონტინენტზე წვავენ ამერიკის დროშებს? გინახავთ სადმე, რუსეთის დროშა დაეწვათ? აი, ამაშია საქმე.

პოზიხიები ჩაინერა ნანა ჭიბიშაურმა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ქანტურია ორშაბათიდან ორშაბათამდე თურმე უქმე დღის გარეშე მუშაობს და ბედნიერი კვირადღე რომელსაც ოჯახთან ერთად ქალაქგარეთ ატარებს, მხოლოდ თვეში ერთხელ ან ორჯერ გამოერევა ხოლმე. სამსახურიდან დაბრუნებულ ლადო ქანტურიას შინ შეილები და ცისფერთვალემა მეუღლე ხვდებიან, რომელსაც გერმანულ-პოლონურ-მეგრული სისხლი, მზიარული ხასიათი და სასმელების დიდი კოლექცია აქვს (აღბათ აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მის მზიარულ ხასიათთან სასმელების კოლექციას არანაირი კავშირი არ აქვს). **ქალბატონი დალი** პროფესიით სტომატოლოგია. თუმცა, მისი მეუღლე რატომღაც ამჯობინებს, რომ თავისი კბილები ამ დარგის სხვა სპეციალისტს მიანდოს. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მეუღლე საკმაოდ სტუმართმოყვარე დიასახლისიც აღმოჩნდა. ბატონი ლადოს შინ დაბრუნებამდე, რომელთანაც საქმიანი ინტერვიუს ჩანერას ვაპირებდით, საუბრითაც შეგვიქცია და მათი ოჯახური ყოფის რამდენიმე საინტერესო დეტალიც გაგვიმხილა.

ნანა კიბიშაური

— როდის გთხოვთ ხელი და გული ლადო ქანტურიაზე? ის ჯერ კიდევ სტუდენტი იყო თუ უკვე „პერსპექტიული ახალგაზრდის“ სახელი ჰქონდა?

— როცა დავქორწინდით, ორივე, სოლიდურ ასაკში ვიყავით: მე — 26 წლის, ლადო — 31-ის. ნათესავის ოჯახში ვნახე პირველად. ისეთი ლამაზი ქართული საუბრობდა, რომ გულგრილი ვერ დავრჩი. თავიდან, მისი კარგი ქართული და განათლებით მოვიხიბლე, მერე სხვა თვისებებიც აღმოვაჩინე და მოვიდა ის, რასაც სიყვარული ჰქვია. როგორ მივედით იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ოჯახი შეგვექმნა, ზუსტად არც მასსოვს. მასსოვს მხოლოდ ლადოს სერიოზული სახე, როდესაც პირველად მითხრა — ცოლად გამომყევო. მაშინ ის უკვე უნივერსიტეტის დოცენტი იყო. გადავწყვიტეთ, საქორწინო მოეზაურობაში, ანტალიაში წავსულიყავით. ეს ძალიან მასწარებდა, მაგრამ ლადოს წამოსცდა: ნაშრომის დამთავრებას ვერ ვასწრებო, — და მაშინ გავიღე პირველი „მსხვერპლი“, რომლის გაღებაც მისი კარიერისთვის იყო საჭირო. ლადომ ჩვენი ქორწინებიდან მესამე თვეს დაიცვა საღიჭტორო დისერტაცია და პრო-



წარმოდგენა არ მაქვს, თუ რა ღირებულების არის ან რა გემო აქვს ამა თუ იმ სასმელს, რომელიც ჩემს კოლექციას ამშვენებს. ჩემთვის მთავარია, ჭურჭლის დიზაინი...

ქანტურიათა ოჯახისა და სასამართლოს კოლექციის ახალგაზრდა



ფესორის წოდებაც მიიღო. ეს წოდება მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც საზღვარგარეთ ვიმყოფებით: ლადო ვინმესთან გაცნობისას არასოდეს აღნიშნავს, თუ რა თანამდებობა უკავია — ის ყოველთვის ამბობს, რომ უნივერსიტეტის პროფესორია და მართალიც არის. თანამდებობა წარმავალია, პროფესორის წოდება კი მან დამსახურებულად მოიპოვა და ყოველთვის მასთან დარჩება. ჩემს ახლობლებთან ზუმრობით თავს ვიწონებ ხოლმე: აი, ხედავთ, როგორი ცოლი ვარ — გათხოვებიდან მესამე თვეს, ქმარი პროფესორად გაქცეო, მესამე წელს — მინის-



ტრად, ახლა კი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეა-მეთქი...

— როგორც ვიცო, ბატონი ლადო სოფელ ჯვარში დაიბადა და გაიზარდა და მისი ოჯახი საკმაოდ ხელმოკლედაც ცხოვრობდა, არა?

— ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, მაგრამ მისი ოჯახის წევრები ნამდვილი ინტელიგენტები იყვნენ. მამა სკოლის დირექტორი იყო, საოცრად ნაკითხი და განსწავლული კაცი. ჰყავს და-ძმა. ლადოს ოჯახს არასოდეს ჰქონია სხვა შემოსავლის წყარო, ხელფასის გარდა. ჩემი ქმრის ცხოვრება იმის დამადას-



როგორ მიველით იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ოჯახი შეგვექმნა, მუსგად არც მახსოვს

ტურებელია, რომ ჩვენს დროშიც შეიძლება მხოლოდ განათლების წყალობით გაიკეთო კარიერა – ფულისა და გავლენიანი სანათესავოს დაუხმარებლად და იმის მაგალითიც, რომ შეიძლება, თანამდებობის პირის ოჯახმა „სუფთა“ ხელფასით იცხოვროს, ყოველგვარი „გვერდითი“ შემოსავლების გარეშე.

— შეიძლება, ბევრს მაინც არ სჯერა, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, იმ ხელისუფლების თავმჯდომარე, სადაც კორუფცია ყველის, „სუფთა“ ხელფასით ცხოვრობს...

— შეიძლება, მას ოდესმე ვინმემ შესთავაზა კიდევ ქრთამი – ეს ამბავი ლადოს ოჯახური განსჯის საგნადაც არასოდეს უქცევია, – მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ის არასოდეს არავისგან არ აიღებს ქრთამს და არასოდეს უღალატებს ფიცს, რომელიც დაღო. ნათქვამია – საბანი სადამდეც გაგწვდება, ფეხი იქამდე უნდა გაჭიმო. 4-ოთახიანი ბინა მე-8 სართულზე და ერთიც, ერთოთახიანი ბინა დილოში, ისიც მე-8 სართულზე – აი, ეს არის მთელი ჩვენი უძრავი ქონება. მეც და ლადოც ერთნაირად ვფიქრობთ: ადამიანმა ფული ნივთებში კი არა, განათლებაში უნდა ჩაღოს. ერთადერთი მიზანი გვაქვს – შეიძლება მივეცეთ კარგი განათლება და ამის წყალობით, რაც მათ დასჭირდებათ, იმას თვითონვე მოიპოვებენ. ლადოს ყოველთვიური შემოსავალი 1.200 ლარამდე აღწევს. ხშირად უწევს მივლინებით საზღვარგარეთ წასვლა, სადაც სიტყვით გამოდის ხოლმე; მისი სტატეიებიც იბეჭდება გერმანიისა და სხვა ქვეყნების ოუროიდულ ჟურნალებში, რომლებიც დიდ პონორარებს იხდიან.

— ძებნას მირჩევნია, პირდაპირ ვიკითხო და სიტყვაზე გენდოთ — რა არის თქვენს ოჯახში ყველაზე ძვირფასი ნივთი?

— ეს არის ბიბლიოთეკა. ლადოს უნიკალური წიგნები აქვს და ამით ძალიანაც ამაყობს. მე ვამაყობ ჩემი სასმელების კოლექციით. ამ დროს, გამოიგტყდებით, წარმოადგენა არ მაქვს, თუ რა ღირებულების არის ან რა

გემო აქვს ამა თუ იმ სასმელს, რომელიც ჩემს კოლექციას ამშვენებს. ჩემთვის მთავარია, ჭურჭლის დიზაინი... დაბოლოს – ის, რითიც ორივენი ვამაყობთ, – არის თევზები, სუვენირები, რომელიც სხვადასხვა ქვეყნიდან არის ჩამოტანილი.

— რადგან ხშირად გინვთ საზღვარგარეთ წასვლა, ვფიქრობ, თქვენი გარდერობიც საკმაოდ მრავალფეროვანი უნდა იყოს...

— ლადო პრაქტიკულად არაფერს ყიდულობს საქართველოში. იმიტომ კი არა, რომ აქ მისი გემოვნების შესაფერისი ტანსაცმელი არ არის. უბრალოდ იმიტომ, რომ დრო არა აქვს. არ გაგიკვირდეთ: ის სახლიდან ცხრის ნახევარზე გადის, მაღაზიები კი 11-ზე იღება. შინ გვიან ღამით ბრუნდება. ამიტომ, თავისდა უნებურად უწევს, მივლინების დროს იზრუნოს თავის გარდერობზე. მას უყვარს კარგად ჩაცმა. ყოველთვის ცდილობს, პერანგისა თუ იმ სიტუაციის შესაფერისი ჰალსტუხი შეარჩიოს, სადაც მოხვედრა მოუწევს. ცხვირსაც კი, ჰალსტუხის შესაფერისი უნდა ჰქონდეს. მისი სისუსტეა კარგი ფენსაცმელი. ასე რომ, ლადოს თავისი გემოვნების გათვალისწინებით აცვია, მე კი ვცდილობ, მისი სტატუსის შესაფერისად ჩავეცვა – კლასიკურად, სადაც და არაგამომწვევად. ჩემთვისაც ლადოს ჩამოაქვს ტანსაცმელი და მიმანია, რომ მეც „არა მიმავს რა“ ჩაცმული დავდივარ.

— კულინარიში როგორი მიღწევები გაქვთ?

— როცა გაეთხოვდი, ვცდილობდი, ჩემი კულინარიული დონე ამემაღლებინა და შესაძლებლობები გამომეცლინა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ არ ღირდა; არც ლადოა დიდი გურმანი და არც მე გახლავართ დიდი კულინარი. გვიყვარს ტრადიციული კერძები: მგრურული ხარჩო, საცივი, შემწვარი გოჭი, ღოსაც ვაკეთებ ხშირად...

— თქვენი ჰობი?

— წიგნები. იყო დრო, როდესაც ფოტოგრაფიამაც გამიბატა და აპარატიც შევიძინე. ზომით დიდი იყო, მაგრამ ბევრი

ოპერაციის შესრულება შეეძლო. ლადომ რატომღაც ათვალწუნა ის ჩემი აპარატი – მე მგონი, ზომის გამო – და 3 წლის განმავლობაში აზრი არ შეუცვლია: რა არის, რას ჰგავს ეს შენი აპარატი? ისეთი პატარა, ლამაზი და კოხტა აპარატებია გამოსული და ეს რამ გაყიდვინაო?! შარშან გერმანიაში წავედი. ლადომ მითხრა: ახლა მე შენ ისეთი კარგი აპარატი უნდა გიყიდო... და ხალხის ნაკადში გაუჩინარდა. ცოტა ხანში მობრუნდა ვიბეგებში ხელგაწყოხილი და მეუბნება: ისე, რა ავიჩემე ეს შენი აპარატი? – არც ისე ცუდად გამოიყურებაო. მივხვდი, რაღაცაში იყო საქმე, – აა, რა მეგრული ვარ, ამას თუ არ მივხვდი?! ჰოდა, მე შევბვერი იმ ხალხის ნაკადში, მივალწიე მაღაზიამდე, დავხვედ და... უამრავი, ერთმანეთზე უკეთესი პატარა, ლამაზი, კოხტა აპარატები, რომელსაც აწერია: 8.000 დოლარი, 2.000, 3.000 ევრო... მაშინ კი მივხვდი, თუ რატიმ ყოფილა ჩემი აპარატი „არც ისე ცუდი“...

— საზღვარგარეთ მოგზაურობისას რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?

— ეს არის ცნობილი სასტუმრო, რომელიც ვენის გარეუბანში მდებარეობს. ამ სასტუმრომ სახელი გაითქვა მას შემდეგ, რაც პარიზიდან ვენაში მიმავალმა ნაპოლეონმა და ფოხფენამ იქ გაათიეს ღამე. ამჟამად ყოფილი სასტუმრო, ერთდროულად, რესტორანიცაა და მუზეუმიც. აქ ყველა ცნობილი ადამიანი ტოვებს რაღაც სამსსოფრო ნივთს, ზოგი – ხელთათმანს, ზოგი – მარაოს, ზოგი – სამკაულს... იქური სანახაბით აღფრთოვანებული დავრჩი. ლადომ კი მწარედ ჩაილაპარაკა: XVII საუკუნეში აშენებული სასტუმრო, რომელიც ქალაქგარეთ, ერთი შეხედვით უპერსპექტივო ადგილას მდებარეობდა, მისი პირველი მფლობელის შთამომავლობამ მსოფლიო მნიშვნელობის მუზეუმად აქცია, ჩვენი შთამომავლობა კი წინაპრების დატოვებულ, მართლაც მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლებს ანგრევს, ანადგურებს და მიწასთან ასწორებს...

დალი ჭანტურიას ალბათ კიდევ ბევრი საინტერესო ამბის მოყოლა შეეძლო, მაგრამ მოვიდა ის, ვისაც ვუცდიდით, – **ლადო** **ჭანტურიას** თავისი განუყრელი „კეისით“, რომელიც თურმე „რკინისჯოხიანი“ და „რკინისქალაქიანი“ ადამიანების საქმეებით არის ვატენილი.

— თქვენ ყოველთვის ასე გვიან ბრუნდებით შინ?

— თითქმის ყოველთვის. დროის დეფიციტი – აი ის, რაც ყველაზე მეტად მაწუხებს.

— თუ ორშაბათიდან ორშაბათამდე შეუსვენებლად მუშაობთ, ზედმეტია გკითხოთ — შევბულება სად გაატარეთ-მეთქი...

— დასვენება ყველა ადამიანს სხვადასხვანაირად ესმის. ერთადერთი, რაზეც საკუ-

თარ თავს უარს არ ვუყუბები, არის მიწვევა, რომელიც გერმანელი კოლეგებისგან აგვისტოში მომდის ზოლმე. 2-3 კვირით ჩავდივარ იქ და წიგნებზე ვმუშაობ. ეს არის ჩემთვის საუკეთესო დასვენება და ფუფუნება იმ უძალური საქმიანობის ფონზე, რასაც მოსამართლეობა ჰქვია.

— გეთანხმებით, დღეს მოსამართლის მადლიერი ხალხი არცთუ ისე ბევრია. მოსამართლის იმიჯი საკმაოდ შელახული რჩება...

— არა და არ იცვლება ტრადიციული დამოკიდებულება მოსამართლის მიმართ. ისევ ისე ჰყვებიან მოსამართლისა და მისი ცალკელი კალომის ამბავს, როგორც უწინ. ვისაც ერთი დღე მაინც არ უმუშავია მოსამართლედ, ის ვერ გაიგებს, თუ რას ნიშნავს საქართველოში მოსამართლეობა. ის, რაც ჩვენში ხდება, სხვაგან არასდ ხდება. ჩვენში, იმის მიუხედავად, თუ ვინ არის პროცესის მონაწილე, ყველა, მოსამართლეზე გაუფენის მოხდენასა და სხვადასხვა საშუალებით ზეწოლის მოხდენას ცდილობს.

— რადგან არის ზენოლა, ე. ვ. გავლენის მოხდენას „ზემოდან“ ცდილობენ ხოლმე...

— ყველა მხრიდან ცდილობენ. პირველ რიგში, ეს, პროცესის მონაწილეებს ენება. თუ საქმე პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს შეეხება, პროცესი უფრო მძაფრად მიმდინარეობს და მონაწილე-მომჩივანთა რეაქციაც არასასიამოვნო და მძაფრი პროცესის აღეკვალურია. როგორც ცნობილია, სასამართლოში მოსული პირებიდან, 50% იქიდან უკმაყოფილო ბრუნდება. თუ ვინმე ამ უკმაყოფილო ადამიანებს პოლიტიკური ბრძოლის მიზნით გამოიყენებს, გამოიწვევს დესტაბილიზაციას და სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ გააღრმავებს უნდობლობას. ამიტომ ძალიან დიდი დაკვირვება და სიფრთხილე საჭირო, მით უმეტეს უზენაეს სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილებაც გასაჩივრებას არ ექვემდებარება. კრიტიკული გამონათქვამებიც ზეწოლის ერთგვარი ფორმაა.

— თქვენი მისამართით კრიტიკული გამონათქვამებით ყველაზე ხშირად რეფორმატორი იურისტი — მიხეილ სააკაშვილი გამოდის ხოლმე...

— მიხეილ სააკაშვილი თავის-უფალი პოლიტიკოსია და რაც უნდა, ის შეუძლია თქვას — ის თავის ქმედებაზე პასუხს არ აგებს. უზენაესი სასამართლო კი, ყოველ მიღებულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელი. ის, რასაც ამ საკ-

ერთადერთი მიზანი გვაქვს — შეილებს მივცეთ კარგი განათლება



სასტუმრომ სახელი გაითქვა მას შემდეგ, რაც პარიზიდან ვენაში მიმავალმა ნაპოლეონმა და ჟოზეფინამ იქ გაათიეს დაბე

ითხთან დაკავშირებით მიხეილ სააკაშვილი ამბობს, წმინდა წყლის ფანტაზიაა. არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას და ექსპერტს იმ გადაწყვეტილებისთვის, რომელმაც პოლიტიკოსთა დებატები და აუიოტაჟი გამოიწვია, უარყოფითი შეფასება არ მიუცია. ზოგჯერ, როდესაც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას პოლიტიკოსი აკრიტიკებს, ამბობს, რომ მის უკან ხალხი დგას. ჩემთვის მთავარია, სწორი გადაწყვეტილება გამოვიტანო — თუნდაც ის უმრავლესობის აზრს არ ემთხვეოდეს. მე ვიამყებ იმ სასამართლოთი, რომელსაც შეუძლია საზოგადოებრივი აზრის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღოს.

— მოსამართლის მიუყვრობლობის ერთ-ერთი გარანტია მალალი ხელფასი უნდა ყოფილიყო, რომელიც სასამართლო რეფორმის შედეგად უნდა დაენშნათ. გამოვიდა რაიმე ამ მხრე?

— თუ იმ პერიოდის პრესას გადახედავთ, როდესაც მე ამ რეფორმაზე ვსაუბრობდი, ვერსად ამოიკითხავთ, რომ მე, რეფორმის განხორციელების შედეგად კორუფციის აღმოფხვრის იმედს გამოთქვამდი. ახალი

მოსამართლის ან გამოცდებამოვლილი მოსამართლის დანიშვნა მაშინ, როდესაც ირგვლივ ყველა სფერო კორუმპირებულია, არ არის იმის გარანტია, რომ სასამართლოში ქრთამს არავინ აიღებს. მაგრამ სანამ მე ამ თანამდებობაზე ვარ, არ დავუშვებ, რომ სისტემა კორუფციამ მოიცვას. ამას წინათ, ერთმა სოციოლოგიურმა სამსახურმა ჩაატარა მოსახლეობის გამოკითხვა და იმ მოქალაქეების 87%-მა, რომელთაც სასამართლოსთან ჰქონდათ შეხება, განაცხადა, რომ მათთვის ქრთამი არავის მოუთხოვია. სასამართლო უწყებებში ძალიან ბევრი თადლითია, რომელიც ორივე მომჩივანს ართმევს ფულს და ამის საფასურად, საქმის მოგებას ჰპირდება; მერე, მხოლოდ წაგებულს უბრუნებენ ფულს, რადგან საქმე „ვერ გამოვიდა“... ამ ხალხთან ბრძოლა შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმეა. ეს ადამიანები უნდა დაიჭირონ და ციხეში ჩასვან. მინისტრის ხელფასი 160 ლარია, მოსამართლე 500-600 ლარს იღებს; ისინი, ვინც უზენაეს სასამართლოში მუშაობენ, 1.200 ლარს იღებენ, მათ კი, ვისაც ხანგრძლივი სამუშაო სტაჟი აქვთ, — 1.300 ლარს. ეს არის ის თანხა, რომლითაც ამ ქვეყანაში ისე ცხოვრება შეიძლება, რომ ქრთამზე არ იფიქრო.

— ამ ბოლო დროს, უზენაეს სასამართლოში ისეთმა საქმეებმა მოიყარა თავი, რომ ალბათ კიდევ ბევრი კრიტიკის გადატანა მოგინებთ.

— არასოდეს მიფიქრია სახელმწიფო სამსახურში ჩადგომა და იმასაც ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ამდენი კრიტიკის ატანას შევძლებდი. თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად მართლაც საჭირო საქმეს ვაკეთებ...





მოკლული
ნიკა ლომინაძე

ნიკა ლომინაძის გველეშავენი ეჭვიანილი თავს დაენახვედ არ ხნოვს

ვინ არის დავით ჭელიძე — ძილერი თუ პროკურატურის მსხვერპლი?

2002 წლის 25 სექტემბერს სამართალდამცავებმა, „ეი-ი-ეს თელასის“ ფინანსური მენეჯერის, 29 წლის ნიკა ლომინაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს. ეჭვმიტანილად გამოძიებაში 28 წლის ქუთაისელი დავით ჭელიძე გამოაცხადა. როგორც გაირკვა, ჭელიძე თბილისში, საირმის ქუჩაზე დროებით, ქირით ცხოვრობდა და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის დაცვის დეპარტამენტში მსახურობდა. შესაბამისად, სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად მას ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდა გადაცემული. ქალაქის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის, გიორგი ყაჯარაშვილის თქმით, ჭელიძის დაკავების საფუძველი სწორედ ეს იარაღი გახდა: სამართალდამცავთა ინფორმაციით, სათანადო ექსპერტიზის ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ ნიკა ლომინაძეს სწორედ ჭელიძის კუთვნილი იარაღიდან ესროლეს ტყვია.

როგორც ცნობილია, ნიკა ლომინაძე 2002 წლის 14 აგვისტოს, დილის ოთხის ნახევარზე, ბასტრიონის ქუჩაზე, თავისი ბინაში მოკლული იპოვეს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა გარდაცვლილის სხეულზე ერთადერთი ჭრილობა დააფიქსირეს. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ტყვია ნიკა ლომინაძეს თავში ჰქონდა მოხვედრილი (ვრცლად ამის შესახებ „გზის“ №34-ში მოგიტოვრობდით).

„ტყვიების შესახებ მიღებული ცნობის საფუძველზე, დავით ჭელიძეს პირდაპირ სამსახურში დაუკავშირდით და იგი პოლიციის მეშვეობით სამართალში მოვიყვანეთ. თავად ეჭვმიტანილი მკვლელობას უარყოფს, მაგრამ გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ის სწორედ იმ ავტოსადგომს მეთვალყურეობდა თავისი იარაღით, სადაც ლომინაძეს ბოლოს მანქანა ჰყავდა გაჩერებული“, — აცხადებს ყაჯარაშვილი.

ზურაბ ტაბიძე, დავით ჭელიძის ინტერესების დამცველი ადვოკატი:

„ეს არ განლაგეთ საფუძველი და რეალური მტკიცებულება იმისა, რომ ჭელიძე ამ მკვლელობაში დადანაშაულონ. ის არ ცნობს თავს დანაშაუდ და არც არის დანაშაუდ. აწ გარდაცვლილ ნიკა ლომინაძესთან მას არანაირი ნაცნობობა არ აკავშირებდა, არც არასოდეს დაინტერესებულა ამ პიროვნებით. მართალია, მის საწინააღმდეგოდ პროკურატურა ტყვიაზე მიუთითებს, მაგრამ ცხადია, რომ

ტყვიის გულის იდენტიფიცირება გაყალბების შედეგია. ამას საგამოძიებო მოქმედებისას დაშვებული არაერთი დარღვევა მოწმობს. ჯერ ერთი, ტყვიის აბოლუბის ოქმი შედგენილი არ არის, ტყვიის გულა და მსრები კი დალუქული არ განლაგეთ. გარდა ამისა, ჭელიძის დანაშაულის მოწმე არ არსებობს. პირიქით, მას თავად ჰყავს მოწმე იმისა, რომ მკვლელობის სავარაუდო დღეებში — 12 სექტემბერს მთელი დღე შინ იყო, 13 სექტემბერს კი, სამსახურში თავის პოსტს არ გასცილებია“.

ადვოკატს მიაჩნია, რომ დავით ჭელიძე დანაშაუდ კი არა — პროკურატურის მსხვერპლია. თავად დაზარალებულები — მოკლული ნიკა ლომინაძის ოჯახის წევრები კი, დაკავებულ ეჭვმიტანილთან დაკავშირებით გამოკვეთილ პოზიციას ჯერჯერობით ვერ აფიქსირებენ.

ზურაბ კიკალიშვილი, მოკლულის, ნიკა ლომინაძის სიძე:

„ჩვენთვის ამ ეტაპზე ძნელია იმის

ზურაბ კიკალიშვილი



თქმა, რომ სწორედ ჭელიძეა მკვლელი, ან პირიქით — ის სრულიად უდანაშაულოა. ფაქტია, რომ გასროლილი ტყვიის გულა მის იარაღს დაემთხვა, ეს ბევრს ნიშნავს, მაგრამ საბოლოო აზრი ამასთან დაკავშირებით სხვა ექსპერტიზის დასკვნების შემდეგ შეგვექმნება. ქიმიური ექსპერტიზის პასუხებს ამერიკიდან ველით, დასკვნებს დაახლოებით ერთ თვეში მივიღებთ. ჯერჯერობით, ჭელიძეს ხელს ვერ დავადებთ. მაგრამ თუნდაც, ის რომ იყოს მკვლელი, უდავოა — მარცვისა და ქურდობის მიზნით ამ დანაშაულს არ ჩაიდენდა. თუ მისი დანაშაული დადასტურდა, ცხადი იქნება, რომ ის, ვიდაც დაინტერესებულმა პირმა (ან პირებმა) დაიქირავა და ნიკას მკვლელობა შეუკვეთა, ანუ — ძილერია. ჭელიძე რომ ნიკას არ იცნობდა და პირადად არ იყო დაინტერესებული მისით, ეჭვი არ გვეპარება. ჩემი აზრით, არ შეიძლება, მათ რაიმე ნაცნობობა ჰქონოდათ ერთმანეთთან, რადგან ნიკა იმ ავტოსადგომზე, რომელსაც ჭელიძე მეთვალყურეობდა, მანქანას იშვიათად აყენებდა. ნიკა სხვაგან — თავისი ცოლის ბინაში ცხოვრობდა, მშობლების სახლში კი (აღნიშნულ ავტოსადგომთან ახლოს) ხანდახან მიდიოდა, ისიც — გვიანობით; მანქანას დააყენებდა, დარაჯს ფულს გადაუხდიდა და სახლში ადიოდა. დაცვის თანამშრომლებთან მას ნაცნობობა არ ექნებოდა“.



უზენაესი სასამართლო „კანონიერ ქურდებს“ ასამართლებს

უზენაეს სასამართლოში ექვს პატიმარს – ზვიად პაპიაშვილს, ალექსანდრე ქურასბელიანს, გურამ სვანაძეს, გოდერძი კიკნაძეს, მერაბ გულიაშვილსა და ვი-აჩესლავ კალანდიას ასამართლებენ. პროკურატურის ინფორმაციით, ისინი განსაკუთრებით საშიში დამნაშავენი არიან. ამ ცნობას ხსენებულ პატიმართა ინტერვიუების დამცველი ადვოკატები უარყოფენ, თუმცა, ის ფაქტი, რომ განსასჯელთაგან სამი – ზვიად პაპიაშვილი, ალექსანდრე ქურასბელიანი და გურამ სვანაძე ე.წ. კანონიერი ქურდები არიან, დადასტურებულია. ხოლო რაც შეეხება დანარჩენებს – გოდერძი კიკნაძეს, მერაბ გულიაშვილსა და ვიჩესლავ კალანდიას – დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ ჩადენილი მკვლელობებისთვის მათ უკვე მისჯილი აქვთ სამუდამო პატიმრობა უზენაესი სასამართლოს მიერ. ამჟამად პროკურატურა განსასჯელებს №5 საპყრობილის ერთ-ერთი პატიმრის – თამაზ დიასამიძის სადისტურ და სასტიკ მკვლელობაში ადანაშაულებს. გარდა ამისა, მათ პოლიციის მუშაკისთვის გაწეული წინააღმდეგობის გაწევაში, ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონოდ შექმნაში, წინასწარი პატიმრობის დაწესებულების თანამშრომლის მიმართ გამოყენებულ ძალადობასა და მისთვის სხეულის განზრახ დაზიანებაში ედებათ ბრალი. ზვიად პაპიაშვილს პროკურატურა აღნიშნულ ბრალდებებთან ერთად ავჭა-

ლის კოლონიიდან გაქცევის მცდელობაშიც ადანაშაულებს. საბრალდებო დასკვნის თანახმად, 2001 წლის 21 აგვისტოს შინაგან საქმეთა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სამმართველოში მივიდა შეტყობინება, რომ რესტორან „ყაზბეგში“ ჩხუბი ატყდა. პოლიციელები მაშინვე იქით გაემართნენ. ერთ-ერთ მათგანს – ავთანდილ მირიანაშვილს ფორმა ეცვა. როგორც თავად ამბობენ, მათ რესტორნის ტერიტორიაზე კანონიერი ქურდი გურამ სვანაძე შენიშნეს. იგი მთვრალი იყო და ხმამაღლა უშვერი სიტყვებით ილაშქროდა და ივინებოდა. მან პოლიციის ფორმაში ჩაცმულ ავთანდილ მირიანაშვილს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მოგვიანებით, როცა ის სამართალდამცავებმა დააკავეს და პი-

რადი ჩხრეკა ჩაუტარეს, ჯიბეში, ოქროსფერ ქალაღში გახვეული 0,08 გრამი პერონინ აღმოუჩინეს.

2001 წლის 15 სექტემბერს, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ის №5 საპყრობილეში შეასახლეს და, როგორც კანონიერი ქურდი, №2 სარეჟიმო კორპუსში, ახალ, №49 საკანში მოათავსეს. აღნიშნულ კორპუსში ის „ქურდული გაგების“ სხვა პატიმრებს – კიკნაძეს, კალანდიასა და გულიაშვილს, ასევე კანონიერ ქურდებს – პაპიაშვილსა და ქურასბელიანს დაუკავშირდა. არსებული უთანხმოების გამო, წინასწარი შეთანხმებით, მათ ერთ-ერთი პატიმრის – თემურ დიასამიძის მოკვლა განიზრახეს. დასახულის განსახორციელებლად, კუსტარული წესით დამზადებული ორი ხანჯალი, ხუთი დანა და ძალაყინი იშოვეს და ერთ დღეს, როცა სხვა პატიმრებთან ერთად მათაც ციხის ეზოში ასეირნებდნენ, იმ კორპუსში შეღწევა მოახერხეს, სადაც დიასამიძე ცხოვრობდა. კორპუსში შესვლისას თავს დაესხნენ კონტროლიორს, ხოლო კორპუსის უფროსი დანით დაჭრეს. ამის შემდეგ, სვანაძემ და ქურასბელიანმა ძალაყინით გატეხეს №40 საკანი, იქიდან თემურ დიასამიძე გამოიყვანეს და ყველამ ერთად ცემა დაუწყეს. მას ცემა არ აკმარეს და დანებითა და ხანჯლებით, სხეულზე მრავალი ჭრილობა მი-

აყენეს, ბოლოს კი, ყელიც გამოსჭრეს. დიასამიძე მაშინვე გარდაიცვალა. ექსპერტების თქმით, მას სხეულზე 43 ჭრილობა ჰქონდა, აქედან ხუთი – პირდაპირ გულში. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაზიანებები სიკვდილის დადგომამდე, სწრაფი თანამიმდევრობით გახლდათ მიყენებული. დანაშაულის ჩადენის შემდეგ, პაპიაშვილი, სვანაძე, ქურასბელიანი, კიკნაძე, გულიაშვილი და კალანდია სხვადასხვა საკანში განთავსდნენ.

ამ დანაშაულის გარდა, პროკურატურა ზვიად პაპიაშვილს ავჭალის კოლონიიდან გაქცევის მცდელობასა და ამ მიზნისთვის 13-მეტრიანი გვირაბის გათხრაში ადანაშაულებს. სამართალდამცავთა თქმით, მაშინ, როცა პაპიაშვილი ადრე ჩადენილი დანაშაულისთვის ავჭალის მკაცრი რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულებაში იხდიდა სასჯელს, სხვა პატიმრებთან ერთად სამი დღის განმავლობაში, ე.წ. პაემნის ოთახიდან თხრიდა გვირაბს. მათ 13 მეტრის სიგრძის, 1,20 სმ სიმაღლისა და 90 სმ სიგანის გვირაბი გათხარეს. მიუხედავად ამისა, გაქცევა მაინც ვერ მოახერხეს, რადგან გვირაბის გათხრის დასრულებიდან მეროდღეს, ბლოკის შემოწმებისას იგი მორიგე ჯგუფმა აღმოაჩინა.

პროკურატურის მიერ წარდგენილ ბრალდებებში პაპიაშვილმა, ქურასბელიანმა და სვანაძემ თავი დამნაშავედ არ ცნეს და დანაშაულებში მონაწილეობა კატეგორიულად უარყვეს. სამაგიეროდ, ბრალდებები სავსებით დადასტურეს უკვე სამუდამო პატიმრობამისჯილებმა – კიკნაძემ, კალანდიამ და გულიაშვილმა. ამ განსასჯელებმა სასამართლოს განუცხადეს, რომ ყველა დანაშაული, მათ შორის დიასამიძის მკვლელობაც, მათ მიერაა ჩადენილი.



პატივსაცემი 4 გრამ პერიონსა და „სამსუნგის“ გელევიზორს ითხოვდნენ, თუმცა, პროკურატურამ ისინი არ დაადასტურა

თბილისის პროკურატურამ №5 საპრობილის პატიმრების – სერგო დრობიშვილისა და გალაქტიონ ბურჭულაძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტა. სამართალდამცავები მათ, ციხის ერთ-ერთ საკანში მომხდარი ინციდენტისას ჩადენილ ხულიგნობასა და ადამიანის სხეულის განზრახ მსუბუქ დაზიანებაში ადანაშაულებდნენ.

მომხდარის გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრისას გავრცელებული ინფორმაციით, 2002 წლის 13 მარტს №5 საპრობილის №104-ა საკანში პატიმრები – გენადი გოგლიჩიძე, გალაქტიონ ბურჭულაძე და სერგო დრობიშვილი იმყოფებოდნენ. დრობიშვილი და გოგლიჩიძე – ყაჩაღობისათვის, ხოლო ბურჭულაძე – მასობრივი არეულობის მოწყობისთვის იყვნენ დაპატიმრებულნი. აღნიშნულ დღეს, წინასწარი შეთანხმებითა და ციხის თანამშრომელთა უწყურადღებობის შედეგად, №95-ე საკანიდან ერთ-ერთი პატიმრის – ბესიკ ნახუცრიშვილის თავიანთ საკანში გადაყვანა მოახერხეს. საქმის მასალების მიხედვით, მათ ნახუცრიშვილისგან ფულისა და ნარკოტიკების გამოძალვა უნდოდათ. პატიმრები მას ცემით დაემუქრნენ, თუ ის სასწრაფოდ თავის ახლობლებს არ დაუკავშირდებოდა და მათ ციხეში 4 გრამ ნარკოტიკულ ნივთიერებას – პერიონს არ შეაგზავნიდნენ.

ნახუცრიშვილმა ამაზე უარი განაცხადა. გაბრაზებულმა ბურჭულაძემ, დრობიშვილმა და გოგლიჩიძემ იქვე, საკანში ნაპოვნი ხის ნაჭრითა და ხელ-ფეხით დაუწყეს მას ცემა. ისინი ნახუცრიშვილს დაახლოებით ხუთი წუთის განმავლობაში სცემდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, საშინლად ნაცემი პატიმარი აიძულეს, დისთვის დაერეკა და მისთვის საპრობილეში „სამსუნგის“ ფირმის ტელევიზორის შეგზავნა მოეთხოვა. ამ მოთხოვნის შემდეგ, ბურჭულაძემ, დრობიშვილმა და გოგლიჩიძემ ნახუცრიშვილთან ზარის თამაში მოისურვეს. იგი კვლავ ცემის მუქარით აიძულეს ეთამაშა, თამაშის ბოლოს კი უთხრეს, რომ 1.000 ამერიკული დოლარი წააგო. თანხის ჩაბარების დღედ, 2002 წლის 1 მარტი დაუნიშნეს.

ყოველივე ამის გამო, 2002 წლის 17 აპრილს, დრობიშვილის, გოგლიჩიძისა და ბურჭულაძის მიმართ სისხ-

ლის სამართლის საქმე აღიძრა. საქმის აღძვრას, ფაქტობრივად, მხოლოდ ნახუცრიშვილის ჩვენებები და მის სხეულზე დაფიქსირებული დაზიანებები დაედო საფუძვლად. საქმის ვითარება სამართალდამცავებს მან სწორედ ისე გააცნო, როგორც ზემოთ აღვწერეთ. იგივე გაიმეორა გოგლიჩიძესა და ბურჭულაძესთან დაპირისპირების დროსაც. მაგრამ როცა ის დრობიშვილს შეახვედრეს, ჩვენება რადიკალურად შეცვალა და განაცხადა:

„ჩემგან ფული არ გამოუძალავთ; გოგლიჩიძე, როცა მას ნებაყოფლობით, ზარს ვეთამაშებოდი, დრობიშვილთან ადრე წაგებული ფულის გადახდას მთხოვდა. ამის უფლება მას თავად დრობიშვილმა დაუთმო. გოგლიჩიძეს ჩემგან ნარკოტიკი და ტელევიზორი არ მოუთხოვია. პირიქით, ფულის უქონლობის გამო, მე თავად შევთავაზე მას ეს ნივთები. მაინც ვერ მოვრიგდით და გოგლიჩიძემ ცემა დამიწყო. ცემაში არც დრობიშვილს და არც ბურჭულაძეს მონაწილეობა არ მიუღიათ“.

ნახუცრიშვილის ეს ჩვენება დრობიშვილმა, ბურჭულაძემ და გოგლიჩიძემაც დაადასტურეს. ამ უკანასკნელმა დაზარალებულის მიმართ მუქარასა და ძალადობაში თავი სრულად ცნო დამნაშავედ, არაოფიციალური ინფორმაციით კი, მთელი დანაშაული, უბრალოდ, საკუთარ თავზე აიღო. პროკურატურამ მიიჩნია, რომ ასეთ ვითარებაში, დრობიშვილისა და ბურჭულაძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელება შეუძლებელი იყო.



ჩისტორან „ედიმის ბაღთან“ ჩადენილი მკვლელთაგან 23 წლის ასაკის მამაკაცი დასამართლებად

მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში 23 წლის გოგა (გრიგოლ) რურუას დასამართლებენ. პროკურატურა მას, ძლიერი სული-

ერი აღლევის ნიდაგზე ჩადენილ მკვლელობაში ადანაშაულებს, თუმცა თავდაპირველად, საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა.

როგორც დღეს სამართალდამცავები აღნიშნავენ, საქმის მასალებში განზრახ მკვლელობის შესაბამისი მტკიცებულებების არარსებობის გამო,

მუხლი პროკურატურაშივე გადაკვალიფიცირდა. აღსანიშნავია, რომ მკვლელობა გოგა რურუამ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით ჩაიდინა. ტყვიამ თბილისელი დათო ხიდაშელი იმსხვერპლა. პროკურატურა რურუას ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვაშიც სდებს ბრალს.

დანაშაული 2000 წლის 28 მაისს მოხდა. საქმის მასალების მიხედვით, აწ გარდაცვლილი დათო ხიდაშელი, თავის მეგობრებთან ერთად, თბილისში, სანაპიროზე მდებარე რესტორან „ედემის ბაღში“ ქეიფობდა. აღნიშნული რესტორანი უკანა მხრიდან გოგა რურუას საცხოვრებელი სახლის ეზოს ესაზღვრება. იქვე, ეზოსთან, ხის გადაჭრილი მორიაა, რომელზეც რურუა და უბნის სხვა ბიჭები ხშირად სხდებოდნენ ხოლმე და კარტს თამაშობდნენ. გამოძიების ინფორმაციით, ხიდაშელსა და მის მეგობრებთან, რურუას არანაირი ნაცნობობა

არ აკავშირებდა.

2000 წლის 28 მაისს, გოგა რურუა თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოში ავტომატურად რეცხავდა. ამასობაში, რესტორანში ჩხუბი ატყდა. სამართალდამცავთა თქმით, ხიდაშელსა და რესტორანში მყოფ სხვა პირებს ერთმანეთთან უთანხმოება მოუვიდათ. რესტორნის ეზოში ხმაური და ჩოჩოლი რომ დაინახა, რურუას ბავშვობის მეგობარი და მის მეზობლად მცხოვრები ვინმე ალეკო გუგეშაშვილი იქითკენ გაემართა. „... ვნახე, რომ ჩოჩოლი იყო, ვიფიქრე, ჩემი უბნელი ბიჭები ხომ არ ჩხუბობენ-მეთქი და მეც იქით წავედი. მოჩხუბრებს რომ მივუახლოვდი, უცებ ჩემკენ ვიდაც უცნობი ტიპი გამოეჩანა და დანა დამარტყა“, – ამბობს გუგეშაშვილი.

რესტორნის ეზოდან გამოსული დაჭრილი გუგეშაშვილი, გოგა რურუამ შენიშნა. როცა გაარკვია, რომ ის უცნობმა დაჭრა, გაბრაზებულმა, შინიდან ავტომატი გამოიტანა და

ამ უკანასკნელის მისამართით ისროლა. პროკურატურის ინფორმაციით, ის, ვინც გუგეშაშვილი დაჭრა, სწორედ დათო ხიდაშელი გახლდათ.

ამჟამად მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის სასამართლო გამოძიება მიმდინარეობს. დაზარალებულის მხარე არ იზიარებს იმ აზრს, რომ რურუამ მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში ჩაიდინა და მას განზრახ მკვლელობაში ადანაშაულებს. განსასჯელის მხარე ამის საწინააღმდეგოდ ექსპერტიზის დაკენას იშველიებს, რომლის მიხედვითაც, დანაშაულის ჩადენის მომენტში, რურუა ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში იმყოფებოდა. თუმცა, იმის კომენტირებისგან, თუ საიდან და რატომ ჰქონდა რურუას უკანონოდ შენახული ავტომატი, განსასჯელის ინტერესების დამცველი ადვოკატი თავს იკავებს.



მარტა მუხრანსკით

დანიელმა მძარცველებმა საიუველირო მაღაზიის – Lykke's Gold-ის ვიტრინის მიწაში პატარა ნასვრეტი ამოჭრეს (ამ დროს მაღაზიის სიგნალიზაცია არ ჩაირთო) და ჩვეულებრივი მტკვერსასრუტის მეშვეობით ვიტრინა მოასუფთავეს. ძარცვისას წაღებული სამკაულების ღირებულების საერთო თანხამ 12.820 ამერიკული დოლარი შეადგინა.



მეორე დილას, სამუშაოზე მისულმა გამყიდველებმა მაღაზიის ვიტრინასთან ბოროტმოქმედების მიერ დატოვებული ძარცვისას გამოყენებული იარაღი და დამაგრებელი აღმოაჩინეს, რომლის საშუალებითაც მძარცველებს ახლომდებარე მშენებლობიდან ღვინო გადმოეყვანათ.

„მიუხედავად იმისა, რომ ასეთი საშინელი ფაქტი მოხდა, ძარცვის მიზნით ჩვეულებრივი მტკვერსასრუტის გამოყენებამ, ცოტა არ იყოს, გაგვაშინარულა,“ – განაცხადა მაღაზიის მეპატრონემ, კირსტენ ლიკე სელინგმა.

სელინგის თქმით, წაღებულია შედარებით მცირე ზომის სამკაულები: ბეჭდები, საყურეები, კულონები – ერთი სიტყვით ის, რაც მტკვერსასრუტის მიღში გაეჭია.

ბელმონცალება შარიათის სამყაროშიც არსებობს

პაკისტანის პროვინცია ბელუჯისტანის ქალაქ კვეტაში მოკლულის მამამ, ჩამოხრჩობამდე 15 წუთით ადრე, აპატია დამნაშავეს 10 წლის შვილის მკვლელობა და ამით სიკვდილმისჯილს სიცოცხლე და თავისუფლება არუქა.



3 წლის წინ მუჰამედ აშრაფმა, გამოსასყიდის მიზნით ჯერ მოიტაცა, შემდეგ კი მოკლა 10 წლის ბავშვი. განსაკუთრებულმა ანტიტერორისტულმა სასამართლომ დამნაშავეს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. თუმცა, ადვოკატების აპელაციის შემდეგ განსასჯელს მუდმივი პატიმრობით შეუცვალეს სასჯელი, რაც პაკისტანის კანონებით 25 წელს ითვალისწინებს.

ბავშვის მამამ გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება და პირველი განაჩენის აღდგენას მიაღწია. და აი, როდესაც საპატიმროს ეზოში აღმართული სახრჩობელის წინ მღვარი დამნაშავე ალბათ თავის ბოლო ლოცვას კითხულობდა, მოკლული ბიჭის მამამ შეუნდო მკვლელს ეს საშინელი დანაშაული. ახლა დამნაშავეს გაათავისუფლებენ ციხიდან, თუმცა, მას ბელუჯისტანის პროვინციაში გამოჩენა აეკრძალა. შარიათის კანონებით, თუ დაზარალებულის ნათესავები მკვლელს დანაშაულს აპატიებენ, მაშინ დამნაშავეს ბრალდება მოეხსნება.



როგორ მარჯობს ის უნდაა 250 რთხილთ რაჯანიმას ქაქიქაქი

„მშვენიერი ლედი“ — ია ფარულაფა სულ რამდენიმე თვეა, რაც თბილისის ქუჩებში ნაჩუქარი ვერცხლისფერი „მერსედესით“ დაქრის. მგ ზაფრობის დროს თითქმის ყოველთვის უსმენს მუსიკას. არ უყვარს მანქანის მოვლა და ინტერიერის ნაირ-ნაირი სამშვენივით გაფორმება. სამაგიეროდ, უყვარს სისწრაფე და ქართველი პოლიციელები, რადგან ისინი არანაირ პრობლემას არ უქმნიან. აი, ამერიკაში კი, თურმე იქაური პოლიციელები სშირად გაანაწყენებდნენ ხოლმე, მაგრამ ია თავისი განუმეორებელი ლიმილისა და სიბლის წყალობით, მაინც ახერხებდა მათგან თავის დაღწევას...

ნიკო ჯაპახიშვილი

— ია, როგორც კი ხელშეკრულებს გააფორმე „მედიპოლიდინთან“, ამ ხელშეკრულების შესაბამისად, „მერსედესი“ გაჩუქეს. ეს შენთვის მოულოდნელი აღმოჩნდა?

— ვიდრე ხელშეკრულებას მოვაწერი ხელს, მითხრეს, რომ ჩემთვის რაღაც სიურპრიზი ჰქონდათ მომზადებული. ეს სიურპრიზი ავტომანქანა აღმოჩნდა, რამაც ძალიან გამახარა. მანქანა იდგა ოფისის წინ, გასაღები კი „მედიპოლიდინის“ წარმომადგენლებმა გადმომცეს. სხვათა შორის, ამ ამბავმა გამოიცა კიდევ დასავლეთის ქვეყნებში კომპანიისგან ამგვარი ფესტი მოულოდნელი არ იქნებოდა, რადგან იქ ასე ზრუნავენ თავიანთ კლიენტებზე — ანუ ვარსკვლავებზე. აი, საქართველოში თუ ასეთი ძლიერი კომპანია შეიქმნე-

ბოდა და ასეთი რამ მოხდებოდა, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი.

— როგორ მოერგე ახალ მანქანას?

— მშვენივრად! საერთოდ, „მერსედესს“ მანქანების მეფედ მივიჩნევ, თუმცა ჯიპებიც ძალიან მომწონს.

— ია, ადრეც ხომ არ უჩუქებია ვინმეს შენთვის ავტომანქანა?

— არა, ეს პირველი შემთხვევა იყო. ამერიკაში რომ ჩავდი, საკუთარი ფულით ვიყიდე „ბე-ემ-ვე“, მერე ძველი მანქანა მყავდა — „მიცუბიში“; „მიცუბიშის“ შემდეგ კი ძალიან მაგარი, „მაფიოზური“ „კადილაკი“ მყავდა, რომელიც ზანგმა, ე.წ. ძველმა ბიჭმა იყიდა. „პიუნდაიც“ მყავდა, „ნისანიც“. მო-

ლედ, ბევრი მანქანა გამოვიცვალე.

— პირველად როდის გაბედე საქვსთან დაჯდომა?

— „მერსედესი“ რომ მაჩუქეს, პირველი კვირა ძალიან გამიჭირდა თბილისში მანქანის მართვა. ამერიკაში შიშის გრძნობა არ მქონდა. აქ კი ძალიან მეშინოდა, რადგან მოძრაობის წესებს არავინ იცავს. ახლა უკვე მივეჩვიე. სკოლა რომ დავამთავრე, პირველად მაშინ მივუჯექი საჭეს. ავიყვანე პედალი, რომელიც თბილისის ზღვაზე მავარჯიშებდა, მაგრამ სიჩქარეებს ვერაფერი გავუგე. მართვის მოწმობა კი ავიღე, მაგრამ ფაქტობრივად, საჭესთან მაინც ვერ ვვლდებოდი. ამერიკაში „ბე-ემ-ვე“-ზე დავჯექი (ავტომატური მართვის სისტემით იყო), იქამდე კი გამოცდები ვაშინგტონში ჩამაბარებინეს.

— ძნელი გამოცდები იყო? ხომ არ გაგიჭირდა?

— სხვათა შორის, იქ გამოცდები ძალიან მკაცრად ტარდება. რა თქმა უნდა, არანაირი „ჩაწყობა“ არ ჭრის. ყველაფერი გულდასმით უნდა ისწავლო და მერე წერითი გამოცდა ჩააბარო. გციან ტესტებით, რომელშიც ისეთი რთული კითხვები შედის, რომ შეიძლება, გამოცდილი მძღოლიც კი დაიბნეს. მაგალითად, ასეთი კითხვაა: მიდიხარ ტრასაზე, ღამეა და გეძინება; მოცემული სამი ვარიანტიდან რომელს აირჩევ? პირველი — გზიდან გადააყენებ მანქანას და დაიბნებ; მეორე — მუსიკას აუწევ, რომ არ ჩაგეძინოს და



რადას ვიზამდი? მკრეხელობა ჩავიდინე და გყუილმე დავიფიცე...

მესამე – ჩამოსწევ მინას. აბა, როგორ ფიქრობ, ასეთ სიტუაციაში მძღოლი როგორ უნდა მოიქცეს?

— **ალბათ სჯობს, ასეთ დროს მანქანა გზიდან გადააყენო და გამოიძინო...**

— არა! ალბათ ბევრი ასე იფიქრებს, მაგრამ სჯობს, მინა ჩამოსწიო და გზა გააგრძელო. მინას რომ ჩამოსწევ, გრილი ჰაერი შემოვა და გამოფხიზლდები... ამ ტესტების შემდეგ ჩავაბარე ყველაზე რთული გამოცდაც. არ მქონდა ერთი შეცდომის დაშვების უფლებაც კი – როდესაც მანქანას ადგილიდან ძრავ, ჯერ უნდა ჩართო „მიგალკა“, უნდა გაიხედო მარჯვნივ, მერე – მარცხნივ და ა.შ. რთულია მანქანის ვიწრო ადგილას დაყენება უკუსვლით, რაც ქალებს საერთოდ ძალიან უჭირთ, განსაკუთრებით – თბილისელებს. ამერიკაში ძალიან ძნელია თავისუფალი ადგილის პოვნა მანქანის დასაყენებლად და ამიტომ უნდა დაოსტატდე, რომ ორ მანქანას შორის, როგორმე შენი მანქანა სადღაც შეჭუჭყნო უკუსვლით. ამიტომაც ამერიკის წყალობით, ამაში მაგრად „დავმხეციდი“ და ერთი ცდით ვახერხებ მანქანისთვის ადგილის მიჩენას.

— **გამოდის, რომ ამერიკაში პროფესიონალ მძღოლად ჩამოყალიბდი, არა?**

— პროფესიონალი არა, მაგრამ გამოცდილი მძღოლი კი ვარ. უკვე 11 წელია, რაც საჭესთან ვზივარ, თუმცა ეს პროცესი მაინცდამაინც არ მიყვარს. საჭესთან ძალიან მობილიზებული და ფრთხილი ვარ. ეს კი ძალიან მძლის ხოლმე. ამიტომ თითქმის ყოველთვის, როდესაც შორს მივდივარ, ვინმეს ვთხოვ, რომ თვითონ მართოს მანქანა. მანქანაზე ვევიდები, ან ბავშვობის ოცნება იყო, ავტომობილი მყოლოდა-მეთქი, – ვერ ვიტყვი; ეს უბრალოდ, ყოველდღიური აუცილებლობაა, უამრავი საქმის მოგვარებაში მეხმარება.

— **წესიერი მძღოლი ხარ?**

— ზრდილობიანი მძღოლი ვარ. ფეხით მოსიარულეებს ყოველთვის ვუთმობ გზას და ჩემს მძღოლსაც ვთხოვ, რომ თვითონაც ასე მოიქცეს ხოლმე. თბილისში ასე იშვიათად თუ იქცევა ვინმე. ამიტომაც ფეხით მოსიარულეებს უკვირთ ჩემი ზრდილობიანი ჟესტი, ისინი, თავის მხრივ, მე მითმობენ ხოლმე გზას და მანიშნებენ: არა, ჯერ თქვენ მიბრძანდითო.

— **პოლიციელებთან ალბათ პრობლემები არ გექმნება...**



კარგი გიპები არიან და ურჩ მძღოლებს ეს დღე რომ გაუხალისონ, გაკვეთილებს მსახიობი აგარებს

— რა თქმა უნდა, არა! პირიქით – ძალიან მეგობრული ურთიერთობა მაქვს მათთან. განსაკუთრებით კი – აჭარის პოლიციელებთან. ერთხელ, ძალიან სწრაფად მიეჭროდი და ჩოლოქთან გაგვანერეს. ვუთხარი, რომ ტელევიზიის გადაღები ჯგუფის წევრები ვიყავით. ავტონისპექტორი ამ ამბით რატომღაც ისე აღფრთოვანდა, რომ მანქანაში ჩავვიჯდა და დანიშნულების ადგილამდე მიგვაცილა, თან ხაჭაპურზეც დაგვაპატიჟა.

— **ეი. პოლიციელები არასდროს გაგიბრაზებია?**

— აქ არა, ამერიკაში – რამდენჯერაც გინდა. ვაშინგტონში გზებზე არის ნიშანი, რომელზეც მანქანა უნდა გააჩერო; უნდა გაიხედო მარჯვნივ, მერე მარცხნივ და მხოლოდ შემდეგ განაგრძო გზა. ჩემს სახლამდე დაახლოებით სამი ასეთი ნიშანი უნდა გამეგლო. ყოველთვის მეზარებოდა გაჩერება. გავიხედ-გამოვიხედავდი და – პოპ! – უცებ გავქრებოდი ხოლმე იმ ადგილიდან. ერთხელაც პოლიციელმა შემნიშნა და საბუთები მომთხოვა. ეს უკვე ცუდის ნიშანი იყო, იმიტომ, რომ ამ დარღვევისთვის ჯარიმა – 250 დოლარი უნდა გადამეხადა და თან სკოლაში უნდა გამეტარებინა ერთი დღე, სადაც მოძრაობის წესებს, იძულებით კიდევ ერთხელ გასწავლიან. ამერიკელები კარგი ტიპები არიან და ურჩ მძღოლებს ეს დღე რომ გაუხალისონ, გაკვეთილებს მსახიობი ატარებს და ამ ყველაფერს იუმორის სახეს აძლევს. ერთი სიტყვით, ერთობი და იცინი, მაგრამ მთელი დღის განმავლობაში იქ ხარ – დაახლოებით 7-8 საათი. შუალედში ჭამის უფლებას გაძლევენ. მოკლედ, პოლიციელმა მითხრა,

რომ მოძრაობის წესები დავარღვეე. მოვიტყუე – ძალიან ავად ვარ, სიცხე მაქვს-მეთქი. თუ ავად ხარ და სიცხე გაქვს, ქუჩაში მანქანით რატომ გამოხვედი? – გაუკვირდა, თან დასძინა – რეცეპტი მაჩვენო. აი, სწორედ რეცეპტი დამრჩა სახლში და იმიტომაც მეჩქარებოდა შინ-მეთქი, – ვუპასუხე. ბოლოს მითხრა: ქრისტიანი თუ ხარ, გულზე ხელი დაიდე და ისე მითხარი, რომ არ იტყუებიო. რაღას ვიზამდი? მკრეხელობა ჩავიძინე და ტყუილზე დავიფიცე... დამიჯერა და გამიშვა... სასაცილო, იცით, რა იყო? ეს ყველაფერი ჩემს მეგობარს მოუყვები და როცა პოლიციელებმა იმავე დარღვევის გამო გააჩერეს, თავის დაძვრენა მანაც ასე სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა – არ დაუჯერეს და მართვის მოწმობა ჩამოართვეს... ერთხელ ძალიან უხეშად დავარღვეე მოძრაობის წესები და ეს პოლიციელმა შენიშნა. გაბრაზებულმა შორიდანვე მუშტები მოვუღერე, მაგრამ ახლოს მოვიდა თუ არა, კრავივით სახე მივიღე და ისე საცოდავად ვუთხარი, – ვაიძე, მაპატიეთ, ბოდიშს ვიხდი-მეთქი, – რომ მართლა შევეცოდე და გამიშვა.

— **ეი. ტყუილებიც გეხერხებათ და გამოუვალი მდგომარეობიდან თავის დაძვრენაც არ გიჭირს, არა?**

— (იცინის) ჰო, როცა იძულებული ვარ, აბა, როგორ მოვიქცე? მაშინ არც სასამართლოში სიარულის თავი მქონდა, არც სკოლაში ყურყუტი მინდოდა და არც 250 დოლარის გადახდა. აქაურ პოლიციელებს კი თვითონ ვეხვეწები ხოლმე: რატომ მიშვებთ? – დამსაჯეთ, მოძრაობის წესები ხომ დავარღვეე-მეთ-

ერთგული პკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გე-
მასსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა
ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი
და არც ამ ტესტის კითხვებზე გავიჭირდ-
ებათ პასუხის გაცემა...

1. ვინ არის მს.ფ-ის — „როცა აყვავდა ნუში“ დამდგმელი რე- ჟისორი?



- ა) ლანა ლოლობერიძე;
- ბ) რეზო ესაძე;
- გ) გიორგი შენგელაია.

2. რომელ მუსიკოსს ანი- ჭაბს შპირატანოვას ძეი ფარესაშვილი?



- ა) მადონას;
- ბ) ემინემს;
- გ) ტანია-მარიას.

3. რომელ საშუაწიში აიგო მსოფლიოში პირველი წყ- ალკვება ნავი?



- ა) მე-17-ში;
- ბ) მე-19-ში;
- გ) მე-20-ში.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ქი... ისინი კი მაინც მიშვებენ. ძალიან
კეთილები არიან, რის გამოც ყველას დიდ
მადლობას ვუხდით. მე კი, ჩემი მხრივ,
ვეცდები, უფრო ფრთხილად ვმართო მან-
ქანა და ფეხით მოსიარულეებს საფრთხე
არ შევეუქმნა.

— ყოფილა შემთხვევა, რომ პოლიციელს ვერ უცვნიხარ?

— ასეც მომხდარა. ზოგჯერ დიდი
ამბით გადმოვხტები ხოლმე მანქანიდან,
პოლიციელები კი ვერ მცნობენ და მეუბ-
ნებიან: აბა, გოგონა, თქვენი საბუთები...
მერე, რა თქმა უნდა, ხვდებიან, ვინც ვარ
და თავაზიანად მექცევიან: „უკაცრავად,
„ქალბატონო ლედი“, მიბრძანდითო, — და
ა.შ.

— ია, იმის მიუხედავად, რომ გამოცდილი და ფრთხილი მძღოლი ხარ, ავარიაში ხომ არასდროს მოყოლილხარ?

— ლოს-ანჯელესში მოგვეყვი საშინელ
ავტოკატასტროფაში, 7 ნაკერი დამადეს
თავზე. საჭესთან ჩემი მეგობარი იჯდა.
ძალიან სწრაფად მიჰყავდა მანქანა.
წითელზე ხელმარჯვნივ გადაუხვია და
მოპირდაპირე მხრიდან მომავალმა მან-
ქანამ ისე დაგვარტყა, რომ კარგა ხანს
გვაბზრიალა. ამერიკაში ასეთ დროს
პოლიცია კი არ მიდის შემთხვევის ადვ-
ილზე, — სახანძრო სამსახური. საკაცზე
დამაწვინეს და საავადმყოფოში გამაქანეს.
ამ ავარიის შემდეგ შიში დამჩემდა, როცა
მანქანა მარჯვნივ უხვევს და ამ
დროს საჭესთან მე არ ვზივარ,
— მგონია, რომ მოპირდაპირე
მხრიდან მომავალი მანქანა აუცი-
ლებლად დაგვეჯახება.

— ეს შიში მარტო მაშინ რატომ გიჩნდება, როცა საჭესთან სხვა ზის?

— იმიტომ, რომ საკუთარი
თავის მჯერა. ხომ ვითხარი, უკვე
გამოცდილი მძღოლი ვარ-მეთ-
ქი. თუმცა, საუბელუროდ, ავარი-
ისგან დაზღვეული არავინ არის.

— ია, პირადი მძღო- ლი რატომ აიყვანე?

— იცი, ის მარტო მძღოლი
კი არა, პირადი დაცვაც არის.
მძღოლი-დაცვა, თუ შეიძლება ასე
ითქვას. ასე მირჩევენია — ნაკ-
ლებად ვიღლები. მთელი დღის
განმავლობაში საჭესთან ჯდომა
მიჭირს.


— მანქანას, უნდა მძღ- ოლის გარდა, სხვა ვინმეს თუ ანდობ, მაგალითად,

მეგობრებს?

— მეგობრებს არა, მხოლოდ ჩემს ძმას,
რომელიც ძალიან კარგად მართავს მან-
ქანას. პრინციპში, არც არავინ მთხოვს,
საკმაოდ ძვირად ღირებულია და რომ
დაიშტერეს, ვიდაც უხერხულად იგრძნობს
თავს.

— სისწრაფე გიყვარს?

— კი, ოღონდ — ტრასაზე. თბილისში
კი ისეთი ტრასები არ არის, როგორც
ამერიკაშია. იქ ზოგიერთ ტრასაზე აუცი-
ლებლად დიდი სისწრაფით უნდა ატარო
მანქანა. ეს ძალიან სასიამოვნო განცდაა.
საერთოდ, იმის მიუხედავად, რომ ამერიკის
ქუჩებში ძალიან გადატვირთული მოძრა-
ობაა, უფრო ადვილია მანქანის მართვა.
მოძრაობის წესებს ყველა იცავს და დარ-
წმუნებული ხარ, რომ უცებ საიდანღაც
ვინმე არ გამოგიხტება და არ დაგვეჯახება.
ამერიკაში მანქანიდან რაიმე რომ გადააგ-
დო, თუნდაც საღებავი რეზინის ქაღალდი,
უნდა გადაიხადო ჯარიმა — 250 დოლარ-
იდან 500-1000 დოლარამდეც კი — გააჩ-
ნია ადგილს — სად მოისვრი ნაგავს. ეს
ჩვევა თბილისშიც გამომეყა — არ არსე-
ბობს, ფანჯრიდან რაიმე მოვისროლო, ყვე-
ლაფერს მანქანაში ვაგროვებ და სანაგვე
ყუთში ვყრი ხოლმე. აი, რა წესიერი მძღო-
ლი ვარ და როგორ ვზრუნავ, რომ ქალაქი
არ დავანაგვიანო. სამწუხაროდ, ასე, ჩემ
გარდა, მგონი, სხვა არავინ იქცევა. არადა,
ძალიან კარგი იქნებოდა...



ზოგჯერ დიდი ამბით
გადმოვხტები ხოლმე
მანქანიდან, პოლიციელე-
ბი კი ვერ მცნობენ და
მეუბნებიან: აბა, გოგონა,
თქვენი საბუთები...

ხათუნა მაღრაძე

– ხშირად, კინოში ვყოფილვარ შეყვარებულთან ერთად და უცებ მიკროფონში გამოუცხადებიათ: ვალერი გელბახიანს გარეთ მამა ელოდება, სასწრაფოდ გამოვიდესო. მთელი ჩემი რომანტიკა უეცრად ქრებოდა და ისეთი დარცხვენილი გამოვდიოდი გარეთ, რომ ერთი კვირა იმ გოგონასკენ ვეღარც კი ვიხედებოდი.

— შეყვარებულს რას ეუბნებოდი?

– რა მექნა? – ბოლიშს ვუხდიდი და გავდიოდი. რომ არ გავსულიყავი, უარესად მომხვდებოდა.

— კი, მაგრამ გოგონას მარტოს ტოვებდით?

– მარტოს რატომ? – დარბაზში ხომ უამრავი ხალხი იყო... ზოგჯერ, ერთი საათის შემდეგ დავბრუნებულვარ: მამაჩემს აგუსსინიდი ხოლმე სიტუაციას, შევეხვეწებოდი, გავეშვი და თუ ნებას არ დამართავდა, გამოვიპარებოდი.

— შემდეგაც ბევრი სასიყვარულო თავგადასავალი გქონდათ?

– სიმართლე გითხრათ, ძირითადად რომანტიკული გატაცებები მქონია. თავბრუდამხვევი სიყვარული კი, არ განმიცდია – ისეთი, კინოში რომ მინახავს და წიგნებში წამიკითხავს. მასხოვს, ერთხელ, მასწავლებელმა მიჩნია, „მანონ ლესკო“ წამეკითხა. ასეთი სიყვარული ხომ სიგიჟეა და რეალურად არ არსებობს...

— მეუღლეს არ ეწყინება, ასე რომ ლაპარაკობთ სიყვარულზე?

– მეუღლე განა არ მიყვარს?! პატივს ვცემ მას და მის ღირსებებსაც ვაფასებ, მაგრამ უკვე 47 წლის ვარ, ამ ხნის მანძილზე ვაკვირდები ოჯახებს, მაგრამ დღემდე ასეთი განცდა ვერავისში დავინახე. გამოდიან პოპულარული წყვილები ტელევიზიით და ჟურნალ-გაზეთებშიც ჰყვებიან, თუ რა დიდი სიყვარული აქვთ ერთმანეთის. მაგრამ ეს ცოლ-ქმარი ცალცალკე რომ მხვდება, ვხედავ, რომ მათი განცხადებები მხოლოდ მკითხველისა და მაყურებლის მოსატყუებლადაა გამიზნული...

— თქვენ თქვით, რომ რომანტიკული ხართ, არადა, ძალიან არარომატიკულ განცხადებებს აკეთებთ.

– ჩვენ დავიბადეთ ისეთ დროს, როცა უამრავი პრობლემა გარშემო, ამიტომ სიყვარული სიამოვნება აღარ არის, დიდი ტვირთი და მოვალეობაა. ცხოვრება იმხელა ლოდებს დაგვაწვობს ხოლმე გულზე, რომ სიყვარული კი არა – საკუთარი თავიც კი გვავიწყდება და თუ ამ პრობლემების ფონზე მაინც გრძნობებით ცხოვრობ, არასერიოზული ადამიანი ხარ. არ

პარლამენტარი ვალერი გელბახიანი ბავშვობაში „დედიკოს ბიჭი“ არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ მშობლების განსაკუთრებული შიში ჰქონდა. დედა მომავალ პარლამენტარს ხშირად ფიზიკურადაც უსწორდებოდა და ნკეპლით გვერდებს უჭრელებოდა, მამა კი განსაკუთრებით მაშინ არცხვენდა, როცა საღამოობით შეყვარებულთან ერთად კლუბში ივჯდა და რომანტიკულობით იწონებდა თავს გულის სწორთან...

ორმოცი ჩაპარდნილი პარლამენტარი

საშველად პოლიტიკურ ოპონენტს მოიხმობს...



ირაკლი გელბახიანი და თეონა ჭიხორია

ვიცი, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ.

— ბატონო ვალერი, პირველი სერიოზული თანხა როდის გაგიჩნდათ?

– მე სკოლაში სწავლის პერიოდიდანვე ვმუშაობდი – ხან მალაროში, ხან – საკონსერვო ქარხანაში, ხანაც – მშენებლობაზე.

— რატომ? მატერიალურად უჭირდა თქვენს ოჯახს?

– არც იმდენად, მაგრამ მამაჩემი დამო-

უკიდებელ ცხოვრებას მჩვენებდა. საკუთარი შრომით აღებულ ფულს ყოველთვის ვუფრთხილდებოდი და კაპიკს კაპიკზე ვადებდი. ფიზიკური შრომა შემდეგაც არ მითაკილია – როცა საკონსტიტუციო სასამართლოში ვმუშაობდი ან თუნდაც, პარლამენტის აპარატში ყოფნის დროს. პარალელურად, ყოველთვის დამატებით შემოსავალზე ვფიქრობდი.

— მაინც რას საქმიანობდით?

– კურტნის მუშა არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ არანაირი სამუშაო არ მითაკილია.

— რესტორანში ხშირად დადის-ართ?

– თუ დამპატიყებენ – კი.

— ე.ი. ფულის გადახდა არ გიყვართ.

– სად არის ფული? მე ფულით განებივრებული არასოდეს ვყოფილვარ. მთავარია, იმდენი მოვახერხო, რომ წყალი არ ჩამოგვივიდეს ბინაში და საყოფაცხოვრებო პრობლემები მოვაგვარო. ჩემი ერთადერთი შემოსავალი დეპუტატის ხელფასია. ბიზნესმენი ძმა რომ არ მეხმარებოდეს, ოჯახის რჩენა გამიჭირდებოდა.

— მაინც რამდენია თქვენი ოჯახის ბიუჯეტი?

– დაახლოებით 500-600 ლოლარი.

— დანაზოგი?

– დანაზოგი, ფაქტობრივად, არ მაქვს. ძნელია ოჯახის წევრების მოთხოვნილებები დააკმაყოფილო და გადასანახადაც დაგრჩეს რამე.

— თქვენს ოჯახზე რას გვეტყვი?



მეუღლე განა არ მიყვარს?! პატივს ვცემ მას და მის ღირსებებსაც ვაფასებ

— სამი ბიჭი მყავს — ირაკლი, ლევანი და გიორგი. გოგოც მინდოდა მყოლოდა, მაგრამ რა ვქნა? — ღმერთმა არ მომცა. მაინც მადლობელი ვარ, რადგან ჯანმრთელები და კარგები არიან. მეუღლე — ლალი ბაკალაშვილი პროფესიით ღიზაინერია, მაგრამ როცა მეორე შვილი გაგვიჩნდა, მუშაობას ვედარ ახერხებდა და თავი დაანება.

— თქვენი უფროსი შვილი დაქორწინებულია, რძალს დეპუტატი მამამთილი არ ანებივრებს?

— თქვენ წარმოიდგინეთ — არა. მე იმას ვწუხვარ, რომ მის ამხანაგებსა და ნათესავებს ჰგონიათ, ჩემს რძალს შეძლებული მამამთილი ჰყავს, მაგრამ ამ დროს, განებივრებას კი არა, მათთვის ელემენტარული პირობების შექმნასაც კი ვერ ვახერხებ. როცა საზღვარგარეთ მივდივარ, სუენერები ჩამომაქვს, ამის მეტს ვერაფერს დავიკვებნი.

— მალე ალბათ შვილიშვილიც გეყოლებათ. თუ ბიჭი გაჩნდა, ბატონი ასლანის სახელს ხომ არ დაარქმევთ?

— ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის — ბავშვის მშობლებმა უნდა აირჩიონ სახელი. მე იმის წინააღმდეგეც კი ვარ, რომ ჩემი სახელი დაარქვან.

— 2005 წელს ასლან აბაშიძე საქართველოს პრეზიდენტი რომ გახდეს, შევარდნაძე კი — აჭარის ავტონომიის მეთაური, სად იქნება თქვენი ადგილი?

— ადვოკატურაში... მე პოლიტიკაში ასლან აბაშიძის მხარდასაჭერად მოვედი და თუ ის საქართველოს პრეზიდენტი გახდება, ჩემს მისიას ამოწურულად ჩავთვლი და ჩემს პროფესიულ საქმიანობას დაუბრუნდები.

— ეი. თქვენი ერთადერთი მიზანი

ასლან აბაშიძის გაპრეზიდენტება?

— მე მასში დავინახე ძალიან ბევრი პრობლემა, რომელიც აღმშენებლობისკენ წაიყვანს ქვეყანას.

— იქნებ შემდეგაც დასჭირდეთ ბატონ ასლანს?

— არა, ჩვენ ძალიან კარგი ახალგაზრდული აქტივი გვყავს, მე რაღაც ეტაპზე უნდა ვიბრძოლო სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის, მერე ჩემი პირადი საქმეების მოსაგვარებლადაც უნდა ვიზრუნო.

პირადი საქმეების მოსაგვარებლადაც უნდა ვიზრუნო.

— არის ასეთი შეგონება: ვინც მეფეთა წყალობას ელოდება, სახლის უკან, დილეგაც უნდა ჰქონდეს აშენებული, რადგან მეფეთა წყალობა ქარის ქროლვას ჰგავსო. თქვენ თუ გაქვთ ყოველი შემთხვევისთვის დილეგეც აშენებული?

— ერთი რამეა: წყალობაზე თუ ხარ დამოკიდებული, ის მართლაც, ქარივით ხან აღმა დაქრის, ხან დაღმა. მწყალობლის თვალთ არც პირველმა პირმა უნდა გიყუროს და არც შენ უნდა უცქერდე იმას, თუ როდის გადმოგივდებენ რაიმეს. თუ ვინმეს საწყალობლად გაიხლი საქმეს, დილეგის კი არა — უარესის ღირსიც ხარ.

— ისეთი დეპუტატები, რომლებიც სხვებთან მუშტი-კრივს არ ერიდებიან, თქვენთან „მოილეკვებენ“ ხოლმე თავს. თქვენი დიდი მუშტების ეშინიათ, თუ რაშია საქმე?

— მე თვითონ არა ვარ გამომწვევი და აგრესიული ბუნების კაცი — მანამდე, სანამ ვინმე არ დამაკარგვინებს წონასწორობას. უმეტეს შემთხვევაში ვცდილობ, სიმშვიდე შევინარჩუნო და ვინმე არ ჩავაყენო ისეთ სიტუაციაში, რომ საპასუხოდ ეს მეთოდი აირჩიოს. ჩემი ხმალი, კამათში ლოგიკის მოშველიებაა, საჯაროდ თუ პირდაპირ ეთერში გამართული დებატების

ლევან და გიორგი გელბახიანები

დროს ვცდილობ, რომ ოპონენტმა ჩემს გამოთქმაზე თავი შეუკავებოდეს არ იგრძნოს. თუმცა, არის ისეთი მომენტები, როცა შენ თვითონ ხარ გამოსული წონასწორობიდან და პირიქით — კოლეგა ცდილობს, კალაპოტში მოგაქციოს.

— ეი. თქვენ გამოორცხავთ, რომ ხელჩართულ ბრძოლაში შეიძლება აღმოჩნდეთ?

— არა, ადამიანი როდის „მექანიზმია“, ამიტომ ძნელია გამოიცნო, კრიტიკულ მომენტში რას მოიმოქმედებს. ისე კი, ასეთი გამოხდომები ახალგაზრდებს უფრო სჩვევიათ.

— თქვენ პარლამენტში მოსვლამდე, პროკურატურაშიც მუშაობდით. ბევრი ადამიანის ცოდვა გადევთ?

— გააჩნია, ვინ რას ეძახის ცოდვას. მე, როცა სამსახურისა და კანონის მოთხოვნას ვასრულებ, ამას დანაშაულად არ ვთვლი. არ მიმაჩნია, რომ კაცის დაპატიმრება, ბრალდება, სასჯელი — ცოდვაა. დამნაშავე უნდა დაისაჯოს. ცოდვაა, როცა ამ მოვალეობას აარიდებ თავს.

— არ გაგჩენიათ ეჭვი, რომ ის ადამიანი, ვის ბედსაც თქვენ წყვეტდით, უდანაშაულო შეიძლება ყოფილიყო?

— ერთხელ მქონდა ასეთი შემთხვევა. იყო ეჭვიმთანილი, არსებობდნენ იმის მოწმეები, რომ მან ჩაიდინა მკვლელობა. ფაქტი ქორწილში მოხდა: ერთი მაგიდიდან მეორეზე ვიდაცამ ბოთლი ისროლა. პიროვნება, რომელსაც ის მოხვდა, რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. ამის შემდეგ, პროკურატურაში მოვიდა პირი, რომელმაც განაცხადა, რომ მკვლელობა მან ჩაიდინა. ადამიანი აღიარებით ჩვენებას იძლეოდა, მაგრამ შინაგანი ხმა მკარნახობდა, რომ უდანაშაულო იყო. მას უმძიმესი ბრალდება ჰქონდა წაყენებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, აღმკვეთი ღონისძიებაც კი არ შევუფარდე, ისე გავუშვი



სასამართლოში. მოგვიანებით მან აღიარა, რომ ბოთლი მან კი არა, მისმა შვილმა ისროლა და შვილისთვის სასჯელის არიდების მიზნით, მამა საკუთარ თავზე იღებდა მკვლელობას.

— პატიმრების მიმართ სიმპათია არასოდეს გაგჩენიათ?

— მე ძირითადად, მკვლელობასა და გაუპატიურების საქმეს ვიძიებდი. ეს ისეთი მძიმე და ამაზრზენი დანაშაულებია, რომ წარმოდგენელია, ამის ჩამდენი ვინმეთი მოიხიბლო. უფრო მეტიც — მათი უმეტესობა, ჩადენილი სისასტიკის გამო, მეზიზღება კიდევ. ერთხელ, ასეთი საქმე მქონდა: დედამ შვილი სასმლის საყიდლად გააგზავნა. არასრულწლოვანი ბავშვი გარკვეული მიზეზების გამო, სახლში ხელცარიელი დაბრუნდა და გაბრაზებულმა დედამ შვილი დანით დაჭრა. არასოდეს გამჩენია სურვილი, პატიმარი მეცემა, ის კი არა და, ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებსაც არ ვაძლევდი უფლებას, რომ ჩემი პატიმრებისათვის ხელი დაეკარებინათ, მაგრამ ამ ქალის საქციელმა ისე შემძრა, ვფიქრე — ნეტავ, მაცემინამეთქი...

— ბატონო ვალერი, წარმოიდგინეთ: ღამით კარზე ზარი დაირეკა. ადებთ და ხედავთ თქვენს პოლიტიკურ ოპონენტს — ვოქვათ, ზურაბ ჟვანიას; შემოდის და ფულს გთხოვთ. პირველად რას გაიფიქრებთ?

— იმას, რომ მიუხედავად ოპონენტობისა, მან გაჭირვების დროს მაინც ჩამთვალა ისეთ ადამიანად, რომელიც შეძლებს გვერდში დაუდგეს და ხელი გაუმართოს. მაგრამ ფული მართლა რომ არ მქონდეს? ჩემი მოწინააღმდეგე ხომ სამკვლრო-სასიცოცხლოდ გადაამეიდება... არა, თუ მართლა ოპონენტი მოვივა, სჯობს, ვალი აიღო და მისცე, ვიდრე უარით გაისტუმრო...

— გულში არ გაგჩნდებათ, რომ თქვენთან სათხოვნელად მოვიდა?

— არა, რას ამბობთ? ფულის გასესხება ვის უხარია?!

— ისეთი ტონით თქვით, ალბათ სასესხებლად ხშირად გაკითხავენ...

— იმდენი ხალხი მოდის, ზოგჯერ საკუთარ თავს ვეკითხები — თუ ამდენი ფული გაქვს, რა გინდა პარლამენტში? წადი და რაიმე ბიზნესი წამოიწყე-მეთქი.

— ხელს არ უმართავთ გაჭირვებულებს?

— როცა ხელფასი ახალი ადებული მაქვს, პარლამენტის გარეთ არიან ადამიანები, რომლებსაც ფულს ვაძლევ, მართალია, ბევრს არა — ასე, 4 ან 5 ლარს. ეს იმ კატეგორიის ხალხია, რომელსაც სახელმწიფოს უსუსურობამ თავმოყვარება

დააკარგვინა და გაამათხოვრა.

— ზოგჯერ არ გიფიქრიათ, რომ პოლიტიკოსობა მეტისმეტად დამღელი და გამაღიზიანებელი საქმიანობაა?

— პოლიტიკაში მყოფი ადამიანებისათვის მოქმედების ეს სფერო ადვილიცაა და ძნელიც. პიროვნებას, რომელიც ამ კულუარებში ნელ-ნელა შეიჭვითავს და შეაღწევს, ხვდება უამრავი ბარიერი, რომლის გადალახვაც ურთულეს პროცესს წარმოადგენს. თუმცა, რამდენად დამღელიცაა პოლიტიკური მოღვაწეობა, იმდენადვე საინტერესოა, უფრო მეტიც — ინტერესი იმდენად დიდია, რომ ნებისმიერ ადამიანს ავადმყოფობადაც კი შეიძლება ექცეს ამ სფეროში მოღვაწეობა. პოლიტიკას აქვს მკაცრი მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც, ახლობელი, თანაგუნდელი და ოჯახის წევრიც კი შეიძლება გაანაწყენო — იმ შემთხვევაში, თუ შენ მათ ინტერესს ვერ იცავ ან ისეთ უწყებაში მუშაობ, სადაც მათი საქმიანობის კრიტიკა გიწევს. მე ვფიქრობ, ახლობლები უნდა შეეცადონ აზრს, რომ ჩემს ნათესავად ყოფნა მათ არანაირ უპირატესობას არ ანიჭებს.

— გინდათ თქვათ, რომ თქვენს ახლობლებს საქმეებს არ „უწყობთ“ ხოლმე?

— ჩემს ნათესავებს ჰგონიათ — რადგან პარლამენტის წევრი ვარ და ასეა თუ ისე, გარკვეული ავტორიტეტითაც ვსარგებლობ, ყოველთვის შეიძლება ამის გამოყენება მათი ინტერესების დასაცავად. არავის სჯერა, რომ ოპოზიციონერის პოზაში მყოფი თქვენი მონა-მირი ჩილი ვერ იქნება მათი სამსახურის გარანტი. მე მაღიან მიჭირს — ვთხოვო ადამიანს და მან ეს თხოვნა არ შემისრულოს, — ამიტომ, იშვიათად თუ შემიწუხებია ვინმე.

— წარმოიდგინეთ: ღრმა ორმოში ჩავარდით, საიდანაც სხვის დაუხმარებლად ამოსვლის არანაირი შანსი არ გაქვთ, ორმოს თავზე კი თქვენი მონაწილეობა გამოჩნდა. სთხოვთ თუ არა დახმარებას?

— თუ ორმოზე პოლიტიკური გაგებით მეკითხებით, ვიტყვი, რომ პოლიტიკა არის ინტერესთა თანხვედრასთან ასოცირებული ცნება. თუ ინტერესები ემთხვევა, მაშინ ორივე მხარეს შეიძლება ერთნაირად სჭირდებოდეს თანამშრომლობა, მაგრამ როგორც კი ეს მიდგომა უადგილო ხდება, პოლიტიკური პარტნიორობაც ამოიწურება.



მე თვითონ არა ვარ გამომწვევი და აგრესიული ბუნების კაცი — მანამდე, სანამ ვინმე არ დამაკარგვინებს წონასწორობას. უმეტეს შემთხვევაში ვცდილობ, სიმშვიდე შევიანარჩუნო

— თუ კითხვას არ გავაპოლიტიზებთ და პირდაპირი მნიშვნელობით განვიხილავთ ორმოში ჩავარდნას?

— ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერ ადამიანს ვთხოვდი დახმარებას.

— მაგრამ, მშველელმა მერე გაუთავებლად რომ იძახოს — ხომ ამოგიყვანე და ხომ ამოგიყვანეო?

— მან თუ ამომიყვანა, მეც ხომ ამოვიყვები. ხომ შეიძლებოდა, უარი მეთქვა ამოყვანაზე? ამაშია საქმე...

აი, ასეთი ლოგიკა აქვს ვალერი გელბახიანს, რომელიც ზედმეტად წუწუნებს გაჭირვებაზე და ამის საილუსტრაციოდ, სხვა პარლამენტარებისგან განსხვავებით, ძვირად ღირებული მანქანით არ დადის. მას წითელი „ნივა“ ჰყავს, რომელიც მამის ავადმყოფობის შემდეგ, მშობლისგან მის საკუთრებაში გადავიდა. ამის გამო პარლამენტარი დისკომფორტს სულაც არ განიცდის, მხოლოდ იმაზე სწყდება გული, რომ არც „ნივითა“ და არც 1988 წელს გამოშვებული ავტომანქანით, რომელიც აჭარის ხელისუფლებამ გამოუყო, სწრაფად სიარული არ შეუძლია. „აჭარული“ მანქანით კი, პარლამენტარი თბილისში ჩამოსვლას ერიდება. ვინ იცის — იქნებ ეშინია, რომ ბატონ ასლან აბაშიძის განკარგულებით მისთვის გამოყოფილი მანქანაც გაჯიუტდება, თბილისში „სტუმრობას არ ინებებს“ და გზაში დატოვებს პარლამენტარს?..

მოდის საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც ოქტომბერში იყო დაგეგმილი, 2003 წლის თებერვალ-მარტისთვის გადაიდო და „ფეშენ-უიქის“ ფორმატით ჩატარდება. მასში პირველი კატეგორიის დიზაინერები მიიღებენ მონაწილეობას. პარიზის, ლონდონის, მილანის მოდის კვირეულების სერიაში ახლა უკვე თბილისის დათვალიერებაც შევა. ცნობისათვის: ამ სერიაში მოსკოვის „ფეშენ-უიქი“ ორი წლის წინ გაერთიანდა. ამრიგად, თბილისის მოდის კვირეულს საერთაშორისო მედიაც გააშუქებს, რაც თავისთავად, მნიშვნელოვანია.

ლევა ჭანკოტაძე

თბილისის „ფეშენ-უიქის“ სულის ჩამდგმელი, კომპანია „მაკა ასათიანის“. მაკა ასათიანის მარჯვენა ხელი, ვანიკო თარხნიშვილი დიდ იმედებს ამყარებს მოდის ამ კვირეულზე. ბევრმა იცის, რომ ის შინაური კაცია ე.წ. „ტუსოვკების“ ელიტაში. მის მიერ მოწყობილი „ტუსოვკები“ ნამდვილ პატარა ზეიძად იქცევა ხოლმე. საინტერესოა, რომ ამ შეკრებებს არასდროს არ ესწრება ვანიკოს ცოლი. მიზეზი? — „ტუსოვკებზე“ ვანიკო მუშაობს და მეუღლეს სათანადო ყურადღებას ვერ უთმობს...

ვანიკო თბილისელია. ბავშვობაში საოცრად მეოცნებე იყო, თინეიჯერობისას კი — ზედმეტად რომანტიკული. მუდამ შეეყარებოდა ვანიკო თარხნიშვილი გერმანიაში გატარებულმა ოთხმა წელიწადმა კარდინალურად შეცვალა — ის რეალისტი გახდა და თავისი ორიენტირებით დაიმკვიდრა ადგილი მოდისა და შოუბიზნესის თბილისურ ელიტაში.

ვანიკოს გვიან საღამოს, მაკა ასათიანის მალაზიაში შეეხვდით. თავისი ცხოვრების შესახებ თხრობა მან ასე დაიწყო:

— დავიბადე თბილისში. დავამთავრე 55-ე საშუალო სკოლა. ძალიან მაინტერესებდა დიპლომატია და მიწოდდა, მოსკოვში, უმაღლეს დიპლომატიურ სკოლაში შესწავლა. ამისთვის საჭირო იყო, რომ ჯერ ისტორიული ფაკულტეტი დამემთავრებინა. ისტორიული კი დავამთავრე, მაგრამ იმ დროისთვის ჩვენში ყველაფერი აირია. დესტაბილიზაციამ ჩემი გეგმებიც შეცვალა. მე და ჩემი მეუღლე საზღვარგარეთ გავემგზავრეთ, კერძოდ — გერმანიაში. მუშაობა და სწავლა დავიწყეთ კომპანია „კლაუს შტაილმანში“. ეს



აჩი მეფარიძე, ვანიკო თარხნიშვილი და მაკა ასათიანი

ვინ არის მაკა ასათიანის უახლოესი მეგობარი მაკაასი?

კომპანია მაშინაც და ახლაც, დელანემის ბიზნეს-პარტნიორია. მე და ჩემმა მეუღლემ ბიზნეს-მენეჯერის განათლება მივიღეთ. პრაქტიკა „კლაუს შტაილმანის“ სათავე ოფისში გავიარეთ და იქვე დავიწყეთ მუშაობა. გერმანიაში ოთხი წელი ვცხოვრობდით. პრაქტიკის გავლის შემდეგ, ბუნებრივია, გაგვიჩნდა სურვილი, რომ საკუთარი საქმე წამოგვეწყო, რაც გერმანიაში ძალიან ძვირი დაჯდება.

— და ამიტომ დაბრუნდით საქართველოში?

— საქართველო ჩვენ მიერ აღქმული იყო არა როგორც სამშობლოში დაბრუნება, არამედ მორიგ ქვეყანაში წასვლა, სადაც შეგიძლია, საკუთარი საქმე დაიწყო. მაგრამ საკუთარი საქმე ვერ დავიწყეთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩამოსვლისთანავე ვცადე ამის გაკეთება. სულ რაღაც თვენახევარში მივიღე შემოთავაზება „კოკა-კოლასგან“, კერძოდ — ბატონ თემურ ჭყონიასგან და მასთან დავიწყეთ მუშაობა.

— „კოკა-კოლაში“ რა თანამდებობაზე მუშაობდით?

— პირველად ასეთი თანამდებობა მქონდა: პირველი ქართული სააქციო საზოგადოების დირექტორი. ამის შემდეგ, ბატონი თემური ისეთ თანამდებობებზე მნიშნავდა, რომელიც სიახლეებთან იყო დაკავშირებული: ვიყავი კომპანია „მასტერ-ტრედის“ („მარსის“ პროდუქტების) აღმასრულებელი დირექტორი, მთლიანად „კოკა-კოლას“ ფინანსური დირექტორი; ჩემი ბოლო თანამდებობა იყო პირველი ქართული საღებავი რეზინის მწარმოებელი ფირმის, „ფინიგანის“ აღმასრულებელი მენეჯერი. სწორედ ამ დროს მივიღე მიწვევა მაკა ასათიანისგან. მის გეგმებს რომ გავე-

ცანი და, რაც მთავარია — დასავლურ მენტალიტეტს, მაშინვე აღფრთოვანდი და დავთანხმდი, თუმცა, „კოკა-კოლას“ დატოვება, რაღა თქმა უნდა, გამიძნელდა.

— მაკა ასათიანმა როგორ შეიტყო შენი არსებობა?

— ჩემი მეუღლის მეგობრის მეშვეობით მივიღე ეს წინადადება და ასე დავუკავშირდი ერთმანეთს მე და მაკა.

— შენი მეუღლე ისევ „კოკა-კოლაში“ მუშაობს?

— ღიას. მას სხვადასხვა თანამდებობა უკავია ხოლმე — ძირითადად, ფინანსური მენეჯერია, ოღონდ — სხვადასხვა განყოფილებაში, ზოგჯერ კი, შვილობილ ორგანიზაციებში გადადის ხოლმე.

— უფრო კონკრეტულად მოგვიყვივი, ვინ არის შენი მეუღლე?

— ირინა სიამაშვილი. სწავლობდა კიბერნეტიკის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრება ვერ მოასწრო, ისე წავიდით გერმანიაში. იქიდან რომ დავბრუნდით, მაშინ დაამთავრა. უკვე თორმეტი წელია, ერთად ვართ და ფანტასტიკური ურთიერთობა გვაქვს.

— შვილები გყავთ?

— ჯერ არა. იმდენად დაკავებულები ვართ ორივე, რომ სადილობაც უმეტესად, სახლში არ გვიწევს, ამიტომ შვილების გაჩენა ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ.

— ვანიკო, შენი მშობლები ვინ არიან?

— დედა, ნინო მანაგელი, პროფესიით ლიტერატორია. დამთავრებული აქვს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. თხუთმეტი წელია, რაც ტანსაცმლის ბიზნესშია. ეს ბიზნესი „კლაუს შტაილმანით“ დაიწყო, რომელიც ქალის ტანსაცმლის ყვე-

ლაზე დიდი მწარმოებელია გერმანიაში. მას ეკუთვნის სავაჭრო ნიშნები: „კოკო შანელი“, „კარლ ლაგერფელდ“ და ა.შ. ახლა ძირითადად, ცნობილი სავაჭრო ნიშნების მფლობელ, ფრანგ მწარმოებლებთან თანამშრომლობს. რაც შეეხება მამაჩემს – ის გეოფიზიკოსია. ბავშვობაში, ორჯერ ვყავდი გეოლოგიურ ექსპედიციაში. მაინცდამაინც არ მიყვარს ბუნებაში გასვლა. დინამიკური, არეული, ასფალტიანი, დიდი, „ბარდაჩნი“ ქალაქები უფრო მიყვარს. ბუნებაში ვიღლები ხოლმე. ამიტომ, ამ ორი ექსპედიციით შემოიფარგლა ბუნებასთან ჩემი ურთიერთობა.

— დედისერთა ხარ?

— არა. მამის მხრიდან მყავს და-ძმა. ოლონდ, ისინი თარხან-მოურავებად იწერებიან. გიორგი და თამუნა სტუდენტები არიან. ძალიან ბევრს კითხულობენ და დარწმუნებული ვარ, კარგი მომავალი ექნებათ.

— ქალბატონი ნინო თბილისში ცხოვრობს?

— დიახ. აქ ცხოვრობს და ძალიან კარგად აქვს თავისი ბიზნესი აწყობილი. თუმცა, ყოველი წლის ნახევარზე მეტს საზღვარგარეთ ატარებს.

— მაკასა და ქალბატონ ნინოს როგორი ურთიერთობა აქვთ? როგორც კონკურენტებს, ისე ხომ არ უცქერენ ერთმანეთს?

— „მაკა ასათიანი“ არის სავაჭრო ნიშანი, რომელიც თვითონ ქმნის პროდუქციას. მაკა პირველი კატეგორიის დიზაინერია. დღეისთვის მალაზია კი საცალო ვაჭრობის „ბუტიკია“, სადაც სხვადასხვა კატეგორიის დიზაინერები არიან წარმოდგენილები.

— ქალბატონ ნინოსაც თუ ეს მარები მის საქმიანობაში?

— ხშირად მოხვავ ხოლმე, დამეხმარეო, მაგრამ მე უარს ვუბნები. მას იმდენად აწყობილი ბიზნესი აქვს, ჩემი რჩევა რაღაში სჭირდება?!

— მაკას კომპანიაში რა ფუნქციას ასრულებ?

— მმართველი დირექტორი ვარ. მთელი ორგანიზაციული ფონის უზრუნველყოფა მე მევალება. ჩემს ფუნქციებში შედის აგრეთვე „პრომოუშენის“ ნელმდგანელობა.

— ეი. მაკა შენ აბსოლუტურად გენდობა?

— ჩვენს საქმეში ეს ყველაზე მთავარია. ალბათ, მეგობარია. მე უამრავი შემოთავაზება მაქვს. უმთავრესი მიზეზი, რის გამოც არ განვიხილავ ხოლმე არანაირ წინადადებას, ის არის, რომ აქ მაქვს საშუალება, თავად განვიკარგო ჩემი დრო. ეს გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ფული. რადგან მგონია, რომ ფული ადამიანს იმისთვის სჭირდება, რომ იყიდოს თავისუფლება და იყიდოს

დრო. ჩემთვის თავისუფლების შეზღუდვა არის კატასტროფა. ამ სამსახურში თავისუფლებაც მაქვს და თავისუფალი დროც.

— როგორია მაკა ურთიერთობა-ში? რამდენად იოლია მასთან თანამშრომლობა?

— მე არასდროს მიჭირდა ადამიანებთან ურთიერთობა. მით უფრო – მაკასთან. ის ამ კომპანიის დამფუძნებელია, ამ კომპანიის უფროსი და ბოსი; ბოლო სიტყვა მას ეკუთვნის. ძალიან ბევრი შემთხვევაა, როცა რაღაც სწორად არ მიმაჩნია, მაგრამ ჩემი პროფესიონალიზმიდან გამომდინარე, მაქსიმუმი უნდა გავაკეთო, საკუთარი აზრი რომ გავიტანო. თუ არა და, მაქსიმალურად უნდა მოვერგო რეალობას. ამაში ისიც მეხმარება, რომ რეალისტი ვარ. ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს „რას“, ჩემთვის მთავარია – „როგორ“.

— სადაც შენ ხარ, იქ მუდამ რაღაც ორიგინალური ხდება. ეს შენი ხელწერაა, თუ „მაკა ასათიანის“, როგორც მოდელების სახლის სტილი?

— მე მიყვარს საუბარი გუნდის სახელით. ვცდილობ ვთქვა – „ჩვენი“. სულ ვამბობ: „ჩვენი პროექტი“, „ჩვენი ტუსოკები“ და ა.შ. – ეი. ვგულისხმობ კომპანია „მაკა ასათიანის“, შავის, ჯუნას, ალექსისა (მეგობრები. – ავტ.) და ჩემს პროექტებს. ვინც დღეს აქტიურად მუშაობს შოუბიზნესში, აქტიურია არა როგორც უბრალოდ შოუბიზნესში მონაწილე, არამედ როგორც მისი მშენებელი.

— თქვენ მართლაც, ძალზედ აქტიურები ხართ, თუნდაც პრესასთან ურთიერთობის მხრივ — თქვენგან ინფორმაცია არასდროს გვაკლია. ვინ იჩენს თქვენთან ამის ინიციატივას?

— ჩვენ არ გვაქვს გულგრილი ურთიერთობა მასმედიასთან. თუმცა, ყველასაც არ ვუგზავნი პრესრელიზებს. ამისთვის აუცილებელია, ვიცნობდე და კარგად ვიყო განწყობილი ადამიანის მიმართ. თითოეულ ჟურნალისტს თავის ენაზე უნდა ველაპარაკო... ჩემი ჰობი ადამიანებთან ურთიერთობაა. სხვა ჰობი მე არ გამაჩნია. განსაკუთრებით მაინტერესებენ ჟურნალისტები, როგორც ის ადამიანები, რომლებთანაც თანამშრომლობა მიხდება.

— ყოფილა უამრავი შემთხვევა, როცა ჟურნალისტებს შეგვეძლო, რომ თავს დაესხმოდი მაკა ასათიანს...

— იყო ასეთი თავდასხმები.

— შენ ჩვენს ყველა კითხვას პასუხობს და ძალიან მშვიდადაც ხვდები; საუცხოოდ ასრულებ მედიაციის როლს პრესასა და მაკა ასათიანს შორის...

— მე პროფესიონალი ვარ. „პრომოუშენის“ სპეციალისტს, ცხადია, შემძლია, როგორც ქართველ, ასევე რუს და უცხოელ ჟურნალისტებთან ურთიერთობა. ყოველთვის ვაკონტროლებ მაკა ასათიანის იმიჯს ბაზარზე, რომ არც ინფორმაციის ნაკლებობა იყოს და არც ზედმეტი გადიოდეს რამე. სენსაციებზე „სტავკას“ არ ვაკეთებ. თუ სენსაციაზე მიდგა საქმე, ეს პროფესიონალურ დონეზე უნდა გაკეთდეს. რაც შეეხება „ნადავებს“ – ადრე ბევრი იყო. მაგალითად, დამირეკია ჟურნალისტიკისთვის და მითქვამს: ადფრთოვანებული ვარ შენი პროფესიონალიზმით, რა კარგად გამოხატე აზრი-მეთქი... მე პატივს ვცემ როგორც ჩემს პროფესიონალიზმს, ასევე ჟურნალისტიკას.

— თბილისში ძალიან იოლია ინფორმაციის მოპოვება. ხშირად ჟურნალისტები ვფლობთ რაღაც ინფორმაციას და არ ვახმაურებთ მას. რას ფიქრობ შენ ან მაკა იმაზე, თუ რატომ არ ჩნდება პრესაში სკანდალური ცნობები მაკა ასათიანის ცხოვრების შესახებ?

— არ ვიცი, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ როგორი სკანდალური ინფორმაციაც არ უნდა გავრცელდეს, არც ერთს არ შეგვიტოვდება ნერვი – ამაში ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული. მაკა ასათიანის სახელის პოპულარობა იმდენად დიდ სიმაღლეზეა აყვანილი, რომ არაფერი არ უნდა გაგვიკვირდეს...

— ბოლო პერიოდში აშკარად გამ-

ქრისტინესთან ერთად



წვავდა კონკურენცია; გაიხსნა ბევრი „ბუტიკი“ და მოდის სახლი. როგორ გგონია — ვინ არის დღეს „მაკა ასათიანის“ კომპანიის კონკურენტი?

— ახალი შექმნილი იყო კომპანია „მაკა ასათიანი“, როცა განვაცხადეთ, რომ გვინდა, რაც შეიძლება მეტი ქართული სავაჭრო ნიშანი გაჩნდეს, რადგან გვინდა, რომ თბილისში მწვავე კონკურენცია იყოს და ხალხის ყურადღება ადგილობრივ სავაჭრო ნიშნებზე გადავიდეს. ეს ჩვენ ხელს გვაძლევს — ჩვენ მაინც ყოველთვის ლიდერები ვიქნებით.


— ვანიკო, შენ კარგად მოერგე კომპანია „მაკა ასათიანს“. რამდენად შესაძლებელია შენი საქართველოდან წასვლა?

— ძალიან ძნელია ჩემთვის აქედან წასვლა. ვერ წარმომიდგენია, ამ კომპანიასთან შესხების წერტილი რომ არ მქონდეს, თუნდაც იმიტომ, რომ პირადად მაკა ასათიანმა და ამ კომპანიამ მომცა იმის საშუალება, რომ მომეხდინა საკუთარი შესაძლებლობების სრული რეალიზება. ამასთანავე, ჩვენ უამრავი გეგმა გვაქვს, ამ გეგმებზე უარის თქმა ჩემთვის ადვილი არ იქნება. ამიტომ მე ძნელად წარმომიდგენია აქედან წასვლა.

— თუ გიფიქრია, რომ რომელიმე მომღერალთან გემუშავა და მისგან ვარსკვლავი შეგექმნა?

— უამრავი შემოთავაზება მაქვს, მაგრამ მე არ მინდა ვიმუშაო ვარსკვლავთან ან უბრალოდ, პიროვნებასთან. გამონაკლისია „უცნობი“. ხშირად უკითხავთ ჩემთვის: „უცნობის“ მენეჯერი ხომ არ ხარო? მაგრამ ასე არ არის. შეიძლება ითქვას,

ნინო ქათამაძესთან ერთად



რომ რაღაც პერიოდში, მისი „პრომოუტერი“ ვიყავი. ჩვენ უბრალოდ, მეგობრები ვართ და მხოლოდ ერთ პროექტში ვასრულებდი მისი მენეჯერის ფუნქციას. მე ვმუშაობ სავაჭრო ნიშნების „პრომოუშენზე“.

— მაგრამ მაინც გაჩნდა აზრი, რომ მაკა ასათიანის იმიჯზე აქტიურად მომუშავე ვანიკო თარხნიშვილი პოპულარობით დაენია მაკას და ალბათ, გაუსწრებს კიდეცო. მეთანხმები, რომ ასეთი აზრი მუსირებს?

— ჩემი პროფესიისთვის პოპულარობა აქტუალური არ არის. თუ მაინც პოპულარული ვარ, ეს ძალიან სასიამოვნოა.

— თუ ზრუნავს შენი კომპანია შენს ჩაცმულობაზე?

— ეს ის სფეროა, რომელშიც საერთოდ, მოვიკოჭლებ. ბავშვობაში, დედაჩემი სულ მეჩხუბებოდა ამის გამო, ახლა ჩემი მეუღლე მსაყვედურობს, რომ ყურადღებას არ ვაქცევ ჩემს ჩაცმულობას. სულ „ქეშურად“ ვიცვამ, ხან — სპორტულად. რა თქმა უნდა, ვიცი, თუ სად რა უნდა ჩავიცვა. სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ ჩემის კულტურა ჩამოყალიბებული არ არის.

— მაკას არასდროს მოუცია შენთვის შენი შენა?

— მე მგონი — კი, რადგან საერთოდ, ყველა ჩემი მეგობარი მსაყვედურობს ხოლმე ამის გამო.

— შენ ხშირად ამბობ სიტყვას — „ფანტასტიკურია“. როცა ვინმეს ეუბნები — ფანტასტიკურად გამოიყურებიო, — აბსოლუტურად გულწრფელი ხარ ხოლმე?

— არ შეიძლება ასეთი შეკითხვის დასმა. მოვერიდები პასუხის გაცემას. თუმცა ვიცი, რომ არ ვიტყუები — გულწრფელი რაღაც დონემდე ყოველთვის ვარ.

— შენ და მაკა მეგობრები ხართ?

— რა თქმა უნდა.

— რას მოიცავს ეს მეგობრობა? შეგიძლიათ, ერთმანეთს პირად პრობლემებზე ესაუბროთ?

— მე პირად საკითხებზე ჩემს უახლოეს ადამიანებთან, ბავშვობის მეგობრებთანაც კი არ ესაუბრობ. მიუხედავად იმისა, რომ საოცრად ცნობისმოყვარე ვარ, სხვისი პირადი ცხოვრება არ მაინტერესებს. თანაც უთქმელადაც ვხვდები ხოლმე ყველაფერს. არ შემიძლია, რიგითობის მიხედვით განვსაზღვრო ჩემი და მაკას

მეგობრობა და ვთქვა — მისთვის ნომერ პირველი მეგობარი ვარ-მეთქი. მაგრამ თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ უახლოესი მეგობრები ვართ.

— კითხვა, რომელზეც პასუხის გაცემა გიჭირს...

— მთელი დღე სხვა ხალხის საზრუნავით ვარ დაკავებული. თუ თავისუფალი დრო მაქვს, ვფიქრობ, ან გონებაში რაღაც პროექტს ვამუშავებ. საკუთარი თავისთვის ძალიან ცოტა ხნით ვიცლი ხოლმე. ამიტომ, ადამიანმა რომ მკითხოს — როგორი ხარო? — პასუხის გაცემა ძალიან გამიჭირდება.

— რა გალიზიანებს?

— ძალიან ლიბერალური ვარ ნებისმიერ საკითხში. ძალიან მაღიზიანებს ბოროტების საწყისი, რომელიც ზოგიერთ ადამიანში ზის...

— სალამოს, როცა დაღლილი მიდიხარ შინ, რით ერთობი ან როგორ ისვენებ ხოლმე?

— დაღლილი შინ არ მივდივარ ხოლმე — სხვაგან მივდივარ... თუმცა დაღლილი ძალიან იშვიათად ვყოფილვარ. ზოგჯერ ემოციებისგან გადაღლილი ვარ და ასეთ დროს, ყველაზე კარგი საშუალება დასასვენებლად, ხმაურიანი ადგილია; კარგია ხმამაღალი მუსიკა ან გარემოს შეცვლა: ვერასდროს ვერ ვისვენებ სიწყნარეში. ერთხელ, მე და ჩემი მეგობარი ქალაქარეთ წავედით. პირველი საღამო მომეწონა. დილით კი, სიწყნარე გამაღვიძა. წამოვხტი. ირგვლივ „სუპერსიწყნარე“ იყო. გარეთ ვაკვარდი. დავინახე ტიპი, რომელიც იმდენად ნელი ნაბიჯებით მოდიოდა, რომ გავოცდი... დავილაღე სიწყნარისგან და გამოვიქეცი იქიდან. ხმაური არის ის გარემო, რომელშიც ვისვენებ. რამდენიმე წლის წინ, სახლში რემონტს ვაკეთებდით და დროებით მეგობართან გადავედით საცხოვრებლად. ის ვაკის პარკის გვერდით ცხოვრობს. ისეთი სიწყნარე იყო, რომ ამ სიწყნარისგან უძილობა დამეწყო. „ჩაის სახლთან“ ვცხოვრობ. იქ სულ მანქანების პიპინია, „სმოგი“ დგას, ხმაურია და ბავშვობიდან მიჩვეული ვარ ამ ყველაფერს.

— თავგადასავლები არ გიზიდავს?

— არა. არც თავგადასავლები მიყვარს და არც ცხოვრებასთან თამაში. ამიტომ, ხიფათისგან დაცული ვარ.

— ადამიანებთან ურთიერთობის გარდა, სხვა ჰობი არა გაქვს?


— ვგიჟდები ჩოგბურთზე. შემიძლია გაუთავებლად ვითამაშო, სანამ კორტზე არ დავეცემი. შემიძლია ვთქვა, რომ ჩოგბურთი ერთადერთია, რაზეც ბოლომდე „ვუსტვენ“...

ბობი ფრანგიშვილი

ნუგზარ კიკნაძესთან ჩემი ახლანდელი შეხვედრის მიზეზი ისევ იალქნები, იახტა და შორეული ნაოსნობაა. კვლავ მარტოს უნდა, გადაცუროს სამი ოკეანე.

პირველ რიგში „ლინას“ ამბავი გავასხენე, მინტერესებდა, მეუღლის სახელი რატომ შეარქვა ამ შვილივით ნალოლიავებ იახტას? (პირველთან ერთად, მეორე ავტომობილიც რომ მიაყიდა ზღვაში გასვლის ოცნებას) ცოლის შიშით, თუ მისდამი მორიდებისა და იმ მოთმინებისათვის, ქლბატონმა ლინამ რომ გამოიჩინა? „სიყვარულის გამო“, – მოკლედ და იმდენად დამაჯერებლად მპასუხობს, რომ ჩაძიებას აზრი აღარ აქვს...

– 1994 წლის ზაფხულში ფოთიდან რომ გავედი „ლინათი“, ჩემი მეუღლე ჩემთან ერთად განიცდიდა: მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი თავისა და იახტის იმედი მქონდა, ზღვა მაინც ზღვაა. „ლინა“ 11 მეტრი სიგრძისა და 3 მეტრი სიგანისა იყო, აფრების ფართობი – 50 კვმ. თუმცა, ხანგრძლივ მოგზაურობაში ყველაფერს ვერ გაითვალისწინებ. ასე რომ, ნერვიულობის მიზეზიც გასაგებია. ზარზეიმით გამაცილეს ფოთიდან, გზაც დამილოცეს გულიანად, მაგრამ „ფულიანად“ არ ვიყავი და ეგ მიღრღნიდა გულს: ნავს საჭისთვის უყანგავი ფოლადის მთლიანი ღერძი და ახალი იალქნები სჭირდებოდა, ზოლო მე – საბაჟოების, უცხოეთის პორტებში დგომის, კვების, წყლისა და კიდევ სხვა მრავალი წვრილმანი ზარჯებისთვის უცხოური ვალუტა. სპონსორები შეპირებულები იყვნენ – სანამ საბერძნეთში ჩახვალ, ამ პრობლემას მოგიგვარებთ და თანხას იქ გადმოგირიცხავთო. ამ იმედით გავედი, მაგრამ ესენი თურმე, არც აპირებდნენ ფულის გამოგზავნას, უთქვამთ – ნუგზარი შავ ზღვასაც ვერ გასცდებო... შავი ზღვაც გადავცურე და საბერძნეთამდეც მშვიდობიანად მივაღწიე, მაგრამ რა?! მთელი ზამთარი უშედეგოდ ველოდი ჩემს სპონსორებს. მერე ვიფიქრე, ატლანტის ოკეანეში გავალ – ეგებ, ინამუსონ და თანხის ნაწილი მაინც გამომიგზავნონ-მეთქი. გავცდი ზმელთაშუა ზღვას და კანარის კუნძულებამდე მივაღწიე. ლას-პალმასში ორი კვირა ვიდექი. ისევ მოლოდინი და ისევ იმედგაცრუება. საბოლოოდ რომ დავრწმუნდი, სპონსორებისაგან არაფერს მივიღებდი, არჩევანის წინაშე დავდექი: ან უფულოდ უნდა გამეგრძელებინა გზა, ან



პირველად რომ ვნახე, ნავს აგებდა თბილისის ზღვაზე. დედამინის გარშემო მოგზაურობა ჰქონდა ჩაფიქრებული და ოკეანეში გასასვლელად ემზადებოდა. 14 წელი მოუნდა იმ იახტის მშენებლობას. შრომასთან ერთად, ხარჯიც საკმაოდ გასწია. გაგონილი მქონდა — ფული რომ შემოაკლდა, საკუთარი მანქანა გაყიდაო. მოგვიანებით ისიც შევიტყვე, იახტისთვის ცოლის სახელი — „ლინა“ დაურქმევია. ყველაფერი ეს მაშინ ცოტა უცნაურად მომეჩვენა, მოგზაურობა დედამინის გარშემო, ერთი იახტისთვის შენერული 14 წელი, ცოლის სახელი... მას აქეთ თითქმის ათწლეული მიიღია.

მის ზღვარი, რთელსას გემის უზინია...

დავბრუნებულიყავი. დაბრუნება ვარჩიე. სირცხვილი იყო — ქართული დროში მიცურავ, ამყოფ, რომ საქართველოს მოქალაქე ხარ, შედიხარ უცხოეთის პორტში და — უი, მაპატიეთ, საბაჟოსა და პორტში დგომისთვის საჭირო ფული არა მაქვს-მეთქი?! — უნდა თქვა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა შთაბეჭდილება დარჩებოდათ საქართველოზე. ასე და ამგვარად, ერთი წლის შემდეგ, უკან დაბრუნება მომიხდა. გაიხსენეთ, რა მძიმე პერიოდი იყო მაშინ ჩვენში. სამსახური ვერ ვიშოვე. ძალზე გამიჭირდა მატერიალურად. არადა, ოჯახში, შვილები თავისას მოითხოვდნენ. იძულებული გავხდი, ჯერ პროცენტბანი სესხი ამელო, მერე კი ბინაც გავყიდე და ახლაც ნაქირავებში ვცხოვრობ.

ჩვენი საუბარი ბატონ ნუგზარის მეგობრების საამქროში მიმდინარეობს, სადაც ორი ახალი ნავი შენდება: ერთი

ღილი — 14-მეტრიანი, მეორე პატარა, ასე, 3 მეტრი სიგრძის იქნება. ე.ი. ისევ ზღვა, ისევ მოგზაურობა ჩაუფიქრებია და ისევ, ცოტა უცნაურად მომეჩვენა — ამ გაჭირვებასა და ჯახირში გამოვლილმა, 50 წელს გადაბიჯებულმა კაცმა, ხელმოკრულ როგორღა მოჰქიდა ამ საქმეს ხელი? შეკითხვაც არ დამჭირვებია, თავად გამცა პასუხი:

– ზღვა რომ შემიყვარდა, მაშინ იმდენად პატარა ვიყავი, საკუთარი თავიც არ მახსოვს. დედის ნაამბობიდან ვიცი: ოჩამჩირეში რომ გამიყვანდნენ სანაპიროზე, სიხარულისაგან ადგილს ვერ ვპოულობდი, წყლიდან ვერავის ამოვყავდი. დედა იქაური იყო, ყოველ ზაფხულს ჩავყავდი ოჩამჩირეში, ცურვაც მაშინ ვისწავლე. მესხეთე კლასში ვიქნებოდი XIX საუკუნის ცნობილი მოგზაურის, ლოკამის წიგნი რომ წავიკითხე. „მარტომდარტო დედამიწის გარშემო“ — მგონი, ასე ერქვა

ინფორმაციული-მედიის სექტორი

ეორი დეალის უბის ნივთიანობა:

1. ჰანს კრისტინ ანდერსენი ღარიბი მეწაღის შვილი იყო.
2. 11 სექტემბრის ტრაგედიას არაბები წმინდა სამშაბათს უწოდებენ.
3. ქალაქი ლონდონი ზღვის დონიდან 5 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.
4. მსახიობი ანა მანიანი ეგვიპტეში, ქალაქ ალექსანდრიაშია დაბადებული.
5. შოტლანდიის რეაქტიული კონსტრუქციის მშობლიური 140-ია დასახლებული.
6. გრძელ, ბიბლიოსებურ წანაზარდს ინდურის ნისკარტზე, ჩიჩვირი ჰქვია.
7. 24 წლის თომას მანი სატირულ ჟურნალ „ზიმპლიციზიმუსში“ მუშაობდა.
8. რუსთავი იმ ადგილზე აშენდა, სადაც XIII საუკუნეში მონღოლთა მიერ განადგურებული ქალაქი მდებარეობდა.
9. შილსის წინააღმდეგ საბრძოლველად ყველაზე კარგი საშუალება ინფორმაცია და თქვენი კეთილგონიერებაა.
10. „როსია ფივოლტ ვო ვრედ სეზე, ი ნაზლო დრუემ ნაროდამ“, – ამბობდა ფილოსოფოსი ნიკოლაი ბერდიაევი.
11. აზერბაიჯანელ პოეტ ჯალილ მაგყულიზადეს, გორის საოსტატო სემინარია ჰქონდა დამთავრებული. იგი მოლა ნასრედინის ფსევდონიმით წერდა.
12. ეში, ტრუავეიერჟი, დიუდელანჟი, დიფერდანჟი, იზელდანჟი, ვორმელდანჟი, ვალფერდანჟი, რედანჟი და არლანჟი, ლუქსემბურგის ქალაქებია.
13. „ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ საუკუნეში, როდესაც აღარავის სჯერა, რომ მარტო სილამაზე გადაარჩენს სამყაროს,“ – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში თაკო ჩხეიძემ.
14. „არაფალსი-ფიცირებული რევოლუციური მარქსიზმის წარმომადგენელი“ – ასე მოიხსენიებდა ვლადიმერ ლენინი როზა ლუქსემბურგს.
15. მეზარის წერილები ილია ჭავჭავაძემ 24 წლის ასაკში დაწერა. P.S. ამ დროს მას უკვე შექმნილი ჰქონდა 50-ზე მეტი ლექსი, პოემა „კაკო ყაჩაღი“, „აჩრდილისა“ და „ქართლის დედის“ პირველი ვარიანტები, „გლახის ნამბობისა“ და „კაცია ადამიანის“ ესკიზები.
16. „ქორწინება ბოროტებაა, მაგრამ



იმ წიგნს. ასე წლის წინ ავტორს ძველი ბოტი (დიდი ნიჩბიანი ნავი. – ავტ.) იახტად გადაუკეთებია და პირველმა, მარტომ იმოგზაურა დედამიწის გარშემო. კარგი ერთი იყო დაწერილი, ძალიან მომეწონა. აი, მაშინ გამიტაცა პირველად ოცნებამ – მარტოს გადამეცურა ოკეანეები. ალბათ კვლავ ამ ოცნებამ შეასრულა გადამწყვეტი როლი, როცა ჩემი ახალგაზრდა მეგობრების თხოვნას დავეყვი და ახალი იახტის მშენებლობა დავიწყეთ. თავიდან სასტიკი უარი ვუთხარი: ნამდვილად არ მინდოდა, – გულგატეხილი ვიყავი. ნავის აგებას დიდი ენერჯია და ნერვები სჭირდება, მე ამის თავი აღარ მქონდა, მაგრამ იმდენი მეხვეწნენ, საბოლოოდ მაინც დამითანხმეს. 20-მეტრიანი ნავის აგება ჰქონიათ ჩაფიქრებული. მე – 12-მეტრიანი შევთავაზე. ვიდავით და 14-მეტრიანზე შევთანხმდით. ჯერ პროექტი უნდა შეგვედგინა. გამზადებულს ვერსად მივაგენით და ისევ თავად მოვიფიქრეთ. მერე მაკეტი გავაკეთეთ, გამოვცადეთ, სუსტი ადგილები გავამაგრეთ, რაღაც-რაღაცები შევცვალეთ და 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, შევუდგით მშენებლობას. სულ ნულიდან დავიწყეთ. ამ სამქროში არაფერი იყო. მოვიტანეთ ორი გრძელი კოჭი და ამ კოჭებზე ავაგეთ ნავი. ძირითადად, იახტის აგება დასრულებულია, მაგრამ კიდევ ორი წლის სამუშაო დარჩა. რომ არა ამ ბიჭების ენერჯია, მე ამის ძალა აღარ მქონდა. პროექტი მე და სანდრო რამიშვილმა შევადგინეთ. სანდრო არქიტექტორია და ნახაზებშიც კარგად ერკვევა, ნიჭიერი ბიჭია. გიორგი ლიპარტელიანი მეტალურგია, მაგრამ ამ წლების განმავლობაში, გემის აგებაც რიგაანად ისწავლა. ვანო გოდერძიშვილი პროფესიით მხატვარ-დიზაინერია, თავისებური ხედავ აქვს, ძალიან მომწონს მისი ნამუშევრები.

კიდევ მაიზერა გვყავს. ახალია ჩვენს ეკიპაჟში, მაგრამ ოქროს ხელები აქვს. ნებისმიერი პრობლემის გადაჭრა შეუძლია, თანაც სწრაფად. კიდევ არიან სხვებიც. ნავის აგებას რომ მოვრჩებით, ერთად გვინდა ღია ზღვაში გასვლა, მაგრამ ეს ალბათ ორი წლის შემდეგ იქნება. მანამდე კი, არ მინდა, დრო დავკარგო და ამ იახტასთან ერთად, მეორე ნავსაც ვაწყობ – პატარას. ის პრაქტიკულად დასრულებულია. მალე თბილისის ზღვაში გამოვცდი. სწორედ ამ ნავით მინდა, მარტომ ვიმოგზაურო დედამიწის გარშემო. თუ გამოვიდა, გინესის რეკორდი იქნება. ამჟამად, ასეთი მცირე ზომის ნავით რუსი ეგენი გვოზდები მოგზაურობს. მისი ნავის სიგრძე 3 მ და 80 სმ-ია. ჩემი ნავი კი 3 მ და 20 სმ-ია. მცირე ზომის ნავის აგებას განსაკუთრებული პროექტი სჭირდება. ძვრადი უნდა იყოს, საიმედო, ოკეანის ტალღებსა და შტორმს რომ გაუძლოს. სანავიგაციო აპარატურისა და სურსათისთვისაც უნდა გამოინახო ადგილი. მთავარი – სასმელი წყალია, თვეობით რომ გვეყოს. ბოლოს, დასაძინებლადაც ხომ გჭირდება ადგილი! ყველაფერი ეს კომპაქტურად უნდა განთავსდეს ამ მინიატურულ ნავში. პროექტი, რა თქმა უნდა, თავად შევადგინე. ვფიქრობ, ყველაფერი გავითვალისწინე. სასმელი წყლისა და ბალასტის პრობლემა ერთდროულად გადავწყვიტე, საჭეც ისეთია, მოძრაობის კურსს ავტოპილოტის გარეშეც კარგად დაიჭერს. ვფიქრობ, ამ ნავმა არ უნდა მიღალატოს.

ამ ახსნა-განმარტებების შემდეგ, უკვე სერიოზული „სპეციალისტის“ თვალით შევაფასე ნავი. თვეში კამბალა ყველას გინაზავთ – ლავაშივით ბრტყელი და ქვემოდად ზემოთ აწოწილი რომ არის – ნუგზარ კიკნაძის ნავიც ასეთია, ოღონდ – გაბერილი. მოაჭერთ ახლა ამ „კამ-



ყველაზე მეტად სწორედ დიდი გემების შემინია: თუ დროულად ვერ შეგამჩნიეს, ნაფოტივით გადაგივლიან



არ მინდა, დრო დავეკარგო და ამ იახტასთან ერთად, მეორე ნაფსაც ვაწყობ – პაგარას

ბალას“ კუდი, ვერტიკალურად ჩაუშვით ქვევით საჭის ადგილას და საოკეანო „ლაინერიც“ მზადაა – მხოლოდ კურსის დაზუსტებაა საჭირო.

– მარშრუტი, ვერ ვიტყვი, რომ გამორჩეულად რთულია. თუმცა, ოკეანეში ადვილი მარშრუტები არ არსებობს. მოგზაურობას კვლავ ფოთიდან დავიწყებ. გადავცურავ შავ ზღვას, ხმელთაშუა ზღვას და გიბრალტარის სრუტიდან ატლანტის ოკეანეში გავალ. შემდეგ – პანამის არხი, წყნარი ოკეანე, იქიდან კი დავეშვები ავსტრალიის ნაპირებისაკენ. უკან ინდოეთის ოკეანით დავბრუნდები, საიდანაც შევალ წითელ ზღვაში. სუეცის არხი, მერე ხმელთაშუა და შავი ზღვები და წერც შეიკვრება.

დღემადიწის გარშემო მოგზაურობის პირობების თანახმად, წრე ისე უნდა შეიკრას, რომ ორჯერ გადაკვეთო ეკვატორი. 60 ათასი კილომეტრის გადალახვას დასწლოებით ორი წელი დასჭირდება, რადგან ჩემი ნავის იალქნების ფართობი სულ 12 კვმ-ია, საშუალო სიჩქარე კი – 4 კმ/სთ. ეს მარშრუტი ახალი არ არის. მას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს, ეკვატორიალურ ზონაში პასატებს (მუდმივი მიმართულების ქარებს) გავყვები და გამოვიყენებ. სამაგიეროდ, აქ საოკეანო ლაინერებია სახიფათო, ყველაზე მეტად სწორედ დიდი გემების მეშინია: თუ დროულად ვერ შევამჩნიეს, ნაფოტივით გადავივლიან.

— **დავიჯერო, სხვისი არაფრის გეშინიათ?**

– შიში ადამიანის ნორმალური თვისებაა. ბავშვობაში, სიმართლე გითხრათ, საკმაოდ მშიშარა ვიყავი. მარტო ბნელ ოთახში ვერ ვრჩებოდი. ზღვაც საშიშია, მაგრამ კაცი თუ ხარ, შიშს უნდა სძლიო. შტორმის მეშინია კიდევ. სამი წელი დავცურავდი სხვადასხვა გემით და ოკეანეშიც თვეობით ვყოფილვარ, მაგრამ გრივალში არასდროს მოვხვედრილვარ.

— **ყოველივე ეს ალბათ დიდ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალებს მოითხოვს. ხანგრძლივად მარტო ყოფნაც ადვილი არ უნდა იყოს, როდესაც ხმის გამცემი არავინ გყავს...**

– ადვილი ნამდვილად არ არის, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ზღვაოსნობაში საქმე ბევრია: ხან რომელიმე ხელსაწყოა შესაკეთებელი, ხან აფრები დასაკერებელი, ზოგჯერ, ექსპერიმენტის ჩატარებას მოინდომებ, – ერთი სიტყვით, არ მოიწყენ. რაც შეეხება ხმის გამცემს, სხვადასხვა ტიპის 3 რაცია მექნება. რადიოს სულაც არ გამოვრთავ. სამწუხაროდ, საქართველოს რადიოსადგურები ოკეანეზე ვერ აღწევს, მაგრამ ქართველი რადიომოყვარულების წყალობით, თბილისის ამბებიც მეცოდინება. ბოლოს – სიმღერაც შემიძლია; ზღვაში ჩემი ხმით არავის შევაწუხებ.

— **სახელი თუ შეურჩიეთ ამ იახტას?**

– „აფხაზეთი“. მინდა, მსოფლიოს შევასვენო, რომ აფხაზეთის პრობლემა მოსაგვარებელია.

— **როდისთვის აპირებთ მოგზაურობის დაწყებას?**

– ჩემი სამუშაო აქ, პრაქტიკულად დამთავრებულია. ნავის შეღებვაც დაჩაჩა. დანარჩენი უკვე სპონსორებზეა დამოკიდებული. თუ ვინმე გამოჩნდა, მზად ვარ ოკეანეში გასასვლელად. ჯერჯერობით, მეგობრების გარდა, მხოლოდ „კვირის პალიტრა“ ამომიღვა მხარში. ამ გაზეთის მთავარი რედაქტორი, ქალბატონი ლალი გუნთაიშვილი ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარია... ვნახოთ, თბილისის ზღვაში რომ ჩაუშვებ ნავს, პრესკონფერენციასაც მაშინ გავმართავ. მასმედის საშუალებით, ჩემს პირობებსაც გავაცნობ დაინტერესებულ პირებს. იმედი მაქვს, ახლა მაინც არ მიღალატებენ თანამოქმენი. ■

ინფორმაციულ-შეფასებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

აუცილებელი ბოროტება,“ – ამბობდა სტენდალი.

17. დიეგო მარადონა, ჩე გევარას თავგადაღებული პატივისმცემელია. მას მკერდზე ჩეს გამოსახულებიანი სვირინგიც კი აქვს.

18. გამოჩენილ ჰოლანდიელ ფეხბურთელს, დენის ბერგკამპს მამამისმა, ცნობილი შოტლანდიელი ფეხბურთელის, დენის ლოუს პატივსაცემად დაარქვა სახელი. თუმცა, ბერგკამპის მამა იძულებული იყო, თავისი შვილის სახელში ჩაემატებინა კიდევ ერთი „ნ“, რადგან „დენის“ (ერთი „ნ“-ით) ჰოლანდიაში ქალის სახელია.

19. „ბურჰამ-ნიზამ-შაჰი მეორე, 1000 წელი“, „ჯეგანპირ-შაჰის შვილი ჯეხან-შაჰი, 1051 წელი“, „სულთან ქაჯარ ფათალი-შაჰი, 1242 წელი“ – ამ წარწერათა ამოკითხვა შეიძლება სახელგანთქმულ ალმას „შაჰზე“.


20. სერგო ორჯონიკიძის დედა, მასზე მშობიარობას გადაჰყვა. სერგო 8 წლის იყო, როცა მამამისი წყლის რიგში მოკლეს.

21. ვიწრო სანაპირო დაბლობი, რომელზეც ქალაქი ლოს-ანჯელესია გაშენებული, სან-გაბრიელის, სანტა-მონიკასა და სანტა-ანას მთებით არის გარშემორტყმული.

22. „ფილიპ კირკოროვის მთელი ბიოგრაფია შეიძლება დაიწეროს ორი სიტყვით: დაიბადა და დაქორწინდა“, – ხუმრობენ რუსეთის მუსიკალურ წრეებში.

23. მანკო კაპაკი – ასე ერქვა ინკების ზეპირი გადმოცემის თანახმად, პირველ ინკას – მზისა და მთვარის ძეს. იგი იყო ინკების ვრცელი სახელმწიფოს ტაუანტინსუიუს პირველი (მითური) გამგებელი.

24. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, სტალინისთვის მიურთმევათ სასკოლო რუკა ახალი საზღვრებით. დიდ ბელადს კმაყოფილებით დაუთვა-ლიერებია ქვეყნის დასავლეთი, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი საზღვრები, შემდგომ საქართველოსა და თურქეთის საზღვართან გადაუტარებია ჩიბუხნი და თავისთვის ჩაუბუზღუნებია: „აქ კი არ მომწონს ჩვენი საზღვრები“... ■



უამრავი დოკუმენტი გრიფით — „სრულიად საიდუმლოდ“, მის პირად სახელზე გამოგზავნილი ნერილები გორბაჩოვის, რიჟკოვისა და სხვა ყოფილი საბჭოთა ლიდერებისგან, — ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ დოკუმენტებისა, რომელიც მის არქივში ინახება. არც არის გასაკვირი — საუბარია კოსმოსური და სამხედრო-საინჟინრო ტექნიკის გენერალურ კონსტრუქტორზე, გენერალ-მაიორსა და საქართველოს პარლამენტის წევრზე, ელგუჯა მიქმარიაშვილზე.

ბატონი ელგუჯა ორასამდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. კომუნისტური რეჟიმის დროს, საზღვარგარეთ გასვლის უფლება არ ჰქონდა, მოადგილედ კი მუდამ უშიშროების თანამშრომელს უნაშვადნენ.

მარი ჯაშარიძე

— ბატონო ელგუჯა, მოდით, საუბარი იმით დავიწყოთ, რაც ყველაზე მკაფიოდ შემორჩა თქვენს მესსიერებას.

— ამისთვის ძალიან შორეულ წარსულში „ქექვა“ არ მომიწევს. მოგეხსენებათ, მე პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორი გახლავართ. 1999 წლის 23 ივლისს, ისტორიაში პირველი ქართული თანამგზავრული რეფლექტორული სისტემა გავიდა ორბიტაზე. ამ მოვლენამ ჩვენს სამშობლოს, უმძლავრესი ქვეყნების გვერდით, კოსმოსური სახელმწიფოს ტიტული მიანიჭა. მანამდე, ევროპის უამრავმა ქვეყანამ სცადა მსგავსი თანამგზავრის შექმნა, მაგრამ ყველა მცდელობა კრახით დამთავრდა. წელს, 23 ივლისს, პრეზიდენტის ბრძანებულებით, ეს თარიღი „პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის“ დღედ გამოცხადდა. ასე რომ, ქართველებს შეუძლიათ კოსმონავტიკის დღე, 12 აპრილთან ერთად, 23 ივლისსაც იხეიძონ — სწორედ ეს არის ყველაზე ამაღლებელი მომენტი ჩემს ცხოვრებაში. ეს მოვლენა ქართული გენის ძლიერებაზე, ჩვენს ნიჭსა და შრომისუნარიანობაზე მეტყველებს! დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, თუ როგორ მიიღებდა ჩვენს მიღწევას სხვა ქვეყნების კოსმოსური ელიტა. პასუხმა არ დააყოვნა: ევროპის კოსმოსურმა სააგენტომ შეიმუშავა ოფიციალური დოკუმენტი, სადაც მთელ კონტინენტს მოუწოდა, ქართული ანტენა საერთო ევროპულ სისტემად ელიარებინა. ალტერ-



ნატივა არც არსებობდა. ოფიციალურ ენციკლოპედიურ გამოცემაში ქართულ კოსმოსურ ობიექტს უმაღლესი შეფასება მიეცა. თვე-ნახევრის წინ, კემბრიჯში ჩატარდა კონფერენცია, რომლის ემბლემადაც ქართული თანამგზავრი გამოიყენეს. გამოიცა კოსმონავტიკის დარგის მეცნიერულ ნაშრომთა კრებული, რომლის ყდასაც იგივე ობიექტი ამშვენებს. ვფიქრობ, ასეთმა საერთო აღიარებამაც განაპირობა, რომ 23 ივლისი. განსაკუთრებულ თარიღად გამოცხადებულაიყო.

— როგორც მახსოვს, თავიდან პრესა და ტელევიზია იუწყებოდა, რომ ქართული თანამგზავრის გაშვება კრახით დამთავრდა...

— ეს იყო უდიდესი შეცდომა. თავიდან, როდესაც ბაიკონურის ბაზა მოეინახულე (საიდანაც ორბიტაზე თანამგზავრის გასვლა მოხდა. — ავტ.) ვთქვი, რომ ნესტისა და ყინვის გამო სირთულეები შეგვექმნებოდა. ორბიტაზე თანამგზავრის გასვლისას, ის ხვდება ძალიან დაბალი ტემპერატურის არეში, რაც ანტენის გაშლას შეუშლიდა ხელს. ობიექტის მოქმედებას თბილისიდან ვმართავდი. რაკეტა გავიდა ორბიტაზე და ანტენის გაშლაც დაიწყო. ამას პირდაპირი ეთერით თვალყურს ადევნებდა მილიონობით მაყურებელი. ანტენა ძალიან ნელა იშლებოდა. თუ, დავუშვით, გათვლილი იყო, რომ 5-10 წუთში უნდა გაშლილიყო, ეს პროცესი გაცილებით მეტხანს გაგრძელდა. ტელეჟურნალისტები აჩქარდნენ, მოვლენებს გაუსწრეს და გამოაცხადეს, რომ



ქართველი გენერლის
kosmosuri antenna
და მარშით დაწყებული ნაშრომები

გაშლა ვერ მოხერხდა. სინამდვილეში, კოსმონავტებს ენერგიის წყარო არევიათ და რადიოს შესაერთებელ შტეფსელში ჩაურთავთ აპარატი, სადაც მხოლოდ 4 ვოლტი სიმძლავრის დენი გადიოდა. როცა ყველაფერი მოწესრიგდა, შედეგიც არაჩვეულებრივი მივიღეთ. ორბიტაზე გასვლის შემდეგ, საჭირო იყო, რომ კოსმონავტები ღია კოსმოსში გასულიყვნენ და ანტენა რაკეტისთვის მოეცილებინათ. შემდეგ ის ატმოსფეროში უნდა დამწვარიყო. მოხდა ისე, რომ ანტენა სხვა კუთხით მოსცილდა ობიექტს და დედამიწის გარშემო 7-წლიან მოგზაურობაში „გაეშვა“...

— რა მოხდებოდა, შედეგი წარუმატებელი რომ ყოფილიყო?

— ეჭვის ქვეშ დადებოდა ჩემი სამეცნიერო შრომის მიმართულება და დაკარგავდი გენერალური კონსტრუქტორის წოდების მიღების შანსს.

— თუ საიდუმლო არ არის, რამდენჯერ გქონდათ ასეთი განცდა?

— როგორც სახელმწიფო-სამხედრო პროგრამის შემსრულებელს — თერთმეტჯერ; როგორც უშუალო პასუხისმგებელს, ორბიტაზე სისტემის გაყვანისა — სამჯერ. საბედნიეროდ, თითოეული გამოცდა წარმატებით დამთავრდა.

— ამბობენ, ექსპერიმენტის წარმატებულმა შედეგმა განაპირობა, რომ 50 ანტენის შეკვეთა უნდა მოეცათ, თითოეულში კი 5 მილიონი დოლარი უნდა გადაეხადათ. ეს კი უდიდეს შემოსავალს მოუტანდა საქართველოს...

— ეს ყველაფერი სიცრუეა. 50 ცალი ასეთი ანტენა ვის სჭირდება? ანტენაა, „ნაწ-

ნიკი“ ხომ არა!..

— რადგან თქვენი მოღვაწეობის სფერო სტრატეგიული დანიშნულების დანადგარებია, ბუნებრივია, უამრავ სახელმწიფო საიდუმლოსაც ფლობთ. ასევე იქნებოდა კომუნისტური რეჟიმის დროსაც. თუ დაისჯებოთ, მაშინდელი საიდუმლო ახლა რომ გათქვათ?

— რა თქმა უნდა. არავითარი უფლება არ მაქვს, რომელიმე საიდუმლო გაგამხილო, თუმცა შემიძლია გიჩვენოთ ნაკლები სტრატეგიული საიდუმლოების შემცველი დოკუმენტები, რომელსაც ხელს აწერენ რიკოკოვი (საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. — ავტ.), გორბაჩოვი... ისინი პირადად ჩემს სახელზე გამოგზავნილი და ყველა მათგანს ვრიფი — Совершенно секретно ადევს.

— თქვენ ბრძანეთ, რომ მონაწილეობთ ერთობლივ პროექტებში სხვა ქვეყნების სპეციალისტებთან. საინტერესოა, რამდენად გენდობიან ისინი — თქვენ ხომ საბჭოთა კავშირის, დასავლეთთან დაპირისპირებული სახელმწიფოს სამხედრო ძალებს ემსახურებოდით.

— როგორც ჩანს, პარტნიორებს ჩემს საიმედოობაში ეჭვი არ ეპარებათ. ურთიერთანამშრომლობის პერიოდში, მეც და ისინიც, შესაბამისი მოთხოვნის საპასუხოდ, საჭირო ინფორმაციას ვაწვდიდით ერთმანეთს. ერთია ჩემი მოსკოვში მუშაობის პერიოდი საბჭოთა წყობის დროს, მეორე — დღევანდელი ურთიერთობა ევროპასთან. ერთი მეორესთან არანაირ კავშირში არ არის და არც შეიძლება, წარსულმა გავლენა იქონიოს ნდობის ფაქტორზე.

— კოსმონავტიკიდან კვლავ სამხედრო მოღვაწეობას დაუბრუნდით. რამ გაიძულათ ამ ნაბიჯის გადადგმა?

— 1975 წლიდან მოყოლებული, ჩემი სამუშაო, მათ შორის ისეთი, როგორიც „პერშინგების“ საწინააღმდეგო კომპლექსისა და რაკეტსაწინააღმდეგო მართვის პულტის საინჟინრო უზრუნველყოფას ემსახურებოდა, სამხედრო-საინჟინრო დარგის განსაკუთრებულ სფეროს განეკუთვნებოდა. ჩემი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა მაიძულებს, მონაწილეობა მივიღო საქართველოს სამხედრო მშენებლობაში. მით უმეტეს, რომ დავალებას თვით საქართველოს უმაღლესი მთავარსარდალი მაძლევს.

— თქვენ პრეზიდენტის გუნდში ხართ, ბევრის აზრით კი, ის უკვე ჩასაძირად განწირულ გემში ზის. მასთან ერთად აპირებთ ჩაძირვას?

— არა, ჩაძირვას არ ვაპირებ. გემთან ერთად, მხოლოდ კაპიტანი იღუპება ხოლმე. მე პრეზიდენტის გუნდში ვარ და არც

მაქვს უფლება, არ ვემორჩილებოდე. მე გენერალი ვარ, ის — მთავარსარდალი. ჩაძირვაში ალბათ პოსტიდან წასვლას გულისხმობთ?

— ასე გამოდის...

— მე ის ადამიანი არ ვარ, პარტიიდან პარტიაში რომ ხტუნაობს და ქაშელეონივით იცვლის ფერს. მორჩა!

— ვინმემ, თქვენი საიდუმლოებებიანად რომ მოგიტაცათ და გამოსასყიდი მოითხოვოს, თუ გადაინდის თანხას პრეზიდენტი თქვენს გამოსასხენლად?

— (იციანის) ვის რაში ვჭირდები ან მე, ან ჩემი საიდუმლოებები? გამოსასყიდ თანხასაც ვერავინ გადაიხდის. მე კი არავითარი სიმდიდრის მფლობელი არ ვარ, ჩემი ინტელექტის გარდა. თუმცა, ყველაფერი მაქვს: რამდენიმე სახლი, მანქანა, აგარაკი წავკისში, ყველანაირი კომფორტი, მაგრამ — У МЕНЯ НЕТ НАЛИЧНЫХ. შარშან 34 ათასი ლარი ავიღე ჩემი სამეცნიერო მოღვაწეობის წყალობით, მაგრამ რად ვინდა? — 14 ათასი იქვე დამიქვითეს, დანარჩენი კი ჩემმა დიდმა ოჯახმა უცებ დახარჯა...

— დიდი ოჯახი გაქვთ?

— მყავს მეუღლე, მანანა ტყემელაშვილი, ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი და 4 შვილი — მარინა, ვიქტორი, გიორგი და ნიკოლოზი.

— როგორ უთავსებთ ერთმანეთს ამდენ საქმეს? ხართ პარლამენტარო, „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილე, სამხედრო-საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტი, წერთ სამეცნიერო ნაშრომებს, მოღვაწეობთ კოსმონავტიკაში...

— ჩემი მოღვაწეობის ყველა სფერო პოლიტიკასთანაა დაკავშირებული: სამხედრო პოლიტიკა, სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკის პრინციპების შემუშავება და საქმიანობა მის განსახორციელებლად... ამრიგად, ვაკეთებ არა ბევრ და სხვადასხვა საქმეს, არამედ ერთ და დიდ საქმეს და

მოსასწრებიც არაფერია.

— მაგრამ სად არის აქ სახელმწიფო პოლიტიკა?

— ჩვენი ბევრი პოლიტიკოსის უბედურება სწორედ ის არის, რომ პოლიტიკოსობა მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკის „კეთება“ და მისი კრიტიკა ჰგონია. არადა, პოლიტიკას სხვადასხვა დონე აქვს: სახელმწიფო, დარგობრივი, პროფესიონალური, ქალაქის, კუთხის, რაიონის და ა.შ. მე მორიდებით, მხოლოდ მესამე საფეხურს ვჯერდები. მერწმუნეთ, ეს ძალზე მშვიდი და უკონკურენტო საფეხურია. უმეტესობასავით მხოლოდ პირველი საფეხურისა და პირველკაცობისთვის არ ვიტყვ კისერს.

— იმდენად დატვირთული ხართ, ალბათ გასართობად ვერც იცლით? დროის ნაკლებობას განიცდით?

— არა, ნაკლებობას მხოლოდ ფულისას განვიციდი. გართობა კი, მხოლოდ სამუშაოსა და სამუშაოს შორის მხიბლავს და არა პირიქით — მუშაობა გართობასა და გართობას შორის.

— ეი. ღვინო, დუდუკი, ქალები — თქვენი ცხოვრების სტილი არ არის?

— მიყვარს კარგი ღვინო, ვენახიც მაქვს და თავადაც, საუკეთესო ღვინოს ვაყენებ. განსაკუთრებით, შავი ღვინით შემიძლია მოვიწონო თავი. კარგ მუსიკასაც სიამოვნებით ვუსმენ და მომხიბლავი მანდილოსნებიც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებენ, მაგრამ გადაჭარბებული არაფერი ვარგა... სხვათა შორის, ყოველი ახალი წიგნის წერას მარშის მოსმენით ვიწყებ ხოლმე. მუშაობის პროცესში ვუსმენ კლასიკურ მუსიკას, დასასრულს კი — კვლავ მარშს. სიამოვნებით ვუსმენ როკ-ენ-როლსაც.

— იქნებ როკ-ენ-როლის ცეკვასაც სიამოვნებით ასრულებთ?..

— (იციანის) არა, სიამოვნებით ვცეკვავ „განდაგანას“ და უნდა გითხრათ, რომ ძალზედ კარგადაც გამოძის...



ალბათ ბევრს უნახავს რუსთაველის გამზირზე მოსეირნე თეთრებში გამონჭობილი, საშუალო ასაკის ქალბატონი — ორიგინალური მაკიაჟითა და თეთრი შლაპით. ეს პირველი ქართველი ფოტოხელოვნის და ცნობილი ხატმწერის — დავით აბაშიძის შვილიშვილი და საფრანგეთში მცხოვრები ქართველი მწერლის, საზოგადო მოღვაწისა და მთარგმნელის, სიმონ აბაშიძის ძმისშვილი — ნელი აბაშიძეა. ქალბატონი ნელი სახალხო სიმფონიურ ორკესტრში ერთ-ერთი საუკეთესო მეცო-სოპრანო იყო. შესრულებული აქვს თამარ დედოფლის არია, ოპერაში „შოთა რუსთაველი“ და ნენოს არია „ლატაფრაში“. ამჟამად ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის თანამშრომელია. „მე მსოფლიო მნიშვნელობის მომღერალი უნდა ვყოფილიყავი, დიდ იმედებს ამყარებდნენ ჩემზე პედაგოგები, მარია კალასს მადარებდნენ...“ — ამბობს ქალბატონი ნელი, რომელიც ბევრი მხატვრის მუზაც ყოფილა და ბევრ მამაკაცსაც ჰყვარებია, მაგრამ ბებუას დაუბარებია მისთვის — გლეხს არ გაჰყვეო...



ბევრი მხატვრისა...



...ახლაც მანერებენ ხოლმე ქუჩაში და მეუბნებიან — დაგხატავთო

„ჩისცოკნაც „ღიღა ბაღჩინას“ ერთ დროს დოქო აბაშიძე იცავდა“

ნათია თენიშვილი

ჩვენ ჭაღელი აბაშიძეები ვართ, საჩხერის რაიონიდან. ჩემი გვარი მეფის შტოა — გიორგი მეხუთედან მოვლივართ. მამაჩემი აკაკი წერეთლის ნათლული იყო, ბაბუა ძირითადად, ქუთაისში მოღვაწეობდა. აკაკი ხშირად ჩადიოდა თურმე მათთან. მამაჩემი მაშინ პატარა იყო, მაგრამ ახსოვდა და მიყვებოდა ხოლმე. აკაკი რომ გარდაიცვალა, გამოსვენებისას სწორედ ბაბუაჩემმა გადაუღო სურათი. ჩვენ აგარ-



აკი გვაქვს სოფელში, ჩემი ძმა რომ ჩავიდა და ნახა — მიტოვებული და გაპარტახებული იყო, მასზე ამან ისე იმოქმედა, გაჟონვა დაემართა. ღმერთს ახლა მხოლოდ იმას ვთხოვ, ის გადაშირჩინოს და კარგად მიმყოფოს.

როგორც ვიცი, თქვენ სამედიცინო ტექნიკუმში გაქვთ დამთავრებული.

— მე ხელოვნებისთვის დავიბადე. მუსიკალური სტუდია „ხუთბუდე“ მაქვს დამთავრებული, იტალიური კლასი მაქვს გავლილი. ძალიან ძლიერი მესტრო იყო გიორგი სინარულიძე და იმასთან ვეზადებოდი ექვსი წელი. ამბობდა — ასეთი ხმა არ მომისმენიაო. ჩემს დას სამედიცინოზე ჩაბარება უნდოდა. 7 წელი აბარებდა და ვერ მოეწყო. 30 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი გულისთვის მეც სამედიცინო ტექნიკუმში დავამთავრე. გამიმართლა. სულ ხომ ვერ იმღერებ?! 10 წელი მე-11 პოლიკლინიკაში ვმუშაობდი, მერე — მე-13-ში. ახლაც, ოპერაში მედიკოსად ვმუშაობ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე მაინც მომღერალი ვარ.

ბევრი მხატვრის მუზაც ყოფილხართ...

— მუზა რა ვიცი, მაგრამ ბევრი მხატვრა. ახლაც მანერებენ ხოლმე ქუჩაში და მეუბნებიან — დაგხატავთო, — მაგრამ ყველას ვერ ვენდობი. ნატუსია ფალავანდიშვილმა დამხატა და დიდი მოწონება ჰქონდა იმ სურათს, ბევრს წერდნენ, აჟიო-

ბებიამ დამიბარა, — გლეხს არ გაჰყვეო და შევესრულე დანაბარები

ტაჟი იყო ატეხილი. უმარ კილაძემაც დამხატა, მერე ჩემი პორტრეტები უცხოეთში წაიღო და იქაც აჟიოტაჟი გამოიწვია — მოეწონათ ძალიან.

ქალბატონო ნელი, თქვენ სულ თეთრი ტანსაცმელი გაცვიათ. რატომ?

— იმიტომ, რომ თავადები ადრე სულ თეთრებში დადიოდნენ. მიყვარს თეთრი, ღვთიური ფერია. საშინელებაა, ქალაქში რომ გაიხედავ და ყვავებივით დადიან, შავებში გამოწყობილები. შავი ფერი აბერებს ადამიანს. პირიქით, მტრის ჯინაზე ჩვენ უნდა გავმაგრდეთ, რომ მტერი არ გავახაროთ.

თავზეც ყოველთვის რაღაც გახურავთ...

— მივეჩვიე, თანაც, სიმართლე რომ გითხრათ, არა მაქვს იმის საშუალება, რომ თმა შევიღებო. ჭალარა არ მიყვარს და ამიტომ, სულ რაღაც მახურავს თავზე. სამკაულებიც ძალიან მიყვარს. ორიგინალური ვიყავი ყოველთვის.

ახლაც ორიგინალური ბრძანდებით. ხალხს რა რეაქცია აქვს, როცა გხედავენ?

— მანერებენ, მელაპარაკებიან. უცხოელებიც ხშირად მანერებენ. ყველას ვამშვიდებ და ვამხნევებ ხოლმე. ძალიან მეცოდებიან ადამიანები — ყველა სევდიანი დადის. მეც სევდიანი ვარ, მაგრამ არ ვიძინე ამას. ბავშვები, უბანში „დეიდა ბაღჩინას“ მეძახიან. ქალები მანერებენ და მეუბნებიან — ყოველთვის ფორმაში ხართო. მამაკაცებიც მეუბნებიან კომპლი-

მენტებს, მაგრამ გაჩერებას ვერ ბედავენ – გოგოშკა ხომ აღარა ვარ უკვე.

— ახალგაზრდობაში ალბათ ბევრი თავყანისმცემელი გყავდათ...

— კარგი გოგო ვიყავი გარეგნობით, აფროდიტეს მეძახდნენ. ახლაც, რუსთაველის თვალს მეძახიან. უამრავი თავყანისმცემელი მყავდა, მაგრამ ვარჩევდი სულ. ერთ წერეთელს ვუყვარდი – სტალინური გამოსვლების დროს მოკლეს... კიდევ იყო ერთი კალათბურთელი – ოთარ სულაბერიძე. ძალიან ვუყვარდი, მაგარი კაცი იყო, მაგრამ არ გავყევი. ქუთაისელი იყო და რა მინდა ქუთაისში-მეთქი?! ამაყი ვიყავი ძალიან, გაზრდილი ვიყავი ასე. ჩემი მცველი დოღო აბაშიძე იყო. დამდევდნენ ბიჭები და ვფიქრობდი: ნეტავ, როდის დავბერდები, რომ აღარ ამეკიდონ-მეთქი... თუ რამე პრობლემა შემექმნებოდა, ვახსენებდი დოღოს სახელს, ბიჭებსაც ეშინოდათ და გარბოდნენ. დოღო ძალიან კარგი ადამიანი და კარგი ვაჟკაცი იყო. ის ჩემზე უფროსი გახლდათ, მაგრამ პატივს მცემდა და მიცავდა ხოლმე.

— ახლა მარტო ცხოვრობთ?

— კი, ახლა მარტო ვცხოვრობ. ძმის თავისი ოჯახი აქვს. მე შვილი არ მყავს. გათხოვილი ვიყავი, მაგრამ გავიყარეთ.

— ვინ იყო თქვენი მუდღე?

— თავადი დედარიანი. ბებიამ დამიბარა, – გლენს არ გაჰყვეო და შევეუსრულე დანაბარები. 1992 წელს გავთხოვდი. 6 წელი ბედნიერად ვიცხოვრეთ.

— მუდღე როგორ გაიცანით?

— ერთმა ნაცნობმა ქალმა გამაცნო. ვეუბნებოდი: გათხოვება რომ მნდომოდა, მაგაზე ადვილი რა იყო-მეთქი?! ჩამაცივდა: ძალიან მინდა, რომ გაიცნო. ოპერაში მომიყვანა. ძალიან იშვიათად მომწონს ადამიანი, რომ შევხედე, მომეწონა – გრეგორი პეკს ჰგავდა ძალიან. შევხედე და ვფიქრე: ეს კაცი ჩემი ქმარი იქნება-მეთქი. ლეწხუშელი იყო, ვალღოდა დევდარიანი.

— ქორწილი გქონდათ?

— ეს ომის პერიოდში იყო. ხალხი შიმშილით იხოცებოდა, სად გვქონდა ამის საშუალება?! ნაცნობმა მღვდელმა დაგვწერა ეკლესიაში ჯვარი – ეს იყო და ეს.

— რატომ გაიყარეთ?

— ძალიან გაგვივიტოდა მატერიალურად. თვითონ მუშაობდა, მაგრამ შეამცირეს, ახალი სამსახურიც ვერ იშოვა. გარდაბანში წავიდა, მაგრამ იქაც არ გამოუვიდა არაფერი. ბევრი რამე გავყიდე. მყავდა ქალი, რომელსაც ვატანდი და მიყიდა ძველებურ რაღაცებს. არ დამაწუხა კისერზე, არ შემაწუხა და წავიდა ბოლნისში, დასთან. ძალიან განვიცადე – კარგი კაცი

იყო, წარმოსადეგი, კარგი თამადა, მაგრამ ალბათ ბედისწერა იყო ასეთი...

— იმის შემდეგ აღარ გინახავთ?

— არა, არ მინახავს. კიდევ ერთ რამეს ვფიქრობ ხოლმე. ჩემზე უმცროს მამაკაცს მოვწონდი, მაგრამ არ ვიკადრე და ცოლად არ გავყევი. მერე მოდიოდა ხოლმე პერიოდულად და მეუბნებოდა: ცოლი არ მიყვარს, შენ მიყვარხარ და გავიპაროთო. ჭკვიანი ქალი ვარ, მაგრამ შევეცი და ეს ჩემს ქმარს ვუაბებ. არ უნდა მეთქვა – შეიძლება, კიდევ იეჭვიანა. მეორე დღეს, ძალიან დიპლომატიურად, წავიდა. არაფერი უთქვამს, ამაყი იყო ძალიან. მეც ამაყი ვარ. რთულია ორი ამაყი ადამიანის ერთად ყოფნა...

— რომ დაბრუნდეს, მიიღებთ?

— მე შესახვეწი არავისთან არაფერი მაქვს, მაგრამ თუ დაბრუნდება, რასაკვირველია, მივიღებ.

— ბევრს დადიხართ. ალბათ სეირნობა გიყვართ?

— მიყვარს რუსთაველზე სეირნობა. ჩვენს დროს, მოდაში იყო. საღამოობით ვსეირნობდით გოგოები. ისე კი არა, ახლა რომ გაუბედურებული ხალხი დადის.

ახლაც, ოპერაში მედიკოსად ვმუშაობ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე მაინც მომღერალი ვარ.



რობერტ სტურუასთან ერთად

ვსეირნობდით და ვხედავდით კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ აბაშიძეს... კარგი იყო მაშინ.

— ახლა მატერიალურად არ გიჭირთ? რითი ცხოვრობთ?

— ძალიან მიჭირს, მაგრამ რა ვქნა? 30 ლარი მაქვს ოპერაში ხელფასი და ეს არის ჩემი შემოსავალი. მეგობარი მყავს ბევრი. თანაც არისტოკრატულად გაზრდილი ქალი ვარ და ბევრი ჭამა არ მიყვარს. გამაქვს თავი ისე, როგორც ყველას.

— თუ მოგსვლიათ რაიმე ისეთი შეცდომა, რასაც ნანობთ?

— უშეცდომო ადამიანი არ არსებობს. შვილი არ მყავს და ეს ცუდია, მაგრამ არ განვიცდი, იმიტომ, რომ ჩემი ძმისშვილები იგივე ჩემი შვილები არიან. რაც შემოიძლია, ვუკეთებ და არ მენანება. ჩემი ძმისშვილის შვილი, ნინო აბაშიძე სწავლობს ნიჭიერთა ათწლეულში, ვოკალურზე. წელს კონსერვატორიაში ჩააბარებს. კარგი ხმა აქვს და მინდა, ეგ მაინც გამოვიდეს დიდი მომღერალი. ბედნიერი ვარ იმით, რომ ძალიან კარგი მშობლები მყავდა, კარგი ძმა მყავს. ერთადერთი, დამ დამწყვიტა გული...

— როგორც ვიცი, ოპერაში ყველა წარმოდგენას ესწრებით.

— ოპერაში სულიერად და მორალურად ვისვენებ. თუ კარგი ხმა აქვს მომღერალს, არ ვუკარგავ – ტაშს ვუკრავ და „ბისს“ და „ბრაგოს“ ვეძახი ხოლმე, სტიმულს ვაძლევ. თუ ხმა არა აქვს, მაშინ არ შემოიძლია – ვერ დავუკრავ ტაშს.

საუბრის ბოლოს, ქალბატონმა ნელიმ მითხრა: „ძალიან მეტრადება დღევანდელი ახალგაზრდობა. ჩემი უბნის ბავშვები დამყავდა ხოლმე ოპერაში. მთაწმინდის ბავშვები მე გავანათლეთ და ვაზიარე ოპერას...“



ბალტიის ზღვის სანაპიროზე მდებარე მემელის მიდამოებში (იმჟამად ასე ერქვა ლიტვის ქალაქ კლაიპედას),

1687 წლის ზამთარში მოსული თოვლი, უეცრად რაღაც კუპრივით შავი, ბოჭკოვანი მასით დაიფარა. სანამ სველი იყო, გაურკვეველ ნივთიერებას, გახრწნილი წყალმცენარეების სუნი ასდიოდა, გაშრობის შემდეგ კი, სუნი ეკარგებოდა და ქაღალდით იხეოდა. ირლანდიის სამეფო აკადემიის „ჩანაწერებში“, რომელიც 1839 წელს გამოქვეყნდა, ნათქვამია: შემორჩენილი ნიმუშის ანალიზით (ანალიზი შემთხვევიდან 150 წლის შემდეგ ჩატარდა) დადგინდა, რომ ეს ნივთიერება ძაფისებრი მწვანე წყალმცენარეების – ჩონფერვა ცრისპატას-ს გახრწნილი მასა იყო. XVII საუკუნეში დაფიქსირებული უცნაური ნალექების კიდევ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ: 1665 წელს ნაუმბურგში (გერმანია) აბრეშუმისმაგვარი ლურჯი ნივთიერება ჩამოცვივდა ციდან; 1685 წელს ნორფოლკის (ინგლისი) ერთ-

uñveulo naleqi cidan

ერთ სოფელში კი წვრილი გომბეშოების წვიმა მოვიდა; 1698 წელს ანდების მცხოვრებთ თავზე ურიცხვი თევზი დაეყარათ...

„ზეციური საჩუქრების“ თაობაზე ერთ-ერთი ყველაზე ძველი გადმოცემა 679 წლის 1 ოქტომბერს იაპონიის ქალაქ ოსაკაში მოხდა, როცა ქალაქის ნაწილი უცნაური, ფუმფულა, ბოჭკოვანი მასით დაიფარა. მსგავსი წვიმა იაპონიაში 1477 წლის 27 სექტემბერის დილის 11-დან 5 საათამდე მოდიოდა. ხალხმა კოსმოსიდან მოსულ უცნაურ ნალექს „ანგელოზის თმა“ უწოდა. თვითმზილველთა თქმით, ცაზე ჯერ რაღაც მანათობელმა ობიექტმა გადაიფრინა, შემდეგ კი „ანგელოზის თმის“ წვიმა წამოვიდა.

1741 წლის 21 სექტემბერს სელბორნში (ინგლისი) წამოსული „ანგელოზის თმის“ დაბურღული ბულებები ძალიან ჩამოჰკავდა ცხვრის მატყლს, რომელიც მიწაზე დაცემის შემდეგ, ლაბისებრ მასად იქცეოდა და ორთქლდებოდა. ბიოლოგების აზრით, „ანგელოზის თმა“ შესაძლოა, ობობის ქსელის დიდი მასა იყო, რომელიც ქარმა ჰაერში აიტაცა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ხომ ქსელთან ერთად ობობებიც უნდა ჩამოცვენილიყვნენ ზეციდან, თუნდაც სხვა ადგილას?! „ობობების წვიმა“ კი არსად დაფიქსირებულა.

1894 წლის აგვისტოში ვატას (ინგლის) მცხოვრებლებმა დაინახეს, რომ წვრილი მელუზები სეტყვასავით ეყრებოდა მათ ქალაქს; 1869 წლის 6



ამბობენ, რომ 1503 წელს ციდან ჯვრები ცვიოდა



ქარბორბალას შორ მანძილზე დიდი ნივთების გადაგანაც შეუძლია

ინისს ქალაქ ჩესტერში (ამერიკის პენსილვანიის შტატი) პაწაწინა ლოკოკინის მსგავსი მოლუსკების წვიმა მოვიდა; მეფისში (ტენესის შტატი) კი 1877 წლის 15 იანვარს თავსხმა წვიმასთან ერთად, ციდან უამრავი მუქი ყავისფერი შეფერილობის გველი ცვიოდა, რომლებიც სავარაუდოა, რომ ქარიშხალმა აიტაცა ზეცაში; 1859 წლის 9 თებერვალს, როცა მაუნთინ-ემში (უელსი) ციდან თევზი ცვიოდა, თვითმზილველმა – ჯონ ლუისმა ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „შეცვბი, როცა ვიგრძენი, თავზე რაღაც მეყრებოდა, კისერზე ხელი მოვისვი და გაკვირვებულმა აღმოვაჩინე, რომ ეს წვრილი თევზი იყო“.

დაფიქსირებულია შემთხვევები, როცა ციდან თბილი ქვები ცვიოდა (ნიუ-ჰემპშირი, 1682; სუმატრა, 1903; კალიფორნია, 1922), შავი კვრცხები (პორტო-

| საუკეთესო მაგყლის მქონე ცხვრის ჯიში | ნოტი | აბრეშუმის თხელი ქსოვილი | წყლიანი ორმო | დაკოდილი ცხენი | ავსტრიის დედაქალაქი | სხეული განისა და კიდურების გარეშე | ბგერის გრაფიკ. გამოსახ. |
|-------------------------------------|---------------|--|---------------------|----------------|--|-----------------------------------|-------------------------|
| ქალაქის თავი | იაპონ. თეატრი | „როგორც ნაწვიმარ ... ვარდი“ გალაკტიონი | თბილისის შემოგარენი | ...ხევსურეთი | დამბეზღებელი, ამბავის მიმგანი აღამიანი | სპორთვან მცენარე | |

uZvelesi Savi magia

პრენსი, ჰაიტი, 1786) და ყინულის დიდი ნატეხები (უნგრეთი, 1802; კანდუიში, ინდოეთი, 1828; შოტლანდია, 1849).

როცა 1841 წელს ტენესის შტატში ციდან სისხლის წვეთები წამოვიდა, რასაც ხორცის ნაჭრებიც მოჰყვა, მიიჩნიეს, რომ ეს, მინდვრებში მომუშავე, უკმაყოფილო მოჯამაგირების ნამოქმედარი იყო. 1876 წელს კენტუკის შტატის მცირე ფართობზე ზეციდან ჩამოცვენილი ხორცის ნაჭრების (ზომით 8-10 კვ.სმ.) თაობაზე კი გადაწყვიტეს, რომ ეს, მტაცებელი ფრინველის კლანჭებიდან გამომსხლტარი ნადავლის ნაწილები იყო.

ჩარლზ ფორტმა, რომელიც უცნაური ფაქტების აღრიცხვა-შეგროვებითა დაინტერესებული, წამოაყენა ფრიად დაუჯერებელი ჰიპოთეზა იმის თაობაზე, რომ ზეცაში ვეებერთელა სარაგოსის ზღვა არსებობს, სადაც „ხომალდები“ დაცურავენ, რომლებიც ხან კარგავენ ტვირთს, ხანაც ნავისაგან თავისუფლდებიან! – სწორედ ისე, როგორც ჩვენი საოკეანო ლაინერები აბინძურებენ ზღვებს. ფორტის ზოგიერთი მიმდევარი კი, „ანგელოზის თმას“ ამო-ს (ამოუცნობ მფრინავ ობიექტს) უკავშირებს და ვარაუდობს, რომ ეს ნივთიერება, შესაძლოა, მფრინავი თევზის ძრავის მუშაობის შედეგად წარმოიშობა. პრობლემა კი ის არის, რომ ამით, ერთ გამოცანას, მეორეს უკავშირებენ, რეალურად კი არაფერი ირკვევა. გარდა ამისა, „ანგელოზის თმა“ ჯერ კიდევ მაშინ დააფიქსირეს, როცა ამო-ს შესახებ არავის არაფერი გაეგონა და არც ენახა იგი.

ყველაზე ხშირად მეცნიერები „უცნაური ნალექების“ წარმოშობას, ხმელეთისა თუ წყალზე გადავლილი ქარბორბალებით ხსნიან. ქარბორბალის სიჩქარე 450 კმ/სთ-ს შეადგენს და აქედან გამომდინარე, უდიდესი ძალა აქვს. მაგალითად, 1877 წლის 4 ივნისს მაუნთ-კარმელში (ილინოისის შტატი), ტორნადო ადგილობრივი ეკლესიის შილი მოგლიჯა, ჰაერში აიტაცა და 30 კილომეტრის მოშორებით მიწაზე დაანარცხა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც წინააღმდეგობას ვაწყდებით: ნუთუ სტიქია იმდენად „გონივრულად“ მოქმედებს, რომ შეუძლია, ერთმანეთისგან გამოარჩოს ტბიდან ატაცებული „ტვირთი“ და წყალმცენარეები, ბაყაყები თუ თევზები სხვადასხვა ადგილას ჩამოყაროს? ასევე გაუგებარია, რატომ ყრის ქარბორბალა „ტვირთს“ ერთსა და იმავე ადგილას: მაგალითად, 1921-22 წლებში ჩიკაგოდან (კალიფორნიის შტატი), ციდან ქვების ცვენის თაობაზე ცხრა თვის მანძილზე იტყობინებოდნენ.

ძველი რომის ეპოქაში ჯადოქრობას საკმაოდ ხშირად მიმართავდნენ. ამის ტიპური მაგალითი აღწერილი აქვს ტაციტუსს თავის „ანალებში“. ეს ამბავი იმპერატორ ტიბერიუსის შვილობილს, გერმანიკუსს სირიაში მოგზაურობისას (19 წ. ჩვ.წ.აღ-ით) შემთხვავ.

გერმანიკუსი მოულოდნელად ავად გახდა. ექვი იმ პროვინციის მმართველზე, გნო კალპურნიუს ლიზანაზე მიიტანეს, რომელიც გერმანიკუსის მოწინააღმდეგე იყო. ანტიოქიაში გერმანიკუსის მდგომარეობა გაუარესდა. მისი ოთახის საგულდაგულად დათვალიერების შემდეგ დადგინდა, რომ იგი


შავი მაგიის მსხვერპლი გახდა. ოთახში ნაპოვნ საეჭვო ნივთებს შორის, ადამიანის ნეშტის ნაწილები, სისხლიანი ნაცარი და ტყვიის წარწერებიანი ფირფიტები აღმოჩნდა, რომელზეც გერმანიკუსის სახელი და წყევლა იყო ამოკაწრული. მოკლე ხანში ტიბერიუსის შვილობილი გარდაიცვალა.

ბერძნებს და რომაელებს სწამდათ, რომ თავიანთ მტრებს ზიანს მიაყენებდნენ წყევლის მეშვეობით. მტრის სახელს ტყვიის ფირფიტებზე კვეთდნენ და მიწაში მარხავდნენ, რათა მათი მოწინააღმდეგე მიწისქვეშა ღმერთების სამფლობელოში მოხვედრილიყვნენ.

ბერძენი და რომელიც ქალები ჯადოსნობისას იყენებდნენ მაგიურ ბორბალს – იუნხ-სს, სწორედ

აქედან მოდის თანამედროვე ინგლისური სიტყვა „ჯინს“, რაც გათვალვას ნიშნავს.

ძველი ჯადოქრობის შესახებ, ძალიან მდიდარი მასალაა დაცული ეგვიპტურ „მაგიურ პაპირუსებში“, რომელიც ჩვ.წ.აღ-ით I საუკუნე



უძველესი წყევლა, რომელიც ტყვიის ფირფიტაზეა გადატანილი

ნითაა დათარიღებული (როცა ეგვიპტე რომის გავლენის ქვეშ მოექცა). ეს ჩანაწერები ეგვიპტელი ქურუმებისა და მაგიების უშუალო ხელმძღვანელობითაა შედგენილი. მასში თავმოყრილია ცნობები ასტროლოგიის შესახებ, წინასწარმეტყველებები, წამლების რეცეპტები, ბერძენთა, რომაელთა, ეგვიპტელთა თუ ებრაელთა ღმერთებისადმი აღვლენილი ლოცვები, სასიყვარულო თუ შურის საძიებელი შელოცვები და წყევლის ნიმუშები.

ნეოპლატონიზმის ეპოქის ფილოსოფოსებიც (ჩვ.წ.აღ-ით III საუკუნე) ხშირად მიმართავდნენ მაგიას. ისინი მედიუმების მეშვეობით კავშირს ამყარებდნენ გარდაცვლილთა სულელებთან.

| ნარკოტიკული ნივთიერება | ყუთი რომელსაც თავი ეხდება | ფაკულტეტის ხელმძღვანელი | ლოგინის აგრიბუგი | შენი ხმალი და ჩემი ... | ... პაჩინო | მოკლესორთუმიანი ცხოველი | |
|------------------------|---------------------------|-------------------------------|------------------|-------------------------|-----------------|-------------------------|---------------|
| ... | მევიოლინე ... პაგანინი | ჭადრაკის საერთაშორ. ფედერაცია | კაცციჭამია | გარეგნული ბრწყინვალეება | მიმართვებისადმი | ქალაქი ყირიმის ოლქში | ადგილი სახეზე |

ფეხბურთის პარსკვლავები მწვრთნელების წინააღმდეგ

ალექსი რეხვიაშვილი

საფეხბურთო-საზაფხულო არდადეგების გასვლასთან ერთად, თანდათან განელდა ფეხბურთის გულშემატკივართა ინტერესი კორეა-იაპონიაში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის ბატალიების მიმართ და მათი ყურადღება ახლანა დაწყებულმა ევროპის წამყვანი ქვეყნების ჩემპიონატებმა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევმა ტურნირმა და უფვას თასისა და ჩემპიონთა ლიგის გათამაშებებმა მიიპყრო. ამ ფონზე ერთგვარად წინა პლანზე წამოიწია უფვას როლმა და თითქოს ჩრდილში მოექცა ფიფა, თუმცა, მსოფლიოს უმთავრესი საფეხბურთო ორგანიზაციის მესვეურებმა, როგორც ჩანს, უფუნქციოდ ყოფნა არ ისურვეს და „ტყუარის ბურთის გარშემო გაერთიანებულ მსოფლიოს“ კიდევ ერთხელ შეახსენეს თავი. კერძოდ, ცოტა ხნის წინ, ფიფამ შესწორება შეიტანა ფეხბურთელთა დისკვალიფიკაციის მარეგულირებელ კანონში: ამიერიდან, ფეხბურთელს, რომელიც წითელ ბარათს მიიღებს და დისკვალიფიცირებული იქნება ერთი მატჩით, აღარ ექნება მსაჯის გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალება. გასაჩივრების უფლებით ის ფეხბურთელი ისარგებლებს, რომლის დისკვალიფიკაციის ვადა ერთ მატჩს აღემატება ან მსაჯის გადაწყვეტილებას სათანადო ინსტანცია მცდარად მიიჩნევს. ამასთანავე, ცვლილებები შეიტანა სატრანსფერო წესებშიც, რომლის თანახმადაც, გუნდებს თავისუფალი აგენტის სტატუსით მყოფ ფეხბურთელებთან ხელშეკრულების გაფორმება წლის არასატრანსფერო პერიოდშიც შეეძლებათ (აღნიშნული კანონი არ ეხება იმ



იოზეფ ბლატერი

ფეხბურთელებს, რომლებსაც უკვე გაფორმებული აქვთ კონტრაქტები). ფიფას პრეზიდენტის, იოზეფ ბლატერის ბრძანებულება ყველა საფეხბურთო ლიგაზე გავრცელდება და ოქტომბრიდანვე შევა ძალაში.

როგორც ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის არის ცნობილი, არგენტინელი ფორვარდი, ერნან კრესპო, მიმდინარე საფეხბურთო სეზონში მილანის „ინტერის“ ღირსებას იცავს და თავისი ახალი გუნდის რიგებში თამაშისას, უკვე მოასწრო კიდევ რამდენიმე უმნიშვნელოვანესი გოლის გატანა (საკმარისია გავისწინოთ „როსენბორგი“-„ინტერისა“

და „ინტერი“-„აიაქსის“ მატჩები ჩემპიონთა ლიგაზე), თუმცა მინც ვერ ივიწყებს თავისი ყოფილი კლუბის, „ლაციოს“ ხელმძღვანელობისაგან მიყენებულ წყენას. „ლაციოს“ პრეზიდენტი, სერჯო კრანოტი მეთოდურად შლის თავის კლუბს. ბოლო წლებში მან ისეთი მოთამაშეების დაკარგვა მოახერხა, როგორებიც არიან: ვიერი, ნედვედი, სალასი და ვერონი. წელს კი, მე და ნესტამაც დავტოვეთ კლუბი“, — განაცხადა კრესპომ, რომელიც რომელიც კლუბის თავკაცს, ფინანსური კრიზისიდან გამოსვლის მიზნით, ძვირად ღირებული ფეხბურთელების გაყიდვაში ადანაშაულებს, თუმცა, თავად კრანოტი მოთამაშეებს სდებს ბრალს. მისი აზრით, „ლაციოს“ დასუსტება, უპირველეს ყოვლისა, ფეხბურთელების სინდისზეა.

რამდენიმე დღის წინ, თავის ყოფილი გუნდის ხელმძღვანელობის კრიტიკით გამოვიდა „ინტერიდან“ „რეალში“ გადასული რონალდოც. კიჭამ მილანელთა არგენტინელი მწვრთნელი, ექტორ რაულ კუკერი სიცრუეში ამხილა და ისიც დასძინა, რომ „ინტერის“ დატოვება ჯერ კიდევ წლებგანდელი მუნდილის დაწყებამდე ჰქონდა გადაწყვეტილი. „კუკერი ცრუობს, როდესაც აცხადებს, რომ მას ჩემთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა. მას შემდეგ, რაც იგი „ინტერში“ მოვიდა, გუნდს ლამაზი თამაში არც ერთხელ აღარ უჩვენებია. ეს გახდა ჩვენი უთანხმოების მიზეზი და სწორედ ამიტომ დავტოვე იტალია“, — აღნიშნა ბრაზილიელმა სუპერფორვარდმა, რომელმაც არც „ინტერის“ პრეზიდენტი, მასიმო მორათი დაივიწყა და ეს უკანასკნელი იმაში დაადანაშაულა, რომ იგი მწვრთნელს მიემხრო და არა



ერნან კრესპო



რონალდო



მარინო ქარაღელი



გუს ჰიდენგი

ფეხბურთელს.

ჟურნალ „გზის“ ავტორის ერთ-ერთ ნომერში მკითხველს ვაუწყებდით, რომ ლისაბონის „სპორტივინგო“ „პარსელონაში“ ბრაზილიელი ფორვარდის, მარიო ჟარდელის გადასვლის საკითხი უკვე თითქმის გადაწყვეტილი იყო და მიმდინარე საფეხბურთო სეზონში იგი კატალონიური კლუბის ლირსებას დაიცავდა, მაგრამ აღნიშნული ტრანსფერი ჩაიშალა, თავად ფეხბურთელი კი, დღემდე მძიმე ფსიქოლოგიურ სტრესში იმყოფება. ცოტა ხნის წინ, ჟარდელი პორტუგალიის დელაქსაჟში დაბრუნდა, მანამდე კი, იგი სამშობლოში იყო ჩასული, სადაც მისი ექიმის, მარსელუ ფეიუს თქმით, კიდევ უფრო გაულერმაველ დაპრესიული მდგომარეობა. ლისაბონის აეროპორტში ჟურნალისტებთან საუბრისას, ბრაზილიელ თავადასწავლულს უცრად წინას-

წორება დაუკარგავს და იმპროვიზებული პრესკონფერენცია შეწყვეტილა. სწორედ ამ ფაქტის გამო, ფეიუს ჟარდელს კიდევ ორი კვირით გაუვრძელა მკურნალობის კურსი. „სპორტივინგის“ ხელმძღვანელობა კი ბრაზილიელი ფორვარდის მდგომარეობის შესახებ კომენტარის გაკეთებისაგან ჯერჯერობით თავს იკავებს.

ცოტა ხნის წინ, ავტოკატასროფაში მოჰყვა „რომას“ ნახევარმცველი, ჯონათან ტეხინა. იგი თავისი თანაგუნდელის, ვენსან კანდელას ავტომობილით, ნაგვის ყუთს შეეჯახა. საბედნიეროდ, სხეულის სერიოზული დაზიანება არ მოუღია და რომში „მოლენასთან“ მატჩში მონაწილეობასაც აპირებდა, მაგრამ ფაბიო კაპელომ მოედანზე მისი გამოყვანა მაინც არ ისურვა. ტეხინასათვის სამწუხაროდ, უსიამოვნებათა ვაკუვი ამით არ დასრულებულა. მას შემდეგ, რაც „რომამ“ მიმდინარე საფეხბურთო სეზონში ზედიზედ მესამედ იწვინა მარცხი (ეს სწორედ „მოლენასთან“ მატჩში მოხდა), კლუბის ტიტოზებმა ფეხბურთელებისთვის „ჭკუის სწავლება“ განიზრახეს და რატომღაც სწორედ ჯონათან ტეხინას დასვით სურდათ ჩანაფიქრის აღსრულება, რაც მათი მხრიდან მეტიმეტად უცნაური გადაწყვეტილება იყო, რადგან რომელითა ნახევარმცველი ძირითადად, სათადარიგო ფეხბურთელთა სკაშიდან ადევნებს ხოლმე თვალს თანაგუნდელთა თამაშს. სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ოცდაათამდე ავგზნებულმა ფანმა, ტეხინას მანქანას ალაყ შემაბრტყა.

ისინი ავტომობილის კაპოტსა და საბარგულს მუშტებს ურტყამდნენ და იგინებოდნენ. ტეხინას ისღა დარჩენოდა, რომ მანქანიდან გადმოსულიყო და გაღიზიანებული გულმემატკიერების დაშოშმინება ეცადა. არავინ იცის, რომელი ნახევარმცველისთვის რა შედეგით დამთავრდებოდა ეს ინციდენტი, საქმეში პოლიცია რომ არ ჩარეულიყო. წესრიგის დამცველებმა ტეხინა კვლავ ავტომობილში ჩასვეს და სასწრაფოდ დაატოვებინეს იქაურობა.

უსიამოვნო ინციდენტის მსხვერპლი აღმოჩნდა „პსვე ეინდჰოვენის“ მთავარი მწვრთნელი, წლევეანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ტრიუმფატორი, გუს ჰიდენგი. ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურში, „პსვე“-„არსენალის“ მატჩის წინ, კორეის ეროვნული ნაკრების ყოფილმა თავკაცმა მიიღო წერილი, რომელშიც მას ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ, იმ შემთხვევაში, თუ „პსვე“ ისევ წარმატებულად აისპარეზებდა, როგორც ეს წლევეანდელ მუნდიალზე კორეელებმა შეძლეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით, სხვა გარემოებები ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუმცა სახელგანთქმულ პოლანდიელ მწვრთნელს შშივიდად ცხოვრების საფუძველი აქვს, რადგან მისმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგაზე ასპარეზობა ძალზედ წარუმატებლად დაიწყო („ეინდჰოვენმა“ პირველი მატჩი „ოსერთან“ ფრედ – 0:0 დაამთავრა, მეორე შეხვედრაში კი, „არსენალთან“, დიდი ანგარიშით დამარცხდა).

აგასი პატივმასხვტმას თავისი უაქიშვილის თმაგე სწავლტმს

ანდრე აგასიმ განაცხადა, რომ იგი თავის მეუღლესთან, შტეფი გრაფთან ერთად, მეორე შვილის ყოლას ჯერ არ აპირებს, რის მიზეზადაც იმას ასახელებს, რომ ჯერ რეივანად პირველ შვილთან ჯეიდენთანაც არ უთამაშია. ჩოგბურთის ვარსკვლავი ამჟამად ერთი უცნაური ექსპერიმენტით ყოფილა დაკავებული: ანდრეს ძალიან სურს, რომ თავისი ერთი წლის ვაჟიშვილი გარეგნულად დაემსგავსოს. „თმის საპარსი მანქანით მას სხვადასხვაგვარ ვარცხნილობას უუწყებდი, თუმცა, არც ერთი არ მომეწონა და მთლიანად გადავპარსე. ამჟამად ის უფრო თავმოტვლებილა, ვიდრე მე“, – სიცილით განაცხადა ანდრემ, რომელიც ახლობელთა და ჟურნალისტთა თქმით, ხშირად თავადაც ბავშვით იქცევა. აგასის ძალიან მოსწონს მამობა, მაგრამ მეორე შვილის ყოლისათვის ჯერ კიდევ არ არის მზად, თუნდაც იმიტომ, რომ მოუცლელობის გამო, შტეფისაც ძალზედ იშვიათად ხედავს ხოლმე. „რა თქმა უნდა, ადრე თუ გვიან, ჩვენ მეორე შვილიც გვეყოლება, მაგრამ ჯერჯერობით, ამისათვის მზად არა ვართ“, – აღნიშნა აგასიმ.




პტილიციულმს დევიდ ეკლფჰატიცი უბ გადაუტიჩა

„ფორმულა-1“-ის საქვეყნოდ ცნობილი მრბოლელის სახელმა ვერ იხსნა ერთ-ერთი შოტლანდიელი ავტომოყვარული, რომელიც გლახგოსაკენ მიმავალ გზაზე, სიჩქარის გადაჭარბებისათვის გააჩერა პოლიციელმა. როდესაც წესრიგის დამცველმა დააკაბული მძღოლის პირადობის დამადასტურებელი საბუთები შეამოწმა, აღმოაჩინა, რომ მის წინაშე McLaren-ის ცნობილი პილოტის – დევიდ კულტჰარდის სენია იდგა. „მე საგანგებოდ გავუმახვილე ყურადღება ჩემს გვარ-სახელზე, მაგრამ ამან არ მიშველა, ის ტიპური პოლიციელი აღმოჩნდა, რომელსაც ჩვეულებრივ იუმორის გრძნობა არ გააჩნია. მან ისე გამომიწერა საჯარიმო ქვითარი, რომ თვალის არ დაუხამსამებია“, – გულდაწყვეტილმა განაცხადა დევიდ კულტჰარდ-მეორემ, რომელიც, სხვათა შორის, თავისი სახელოვანი მოსახელის მსგავსად, ავტომრბოლელია და იმ რანგის შეჯიბრებებში, რომელშიც მონაწილეობს, ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტადაცაა მიჩნეული. „როდესაც პროგრამაში მაყურებლები ჩემს სახელს კითხულობენ, – ამბობს კულტჰარდ-მეორე, – ისინი მამინვე ჩემს სანახავად მორბიან, რათა დარწმუნდნენ, რომ მართლაც ის ვარ, მაგრამ ჩემი ნახვის შემდეგ, იმდგაცრეუბულნი რჩებიან“.



ექიმი, რომელმაც 215 ადამიანი მოაკვდინა

ჰაროლდ ფრედერიკ
შიპმანი ინგლისის ქალაქ
ჰაიდის სამი ათასამდე
პაციენტის სათაყვანებელი
ექიმი იყო. მას მოფერებით
ფრედს ეძახდნენ...




ექსპუმაციის
პროცესი

1998 წლის 7 სექტემბერს კი 53 წლის შიპმანი დააპატიმრეს. 13 თვის შემდეგ გაასამართლეს და 15-ჯერ მოუსაჯეს საშუალო პატიმრობა 15 პაციენტის მკვლელობისათვის, თუმცა კაცი, რომელიც მშვიდად ისმენდა მოსამართლის ვერდიქტს, გაცილებით მეტი მკვლელობის საიღუმლოს მალავდა. სასჯელის გამოტანიდან ცოტა ხნის შემდეგ, შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც ექიმის საქმის გამოძიებას განაგრძობდა. დასასრულს, კომისიის თავმჯდომარემ ვენეტ სმიტმა 2000-გვერდიანი მოხსენება გამოაქვეყნა, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი, თუ როგორ მოაკვდინა შიპმანმა 215 ხანში შესული პაციენტი, მაგრამ კითხვა – რატომ? – დღემდე უპასუხოდ რჩება. თავად ექიმს არც აღიარება და არც განმარტება ამის თაობაზე გამოძიებისათვის არ მიუცია. მისმა მეუღლემ პრიმროუზმა აღნიშნა, რომ ერთად გატარებული 36 წლის მანძილზე, ქმრის ქცევაში უცნაური არაფერი შეუნიშნავს. ეს გარემოება კრიმინოგენულ სურათს კიდევ უფრო ამძიმებს, რადგან წარმოუდგენელია – როგორ ახერხებდა ფრედერიკ შიპმანი ერთდროულად ჩვეულებრივი ცხოვრებითაც ეცხოვრა და ამდენი ბოროტმოქმედუბაც ჩაედინა.

საქმეში გამოჩენილი ფსიქოპათიისა და ფსიქოკრიმინოლოგიის დიდი რაოდენობა ჩაერთო, რათა ამ შემთხვევისათვის ახსნა მოეძებნათ. ექიმი არ კლავდა პაციენტებს ფულისთვის. ის არც სადისტო იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომლისთვისაც მსხვერპლის წამება პათოლოგიურ მოთხოვნილებას წარმოადგენს. გამორიცხულია სექსუალური მოტივაციაც. შიპმანს პაციენტისთვის შეჰყავდა დამაბრუნებელი დიდი დოზა და ამგვარად საშუალოდ აძინებდა – ისე, რომ ის არც ტანჯვას განიცდიდა და არც ტკივილს გრძობდა... ერთადერთი ვერსია, რაც ექსპერტებმა წამოაყენეს, ის არის, რომ თავის დროზე შიპმანს ფსიქოლოგიური ტრავმა ჰქონდა მიღებული დედის გარდაცვალების გამო. ფრედის დედა, რომელიც კბოთი იყო დაავადებული, საშინელი ტანჯვით გარდაიცვალა 43 წლის ასაკში. ექსპერტთა ვარაუდით, სწორედ ამას ვერ ივიწყებდა ფრედერიკ შიპმანი და როცა ექიმი გახდა, პაციენტებს ყოველდღიური, უმნიშვნელო ჩვილების გამოც კი, ამიტომ კლავდა. ვერა შიპმანის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ, მისი შვილი ფრედი ქალაქ ლიდისის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. სასწავლებელში მას გულჩათხრობილ

და ძალზე შრომისმოყვარე სტუდენტად იხსენებენ, რომელიც სახელმწიფოს მიერ დაწესებული მოკრძალებული სტიპენდიით ირჩენდა თავს. სწორედ სწავლის დროს, ავტობუსით მგზავრობისას გაიცნო ფრედმა მომავალი მეუღლე. პრიმროუზი მხოლოდ 17 წლის იყო, როცა პირველი შვილი შეეძინათ. ოჯახს უჭირდა და ფრედი მიზანმიმართულად ეუფლებოდა პროფესიას. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ის თოდმორდენის პოლიკლინიკაში მოეწყო სამუშაოდ. საქმე კარგად აეწყო, შიპმანმა კვალიფიციური და მონდომებული ახალგაზრდა ექიმის სახელი დაიმკვიდრა და ოჯახიც წელში გაიმართა. მაგრამ თოდმორდენში მისი მოღვაწეობა უცერად ცუდად დამთავრდა: 1975 წელს, პოლიკლინიკაში აღმოაჩინეს, რომ ექიმი პაციენტებს ოპიუმის ბაზაზე დამზადებული სამედიცინო პრეპარატების დიდ რაოდენობას უწერდა. შიპმანი ამოიხიდა და აღიარა, რომ აღნიშნული პრეპარატები არც ერთ ავადმყოფამდე არ მისულა. დაკითხვისას შიპმანი გამოტყდა, რომ თავად მოიხმარდა ამ პრეპარატებს. საქმეში პოლიცია ჩაერთო, ფრედ შიპმანი სამსახურიდან დაითხოვეს და სამი თვით სპეციალურ კლინიკაში სამკურნალოდ გაამწესეს. კურსის დასრულების შემდეგ, მან პირობა დადო, რომ აღარასოდეს გაეკარებოდა ნარკოტიკულ ნივთიერებას. ამ ინციდენტის მიუხედავად, მას მედიცინაში მუშაობის უფლება არ ჩამოერთვა, მაგრამ სასამართლომ უზარმაზარი ჯარიმის გადახდა დააკისრა – სახიფათო მედიკამენტების რეცეპტების ბლანკების ფალსიფიკირებისათვის. თითქმის გაკოტრებული ოჯახი ბინის გაყიდვის შემდეგ, ქალაქ ლონკასტერში გადავიდა საცხოვრებლად. მის ღუხჭირთა ყოფას 1977 წელს დაესვა წერტილი. შიპმანს ქ. ჰაიდის დიდ კლინიკაში შესთავაზეს სამსახური. წარსულში ტოქსიკომანიასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ ესაუბრა კოლეგებს და ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, მიეცა მისთვის შანსი და ექსი თვით აიყვანა სამუშაოდ. შიპმანი ჩვეული სიბეჯითით შეუდგა საქმეს. ექიმები მოხიბლულები იყვნენ მისი შრომისმოყვარეობით, პროფესიონალური



ახალგაზრდა
ექიმი შიპმანი,
1961 წ.



„მაღლიერი“ პაციენტები

მომზადებითა და ადამიანური თვისებებით, რომელსაც ის ავადმყოფებისადმი იჩენდა. შრომა მალე დაუფასდა. მისი პაციენტების სია მოკლე ხანში შთაბეჭდავად გაიზარდა და 2.000-ს გადასცდა. დაპატიმრების მომენტისთვის კი ჰაილს უკვე 3.000 პაციენტი ჰყავდა. მასთან მოხვედრის ბევრი მსურველი კი ამაოდ ირჯებოდა.

წლების მანძილზე ფრედ შიპმანი სულ უფრო მეტ წარმატებას აღწევდა და კოლეგებმა ნელ-ნელა მასში მომხდარი ცვლილებებიც შეამჩნიეს. ბევრს მან ქედმაღლურად დაუწყო მოპყრობა, როგორც კი საშუალება მიეცემოდა, ამცირებდა კიდევ და თავისი უპირატესობის ღემონისტრირებას ახდენდა...

1992 წელს, შიპმანმა საკუთარი სამედიცინო კაბინეტის შექმნა გადაწყვიტა, მისი დასამტკიცებლად, რომ მას მარტოს უკეთ შეეძლო საქმისათვის თავის გართმევა. მან დატოვა ჰაილის კლინიკა, საიდანაც საკმაოდ მოზრდილი თანხაც მიითვისა, მაგრამ კოლეგებს არც კი უცდიათ მისთვის სასამართლოში ჩივლათ: ფრედ შიპმანს იმდენად უნაკლო რეპუტაცია ჰქონდა, რომ ამაოდ გაირჯებოდნენ.

პირველი, ვინც ეჭვი შეიტანა შიპმანში, ტაქსის მძღოლი ჯონ შოუ აღმოჩნდა, რომელიც ხშირად ემსახურებოდა იმ რაიონის ხნიერ ადამიანებს. შოუმ შეამჩნია, რომ კლიენტები შემამოფოთებელი სისწრაფით – საშუალოდ, სამ კვირაში თითო – იხიციებოდნენ. დაეჭვებულმა შოუმ გადაწყვიტა გარდაცვლილთა სია შეედგინა და აღმოაჩინა, რომ ყველანი, ექიმ შიპმანის პაციენტები იყვნენ. ჰაილის გარკვეული ნაწილი შიპმანს მოიცვა ჯონ შოუს აღმოჩენის გამო. გარდაცვლილთა ახლობლები დღესაც ადასტურებენ, რომ გარკვეული ეჭვი ნამდვილად ჰქონდათ, მაგრამ იმის შიშით, რომ მათი ბრალდება პატივცემული ექიმის მიმართ მცდარი არ აღმოჩენილიყო, გაჩუმებას არჩევდნენ.

38 წლის ექიმი ლინდა რეინოლდსი პირველი იყო, ვინც ხელმძღვანელობას მიმართა იმის მიუხედავად, რომ იცოდა, – შესაძლოა, მის წინააღმდეგ ცილისწამების ბრალდებით სასამართლო პროცესი დაწყებულიყო. რე-



შიპმანის ცოლ-შვილი – პრიმროუმი და კრისტოფერი

ინოლდსი იმავე პროფილის ექიმი იყო, რისაც ფრედ შიპმანი და 1997 წელს ყურადღება მიაქცია კოლეგის გარდაცვლილ კლიენტთა სიმრავლეს. 1998 წლის 24 მარტს, მას შემდეგ, რაც მან ვერავითარი ლოგიკური ახსნა ვერ მოუძებნა ამ გარემოებას, ლინდამ განგაში ატეხა, რასაც გამოძიების დაწყება მოჰყვა. სამართალდამცავები იმდენად იყვნენ დაბრმავებულნი ექიმ შიპმანის რეპუტაციით, რომ არც კი უფიქრიათ მისი დაკითხვა. ისინი არც მისი წარსულით დაინტერესებულან და, ცხადია, მათთვის უცნობი დარჩა ექიმის მიერ წარსულში ჩადენილი სიყალბე. გამოძიება ოთხ კვირაში დათავრდა და ექიმს საშუალება მიეცა, გაეგრძელებინა მკვლევართა სერია.

1998 წლის 24 ივნისს, 81 წლის ასაკში გარდაიცვალა შიპმანის ერთ-ერთი პაციენტი ქეთლინ გრუნდი. მისი გარდაცვალების სერტიფიკატში ექიმმა შიპმანმა სიკვდილის მიზეზად ავადმყოფის ხანდაზმულობა დაასახელა. ერთი კვირის შემდეგ გახსნეს გრუნდის ანდრედი, რომლის მიხედვითაც ექიმი ფრედი მის ერთადერთ მემკვიდრედ იყო გამოცხადებული. გაუგებარი მიზეზების გამო, ეს ლოკუმენტი, რომელიც ქალბატონის გარდაცვალებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე იყო დაწერილი, ფოსტის გავლით ოურიდულ კანტორაში მოხვდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გარდაცვლილი არასოდეს ყოფილა ამ კანტორის კლიენტი. შიპმანის საგალალოდ, ქეთლინ გრუნდის ქალიშვილი ნოტარუსი აღმოჩნდა და, რაც მთავარია, გაცილებით ადრე შედგენილი ანდრედი წარმოადგინა, სადაც ექიმის ხსენებაც კი არ იყო. ამ ორი განსხვავებული დოკუმენტის შედარებამ ცხადყო, რომ ფრედ შიპმანის სასარგებლოდ წარმოდგენილი ანდრედი სხვა არაფერი იყო, თუ არა აშკარა სიყალბე. მალე ექიმის წინააღმდეგ შეტანილ იქნა საჩივარი დოკუმენტის გაყალბებისა და მკვლელობის ბრალდებით. პოლიციამ გადაწყვიტა, ქეთლინ გრუნდის გვამისათვის ექსპერტიზა ჩატარებინა. 1998 წლის 2 სექტემბერს, მანქანისტირის პოლიციის ლაბორატორიამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ქეთლინ გრუნდი მოკვლილი იქნა დაამორფი-

ნის დიდი ღირის შეყვანით, რაც მის სამკურნალოდ საჭირო არ იყო. ამგვარად, პოლიციას ექიმ შიპმანის დანაშაულის უტყუარი სამხელი გაუჩნდა და მაინც, ფრედის პაციენტები განავრძობდნენ მასთან მკურნალობას და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ექიმი შურიანი კონკურენტების მსხვერპლი გახდა. თუმცა, დაკავებისას მას არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია, დაკითხვის დროს კი ცინიკურად პასუხობდა და ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ გარდაცვლილი მოხუცი ტოქსიკომანი იყო და სწორედ ამის გამო დაიღუპა.

მაგრამ საქმე არაერთი ახალი სამხილით ივსებოდა. პოლიციამ სხვა გარდაცვლილი პაციენტების გვამებიც ამოთხარა და საგულდაგულო ექსპერტიზა ჩატარა. აღმოჩნდა, რომ ყველანი დაამორფინის გადამეტებული დოზით იყვნენ დაღუპულნი. ამოტივტივდა ინფორმაცია მისი წარსულის შესახებაც. გამოძიებამ ისიც დაადგინა, რომ შიპმანის მკვლელობები წინასწარ განზრახული იყო, რადგან ექსპერტიზამ აღმოაჩინა, რომ მოქმედების დაწყებამდე, იგი თავისი მსხვერპლის ავადმყოფობის ანკეტაში არსებულ მონაცემებს ცვლიდა, რათა საშიშროების შემთხვევაში აქსნსა პაციენტის მოულოდნელი გარდაცვალება.

ჰერალდ ფრედერიკ შიპმანის სასამართლო პროცესი 1999 წლის ოქტომბერში დაიწყო. დასმულ შეკითხვებს 53 წლის ექიმი დუმილით პასუხობდა და უბრალოდ ამსწრესავით ადევნებდა თვალყურს სასამართლოს მიმდინარეობას.

ამჟამად ექიმი შიპმანი ინგლისის ჩრდილოეთით მდებარე ფრენკლენდის ციხეში იხდის სასჯელს, სადაც დაასრულებს კიდევ სიცოცხლეს. სასამართლოზე, რომელიც 57 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდმა სერიულმა მკვლელმა ერთადერთი რამ აღიარა: ქეთლინ გრუნდის ანდრედი იმიტომ გავაყალბე, რომ პოლიცია კვალზე დამეყვებინა და წერტილი დაესვა ჩემი საქმიანობისთვის... მაგრამ მას არ გაუცია პასუხი შეკითხვაზე: რატომ კლავდა თავის პაციენტებს და რატომ დაკარგა მკვლელობის სურვილი?

შოგონა მხოლოდ 20 წლისაა, მაგრამ უკვე მოასწრო მონაწილეობა სუპერპიტად ქცეულ ფილმში – Swimfan. ეს სურათი აშშ-ში საუკეთესო ფილმად აღიარეს, მასში მთავარი როლის შემსრულებელმა კი კინოსტუდიის ბოსების ყურადღება მიიპყრო. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერიკა კრისტენსენი ჰოლივუდში ახალბედა ნამდვილად არ არის. თეატრში მას შესრულებული აქვს რამდენიმე როლი, მონაწილეობდა მიუზიკლებშიც (შესანიშნავი მოცეკვავეა), გადაღებულია მაიკლ ჯექსონის კლიპში – Childhood, თამაშობდა ისეთ ცნობილ ტელეესერიალებში, როგორებიცაა: „ფრეიზერი“, „შვის სისტემის მესამე



ერიკა კრისტენსენი

**მოგაპალი
სუპერპიტად ქცევა**

პლანეტა“, „ანგელოზის შეხება“, „პრაქტიკა“, „ნურაფრის გემინია“. ამის შემდეგ, მაიკლ ლუგლასის გმირის ქალიშვილის როლი შეასრულა ოსკაროსან ფილმში – „ტრაფიკი“. სულ მალე კი, ეკრანებზე გამოვა კომედია The Banger Sisters, სადაც მისი პარტნიორები გოლდი ჰოუნი და სიუზენ სარანდონი იქნებიან. „ეს თამაშობდა. მე რამდენიმე წინა-

ობა უნდა გადავლახო და რამდენიმე მიზანს ერთდროულად მივაღწიო. ჩემ მიერ გადაღებული ყოველი ნაბიჯი ნამდვილ სიამოვნებას მგვრის“, – ამბობს ერიკა.

კრიტიკოსები ახალგაზრდა მსახიობს ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებენ. თავად ერიკა კი საკუთარ წარმატებას საკმაოდ მშვიდად ხვდება: „სასიამოვნოა, როცა ქუჩაში გცნობენ, კრიტიკოსები კი გადიარებენ. ასეთი კეთილგანწყობის შემდეგ, თავს ვალდებული ვარ მიიჩნევ, რომ ბევრი იმუშაო საკუთარ თავზე, რათა მოლოდინი არავის გაუცრუო. წარმატება ნარკოტიკითაა. ამჟამად ბენიფიკარებისაგან მეცხრე ცაზე დაფრინავ. ძალიან სასიხარულოა, როცა ცხოვრებაში ყველაფერი ისე გამოგდის, როგორც ჩაიფიქრე“.

კრისტენსენი გულწრფელად აღიარებს, რომ ჰოლივუდში სერიოზული გეგმები აქვს: მას სურს, მორე უჯულია რობერტსი გახდეს.

„ვცდილობ, სხვა რამეებზე არ გადავერთო და მთელი ყურადღება ჩემს სამუშაოს დავუთმო, – ამბობს მსახიობი. – რაღა თქმა უნდა, უნაკლო არც მე ვარ და რასაც ჩემში უარყოფითს ვამჩნევ, მსურს, გამოვასწორო; მაგრამ თუ ამას ვერ შევძლებ, რაც დადებითი მაქვს, იმით დავკმაყოფილდები. ხშირად, ამა თუ იმ საქმეს სახვალად გადავვხეხავ ხოლმე, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ეს საკმაოდ ცუდად მახასიათებს“.

ამჟამად ერიკას იღებენ ახალგაზრდულ თრილერში – The Perfect Score, რომელიც გაისად გამოვა ეკრანებზე. არავინ იცის, რა იქნება მომავალში, მაგრამ დღესდღეობით ფაქტია, რომ ჰოლივუდის ყველაზე ცნობილი რეჟისორები ერთმანეთს ეცილებიან თავიანთ ფილმებში გოგონას გადასაღებად.



მუსიკოს ქალთა რეიტინგი

აშშ-ის მუსიკალურ არხზე – VH1-ზე ჩატარებულმა სარეიტინგო გამოკითხვამ, რომელშიც 750000-მა მაყურებელმა მიიღო მონაწილეობა, ცხადყო, რომ მადონას კვლავ ლიდერობს – მას გამოკითხულთა 17%-მა მისცა ხმა. ეს სუფთა გამარჯვება იყო. მსოფლიოში მადონას სიმღერების ჩანაწერებით, 140 მლნ დისკია გაყიდული, ჩარტებში კი, ყოველთვის საპატიო ადგილს იკავებს.

რეიტინგის მიხედვით მეორე ადგილზეა კაილი მინოუგი, მესამეზე – სელინ ლიონი. მათ მიჰყვებიან უიტნი ჰიუსტონი და არეტა ფრანკლინი. არხის მიერ შედგენილმა სიამ მკითხველს რამდენიმე სიურპრიზიც შესთავაზა: მასში ვერ მოხვდა „ჯაზის პირველი ლედი“ – ელა

ფიტცჯერალდი, სამაგიეროდ, მუსიკალური სამყაროსათვის საკმაოდ საეჭვო პერსონა – იოკო ონოა (თუმცა, მხოლოდ 99-ე ადგილი დაიკავა).



თანამედროვე მუსიკისათვის გაწეული დედალი არც Bananarama-ს „მოხუცებს“ (95-ე ადგილი) და არც კეიტ უაილდს (70-ე ადგილი) დაუკარგავთ.

ჯგუფ Spice Girls-ის გოგონები 44-ე ადგილზე გავიდნენ, ორი მათგანი (სოლო კარიერა) ოდნავ ქვემოთ მოხვდა: მელ სიმ 58-ე ადგილი დაიკავა, ჯერი ჰოლიუელმა – 62-ე. დანარჩენები: მელ ბი, ემა ბანტონი და ვიქტორია ბექჰემი სიაში საერთოდ ვერ შევიდნენ.

საერთოდ, რეიტინგში თანამედროვე მომღერლების სიმრავლე შეინიშნება. ბრიტნი სპირსმა საკმაოდ საპატიო – მე-9 ადგილი დაიკავა, ჯენიფერ ლოპესმა – მე-17, პინკმა – 27-ე.

სიაში უამრავი ისეთი მომღერალიც შევიდა, რომლის სახელიც ამერიკის ფარგლებს გარეთ, კარგა ხანია, დავიწყებას მიეცა.

ჭელოენა ბონემ ყაზრცეროი:

ანაპითსერიწანსული! მოგაჰვადი!

7 როხელ, რვა წლის ჰელენა მშობლებმა ლონდონის ზოოპარკში წაიყვანეს. სეირნობისას გოგონამ თვალი მოჰკრა ფოტოგრაფს, რომელსაც პატარა, გაწვრთნილი მაიმუნი ჰყავდა. ორი გირვანქის საფასურად, იგი მსურველებს მხარზე შემოსულ მაიმუნთან ერთად, სურათის გადაღებას სთავაზობდა. რაღა თქმა უნდა, პატარა ჰელენამ სურათის გადაღება მოისურვა და მშობლებსაც არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ფოტოგრაფმა მაიმუნი გოგონას მხარზე შემოუსკუპა და ის-ის იყო, სურათი უნდა გადაეღო, რომ მაიმუნი მკვეთრად შეტრიალდა და ბასრი კბილებით ჰელენას ყურს ჩააფრინდა. გოგონამ ტკივილისაგან ხმაძაღლა შეჰყვირა და სისხლმაც იფეთქა. ყველაზე ადრე ფოტოგრაფი-მწვრთნელი მოეგო გონს, მან იაზრა, რომ მაკაკას ბავშვისთვის შეიძლება ყური მოეჭამა, ამიტომ მაიმუნს ხერხემალში ორჯერ ისე ძლიერად ჩაარტყა, რომ მან სიმწრისაგან მსხვერპლს პირი უშვა, ფოტოგრაფმა კი ძირს დაანარცხა ვერაგი ცხოველი. ჰელენა უახლოეს საავადმყოფოში გააქანეს. შეიღსათიანი ოპერაციის შედეგად, გოგონას ყური შეუნარჩუნეს, მაგრამ შეხორცების შემდეგ, შესამჩნევი ნაიარევი დარჩა.

დროთა განმავლობაში, ზოოპარკში გასეირნებისას მომხდარი ეს სავალალო ამბავი გაფრთხილებული და ბავშვობის დროინდელ უსიამოვნო მოგონებად იქცა. დარჩა მხოლოდ შიში იმისა, რომ ნაიარევის გამო, ჰელენა თავის სანუკვარ ოცნებას ვედარასოდეს აისრულებდა — მას ხომ უკვე დიდი ხანია, გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ცნობილი მსახიობი გამხდარიყო.

ჰელენა ბონემ კარტერი ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი გვარის წარმომადგენელია. მისი დიდი ბაბუა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გახლდათ, დეიდა კი ბარონესა ჰყავს. კარტერის დიდებული წარმომავლობით წინასწარ იყო განსაზღვრული მისი მომავალი, ამი-



ტომ ჰელენას ძალიან ეშინოდა თავისი სანუკვარი მიზნის ვინმესთვის გამხელის. მას ძალზედ ადრეულ ასაკში გაუჩნდა ლტოლვა თეატრისა და კინოს სამყაროსაკენ, მაგრამ გოგონას გარეგნული ნაკლი და არისტოკრატიული წარმოშობა ბოჭავდა. ჰელენა თავისი გულისნადების გამჟღავნებისგან თავს იმიტომაც იკავებდა, რომ არაერთხელ ჰქონდა მოსმენილი მსახიობების ცხოვრების სტილთან დაკავშირებით, მამის მიერ გამოთქმული უცერემონიო გამონათქვამები. მის გარშემო არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, გოგონა ფიქრობდა, რომ ოცნება არასოდეს აუსრულდებოდა.

თუმცა, ბედი სხვა რამეს უმზადებდა. თოთხმეტი წლის ჰელენა გახეთში გამოქვეყნებულ განცხადებას წააწყდა: სამოდელი სააგენტო სარეკლამო რეოლში მონაწილეობის მისაღებად მისი ასაკის გოგონებს იწვევდა. ჰელენამ გადაწყვიტა, რომ ბედი ეცადა; სამოდელი სააგენტოს შენობამდე კი მივიდა, მაგრამ გამბედაობამ უღალატა და შეიგნით შესვლა გადაიფიქრა. შემთხვევითობამ უდიდესი როლი შეასრულა მის ცხოვრებაში: მორცხვმა გოგონამ



სააგენტოდან გამოსული, მუქ კოსტიუმში გამოწყობილი მაღალი მამაკაცის ყურადღება მიიპყრო, რომელიც ტელევიზიის „მეოთხე არხის“ რეჟისორი აღმოჩნდა. კაცმა ჰელენას საკუთარი სავიზიტო ბარათი შეაჩენა ხელში, თქვენნაირი ტიპაჟი მჭირდებაო, — დასძინა და გასაუბრებაზე მეორე დღისთვის დაიბარა.


სააგენტოში მისული ჰელენა პირველად მოხვდა კინოკამერების, გრიმისა და დეკორაციების სამყაროში. მღელვარებისგან დაბნეულ გოგონას სამეჯლისო კაბა ჩააცვეს, თმა დაუხვიეს, გრიმი გაუკეთეს და კამერის წინ დააყენეს. ეს ყველაფერი მისთვის ჯვალქობას ჰგავდა, ახალგაზრდა მომცხვარ მსახიობს ალტაცებისგან თავბრუ ეხვეოდა. დებიუტი შედეგად: ის საპნის სარეკლამო რეოლში გადაიღეს.

ერთი კვირის შემდეგ, რეკლამა ტელევიზიის ყველა არხზე გადიოდა. ბუნებრივია, იგი ჰელენას დედამაც ნახა, მაგრამ ამას არანაირი სკანდალი არ მოჰყოლია. უკმაყოფილო მამას დედამ შეასხენა, რომ მისი ბიძაშვილი — ენტონი ასკვიტიც კინორეჟისორი იყო; ამდენად, მისი თქმით, გოგონა უბრალოდ ოჯახურ ტრადიციას აგრძელებდა... ასე მი-

ნომის ტელეფონი კონსულტაცია ინტიმი (18 წლიდან)

822 009 005

„მათი“ „ველისელი“
 „მეგაკიმი“ — 0,70 ლ.
 თბილისი — 0,45 ლ.
 რაიონები — 0,65 ლ.



ილო ჰელენამ მშობლების კურთხევა. ერთი თვის შემდეგ კი, Arisen-ის კინოსტუდიიდან დარეკეს და ჰელენას მთავარი როლი შესთავაზეს ფილმში – „ლედი ჯეინი“. მაშინ ის თხუთმეტი წლის იყო.

„ლედი ჯეინის“ როლმა მას უდიდესი წარმატება და პოპულარობა მოუტანა, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: ამ სახემ მრავალი წლით (13 წელი) განსაზღვრა მსახიობის ამპლუა. ჰელენას აქტიურად იწვევდნენ ახალ-ახალ სურათებში; გადაიღეს ფილმები: „ოთახი ხელით“, „ჰოვარდ ენდი“, „მერი შელის ფრანკენშტაინი“, „მეტრედის ფრთა“ და მიუხედავად იმისა, რომ ეს პერსონაჟები აბსოლუტურად განსხვავებული ხასია-

თისანი იყვნენ, მაინც უიმედოდ ჰგავდნენ ერთმანეთს, რადგან თითოეული მათგანი, ძველი დროის არისტოკრატიის წარმომადგენელი იყო. მოგვიანებით პრესაში არაოფიციალური ტერმინიც კი გაჩნდა – „ჰელენა ბონემ კარტერის სინდრომი“, რაც იმას გულისხმობდა, რომ მსახიობს მხოლოდ წარსული პერიოდის არისტოკრატების განსახიერების უნარი ჰქონდა და თანამედროვე როლს მას არც ერთი რეჟისორი არ შესთავაზებდა. ყოველივე ამან ჰელენა ძალიან გააღიზიანა და მან წინააღმდეგობის გაწევა სცადა: „მე სახასიათო მსახიობი ვარ და არა „კორსეტიანი გმირი!“ (რატომღაც სწორედ კორსეტი აღიზიანებდა მას ყველაზე მეტად და ქალის ტუალეტის ამ დეტალს „ღეთის სასჯელად“ მიიჩნევდა).

დრამატული ხასიათის ფილმში – „მეტრედის ფრთა“ განსახიერებელი როლისათვის ჰელენა ბონემ კარტერი „ოსკარზე“ წარადგინეს. სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა მისი მტკიცე გადაწყვეტილება, აღარასოდეს ეთამაშა კოსტიუმირებულ ფილმში: „მე საკუთარ თავს შევუძახებ – საკმარისია! ასე ხომ, შესაძლოა, ისე დავებრდე, რომ მთელი ცხოვრება კორსეტი ვერც კი გაეხადო. ამიერიდან, თუ სცენარში გაკვრით მაინც იქნება ნახსენები კრინოლინი, სამეჯლისო კაბა ან კორსეტი, ეს სცენარი აუცილებლად ჩემს სანაგვე ყუთში აღმოჩნდება“. იმ დღიდან მოყოლებული, რეჟისორებთან გასაუბრებაზე მიმავალი ჰელენა საგულდაგულოდ გამოეწყობოდა ხოლმე შარვალსა და თავისუფალი სტილის სვიტ-

ერში. აღარც სკანდალური სიტუაციების შექმნას ერიდებოდა: კოსმეტიკურმა ფირმამ – Yardley-მ იგი „მის დახვეწილობის“ ტიტულით დააჯილდოვა, ჰელენამ მეორე დღესვე პრესკონფერენცია მოიწვია და ყველას გასაგონად განაცხადა, რომ ვერ იტანს კოსმეტიკას და მას მხოლოდ გადაღებების დროს იყენებს... საკმარისი იყო, ჟურნალისტებს იგი „თავდაჭერილ და უმანკო მსახიობად“ მოესხენიებინათ, რომ მომდევნო ფილმში მონაწილეობისას თავად მოეთხოვა სურათში შიშვლად გადაღება. ბოლოს და ბოლოს, მსახიობმა მაინც თავისი გაიტანა და თავი დააღწია „საძულველ“ ამპლუას. სერიალში – „მაიამის პოლიცია. ზნებრივი ნორმების დაცვის განყოფილება“, მან შესანიშნავად განასახიერა ნარკომანი გოგონას როლი. მოგვიანებით კი, სურათში – „მებრძოლთა კლუბი“, უმიზნო და უპრინციპო გოგონას ბრწყინვალე სახე შექმნა.

მისი ბოლო ფილმი, ფანტასტიკური ჟანრის ბლოკბასტერი – „მაიმუნების პლანეტა“ გახლდათ. ჰელენამ აღიარა, რომ ამ ფილმში მონაწილეობაზე მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ დათანხმდა, რომ მისი გმირი მომავლიდან იყო მოსული: „იქ ხომ არანაირი კორსეტი არ იქნებოდა საჭირო“. მაგრამ მწარედ შეცდა: როცა პირველად მოაზომეს მაიმუნის კოსტიუმი, აღმოჩნდა, რომ ისიც სპეციალურ, მაღალტექნოლოგიურ კორსეტზე მაგრდებოდა. ეს ბედის ირონია იყო. „თავი საოცრად უბედურად ვიგრძენი. ამდენი ტანჯვა-წვალების შემდეგ, ყველაფერი ისევ თავიდან იწყებოდა. საგრძობადო ოთახის შუაში ვიდექი და სულელივით ვიცინოდი. გრიძორები კი, ვინც ამ ბრიყული კოსტიუმის ჩაცმაში მეხმარებოდნენ, გაკვირვებულები მიყურებდნენ“, – იხსენებდა მსახიობი მოგვიანებით.

„მაიმუნების პლანეტის“ გადაღებები საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. ნილბის გაკეთებას და კოსტიუმის ჩაცმას ჰელენა ოთხ საათს ანდომებდა, მოხსნას კი ორი საათი სჭირდებოდა. გარდა ამისა, კოსტიუმი თხუთმეტი კილოს იწონიდა და მასში გამოწყობილი მსახიობისთვის გადაადგილება ღიდ სირთულეს წარმოადგენდა. იმიტომ, გადაღებების დამთავრების შემდეგ, ჰელენამ საკუთარ თავს პირობა მისცა, რომ ამიერიდან, მხოლოდ თანამედროვე გმირებს განასახიერებდა: „არავითარი წარსული! არავითარი მომავალი! ახლავა მივხვდი, რომ ყველაზე კარგი და სასურველი გმირები ჩვენს დროში ცხოვრობენ!“

ბრედ პიტთან ერთად



რიას! ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, რომ მოდის ტენდენციების შესაბამისად გვეცვას! ისევე ჩავიცვით ტრაპეცია ჯინსის შარვლები, ყელზე პაციფისტური ჟღარუნა სამკაულები ჩამოვიკიდეთ, ცხვირზე კი შარშანდელთან შედარებით უზარმაზარი სათვალე დავიკოფსეთ. ეს ყველაფერი უკვე ჩავლილ ბავშვობას გვაგონებს, როცა სკოლებში არსებული ოფიციალური აკრძალვებისთვისაც ანგარიში უნდა გავგვეწია და ჰიპური პერიოდის ტენდენციებსაც არ უნდა ჩამოვრჩენოდით.

იმ პერიოდში, პიროვნების თავისუფლებისმოყვარეობის გამოხატულებად სწორედ ჯინსი იყო მიჩნეული. ჩვენ შევიყვარეთ ჯინსი და ველარასოდეს შეველევეთ მას.

მაშინ, ნოსტალგიური 70-იანი წლების გარემოში, ჩვენს ცხოვრებაში მკვეთრი ფერები შემოიჭრა, მსოფლიოს ახალგაზრდობა მყვირალა ფერებში გამოეწყო, თავისუფალ სიყვარულზე, შექმენების ახალ ფორმებსა და ნარკოტიკებზე ექსპერიმენტები ტარდებოდა და მაშინ, არავის ეშინოდა შიდსის. იმ პერიოდის ყველა ბავშვი რევოლუციონერი იყო, მშობლები კი, აუტანლად ბურჟუაზიულები.

ეს იყო ჯადოსნური დრო, რომელსაც მტკივნეული და ხანგრძლივი გამოფინზლება მოჰყვა, მაგრამ ეს საუბრის სულ სხვა თემაა.

დღეს, 2002 წელს, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, არსით ჰიპურები ვიყოთ, შინაარსით კი – ბურჟუაზიულები. არჩევანი ფართოა, დაწყებული 2.000 დოლარად ღირებული მძივებით გაწყობილი „კავალინი“ პერანგიდან და დამთავრებული 800-დოლარიანი „დოლჩე და გაბანას“ ხელოვნურად დაძველებული ჯინსით, ამავე ფორმის ტყავის ჩანთითა და სხვა აქსესუარებით (შესაბამის ფასებში!).

დღესდღეობით, თავისუფალი სტილით ჩაცმა საკმაოდ ძვირად ღირებული სიამოვნებაა. თუმცა, ახალგაზრდული სტილის შესანარჩუნებლად, შედარებით იაფფასიანი საქონლის შეძენაცაა შესაძლებელი, ოღონდ, უნდა იცოდეთ – სად! პრობლემა კი ის არის, რომ საკუთარი ჩაცმულობის სტილით, მთლიანად შეესაბამებოდეთ მოდის დღევანდელ ტენდენციებს. ეს კი, გარდა იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია (სიძვირის გამო), ზოგჯერ ჩვენთვის არასასურველიცაა.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა დროის ახალგაზრდობა ერთნაირია – იცვლება მხოლოდ მისი თვითგამოხატვის ფორმა, – რაღაც ორიოდე წლის შემდეგ, ყმაწვილი კაცის ცხოვრებაში ღვება მომენტი, როცა იგი აღარ არის მოდის



მოდის იმპერია

სახიფათო ორიენტაციას იღებს! ..

სიახლეების დამმკვიდრებელი: ქვეყნად ისეთი რამეებიც არსებობს, რაც მხოლოდ ყმაწვილკაცობაში უხდება ადამიანს.

მაგალითად, ფრანგული პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ფირმების საიდუმლო ლაბორატორიებში მიმდინარეობს ძიებები 2005 წლის თანამედროვე მამაკაცის გარეგნული იერის შესაშუშავებლად: სტილი და მანერები XVIII საუკუნის არისტოკრატის უნარ-ჩვევებს შეესაბამება და მამაკაცთათვის განკუთვნილ მკვეთრ მაკიაჟს ითვალისწინებს(!)...

მაგარია, არა?! არადა, სავარაუდოა, რომ ახალი თაობა ამას წამოეგება, რადგან გადახდისუნარიანი მამაკაცის ცხოვრებაში ამ ჩვევების დასამკვიდრებლად კრეატორები (კრეატორი – პირი, რომელიც დაწინაურებულია არა თავისი პირადი ღირსება-დამსახურების მიხედვით, არამედ გავლენიანი პირის ან გავლენიანი წრეების წყალობით) დიდ აქტიურობას გამოიჩენენ.

ამგვარად, ორიოდე წელი კიდევ და... რეტროგრადები ამრეზით დაეუწყებთ ყურებას მამაკაცთა კოსმეტიკის გაფართოებულ განყოფილებებს და ყმაწვილკაცებს, რომლებიც უკვე ჩვეული მოძრაობით წაისვამენ ახალ ტონალურ კრემს სახეზე. მაშინ კი მივხვდებით, რომ მა-

მაკაცური შარმის ეს სიახლე ჩვენთვის მიუღებელია და მხოლოდ ახალი თაობისთვისაა ბუნებრივი და მისაღები.

პარფიუმერთა ახლა ტენდენციებს, არც ტანსაცმლის დიზაინერები ჩამორჩებიან, პირიქით – ისინი ამ პროცესებს უფრო აჩქარებენ. დასავლეთის საშუალო სტატისტიკური მონაცემებით, დღევანდელი მომხიბლავი მამაკაცი ასე გამოიყურება: სპორტული, კარგი აღზავობის ყმაწვილი, რომლის ასაკის დადგენაც, ცოტა არ იყოს, ჭირს, მამაკაცური თვისებები არანაირად არ არის ხაზგასმული, პირიქით – უკანა პლანზეც კია გადაწეული. ამ ტიპის მამაკაცები ატარებენ ნახევრად გამჭვირვალე მაისურებს, მაქმანებიან პერანგებს და დაბალწელიან, თეძოზე მომდგარ ჯინსს. მოშიშვლებული წელი კი, მათ საეჭვო ორიენტაციაზე მიუთითებს.

ამ ყველაფრის შემხედვარე, იმ დასკვნამდე მიღიხარ, რომ „ყოველივე, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის!“ იმასაც ხვდები, რომ ასაკთან ერთად, სულ უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევ ვიზუალურ მხარეს და მხოლოდ ადამიანების, მოვლენებისა თუ საგნების არსი გადელევებს.

P.S. მამაკაცებო! უარი თქვით ტონალურ კრემზე და ბუნებრივი ნამზეუროთ დაკმაყოფილდით!..

დოსია:

დაბადების თარიღი: 1973 წლის 9 აგვისტო

დაბადების ადგილი: სან-ნიკოლო (იტალია)

სიმაღლე: 181 სმ

წონა: 74 კგ

კლუბები, რომელშიც თამაშობდა: „პიაჩენცა“, „ლეჩე“, „ვერონა“, „პარმა“, „ატალანტა“, „იუვენტუსი“ ამჟამინდელი კლუბი: „მილანი“.

მიღწევები: იტალიის ჩემპიონი „იუვენტუსის“ რიგებში (1998); იტალიის სუპერთასის მფლობელი (1997); ევროპის ჩემპიონი იტალიის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში (1992 და 1994 წლებში).



პიეტ-უსიფანი

და „ლინი პატიოსან“ „პიეტუსი“

ალექსი რეხვიავილი

უფეას ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურის მატჩში, ლა კორუნიის „დეპორტივოსთან“ დიდი ანგარიშით (4:0) გამარჯვების შემდეგ, „მილანისა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველმა, კახა კალაძემ საკუთარი გუნდის თამაშის შესახებ კომენტარი გააკეთა. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ იტალიურ სუპერკლუბს ლა კორუნიელთა დამაჯერებლად დამარცხება ტრავმირებული შევჩენკოს გარეშე არ გასჭირვებია. კახამ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა იმ გარემოებასაც, რომ თითქმის უშეცდომოდ თამაშობდა „მილანის“ დაცვა (რაშიც დიდი წვლილი თავადაც მიუძღოდა), ხოლო გუნდის თავდამსხმელებმა „დეპორტივოს“ საერთოდ, გამარჯვების არანაირი შანსი აღარ დაუტოვეს. „ბრწყინვალედ ითამაშა რუი კოშტამ, რომელიც იმ საღამოს არაჩვეულებრივი პასებით ამარაგებდა თანაგუნდელებს, — განაცხადა კახა კალაძემ, — ინმაგის პეტიორიკე კი, ლაპარაკიც ზედმეტია: ჩემი აზრით, დღეს იგი ევროპის უძლიერესი თავდამსხმელია“.

მიმდინარე საფეხბურთო სეზონი მართლაც შესანიშნავად დაიწყო მილანურმა კლუბმა, რის გამოც მას უკვე ერთხმად ასახელებენ იტალიის სერია A-სა და ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად. ძირითადად, მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებით დაკომპლექტებული „მილანი“, დღეს ნებისმიერი ევროპული გუნდისთვის მრისხანე მეტოქეს წარმოადგენს. იტალიელთა თავდასხმის ხაზის ერთ-ერთი ლიდერი, ფილიპო ინმაგი კი, მაქსიმალურად ამ-

როლებს თავის მეტსახელებს („პიპო-გოლი“, „სუპერპიპო“) და გულშემატკივრებს შედეგანი თამაშით ახარებს. ინმაგიმ ბრწყინვალედ ითამაშა ჩემპიონთა ლიგის სასტარტო მატჩში „ლანსთან“, „დეპორტივოსთან“ შეხვედრისას კი, მეტოქეთა კარის მისაღობები სულაც თავის „სათარეშო ტერიტორიად“ გაიხნა და ლა კორუნიელებს ზედიზედ სამი გოლი გაუტანა.

„მისი მთავარი ინსტინქტი — გოლის გატანის ინსტინქტია“, — ამბობენ იტალიელი ტიფოზები ფილიპო ინმაგის შესახებ, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა ბომბარდირული ნიჭით. პიპომ ბავშვობა პიაჩენცასთან მდებარე პატარა ქალაქ სან-ნიკოლოში გაატარა. ჯერ კიდევ ექვსი წლის იყო, როდესაც ერთ-ერთი ადგილობრივი საბავშვო გუნდის კარს იცავდა, ხოლო უკვე 7 წლისამ თავადაც მიიღო გადაწყვეტილება და კარის დარავის ამბლუას, ფორვარდობა ამჯობინა. ფილიპოს არჩევანი საყვარელი გამართლებული იყო, რადგან იტალიური ფეხბურთის მომავალი ვარსკვლავი, ბავშვობაშივე ყველაზე თავდაჯერებულად თავდამსხმელის პოზიციაზე გამოიყურებოდა. მალე პიპო კლუბ „პიაჩენცას“ საფეხბურთო აკადემიაში შენიშნა და გუნდის საბავშვო-მოსამზადებელ ცენტრში მიიწვია. „მილანის“ მომავალი გოლიადორის დედა კატეგორიული წინააღმდეგი ყოფილა იმისა, რომ მის ვაჟიშვილს თავი ბავშვობიდანვე ფეხბურთისათვის მიეძღვნა. „ჯერ სწავლა, შემდეგ — ბურთი“, — ეუბნებოდა თურმე დედა პატარა ფილიპოს და ეს უკანასკნელიც ძალას არ იმშურებდა, რათა ერთდროულად ორ ფრონტზე — სკოლასა და საფეხბურთო

მოედანზე — წარმატებისთვის მიეღწია. სწორედ დედის მიერ „გამოტანილი განაჩენის“ შედეგად, პიპომ უმაღლესი სასწავლებელიც დაამთავრა, თუმცა მიღებული ინჟინრის დიპლომი შემდგომში საერთოდ არ გამოისდგომია.

„პიაჩენცას“ მთავარ გუნდში ფილიპო ინმაგის დებიუტი 1991 წლის შემოდგომაზე შედგა. იმ პერიოდში პიპო კლუბის ახალგაზრდულ შემადგენლობაშიც ირიცხებოდა. შემდეგ ინმაგი სტაჟირებისათვის სერია C1-ში მოასპარეზე „ლეჩეს“ მიაბარეს, რომლის შემადგენლობაშიც, 21 მატჩში მან 13 გოლი გაიტანა. პიპოს შემდგომი კლუბი — „ვერონა“ სერია B-ში ირიცხებოდა, მაგრამ ახალგაზრდა ინმაგის, სერია C1-თან შედარებით უფრო ძლიერ საფეხბურთო ლიგაშიც არ გასჭირვებია ისევ 13 გოლის გატანა.

ფილიპო ინმაგის წინსვლა, ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა „პიაჩენცას“ ხელმძღვანელობას, რომლის მფლობელობაშიც იურიდიულად იმყოფებოდა ფეხბურთელი. თავის პირველ კლუბში დაბრუნებულმა პიპომ 15 გოლი გაიტანა და დიდი წვლილი შეიტანა სერია B-დან სერია A-ში „პიაჩენცის“ გადასვლაში. მიუხედავად ინმაგის შესამჩნევი პროგრესირებისა, „პიაჩენცის“ თავკაცებმა მანც ვერ გაუძლეს ცვლუნებას და პიპო, საკმაოდ სარფიანად, „პარმას“ მიჰყიდეს. ახალი გუნდის ხელმძღვანელობა ინმაგისაგან ძალიან ბევრს მოითხოვდა. პიპოს კი, ისეთ ოსტატებთან კონკურენციაში უნდა დაემტკიცებინა თავისი უპირატესობა, როგორებიც იყვნენ: ჯან ფრანკო ძოლა, ფაუსტინო ასპრილია, ზრისტო სტოიჩკოვი და „პარმის“ ტიფოზების კერპი, ალესანდრო მელი. „პარმაში“ გატარებული არცთუ ისე წარმატებული ერთი წლის შემდეგ, ფილიპო ინმაგი „ატალანტაში“ გადავიდა, სადაც კვლავ გამოავლინა თავისი ბომბარდირული ნიჭი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ „ატალანტის“ იმდროინდელი მწვრთნელი, ემილიანო მონდონიკო თავისი გუნდის ნახევარმცველებისაგან კატეგორიულად მოითხოვდა



კახა კალაძე



საგოლე პასებით პიპოს გამუდმებულ უზრუნველყოფას. ცხადია, ინმაგი ყველა გადაცემის გოლით დაგვირგვინებს ვერ ახერხებდა, ამიტომ პიპო-გოლს ხშირად ბრალს სდებდნენ იმაში, რომ ის ბევრ აშკარად საგოლე მომენტს ვერ იყენებდა (სხვათა შორის, „მილანის“ ფორვარდი ამ თვისებით დღესაც გამოირჩევა), გარდა ამისა, თამაშგარე მდგომარეობაშიც ხშირად ხვდება ხოლმე.

„ატლანტის“ რიგებში ფილიპო ინმაგის გამოსვლის პერიოდთან არ შეიძლება არ გავიხსენოთ „სამპდორიასთან“ ჩატარებული შეხვედრისას მომხდარი ერთი ფაქტი, რის გამოც მას ჟუნალისტებმა პიპო-უტიფარი უწოდეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც „სამპდორიის“ კარში ორჯერ დანიშნული პენალტის დარტყმა, ფილიპომ არც ერთხელ არ დაანება თანაგუნდელებს, თანაც,

პენალტის მეორედ დანიშნვის შემდეგ, „ატლანტის“ კაპიტანს, დომენიკო მორფოს, თვალზე ცრემლმომდგარი ეხვეწებოდა — თერთმეტმეტრიანი დარტყმა მეორედაც მე შემასრულებინეთო.

„ატლანტიდან“, „იუვენტუსში“ გადასვლის შემდეგ, პიპო-უტიფარი ტურინული გუნდის ერთ-ერთ საუკეთესო ბომბარდირად იქცა. თუმცა, ფეხბურთის მიმომხილველები და სპეციალისტები, ყოველთვის ხაზს უსვამდნენ იმ ფაქტს, რომ ინმაგი არასოდეს გამოირჩეოდა ბატისტუტ-ასებური მძლავრი გარღვევებით, თავით ბირპოფისებური ოსტატური თამაშით ან რონალდოსებური ბურთის ფლობის უზადო ტექნიკით. სამაგიეროდ, ის ყოველთვის ამჟღავნებდა გოლის გატანის შესაშურ ალღოს და სწორედ ამის წყალობით

დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი თანამედროვე ფეხბურთში.

ფილიპო ინმაგის საკლუბოსგან განსხვავებით, არცთუ ისე წარმატებული აღმოჩნდა მისი სანაკრებო კარიერა. სუპერპიპოს დებიუტი „სკუადრა აბურას“ რიგებში, 1997 წლის 8 ივნისს, ლიონში, ე.წ. ოთხთა ტურნირზე გამართულ იტალია-ბრაზილიის მატჩში შედგა. მას შემდეგ, იტალიის ეროვნული ნაკრების თავკაცები ინმაგის რეგულარულად იმსახებდნენ „სკუადრა აბურაში“, თუმცა ფილიპოს უმეტესად, სათადარიგოთა სკამზე უხდებოდა ვალომა.

„იუვენტუსის“ შემდეგ, მე მხოლოდ ისეთი კლუბის არჩევა შემეძლო, როგორც „მილანია“, — განაცხადა ერთი წლის წინ, ტურინიდან მილანში გადასულმა ფილიპო ინმაგიმ. მაშინ სპორტულ ჟურნალისტებს ყველაზე მეტად ის აინტერესებდათ, თუ როგორ შეეწყობოდა იგი „მილანში“ მთა-ამაშე უკრაინელ სუპერფორვარდ ანდრეი შეჩენკოს. „ჩვენ ერთად მშვენივრად გავერთობით“, — თუქვამს კორესპონდენტებისთვის „მილანის“ ერთ-ერთ წვეულებაზე პიპო-გოლს. ცხადია, თავის ნათქვამში ინმაგი საფეხბურთო მოედანზე „გართობას“ გულისხმობდა. მიმდინარე საფეხბურთო სეზონში კი, რივალლოთი და ალესანდრო ნესტათი კიდევ უფრო გაძლიერებულმა შავ-წითელ-მაისურნიანებმა „დიდი გართობა“ უკვე დაიწყეს და ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს ის, თუ რა სახეს მიიღებს მათი „დროს ტარება“ იტალიისა და ევროპის სტადიონებზე, როდესაც გუნდს ტრავმამოშუშებული შეჩენკო დაუბრუნდება. ■



მელოგის მთერნემგი თქემუტოს პაფიმტემიც ითამაშემენ

ფეხბურთი უნივერსალური თამაშია, რომელსაც პროფესიონალებიც და მოყვარულებიც, მილიონერებიც და ღარიბებიც, სამხედროებიც და მუშებიც, სტუდენტებიც და სკოლის მოსწავლეებიც თამაშობენ. ცოტა ხნის წინ კი, ბელგიაში გადაწყვიტეს, რომ ფეხბურთისათვის პოპულარიზაცია საპატიმროებშიც გაეწიათ. ამერიიდან, პროფესიონალი ბელგიელი მწვრთნელები ქვეყნის სხვადასხვა ციხეში პატიმრებთან იმუშავებენ, რათა ისინი ნამდვილ ფეხბურთელებად ჩამოაყალიბონ. დაგვემილია პატიმრებით რამდენიმე გუნდის დაკომპლექტება, რომელიც ეროვნულ ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

ასეთი უცნაური და ამავე დროს სასარგებლო იდეა, ბელგიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, იან პეტერსს მოუვიდა. მისი აზრით, ამ მეთოდით შესაძლებელია პატიმართა საფეხბურთო ოსტატობის საგრძნობი ამაღლება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ფეხბურთის ფედერაციის ასეთ მოულოდნელ წინადადებაზე თანხმობა ერთბაშად ცამეტმა მწვრთნელმა განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამ საქმიანობისათვის ღიდ ხელფასს არ მიიღებენ, თუმცა, პეტერსის თქმით, სამწვრთნელო გამოცდილებას კი აიმაღლებენ. ამგვარ ექსპერიმენტზე თანხმობა გამოთქვა ბელგიის იუსტიციის სამინისტრომაც. ბელგიური ციხეების მაკონტროლებელმა სტრუქტურამ თავის განცხადებაში იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ფეხბურთელი პატიმრების შერჩევა გულდასმითა და სიფრთხილით უნდა მოხდეს. პირველ რიგში, ეს იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ შერჩეული პატიმრები უნდა იყვნენ არა უნდა ფიქრობდნენ. მეორე პირობა ის არის, რომ გუნდებში არ უნდა მოხდნენ განსაკუთრებით საშიში რეციდივისტები. მათ კი, ვინც ციხეებს შორის გამართულ პირველობაში ვერ ჩაებმებან, შეეძლებათ, თავიანთი სპორტული ჟინი ტოტალიზატორში მოიკლან. ■

მადრიდის „ტყალმი“ კანიბალი გამთინდა



მადრიდის „რეალის“ მეორე გუნდის მოთამაშე, ხოსე მარია ლოპესი კლუბიდან იმის გამო დაითხოვეს, რომ ესპანეთის ერთ-ერთი ქვედა დივიზიონის გუნდთან — „ნავა-ლკარნეროსთან“

შეხვედრისას, მან არბიტრს წითელი ბარათის ჩვენებისათვის მხარზე უკბინა. „წამიერად კონტროლი დაუკარგე საკუთარ თავზე და გაუცნობიერებლად ვუკბინე, — ამბობს „კანიბალიზმში“ მხილებული ლოპესი, — ეს ინსტინქტური რეაქცია იყო“. მკითხველს შევახსენებთ, რომ აქამდე „კანიბალიზმი“ პროფესიონალური კრივის რინგზე უფრო იყო გავრცელებული, ამერიიდან კი, როგორც ჩანს, კაციჭამია სპორტსმენები საფეხბურთო მოედნებზეც გამოჩნდებიან. ■

საღვალისებურ ნინის სამზარეულოდან ჭურჭლის ხმაური და დედის ნერვიული ლაპარაკი შემოესმა. „აუ-უ-უ, ისევ დიდიდანვე დაიწყო“... – სახე მოელუმა ნინის, ლოგინში ზანტად წამოვცდა და თვალი ფანჯარას გაუშტერა. იქიდან მზერა კედელზე გადაიტანა. კედელზე გაკრული პლაკატიდან ლელა წურწუშიამ შემოსცინა. სხვა დროს თავის კერპს ნინიც ღიმილით უპასუხებდა, მაგრამ აბჯერად, რატომღაც, ენა გამოუყო, შემდეგ ლოგინიდან წამოვცდა, ფეხები გაქუცულ ფლოსტებში წაყო და საძინებლის კარი ჭრიალით გამოაღო...

სამზარეულოში მაგიდას ნინის მამა უჯდა და საუზმეს მადიანად შეექცეოდა. იქვე მოფუსფუსე, ნინის დედა კი ისევ ქოთქოთებდა:

– გაგონილა? გოგო გამომიგზავნეთო... „გოგო“-ო... ძმისშვილის სახელიც კი არ იცის...

– ნეტავ, საიდან უნდა იცოდეს? ნინი ზომ გაჩენილიც არ იყო, ჩემი ძმა სახლიდან რომ წავიდა და მას შემდეგ, აქეთ აღარც გამოუხედავს, – ბრაზიანად ჩაილაპარაკა მამამ და ფეხზე წამოვცდა. – იცი, რას გეტყვი? ამ ამბავს ბევრი ლაი-ლაი აღარ უნდა – ბავშვი გაამზადე, ხვალ დილით რაიონულ ცენტრში ჩავიყვან და ჩემს ძმას გაუუგზავნი.

– მანამ არ აგიღვეს გვერდები, სანამ შენს უსაქმურ ძმას ჩემი ერთადერთი ქალიშვილი არ გაგუგზავნი... უტყობა, ძალიან დაბერდა და მოძველები აღარაქვია ჰყავს, თორემ, რაღა ახლა გავასხენდი? მთელი თვრამეტი წელი სად იყო?!

– შენ უსაქმური უძახე და ამ თვრამეტ წელიწადში თბილისის ცენტრშიც დასახლებულა და კაზინოშიც მუშაობს.

– მუშაობს, მაგისმა მზემ, მილიონებს დააგროვებდა...

– აღარ დაიღალე ქალო?! – მაგიდას მუშტი დაჰკრა მამამ. – აკი ვითხარი – საქმე გადაწყვეტილია-მეთქი!

სწორედ ამ დროს, სამზარეულოს ზღურბლზე ნინიც გამოჩნდა:

– რა იყო, რა გაგვირებთ? რა ვერ გაგიყვიათ? ან ეს გაუთავებელი კინკლაობა როგორ არ მოგებზრდათ, ან მე სად მიშვებთ ამ დილაადრიან?

– მოდი აქ, შვილო, – მხარზე ხელი მოხვია მამამ ნინის, – დავკეტი და კარგად მომისმინე: ბიძაშენმა შალვამ ჩვენს მეზობელ შაქროს ქალაქიდან წერილი გამოატანა...

– ვი-ი-ინ? – ვერ გაიგო ნინიმ.

– ჩემმა ძმამ, ... გახსოვს, რომ გიყვებოდი?

– ა-ა-ა, იმ გრძელმა, თვალებგადმოკარკულულმა ტიპმა?.. როგორ არ მახსოვს. ბეზიას მაგის სურათი სულ ბალიშქვეშ ედო და მეც ხშირ-ხშირად მაჩვენებდა ხოლმე. მერე? რაო, რა მინდაო?

– აი, შენ თვითონ წაიკითხე, – წერილი გაუწოდა მამამ ნინის.



რუსულან ბერიძე

ქალური ინსუიქია ახუ ჯიჰაიას თვითობი

ნინიმ ოთხად მოკეცილი რვეულის ფურცელი გაშალა და წვრილად ჩაწიკწიკებულ ნაწერს დააშტერდა:

– აუ, ამას რა წაიკითხავს?! მოკლედ მითხარი, რა უნდა? – სთხოვა მან მამას.

– რა და ჩემი ძმისშვილი გამომიგზავნეთ, მივხედავ და გზაზე დაგაყენებო...

ამ სიტყვების გაგონებაზე ნინის სიხარულით გული შეუხტა: „ყოჩად, ბიძაჩემო! ნაღდად მსხნელად მომეგლინე! სულ ცალ ფეხზე მკვიდა, ვინ ხარ და როგორი, მთავარია, აქედან გავაღწიო და მერე, მე ვიცი...“ – თუმცა, ხმამაღლა სულ სხვა რამ თქვა:

– ნეტავ, მაგის მისახელი რა მჭირს? ხელი მაკლია თუ ფეხი?

– შენც დედაშენის ჯიშზე მიდიხარ! – ხელი ჩაიქნა მამამ და იქაურობას ბურტყუნით გაუცალა.

მაგრამ გრძელიშვილების საოჯახო თათბირი ამით არ დასრულებულა. შეღამებულზე ოჯახის თავი შინ შაქროსთან ერთად დაბრუნდა. დედას მეზობლის მოერიდა და კაცებს სახელდახელო სუფრა გაუწყო. მათაც ერთი-ორი ჭიქა გადაკრეს თუ არა, შაქროც მაშინვე შაქრად დაიღვარა: „ნეტავ გაჩვენათ, ჩვენს შალვას როგორი ცხოვრება, მოუწყვია. მისი სახლი პირდაპირ კაზინოს წინა ღვას, ოროთახიანი „ასახნაიკი“ უჭირავს, კაისა ჭამს და კაის სვამს. ჩვენს ნინის ნამდვილად არაფერს გაუჭირვებს“.

მეზობლის სიტყვებზე ნინის გულში ელიმეზობდა. მიყრუებულ სოფელში გაზრდილს ქალაქში და მით უმეტეს, თბილისში ცხოვრება ერთ დიდ დღესასწაულად ეჩვენებოდა, სადაც მასაც კარგა გვარიანად უნდა მოეხსინა.

ასე იყო თუ ისე, იმ საღამოს გრძელიშ-

ვილების ოჯახში ქალაქში ნინის გამგზავრების საკითხი საბოლოოდ გადაწყდა. მეორე დილით, მამამ ის თავისი დანჯვრეული „კოლხონიკით“ რაიონულ ცენტრში ჩაიყვანა და თბილისისკენ მიმავალი სარეისო ავტობუსის ბილეთი აუღო.

ავტობუსი ოც წუთში გადიოდა. ფიქრებში წასული ნინი უკვე თბილისის ქუჩებში დააბიჯებდა, მამა კი მის წინ ნერვიულად მიმოდიოდა და კომპასიონით საათზეც ხშირ-ხშირად იხელებოდა. ნინის მამის განცდის მიზეზი მშვენივრად მოეხსენებოდა: ოჯახის მარჩენალ ძროხა „ჭრელოს“ წუთი-წუთზე ხბო უნდა მოეგო და მამასაც სული და გული იქ ჰქონდა. მაგრამ ნინი მამის გამგებას მაინც არ ჩქარობდა: ჯერ ცოტა კიდევ ინერვიულოსო, – ფიქრობდა. თუმცა, როცა მიხვდა, რომ ცოტაც და, მამა, ავტობუსის მძღოლით დაწვეებული მისი ბორბლებით დამთავრებული, ყველას და ყველაფერს გინებით აიკლებდა, დაასწრო და რაც შეიძლებოდა გამთბარ-განაზებული ხმით უთხრა:

– მამი, შენ ახლა სახლში გაბრუნდი, აქ დგომითა და ლოღინით აბა, რას მიკეთებ? ბილეთი ხელში მაქვს, ავტობუსიც საცაა ჩამოდგება, ჩავვდები და წავალ. დარდი ნურაფრისა გექნება...

ნინის სიტყვებზე მამას სახე გაუნათდა:

– მართალი ხარ, შვილო, აბა ჩემი აქ დგომა მართლა რაღა ხეირია? წავალ, „ჭრელოს“ მივხედავ. ზომ იცო, დედაშენი მაგ საქმეს მარტო რომ ვერაფრით აუვა.

„კოლხონიკიში“ ჩაჯდომამდე მამა ნინის ერთხელ კიდევ მიუბრუნდა, გულში ჩაიკრა და ხელში რაღაც ჩაუკუჭა. როგორც კი მამის მანქანა თვალს მიეფარა, ნინიმ მუჭი გახსნა, რამდენიმე მოჭმუჭნილი ათლარიანი

გულმოდგინედ გაასწორა და თავის ხელჩანთის სიღრმეში დააბინავა.

ავტობუსი კი ისევ არ ჩანდა. ლოდინით გაბეზრებულმა ნინიმ ჯერ გამყელ-გამომვლელის თვალიერება დაიწყო, შემდეგ აქეთ-იქით ხმაურით ჩავლილ მანქანებზე გადავიდა და თავში ახალი აზრიც სასწრაფოდ მოუძწიდა: ნეტავ, ამ ავტობუსის ლოდინით გულს რად ვიწყალებ? ცოტას გავივლი, სადგურს გავცილდები და რომელიმე გამყელ მანქანას გავაჩერებო. ნინის ამის შემდეგ ბევრი აღარ უყოფანია, ჩემოდანს ხელი წამოავლო და გზას გაუღვა. თუმცა, ასიოდე მეტრიც არ ჰქონდა გავლილი, რომ ჩემოდანი ქვასავით დამძიმდა და დედის რჩევაც მაშინვე გაასხენდა: ამხელა ჩემოდანი რა ემშაკად გინდა? – სპორტული ჩანთა წაიღეო, მაგრამ ნინიმ დედის რჩევა ყურად არ იღო და არჩევანი მაინც ძველებურ ჩემოდანზე შეაჩერა, რადგან მის თვალში შინიდან ასე გამგზავრებას რაღაც უფრო სოლიდური იერი ეძლეოდა.

ნინიმ რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გადადგა და ჩემოდანი ძირს კი არ დადგა – დაახეთქა, არაქათგამოცლილი მაშინვე ხედ ჩამოვდა და ალაგ-ალაგ ამოყრილ ასფალტს დააშტერდა. სწორედ იმ წუთში მანქანის მუხრუჭების ხმაც მოესმა. ნინიმ თავი ასწია და შორიანხლოს გაჩერებული კამკამა წითელი ფერის უცხოური მანანა დაინახა, რომელიც სათამაშოსავით პატარა მოეჩვენა და მაშინვე იმ მოფარფარტე ჭიამაიას მიაშვავსა, შავი კოპლები გზაში რომ დაჰბნეოდა, სიფრიფანა ფრთები კი ქარს წაეგლიჯა.

მანქანიდან თავი ქერათმიანმა ახალგაზრდა კაცმა გამოყო.

– ძალიან ხომ არ დაგავიანე? – ჰკითხა მან ნინის და დაჭორფლილ სახეზე დიმილი მოეფინა.

– რომ იტყვიან, სულზე მომისწარი, – არ დაიბნა ნინიც და უცნობს თვალი თვალში გაუყარა.

– მაშინ დროს ნულარ ვკარგავთ, დავექი. უცნობი მანქანიდან სასწრაფოდ გადმოვიდა, ჩემოდანზე წამოსკუბებული ნინი სრულიად უცერემონიოდ წამოაყენა, ჩემოდანს ხელი წამოავლო და მანქანის საბარგულში მოათავსა:

– რაღას უღვანარ? – დავექი. მაგრამ ნინი უძრავად იდგა და უცნობს გულმოდგინედ ათვალიერებდა. მის წინ მოკლესახელიან პერანგსა და შორტში გამოწყობილი, მზეზე საფუძვლიანად გარუჯული საკმაოდ სიმპათიური ახალგაზრდა კაცი იდგა, რომელსაც ნინის დასკვნით, ჭორფლებიც კი უხდებოდა. „ეტყობა, ზღვაზე ბრძანდებოდა“, აშკარად გული ჩასწყდა ნინის – მას ხომ ზღვა ჯერ საერთოდ არ ენახა.

– მაინც, საიდან დაასკვნე, რომ სწორედ შენ გელოდი? – ცოტა ბოღმიანად ჰკითხა

უცნობს ნინიმ.

– გულმა მიგრძნო.

– ოჰო?! იქნებ, გულმა ისიც გიგრძნო, თუ სად მივლივარ?

– აბა რა: თბილისში. დავექი, დავექი, დანარჩენზე მანქანაში ვილაპარაკოთ.

– კი დავევლებოდი, მაგრამ არა მგონია, ამ ხოჭომ ორ ადამიანს გავგიძლოს. – ნინიმ უცნობის მანქანას აშკარად ირონიული ლიმილით გადახედა.

– ჩვენნარიებისთვის გაუძლია...

ნინიმ მანქანაც და მისი პატრონიც თვალით კიდევ ერთხელ გაზომა, ქალურმა ინტუიციამ უკარნახა, – ჩავექიო და ისიც ჩავედა. უცნობიც მაშინვე მანქანაში ჩახტა და ნინის ხელი გაუწოდა:

– მე დიღო მქვია, შენი სახელი?

– ნინი.

– მშვენიერი სახელია! თბილისში ვისთან მიდიხარ, ნინი?

– ბიძაჩემთან.

– ბიძაშენთან რა უნდა აკეთო?

– რამეს მოვიფიქრებ.

დიღომ ნინის მუშტრის თვალი ააყოლ-ჩააყოლა:

– ევჯიც არ მეპარება, რომ მოიფიქრებ.

– არც მე მეპარება.

უცხად ორივეს სიცილი აუტყდა. ნინი დიღოს თვალს აღარ აცილებდა და გულში აშკარა სითბოც ეღვრებოდა: ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ამ გარუჯულ, ჭორფლიან ბიჭს უკვე ღიმილი ზანი იყო, იცნობდა.

როცა სიცილით გული იჯერეს, დიღომ მანქანა ადგილიდან მოწვეტიდა. ნინის გასაკვირად, „ჭიამაია“ საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა, მანქანების ზღვაში გზას გაბედულად რომ მიიკვლევდა და, ცოტა ხანში, ბევრი სარკესავით მზინავი და „გაფხორილი“ „თანამომეც“ სულ ადვილად უკან ჩამოიჭოვა. ყოველი მორიგი მანქანის გასწრებისას, პატარა ბავშვივით აცეტებული ნინი სიხარულის ტაშს სცემდა, ერთი-ორჯერ კი, გაონებულ მძღოლებს ენაც გამოუყო.

– დედამ არ გასწავლა, რომ ენის გამოყოფა უზრდელია? – ვითომ დატუქსა იგი ლიმილმორეულიმა დიღომ.

ნინიმ მაშინვე ენა მოიკვნიტა, მაგრამ უკან მაინც არ დაიხია:

– დედაჩემი შორს დარჩა, ენა კი ჩემია: მინდა, გამოვიყოფ და მინდა, შევიყოფ.

– შეყოფისა, ჯერჯერობით, რა ვითხრა, მაგრამ გაჩერებით, ალბათ, ცოტა ხნით უნდა გაჩერდეთ. შენ რას იტყვი? – ჰკითხა ემშაკურად მოლიმარმა დიღომ.

– ნამდვილად არ გეაწყენდა. დიდიდან არაფერი მიჭამია. დედამ საგზალი გამომატანა. ჩემოდანში მაქვს, ამოვიღოთ და ვჭამოთ.

– საგზალი ბიძაშენს შეუნახე, ჩვენ კი, მოდი, ამ მოსახვევის იქით გაჩერდეთ. იქ

ერთი კარგი კემპინგი მეგულება. გემრიელად ვისადილებთ და ცოტას დავისვენებთ კიდევც.

– რა გეგულება? – ვერ გაიგო ნინიმ.

– თავად ნახავ. ისე, ახლა ყველაზე ღიმილი სიამოვნებით რას შეჭამდი?

– ხბოს ხორცის ჩახოხბილს და მარწყვისმურაბიან ნაყინს.

– ცოტა უცნაური შეხამებაა, მაგრამ ნამდვილად „შესრულებადი“...

ამ სიტყვების შემდეგ, დიღომ ცენტრალური გზიდან გადაუხვია და ცოტა ხანში, ნინიმ ერთმანეთის მიყოლებით ჩამწყვირებული რამდენიმე ლამაზი ხის სახლი დაინახა. მათგან ყველაზე ღიმილი აბრაზე „რესტორანი“ ეწერა. დიღომ მანქანა სწორედ ამ სახლის წინ გააჩერა და მკვირცხლად გადმოხტა.

– გადმოდი, რაღას უყურებ? – უთხრა მან ნინის.

მაგრამ ნინი ადგილიდან არ იძვროდა.

– ოჰ, ოჰ, კინაღამ არ დამავიწყდა?! – შუბლზე ხელი იტკიცა დიღომ, მანქანას სწრაფად შემოუბრინა და ნინის კარი ფართოდ გამოუღო:

– გადმობრძანდით, ქალბატონო.

ნინიმ საპასუხოდ ენა გამოუყო და მანქანიდან ღიმილად გადმოვიდა. დიღო მას რესტორანში შეუძღვა, თან იქიდან გამომავალ რამდენიმე კაცს ხელი მეგობრულად ჩამოართვა და მოიკითხა კიდევც.

– შენ რა, აქ ხშირად დადიხარ? – ჰკითხა ნინიმ.

– ხდება ხოლმე, – უთხრა დიღომ, უცხად გეზი რესტორნის ღია აფენისკენ აიღო და ერთ-ერთ მაგიდასთან შეჩერდა: გინდა, აქ დავსხდეთ?

– ჩემთვის სულერთია, – უპასუხა რაღაც-ით გულდაწყვეტილმა ნინიმ.

– ჩემთვის – სულ ორი, – იხუმრა დიღომ.

– ჩემთვის – სულ სამი, – არ შეეპუა ნინი.

– კარგი. მოდი, მაშინ დავსხდეთ, ხომ? – კინკლაობაში აღარ აჰყვა დიღო.

– დავსხდეთ.

როგორც კი სუფრას მიუსხდნენ, საიდანაც სოკოსავით ამოსული ოფიციანტი მაშინვე დიღოს გვერდით დაურჭო.

– რას მიირთმევ, ძვირფასო? – ჰკითხა დიღომ ნინის.

– კუს ჩახოხბილსა და იხვის წვეწვს, – მშვიდად მიუგო ნინიმ.

ოფიციანტს გაოცებისაგან თვალები შუბლზე აუკვიდა. დიღომ კი მაშინვე „უთარგმნა“:

– ჯერჯერობით, ხბოს ხორცის ჩახოხბილი, ერთი ბოთლი თეთრი ღვინო და „ცივი ჩაი“ მოგიტანეთ.

როგორც კი დაბნეული ოფიციანტი თვალს მიეფარა, დიღოს ხარხარი აუტყდა:

– არა, ეს კუს ჩახობილი მინც რამ მოგაგონა?

– აბა რას იმანჭებოდი: „რას მიირთმევ, ძვირფასო?“ – თავდაც სახე დამანჭა ნინიმ. – თითქოს, წინასწარ არ ვითხარი, რაც მინდოდა.

დიტო ისევ გულიანად ახარხარდა და ნინიც აჰყვა.

ნინი სიხარულით თავს მეშვიდე ცაზე გრძობდა. მას აქ ყველა და ყველაფერი მოსწონდა: დიტოც, მისი ზოჭოსავით მანქანაც, ხის პატარა სახლებიც, რესტორანიც და თვით მისი დაბნეული ოფიციალტიც კი. ყველაზე მეტად კი, ის უხაროდა, რომ გვერდით სიმპათიური მამაკაცი ეჯდა, რომელიც თვალბეჭდში შესცივინებდა და ყველა მისი სურვილის შესასრულებლად მზად იყო.

ოფიციალტი მალე დაბრუნდა და მაგიდაზე რამდენიმე ბოთლი და ორი ღრმა თეფში დადგა, რომელსაც ოხშივარი ასდიოდა და საოცრად მადისაღმძვრელ სურნელსაც აფრქვევდა. ოფიციალტმა ღვინის ბოთლი გახსნა, სასმელი ჭიქებში ჩამოასხა და იქაურობას უხმოდ გაეცალა. დიტომ ნინის ჭიქა მიუჭახუნა:

- მოდი, ჩვენს გაცნობას გაუმარ...
- ... ჯვოს! – გააწყვეტინა ნინიმ.
- არ ვარგა! – აჰყვა დიტოც. – აბა, ხელახლა: გაუმარ...

ნინიმ ჭიქა სულმოუთქმელად დაცალა, მაგიდაზე ხმაურთანად დადგა და მხოლოდ შემდეგ დააყოლა:

- ... ჯვო-ო-ო-ს!
- არა, მართლა ძალიან მაგარი ვინმე ხარ! შენნაირი გოგო არ შემხვედრია, – საზურგეზე გადაწოლილმა თვალბეჭდებულმა დიტომ ნინი კიდევ ერთხელ გულმოდგინედ აათვალიერ-ჩაათვალიერა.

– ვერც შეხვდები – მშვიდად მიუგო ნინიმ და ჩახობილს ისე მადიანად შეექცა, თითქოს ჭამაში გამოცდას აბარებო...

ოფიციალტი მალე ისევ გამოჩნდა და მორიგი განკარგულების მოლოდინში, დიტოს გვერდით აიტუშა. დიტომ მას ჯიბეში ქაღალდის ფული ჩაუჭურთა და ყურში რაღაც ჩასწურწულა. ოფიციალტმა თანხმობის ნიშნად მაშინვე თავი დაუკრა, ჯიბიდან მომცრო გასაღები ამოიღო, მაგიდაზე დადო და ისევ უკვალოდ გაქრა.

ნინი ცოტა ხანს გასაღებს დასშტერებოდა, შემდეგ დიტოს მიუბრუნდა:

- რა დაბღურა ვინმეა ეს ოფიციალტი – ნაყინი მინც დააეწყა.
- ძალიან გინდა?
- ძალიან.
- ნომერში მოგვიტანს.
- სა-ა-ა-დ?
- ნომერში. არ გინდა, ცოტა ხანს მართლა დავისვენო?
- მინდა.
- ძალიან კარგი, მაშინ გამოიყვი. – დიტომ

ნინი რესტორნიდან გამოიყვანა და ერთმანეთის მივლიებით ჩამწყრივებული პატარა ხის სახლებისკენ გაახედა:

- ამირჩიე, რომელი გინდა?
- სულ ბოლო.
- „ათიანში“ მორატყი! მეც მაგაზე შეგწერდი.

დიტომ ნინი ბოლო სახლთან მიიყვანა, ჯიბიდან გასაღები ამოიღო და კარი გააღო: – მობრძანდით, თქვენო ბრწყინვალეზა.

ნინი სახლში ფეხაკრეფით შევიდა: – აქ ვინმე ცხოვრობს? – ჰკითხა მან დიტოს ჩურჩულით.

– შეგიძლია, ხმამაღლა ილაპარაკო – ამჟამად ეს ყველაფერი მხოლოდ ჩვენია.

– მართლა? რა კარგია! – ტაში შემოჭრა ნინიმ, მაშინვე ფეხზე გაიძრო, ფართო საწოლზე ტყავანი მოადინა და თავზე წამოდგარ დიტოს გამოძვდილად ამოხედა:

- ძალიან მდიდარი ხარ?
- არც ისე.
- მაგრამ ეს ყველაფერი ხომ დიდი ფული ღირს?

– საკმაოდ. მაგრამ ხანდახან, კაცმა თავს ამის ნებაც უნდა მისცე.

ნინის სახე მოელუშა. – რა იყო? – ჰკითხა დიტომ.

– არ მიყვარს ეგ სიტყვა: „ხანდახან“ ხომ იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი კარგი, ცხოვრებაში მხოლოდ დროებითია.

- ისევე, როგორც ცული.
- ცული ვერცე უნდა იყოს.

დიტო დაიხარა და ნინის თავზე ხელი ისე გადაუსვა, თითქოს პატარა ბავშვს ეფერებო:

- გავა დრო, გაიზრდები და მიხვდები, რომ მთლად მართალი არა ხარ.
- ისე მელაპარაკები, თითქოს, შენ კი ასე წლის იყო.

– ისე, მართლა, რამდენი წლის ხარ? – ისევ კითხვა შეაგება დიტომ.

- თვრამეტის. შენ?
- ოცდაათორმეტის.

– რა-ა-ა? – პირი დააღო ნინიმ. – ნუ მატყუებ, მაგდენს ნამდვილად არაფერ მოგცემს.

– არც მაძლევენ, – ეშმაკურად გაიღიმა დიტომ, ნინისკენ დაიხარა და ფართოდ გახედილ თვალბეჭდში აშკარა ნდობით ჩახედა.

ამ დროს კარზე მორიდებული კაკუნის გაისმა. დიტო ზღაზღენით წამოდგა და კარი გააღო. ზღურბლზე, ლანგრით ხელში, ისევ ის ოფიციალტი იდგა.

– ესეც შენი „ისვის წვენი!“ – მხიარულად შესძახა დიტომ და ოფიციალტს ლანგარი ჩამოართვა. მასზე ნაყინით პირთამდე სავსე, ათასნაირად მორთულ მოკაზმული ორი სანაყინე იდგა. საბოლოოდ გაოგნებულმა ოფიციალტმა კარი უხმოდ გაიხურა.

ნინიმ ერთი სანაყინე უცბად „ამოაშრო“. დიტომ მაშინვე მორე მიუჩოჩა.

– მერე შენ? – ზრდილობისთვის მანც

ჰკითხა ნინიმ.

– ხომ გაგიგონია: „ყველაფერი საუკეთესო – ბავშვებს!“ შენ კი, ჩემთან შედარებით, ნამდვილად ბავშვი ხარ.

– სულაც არა! – ნინიმ ნაყინით მოთხუნბილი ტუჩები გამოშწვევად დაპარანჭა.

- ამით რისი თქმა გინდა?
- ყველაფრის.

– მართლა? – დიტო ნინის გვერდით მიუჯდა.

– აქედან როდის წავალთ? – საუბრის თემის შეცვლა სცადა ნინიმ.

- როცა შენ იტყვი.
- ესე იგი, შეგიძლია ღამეც აქ დავრჩეთ?

– თუნდაც, ათი ღამე, – დიტომ თვალბეჭდით ეშმაკურად მოჰკუტა.

- მერე კი, ვითომ აქ არაფერი, ხომ?
- ვერ გავიგე?

– ამ ღამეს აქ ვაკატარებთ, ხვალ კი ერთმანეთს ისე დავმორდებით, ვითომ არაფერი მომხდარა, ხომ?

- შენ როგორ გინდა?
- შენ?

– მე ახლა მხოლოდ შენ მინდისხარ. მოდი ჩემთან. ხვალვე ხვალემ იფიქროს...

თვალბეჭდებულმა დიტო ნინის ვნებიანად კოცნიდა. ნინი კი მას თვალბეჭდგარ-თოებულად შესცქეროდა. არა, ეს მისთვის პირველი კოცნა ნამდვილად არ იყო, ის კი არა და, მეზობლის ბიჭ ღათასთან სათივეში განმარტოებულმა, ერთი-ორჯერ, გემრიელადაც იკოტრიალა. მას დათაც განხელებული კოცნიდა, თანაც, ისე ქმინავდა, რომ ნინი სიცილს ვერაფრით იკავებდა, რაზეც დათა სერიოზულად ბრაზობდა, – ვიბნევიო და კოცნის ხალისიც მაშინვე ეკარგებოდა. ნინი ბოდიშს უხდიდა, მაგრამ შემდგომი შეხვედრისას, იგივე მორიდებოდა. ამიტომ, მათი რომანი – როგორც ეს ურთიერთობა ნინიმ მონათლა, – ძალიან მალე დასრულდა და დათაც, ნინის ჯიბრზე, მის კარისძირის მეზობელ ნუცაზე გადაერთო. თუმცა, ნინის ეს ოდნავაც კი არ სწყენია, რადგან დათას ალერსის მიმართ ბოლომდე უგრძობი დარჩა და ისიც დაასკვნა, რომ, ალბათ, ფრიგიული ქალი იყო: ეს სიტყვა, ისევე როგორც ბევრი სხვა რამეც, სიყვარულს და განსაკუთრებით კი, სექსს რომ უკავშირდებოდა, ნინიმ რომელიღაც რომანში ამოიკითხა და საგულ-დაგულად დაიმახსოვრა.

მაგრამ ახლა, დიტოს ძლიერ მკლავებში მოქცეულს, რატომღაც, საკუთარი „სექსუალური გამოცდილებიდან“ აღარაფერი ახსენებოდა და მხოლოდ იმის შიშილა ჰქონდა, დიტოს უცბად ხელი არ ეშვა, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული – ასე რომ მოხდეს, იატაკზე გონწასული გავიმზლართებო. მაგრამ დიტოს, როგორც ჩანს, მსგავსი რამ გულში ფიქრადაც კი არ გაუვლია. პირიქით, ნინის გულში სულ უფრო მაგრად იკრავდა და ისევ ვნებიანად კოცნიდა, შემ-

დეგ საწოლზე მიაწვინა და ტანსაცმლის გახდა დაუწყო. ნინის მიუღწეველ სხეულში საოცრად სასიამოვნო ჟურნალის მსგავსად დაუარა და გულში ისიც კი ინატრა, ნეტავ, ეს ყველაფერი არასოდეს დამთავრდებოდა. დიღომ თავადაც გაიხდა და გვერდით მიუწვა, მაგრამ უცბად საწოლიდან ისევ წამოდგა, ნინი ხელში აიტაცა და საბაზანოში შეიყვანა, იქ დაბლა ჩამოსვა და თითქმის უბრძანა:

– შხაპის ქვეშ დადექი და თვალე-ბი დახუჭე!

ნინი უსიტყვოდ დაემორჩილა და წყლის ჭავლს გახურებული სახე შეუშვია. წყალი ჯერ მის თმას, შუბლსა და ლოყებს ჩამოჰყვა, შემდეგ – მკერდს. დიღომ წელზე ხელი შემოხვია და მკერდზე ჩამოღვრილი წყლის წვეთები ენებიანად აულო-კა...

მოგვიანებით ნინი საწოლში მის გვერდით გარინდული დიღოს ლამაზ პროფილს ისეთი ინტერესით ათვალიერებდა, თითქოს საშუალოდ იმას-სოვრებსო.

– იცი, რომ ძალიან დიდი ცრუბენტელა ვარ? – დაიწყო მან ბოლოს.

დიღომ მისკენ ნელ-ნელა მოიხედა:

– ვიცი.

– საიდან იცი? მე ხომ შენთვის ვერ არაფერი მომიტყუებია.

– უკვე მომატყუე, თანაც ძალიან.

– მაინც რა მოგატყუე?

– რა და... ჩემამდე რომ არავინ გყოლია, რატომ არ მითხარი? – ამ სიტყვებზე დიღომ ნინის თვალგაფართოებული დააშტერდა.

– არ მინდოდა და არ ვითხარი! – თვალი თვალში გაუყარა ნინიმ.

– კიდევ ვის ატყუებ ხოლმე?

– ყველას.

– რატომ?

– რა ვიცი, მომწონს. ასე ცხოვრება უფრო საინტერესოა...

– მეც მაგიტომ მომატყუე?

– მე შენ არ მომიტყუებინარ. – ნინიმ დიღოს გამჭოლ მხერას ახლა კი ნამდვილად ვედარ გაუძლო და თვალები დახარა. შემდეგ რაღაც უცნაურად ნერვიული სიცილი აუტყდა.

– რა გაცინებს? – ჰკითხა დიღომ.

– ჩემებს ალბათ, ჰგონიათ, რომ უკვე ბიძა-ჩემთან ვარ.

– სიმართლე რომ გაიგონ, რას გიზამენ?

– ვერ გაიგებენ.

– რატომ ხარ ასე დარწმუნებული?

– იმიტომ, რომ მე არაფერს ვეტყვი, შენ კი, საერთოდ, ვერასოდეს განსავენ.

– ამაშიც დარწმუნებული ხარ?

– ასი პროცენტით.

ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ნინიმ ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ აპარატი ვერსად აღმოაჩინა.

– ჩემი მობილური რეკავს, – დაამშვიდა დიღომ, ხელით სავარძელზე მიფენილ თავის შორტს მისწვდა და ტელეფონი ამოიღო:



– ვისმენთ. რა-ა-ა?... როდის?... როგორ?..

– დიღოს ხმაში ამკარა შემფითება დაეცო. – კარგი, კარგი, ახლავე გამოვიდ-ვარ...

დიღოს მობილური ერთხანს კიდევ ხელში ეჭირა, შემდეგ სავარძელზე დადო, სასწრაფოდ წამოდგა და ტანსაცმლის ჩაც-მა დაიწყო.

– მოხდა რაზე? – ჰკითხა ნინიმ.

– ჰო, მოხდა. უკან უნდა გაგებუნდე, თანაც, რაც შეიძლება, მალე...

– გაბრუნდე, სად?

– ახლა არაფრის ანსხა არ შემიძლია, რადგან ძალიან მეჩქარება. ადექი, ჩაიცვი, მანქანას გაგაჩერებ და მძღოლს შეგუთანხმ-დე, რომ თბილისში ჩავიყვანოს.

ნინი მაშინვე წამოხტა და ტანსაცმელს ეცა, მაგრამ სიჩქარისაგან შარვლის ტოტში ფეხი ისე გაეხლართა, რომ კინაღამ იატაკზე მოიღო ზღართანი.

– კისერს ნუ მოიტეხ, ცოტა დრო კიდევ გვაქვს, – უთხრა დიღომ.

– მაშ, ცოტა დრო კიდევ გვაქვს?! მხო-ლოდ ცოტა ხომ? – უყვირა ნინიმ, – გასაგება!

– რა არის გასაგები?

– რა და შენ ეს სპეციალურად მოაწვევ-არ მესმის, რას მეუბნები? როგორ შემი-ძლო, მობილურის ზარი „მომეწყო“?

– არა, მობილურზე მართლა დაგირეკვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის სულაც არ უთქვამთ, სასწრაფოდ დაბრუნდიო. ეს შენ მოიგონე, ჩემგან თავდასაღწევად მოიგონე!

– ნინი! აბა, რას ამბობ? – მხარზე ხელი მოჰკიდა დიღომ.

– ხელი აღარ მახლო! არც ერთი შენი სიტყვის აღარ მჯერა! – უკივლა ნინიმ.

– კარგი. არ გჯერა და ნუ გჯერა. ჩაიცვი და წავიდეთ აქედან.

– მე შენთან არსად აღარ წამოვალ!

– კარგი, მაშინ იჯექი და იყავი.

– არ ვივადებ! რა მინდა აქ? ამ დაწყვეტილ სახლში რაღა დამრჩე-ნია?!

– ნინი, მისმინე!

– არა! შენი ხმის გაგონებაც კი არ მინდა, წადი, მოშორდი! – უმწუვოდ მხრებზემოყრილმა ნინიმ დიღოს ზურ-ვი აქცია...

დიღომ ნინის მხრებში ხელი ჩაავ-ლო, თავისკენ შეაბრუნა და გვარი-ანად შეანჯღრია:

– აბა, ახლავე დაჯექი და კარგად მომისმინე!

ნინი დიღოს მბრძანებლურმა ტონ-მა ამკარად დააფრთხო და საწოლზე უხმოდ ჩამოჯდა.

– მითხარი, რისი არ გჯერა? – ჰკითხა დიღომ.

– კიდევ შეკითხები?!

– სწორედაც რომ გეკითხები და მიპასუხე!

ნინიმ თვალზე მომდგარი ცრემლი ველ-არაფრით შეიკავა, თავი მხრებში ჩარგო და ბავშვით ასლუკუნდა. დიღომ მას აკანკალე-ბულ ნიკაპში ხელი ამოსდო, თავი აუწია და თვალებში ჩახედა:

– როგორ ფიქრობ – მე შენთან ყოფნა იმდენადაც კი არ მესიამოვნა, რომ ორ წუთ-ში წამოვხტი და სადღაც გავბრძვიარ? – ჰკითხა მან.

ნინი უხმოდ წამოდგა და თავის ჩემოდანს ხელი წამოავლო, მაგრამ თითქოს ვიღაცამ ქვებით აუგსო, ძერა ვედარ უყო.

– ჩემოდანს თავი დაანებე და როცა უფრო-სი გეკითხება, პასუხი გაეცი! – ისევ უბრ-ძანა დიღომ.

– შენ ჩემი უფროსი ვერასოდეს გახდები! დიღომ ჯერ აქეთ-იქით დაბნეულმა მი-მოიხედა, შემდეგ ვიბეები მოიქექა, პატარა ბლოკნოტი ამოიღო, ფურცელი ამოხია და ზედ რაღაც წააწერა.

– ნინი, მისმინე, – ისევ მკლავებში ჩააფ-რინდა ნინის, – ახლა ანსხა-განმარტებების დრო ნამდვილად არ მაქვს. აი, მისამართი. ზუსტად სამი კვირის მერე, დღის პირველ საათზე, ამ მისამართზე მოდი და მე მი-კითხე.

– არ მოვალ.

– მოხვალ! მოხვალ და ამის შემდეგ ჩვენ სულ ერთად ვიქნებით! – გასაგება?

– გასაგება, – ამოისლუკუნა ნინიმ და თვალგაბრუნებულ დიღოს აკანკალეული ხელით ჩამოართვა ფურცელი...

გაგრძელება იქნება

ახლოვროდობის შენარჩუნების 15 ხერხი

ღრმად ხარ ღრმუნებული, რომ ამაზე ზრუნვის დრო შენთვის ჯერ არ დამდგარა (ყოველ შემთხვევაში, უახლოესი 5-10 წელი მშვიდად შეგიძლია იყო)? აშკარად მცდარი შეხედულებაა. ნებისმიერი ექიმი გეტყვის, რომ ჯანმრთელობასა და გარეგნობაზე ზრუნვა მანამდე, დიდი ხნით ადრე უნდა დავიწყოთ, ვიდრე მასში რაიმე ცვლილებას შევამჩნევთ. ყველა წინამდებარე ხერხი ზედმიწევნით მარტივია, თანაც 90-იანი წლების დასაწყისიდან მიმდინარე საფუძვლიან კვლევებს ეფუძნება. ასე რომ, შეგიძლია ისინი პროგრამა-მინიმუმად მიიჩნიო.



1. დაიწყე კარიერაზე ზრუნვა (ან უბრალოდ, საყვარელ საქმეს მოჰკიდე ხელი).

საქმი დაკავებულ ქალებს საშუალოდ, სისხლში ქოლესტერინის შემცველობაც უკეთესი აქვთ, არტერიული წნევაცა და გარეგნულადაც, თავიანთ თანატოლებზე გაცილებით უკეთ გამოიყურებიან.

2. ძალიან ან კატა შეიძინე.

შინაური ცხოველი ასევე კარგად მოქმედებს არტერიულ წნევაზე. გარდა ამისა, საყვარელ ოთხფეხთან ურთიერთობა ყოველდღიური საზრუნავისგან განტვირთვას უწყობს ხელს — ამდენად, სასიკეთო გავლენას ახდენს ნერვულ სისტემაზე.

3. კვირაში სამჯერ, ნახევარ-ნახევარი საათი ისეირნე.

გათვალისწინე, რომ ეს მინიმუმი — საუკეთესო შემთხვევაში, სეირნობას ყოველდღე 30 წუთი უნდა დაუთმო. ეს აუცილებელია გულის გამართული მუშაობისა და „სწორი“ წონის შესანარჩუნებლად — რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ ზედმეტს არ ჭამ.

4. ეცადე, გამუდმებით შეყვარებული იყო.

შეყვარებული ადამიანის მდგომარეობა საგრძობლად აქვეითებს სტრესის დონესა და ყველა (გესმის — ყველა!) დაავადების გაჩენის რისკ-ფაქტორს.

5. აქტიურად იმეგობრე და ახალი ნაცნობებიც გაიჩინე.

რამდენიმე წლის წინ, ბრიტანელი მეცნიერი-მედიკოსები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ადამიანები, რომელთაც ბევრი მეგობარი ჰყავთ, მარტოსულებზე გაცილებით ღიბანს ცოცხლობენ.

6. თავი დაანებე თამბაქოს მოწევას.

რასაკვირველია, თუ ამ საშინელი ჩვევისთვის ვერც თავად აგირიდებია თავი. სიგარეტის წვეა არა მარტო მიხე დაავადებების გაჩენას უწყობს ხელს, არამედ ჟანგბადით ორგანიზმის მომარაგებასაც აფერხებს, რის გამოც თქვენი კანი უფრო უხეში და ადვილად „ჭკნობადი“ ხდება.

7. გამოიყენე მზისგან დამცავი ნელსაცხებელი.

დერმატოლოგები დარწმუნებულნი არიან: მზე კანის მთავარი მტერია. ყველაზე პესიმისტური პროგნოზის თანახმად, დაბერების ნიშნების გაჩენა 80%-ით მზის სხივების ზეგავლენითაა განპირობებული.

8. ხშირად მიირთვი თევზი და ბოსტნეული.

ეს იმ კატეგორიის

საკვებია, რომლის სარგებლობასაც დღეს აღარავინ უარყოფს — მაშინ, როდესაც ბევრი სხვა სურსათის თაობაზე აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობაა.

9. ნუ იბღვირები.

თუ რასაკვირველია, არ გსურს, რომ ღროზე ადრე დაგინაოჭდეს სახე.

10. იცინე და იტირე.

იტნებ შენც გასმენია, რომ სიცილი იმუნურ სისტემას ამცირებს, ტირილი კი, სტრესით გამოწვეულ განცდებს ამცირებს (მეცნიერებმა ხომ ცრემლებში სტრესის ჰორმონები აღმოაჩინეს!). გარდა ამისა, ემოციების თავისუფლად გამოხატვის ჩვევა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გაჩენის რისკს ამცირებს.

და კიდევ:

11. კვირაში ერთი დღე მიიწე, სრულყოფილად დაისვენე, მათ შორის — საოჯახო და ყოველგვარი ყოფილი პრობლემისაგან.

12. უარი არ თქვა კარგად გამოძინებაზე, თანაც გაითვალისწინე, რომ სხვა ვერავინ გეტყვის, თუ რამდენი ხანი უნდა იძინო — საათების რაოდენობა თავად უნდა გამოთვალო თვითშეგრძნებისდა მიხედვით.

13. აუცილებლად ისარგებლე შეზღუდვებით — არანაკლებ ორი კვირისა, წელიწადში ერთხელ მიიწე; თუ ორჯერ მოახერხებ — მით უკეთესი.

14. ნუ შეეჩვევი ტელევიზორის ეკრანსა ან კომპიუტერის მონიტორის წინ მთელი საღამოების გატარებას.

15. ეცადე, ხშირად გახვიდე ბუნების ნიაღში — თუნდაც ქალაქის პარკში გაისეირნე, თანაც ზოგჯერ — სრულიად განმარტოებით.



Honda-ს „ჭეჯიანი“ ბაღიშები




დროს. სისტემის მართვა მიკრო-კომპიუტერის მეშვეობით ხორციელდება. ელექტრონიკა 0,015 წმ-ში ახდენს ბალიშის აქტივირებას. პირველად ამ სისტემით Honda Accord-ი აღიჭურვება, რომელიც ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ავტობაზრებზე 2003 წლის დამდეგს გამოვა. როგორც ვარაუდობენ, „აკორდის“ შემდეგ, ახალი ბაღიშებით კომპანიის სხვა მოდელებიც აღიჭურვება.

მსოფლიოს წამყვანი ავტომწარმოებლები გამუდმებით ხვეწენ თავიანთი მანქანების უსაფრთხოების სისტემებს. საავტომობილო სამყაროსთვის დამახასიათებელი კონკურენცია ამ თვალსაზრისითაც ძალზედ მწვავეა.

იაპონურმა კომპანია „ჰონდამ“ უსაფრთხოების გვერდითი საპარო ბალიშების ახალი კონსტრუქცია შეიმუშავა, რომლის მოქმედების ძირითადი პრინციპი ის არის, რომ ბალიში ავტომატურად ერგება მძღოლისა და მგზავრის კომპლექციას: რაც უფრო დიდია მანძილი, ერთი

მხრივ ადამიანს და, მეორე მხრივ – გვერდით ღვარებსა და ფანჯრებს შორის, მით უფრო მეტად იბერება. როგორც „ჰონდას“ ევროპული ფილიალის წარმომადგენლები აცხადებენ, ეს ბალიშები პრაქტიკულად 100%-ით იცავს ადამიანებს მძიმე ტრავმებისგან გვერდითი შეჯახების



ედექსიონელი ავტომანქანების

ევროპაში ავტოავარიის შედეგად დაღუპულთა საერთო რაოდენობის მეოთხედი, საჭკესთან ჩაძინებული მძღოლების მიზეზით ხდება. დღემდე ამ მოვლენასთან ბრძოლა მხოლოდ რამდენიმე რჩევით შემოიფარგლებოდა: დაღლილები საჭკეს ნუ მიუსხდებით, შორ გზაზე მგზავრობისას ხშირად დაისვენეთ – და სხვა ამგვარი. მაგრამ კონცერნ BMW-ს სპეციალისტებმა გადაწყვიტეს, შეექმნათ სპეციალური ელექტრონული სისტემა, რომელიც მძღოლის კონცენტრაციის დონის გაკონტროლებას შეძლებდა. ამ სისტემის ძირითადი ელემენტი მიკრო-ვიდეოკამერაა, რომელიც სალონში მარჯვნივ მისი ობიექტივი მძღოლის თვალებისკენაა მიმართული და თუ მძღოლი ხშირ-ხშირად აფახულებს თვალებს, ე.ი. გადაღლის საშიშროება იზრდება. კამერა დაკავშირებულია შუქდიოდებთან, რომელიც ხელსაწყობა პანელზე განთავსებული: მწვანე ნათურა მძღოლის ნორმალურ მდგომარეობას ადასტურებს, ყვითელი – მისი დაღლილობის ზღვრულ დონესთან მიახლოებას აღნიშნავს, წითელი კი, აშკარა საშიშროების სიგნალია – და სალონში გაისმება გამაფრთხილებელი ხმა, რომელიც თავისებური მადვიძარის ფუნქციას ასრულებს. თუმცა, მანქანა, ანთების სისტემის ბლოკირებით არ აღიჭურვება. ასე რომ, განაგრძოს მოძრაობა თუ გაჩერდეს – ეს, თავად მძღოლის გადასაწყვეტია.

Renault-ის პიკაპი მცხიე მენახმეთათვის

Renault-მა თავისი ახალი მოდელი – ლიასაბარგულიანი, სრულამბრავიანი პიკაპი წარმოადგინა, რომელიც ცნობილი Kaango-ს ბაზაზე შემუშავდა. ავტომობილს Kaango Break'up-ი დაარქვეს და ამ ცოტა ხნის წინ, ქალაქ ვალ-დი-ზერეში უჩვენეს ავტომოცვარულებს. მოხდენილ გარეგნულ იერთან ერთად, ახალი ყველაგანმავალი საკამო ფუნქციონალობითაც გამოირჩევა: უკანა კარი კი არ იღება, არამედ კორპუსის გასწვრივ გადაიწევა („მიცურავს“), რაც მანქანაში ჩაჯდომის-გადმოსვლას აადვილებს; ღია საბარგო განყოფილება თვალში მოუვა, როგორც მცირე მწვარემებს, ასევე აქტიური ტურიზმის მოყვარულთ. სხვათა შორის, მწარმოებელი მას, ველოსიპედების სამაგრებითაც აღჭურვავს. მანქანას 1,6 ლ მოცულობის 4-ცილინდრიანი, 110 ც.ძ-ის ძრავას ჩაუყენებენ. Break'up ჯერჯერობით, მხოლოდ ექსპერიმენტული მოდელის სახით არსებობს და მისი სერიული წარმოების საკითხის გადაწყვეტა მომავლის საქმეა. ამჟამად, „რენოს“ მარკეტოლოგები მანქანის პირველ დამთავალიერებელთა რეაქციებს ანალიზებენ.



ჟურნალ „გზის“ წინა ნომერში, ლალი ბადურაშვილის ინტერვიუდან შევიტყვევით, რომ მისმა შვილმა, კინორეჟისორმა **ერეკლე ბადურაშვილმა** ახალ მხატვრულ ფილმზე მუშაობა დაასრულა. იქვე დაგპირდით ინტერვიუს მასთან, საიდანაც უფრო კონკრეტულად შევიტყობდით ამ ფილმის შესახებ და ქართულ კინოში შექმნილ ზოგიერთ პრობლემასაც შევეხებოდით. მკითხველს შევახსენებთ, რომ ერეკლეს გადაღებული აქვს ფილმები: „ავტოპორტრეტი“, „ცოდვის დღესასწაული“, „თბილისი ჩემი სახლია“. ახალ ფილმს, რომელიც ცოტა ხნის წინ, მოსკოვში წაიღეს გასახმოვანებლად, „ერთი ქართული ისტორია“ ჰქვია და ერთ საათსა და 40 წუთს გრძელდება. მთავარ გმირს არაპროფესიონალი მსახიობი — ზაზა შერეზადაშვილი ასრულებს, ხოლო მის მშობლებს განასახიერებენ ქალბატონი ლალი ბადურაშვილი და ბატონი თენგიზ არჩვაძე, რომლებიც მრავალი წლის წინ ერთმანეთს პარტნიორობას უწევდნენ ფილმებში: „დიდოსტატის მარჯვენა“ და „ნიგნი ფიცისა“.

ნათია თენიშვილი

— ფილმი რეალურ ამბებზეა აგებული. იქ არ არის ტყუილი. სიუჟეტი სამ პერიოდს მოიცავს. მასში შვილიშვილი ბაბუის ცხოვრებას იხსენებს, იქვე, ჩვეულებრივი, დღევანდელი ყოფაა ნაჩვენები — ის ქაოსი, რაც ჩვენს თავს ტრიალებს, ის საგიჟეთი, რომელიც ჯერ არ დამთავრე-



ერეკლე ბადურაშვილი

„მსოფლიო დონის კინო გვქონდა და ratomRac wixli hkres...~

ბულა... სიმბოლური რაღაცებიც არის. რთული გადასაღები ფილმი იყო. 20-იანი წლების ეპიზოდებია, კინოსტუდიაში კი, ნორმალური კოსტიუმიც არ არის, რომ ჩოხა ჩააცვა კაცს. გადაღება 1997 წელს დაიწყო. გაჩერება-გაჩერებით, ხუთი წელი ვიღებდი ამ ფილმს. ეს უბედურებაა. კიდევ კარგი, რომ სურათის თემატიკა არ არის ერთ, კონკრეტულ დროში მოქცეული. ამიტომ ვფიქრობ, თემატიკა არ მოძველდება და აქტუალობას არ დაკარგავს. ალბათ ძალიან მინდოდა, გადამეღო, ღმერთმაც გადმომხედა და, როგორც იქნა, დავამთავრე.

— ფილმი გასახმოვანებლად მოსკოვში წაგიღიათ. ჩვენთან რა, აღარ არის ამის საშუალება?

— აღარ არის იმის საშუალება, რომ ნორმალურად განმოვანდეს. რატომ უნდა მივდიოდე მოსკოვში? საშუალება რომ იყოს, აქ გავახმოვანებდი. ყველა სურათი ჩვენთან გადავიღე, მაგრამ ახლა, აქ თუ გაახმოვანებ, ისეთი ხარისხის იქნება — ჩემს მტერს!.. რუსეთში გამოყვეს ფული კინოსთვის, მის-

ვდნენ, რომ მათი კინოხელოვნება, რომელიც მათი სახეა, არ შეიძლება ზრამში გადააგდონ. ჩვენთან, ძალიან დიდი ხნის წინ არის ყველა ფილმი წარმოებაში ჩაშვებული და ახლა უნდა გამოვიდეს 9 სურათი. ამით ყველაფერი დამთავრდება — ეს არის ბოლო ფილმები, რომელიც სახელმწიფომ დააფინანსა. ამაზეც ხმალამოღებულებმა ვიომეთ... წელიწადში ერთხელ, რაღაცას გამოვივადებდნენ ხოლმე. ფილმის გადაღებას განწყობაც ზომ სჭირდება? ზომ არ შეიძლება, გაუთავებლად ერთსა და იმავეზე მუშაობა! ბოლოს და ბოლოს, მოგებურდება ადამიანს. იმ ხალხს, ვინც ახლა ფილმები დაამთავრა, გორგასლის ორდენი ეკუთვნის.

საუბარში ქალბატონი ლალი ჩაერთო:

— სწორი ფორმულირება გააკეთა რეზო ჩხეიძემ — წყალსა და შავ პურზე არიან დღეს რეჟისორებიო. საშინელი პირობებია, არადა, ძალიან კარგი თაობაა, თანაც — უძლიერესი თაობის ცვლა. რეზო ჩხეიძე, თენგიზ აბულაძე, ელდარ და გიორგი შენგელაიები, მერაბ კოკოჩაშვილი, თემურ ბაბლუანი და ასე შემდეგ — უმაღლესი დონის რეჟისორები არიან. მოვიდა თაობა, რომელიც მათი ნამოწაფარია, მაგრამ პირობები არა აქვს. რასაც აკეთებენ — იმასაც როგორ ახერხებენ, არ ვიცი.



ერეკლე შვილთან, ნინისთან ერთად

ერეკლე:

— ჯერჯერობით, ჩვენ არა გვაქვს ისეთი ღირებულების რამ შექმნილი, არც ეკონომიკაში, არც სხვა რაღაცაში, რომ ვიღაც გავაკვიროთ, — თუ არა ისევ კულტურა. მსოფლიო დონის კინო გვექონდა და რატომღაც წიხლი ჰკრეს და ხრამში გადაადგეს. ევროპაში ერთი საშუალო ფილმი, მილიონი, მილიონ ორასი ათასი ჯდება — ამერიკაზე აღარ ვლაპარაკობ. „დიდოსტატის მარჯვენა“ 12 მილიონი რუსული რუბლი დაჯდა. ჩვენი პრეზიდენტის იმედი მაქვს — მას კინო უყვარს და ალბათ მოიცლის მისთვის. ჯერ ალბათ მაგის დრო არ დამდგარა — ახლა ფაქტობრივად, გვეომებიან და ყოველდღე, ბომბებს ველოდებით ციდან... მაგრამ ქართული კინო უნდა განახლდეს. ჩვენ გვაქვს ბაზა, მშვენიერი ლაბორატორია. უბრალოდ, ცოტა გასაახლებელია. მოდიან ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც მათგან ისწავლიან, ვინც ეს საქმე იცის. მთავარია, იყოს ბაზა, ფირი და კამერა. ჯერ ვერა, მაგრამ რაღაც პერიოდის შემდეგ, იმედი მაქვს, ეს ყველაფერი იქნება. დღეს კი, იმ 800.000 ლარად, რასაც გადმოვიგდებენ, ურჩევნიათ, ვიდეოკამერით რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი სურათი გადაიღო, ვიდრე ერთი ფილმიც ვერ გადაიღო.

— **ერეკლე,** ეს ფილმი დაამთავრეთ. რაიმე ახალზე ხომ არ ფიქრობთ? სამომავლოდ რას აპირებთ?

— მე და ზაზა ურუშაძე ვიღებთ 13-სერიან ტელესერიალს. ეს არის

კრიმინალური ამბები, შექმნილი რეალურ მოვლენებზე დაყრდნობით. სპეციფიკური კინოს ღარგი ჩვენთან ძვირი ეჩვენებათ, ფიქრობენ, რომ არ არის საჭირო. ეს სურათიც გადაღებული იქნება ვიდეოზე და არა კინოფირზე. მათ შორის განსხვავება დაახლოებით იგივეა, რაც გუაშით დახატულ ნახატსა და ზეთით შესრულებულ ტილოს შორის. მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს ჩემს პროფესიასთან მაინც უფრო ახლოს არის და „ბუდკაში“ ვაჭრობას მირჩევნია, ამიტომ გავაკეთებ. მაგრამ მაღალმხატვრულ ნაწარმოებს მისგან ვერ მიიღებ. თუმცა, ეს ღარგიც უნდა იყოს, განვითარდეს და თავისი ადგილი დაიმკვიდროს. ოქტომბრის შუა რიცხვებში გადაღებები უნდა დაიწყოს. კიდევ კარგი, რომ აპარატურა ჩამოგვდის ისეთი, რომელიც კინოსთან მიახლოებულ ხარისხს მოგვცემს. მსახიობებიც იმიტომ თანხმდებიან სერიალებში მონაწილეობას, რომ ელემენტარულად, პურის ფული მაინც ჰქონდეთ. ადამიანს ხომ სჭირდება საკვები, ჰაერი, წყალი, რომ იცოცხლოს. მადლობა ღმერთს, რომ ამ სურათის გადაღება დაემათავრე. იმედი მაქვს, სხვები დაინტერესდებიან და შეიძლება, საერთაშორისო ასპარეზზეც გავიდეს. იმედი მაქვს, რომ ჩემი გამოცდილება არ მღალატობს და სანახაობრივი და აქტუალური ფილმი გამოვიდა.

P.S. ფილმის „ერთი ქართული ისტორია“ ნახვის შესაძლებლობა ქართველ მაყურებელს ოქტომბრის ბოლოს ექნება. ■

სწორი ფორმულირება გააკეთა რეზო ჩხეიძემ — წყალსა და შავ პურზე არიან დღეს რეჟისორებიო



ტესტი

ერეკლისაზე

1. რას ნიშნავს სიტყვანიტყვიით „ჰარამხანა“?



- ა) ნეტარების ადგილს;
- ბ) აკრძალულ სახლს;
- გ) განწმენდის ღარბაზს.

2. რა ენოდება მსახიობი ძალის ამბლუსს, რომელიც პატარა გიჟებსა და მოზარდებს ასახიერებს?



- ა) ბუჩქი;
- ბ) ტრავესტი;
- გ) იმიტატორი.

3. სხეულის რომელ ნაწილზე აქვს სოფი მარსოს დიდი ხალი?



- ა) თეძოზე;
- ბ) მკერდზე;
- გ) მუცელზე.

4. დანიში ძალაძის კატი-ბორიას განაქუთვნება ნებისმიერი დასახლებული პუნქტი, რომლის მოსახლეობა აღემატება:



- ა) 250 კაცს;
- ბ) 25000 კაცს;
- გ) 250000 კაცს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ჯეძის, ცვილის თბილისი ჰყავს

შპიცე ირლს-ის ყოფილმა მომღერალმა, ჯერი ჰოლიუელმა ლონდონის მადამ ტიუსოს მუზეუმში, საკუთარი ცვილის ფიგურა თავადვე წარუდგინა დამთვალიერებელს.

მუზეუმის თანამშრომლის, დაიან მუნის თქმით, ჯერი ჰოლიუელის ფიგურის განსნა დროის მოთხოვნის შესაბამისად მოხდა. უკანასკნელ ხანებში მან საოცრად დიდი პოპულარობა მოიპოვა და დამთვალიერებლები ხშირად კითხულობდნენ, გვექონდა თუ არა მისი ფიგურა მუზეუმშიო.

30 წლის მომღერალი თავისი ორეულით კმაყოფილი დარჩა. მან თავადვე შეარჩია მისთვის Dona Karan-ის შავი, ღრმად დეკოლტირებული კაბა, რომელიც ხაზს უსვამს მის ტანადობასა და ნამწეურს. ჯერის ორეულის თავდაპირველი ასლი, მოდელის ყველა ტატუირებით იყო შემკული, მაგრამ მოგვიანებით მომღერალმა გადაიფიქრა და ყველა მათგანი მოაშლევინა, რადგან ცოტა ხანში თავადაც აპირებს სვირინგების მოცილებას.

მუზეუმში ჯერის ფიგურის გვერდით ფოტოგრაფირებასთან ერთად, მასთან კარაოკეს მეშვეობით სიმღერაც იქნება შესაძლებელი. სიმღერის შესრულებისას კი მაგნიტოფირის ჩანაწერის საშუალებით, ჰოლიუელი თავად გაამხნევეს შემსრულებელს.



მბრუნდნ თბილისი ვაქციშვილი შიქინა

33 წლის მსახიობს, ბრუნდნ ფრეიზერს („მუშია“) ვაქციშვილი შეეძინა, რომელსაც გრიფინ არტური დაარქვეს. 35 წლის ბელნიერი დედა – ეფტონ სმიტი თავადაც მსახიობია და არაერთ ფილმში მიუღია მონაწილეობა; მათ შორისაა: „ნულს ქვემოთ“, „მწვანე, შემწვარი პომიდორი“, „რეალობა იკბინება“ და „ჯორჯი ჯუნგლებიდან“ (სწორედ ამ ფილმის გადაღებისას გაიცნეს მათ ერთმანეთი). წვეილმა 1998 წელს იქორწინა. ოჯახის შექმნის შემდეგ, ეფტონი უსიტყვოდ დათანხმდა ქმრის რჩევას, სამსახიობო კარიერას თავი დაანება და საოჯახო საქმეებით შემოიფარგლა. ბრუნდანი ირწმუნება, რომ ცოლი მისი პირადი პროდიუსერის მოვალეობასაც ითავსებს, მაგრამ რაში გამოიხატება ეს, კონკრეტულად არავინ იცის. მოსიყვარულე წვეილი ხშირად ჩნდება კინოპრემიერებსა და სადღესასწაულო წვეულებებზე. ■



მანდრასმა 20 მილიონ დოლარზე თქვა უარი



ვარსკვლავმა სათავგადასავლო ბოვეიკის – „ზოროს“ მომდევნო სერიაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ მას სერიაში ფრიად სოლიდურ ჰონორარს – 20 მილიონ დოლარს სთვავობდნენ. „მე შემდეგ გამდიდრება, მაგრამ სხვაგვარად გადავწყვიტე. შესაძლოა, თეატრში ვითამაშო“, – თქვა მსახიობმა.

ანტონიო თავადაც აპირებს ფილმის გადაღებას, მთავარ როლზე კი ცოლის – მელანი გრიფიტის მიწვევა სურს. „ვიცი, რომ იშვიათია შემთხვევა, როცა რეჟისორები საკუთარ ცოლებს იღებენ, მაგრამ მე ექსპერიმენტები მიყვარს. იქნებ, ყველაფერი კარგად გამომივიდეს“, – დასძინა მან.

ამჟამად ბანდერასს იღებენ დრამატული ჟანრის ფილმში – Imagining Argentina სადაც იგი მოტაცებული ადამიანების ხვედრის ხედვის განსაკუთრებული უნარით დაჯილდოებული სათეატრო რეჟისორის როლს ასრულებს. ■

ცინა ცერნების სასკოლის გზაფარული

ტენესის შტატის ქალაქ ნათბუმის მახლობლად მდებარე მეცხრამეტე ავტოსტრადას, მალე სახელს გადაარქმევენ და „ცინა ცერნების გზაფარული“ უწოდებენ. სწორედ ეს გზა მოხსენიებული ტერნების ცნობილ სიმღერაში „ნათბუმის მიდამოები“. ამ მოვლენისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიას თავად მომღერალი ვერ დაესწრება, მაგრამ ალბათ მისი არაერთი ფანატი მოიყრის თავს.

ცინა ცერნერი მთელ მსოფლიოში საოცრად პოპულარულია. მისი დისკები ძალზე სწრაფად იყიდება, განსაკუთრებით ევროპაში, სადაც მომღერალს ბევრად მეტი თავყანისმცემელი ჰყავს, ვიდრე აშშ-ში. ■

ალენ დელონი კვლავ თავისუფალია!

ფრანგული კინოს ლეგენდა თავის ახალგაზრდა, პოლანდელ მეგობარ ქალთან – როზალი ვან ბრემენთან ერთად თხუთმეტი წელი ცხოვრობდა. ამ ხნის მანძილზე მათ ორი შვილი შეეძინათ: ანა თორმეტი წლისაა, ალენ-ფაბიენი კი – რვის. მისი ასაკის (მსახიობს თვე-ნახევარში 67 წელი უსრულდება) მამაკაცი თითქოს უნდა დადინჯებულიყო, მაგრამ უკანასკნელ ხანს, სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმოდა მისი უკმაყოფილო ბუზღუნები: აღარც თანამედროვე ფრანგული კინო აკმაყოფილებდა და ამ მიზეზით სამუშაოდ, ტელევიზიაში „გადამარგა“, ახლა კი, კინემატოგრაფთან ერთად, თავისი შვილების დედის მიტოვებაც გადაწყვიტა. სავარაუდოა, რომ ბავშვების მეურვეობისათვის მშობლებს შორის უშედეგო ბრძოლა გაჩაღდება. თავად ალენ დელონი ამ საკითხთან დაკავშირებით არანაირ კომენტარს არ აკეთებს. ■



ჯასტინ ციმბერლიკმა მბიფნი სპიტსის საიდუმლო გაამჟღავნა

პოპ-საოცრების, ბრიტნი სპირსის უმანკოების იმიჯი გაბუქებული აღმოჩნდა. მისმა ექსპოზიციონერმა, ჯასტინ ტიმბერლეიკმა სახალხოდ გამოაცხადა, რომ მათი ურთიერთობები სულაც არ ყოფილა მხოლოდ პლატონური.

გაზეთი „ნიუ-იორკ დელი ნიუსი“ იტყობინება, რომ ჯასტინმა ამ საიდუმლოს ფარდა ახადა ნიუ-იორკის რადიოსადგურ – Hot-97-ის დიჯეისთან საუბრისას, როდესაც ეს უკანასკნელი ამ პიკანტური ამბის გამჟღავნების სანაცვლოდ, მომღერალს მისი სინგლის – Like I Love you-ს კვირაში 30-ჯერ დატრიალებას დაჰპირდა. ბოლოს და ბოლოს, ტიმბერლეიკმა აღიარა, რომ იგი ბრიტნისთან სარეცელს იყოფდა.



ბრიტნისთან განშორება ჯასტინმა ძალიან განიცადა. მდგომარეობიდან გამოსავლელად მას ფსიქონალიტიკოსის დახმარებაც კი დასჭირდა. არც სპირსი ჩავაძლია უკეთეს დღეში, გოგონამ ექსთივიანი შემოქმედებითი შეგულება აიღო, რათა გამუდმებით დათრგუნვილ განწყობილებას მისი კარიერისათვის ხელი არ შეეშალა. თუმცა მალე, ყოფილი ბოიფრენდის შემცვლელი იპოვა: ნაკლებად ცნობილი მუსიკოსი – ჯასტინ გვარინი, რომელიც ლოს-ანჯელესში გაიცნო.

იმ დროისათვის, ახალი თავშესაქცევი ტიმბერლეიკსაც გამოუჩნდა: იგი ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვის საწინააღმდეგო სარეკლამო აქციაში ჩაება, რომელშიც მსახიობები და ათლეტები მონაწილეობდნენ. ჯასტინმა პრესმდინის მოვალეობები იკისრა. ასეთი გადაწყვეტილება მან ერთი შემზარავი ფაქტის შეტყობის შემდეგ მიიღო: მისი ფანატი – 21 წლის ანა უაიტი ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვისას დაღუპულა. ■

მბრე პიფმა კონტრადიქცი გაწყვიტა



მსახიობმა კონტრადიქტი გაწყვიტა და უარი თქვა ღერენ არონოფსკის ახალ ფილმში – „წყარო“, მონაწილეობაზე. ეს მხოლოდ რეჟისორთან შემოქმედებითი უთანხმოების საფუძველზე არ მომხდარა. ფილმის გადაღებები ავსტრალიაში მიმდინარეობს, ბრედს კი თავის ახალმოყვანილ ცოლთან – ჯენიფერ ენიტონთან (ენიტონმა ტელევიზიულ „მეგობრებში“ შესრულებული როლისათვის სულ ახლახან „ემის“ პრემია მიიღო) ხანგრძლივად განშორება არ სურდა. გადაღებები ვეგუფის ერთ-ერთი წევრის თქმით, „ბრედი ძალიან ანიცდიდა ცოლთან განშორებას. მან ტრეილერის ყველა კედელზე მისი ფოტოსურათები გამოფინა და დღეში ოთხ-ხუთჯერ მანც ურეკავდა“. პიტმა აეროპორტში მისასვლელად კერძო ლიმუზინი დაიქირავა, ლოს-ანჯელესის თვითმფრინვაზე პირველი კლასის ბილეთი შეიძინა და მალე, ძვირფასი მეუღლის გვერდით გაჩნდა, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ქმრის ქვეყნის დასალიერში ყოფნით, ფრიად უკმაყოფილო იყო.

გადამღები ვეგუფის იმავე წევრის თქმით, „კინოპროდიუსერებთან კონფლიქტის დასარეგულირებლად, ბრედმა მათ ასეთი სიტყვებით მიმართა: „ჯენი ჩემთვის ყველაფერია. მიმანია, რომ ეს ბიზნესი ჩვენს ქორწინებაზე უარყოფითად იმოქმედებს“... – ეს საოცრად ექსტრაორდინარული განცხადება იყო“. ■

პამელა ბუის კონტრადიქციას დაძლია აპიტემს

ვარკვლავების ხვედრია, რომ მათი პირადი ცხოვრებით უამრავი ადამიანი ინტერესდება. ზოგი მათგანი ცდილობს, განმარტოვდეს და უცხო თვალსა და პაპარაცების კამერებს ასე დააღწიოს თავი. ზოგიერთები კი, პირიქით, საკუთარი ცხოვრების დეტალების აფიშირებას ახდენენ. მაგალითად, ცნობილმა მსახიობმა და მოდელმა, პამელა ანდერსონმა და მისმა ბოიფრენდმა, მუსიკოსმა კიდ როკმა გადაწყვიტეს, მათი მომავალი საქორწინო ცერემონია არ გაესაიდუმლოებინათ და პირდაპირ სასიძოს ერთ-ერთი საკონცერტო გამოსვლისას გაემართათ. ჯვრისწერის ცერემონია ლას-ვეგასში 9 ნოემბერს ჩასატარებელ კონცერტზე დაგეგმილი. ასე რომ, პამელა ალბათ აიხდენს თავის ოცნებას და სპეციფიკური საქორწინო ტანსაცმლით გამოეცხადება მაყურებელს: იგი შორტისა და მოკლე „ტოპის“ ჩაცმას აპირებს, რათა უკეთ წარმოაჩინოს თავისი სხეული. სასიძო ლეოპარდის ტყავის ფილეტში, ტყავის შარვალსა და ფეტრის შლაპაში იქნება გამოწყობილი. ალბათ ასეთი კოსტიუმები როკ-კონცერტის საერთო ატმოსფეროში დისონანსს არ შეიტანს. ■



ალკოჰოლიზმი



რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამასაშვილი

ექიმები ალკოჰოლური დაავადების სამ სტადიას გამოყოფენ. სპეციალისტთან, როგორც წესი, ხვდება ხოლმე ავადმყოფი დაავადების მეორე-მესამე სტადიაზე, როცა დაწყებულია პიროვნების რღვევა. დასაწყისიდან დასასრულამდე გზას, ყველა დაავადებული სხვადასხვა დროში გადის. თუ ადამიანი იყო ჯანმრთელი, ჰქონდა მტკიცე ხასიათი და ინტელექტი, მაშინ მისი დაცემა და ცხოვრებისეული პოზიციების დაკარგვა ხანგრძლივად მიმდინარეობს — შესაძლოა, 20 წელსაც კი გასტანოს. თუ პიროვნება სუსტია, დაბალი ინტელექტი აქვს და მემკვიდრეობითობაც არასახარბიელო აქვს, მაშინ ამ პროცესს 3-4 წელი დასჭირდება.

ქალი უფრო სწრაფად ლოთდება, ვიდრე მამაკაცი

ჩვენში ლოთი მამაკაცები სჭარბობენ ქალებს, თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ქვეყანაში არსებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა სიტუაციამ ალკოჰოლიზმით დაავადებულ ქალთა რიცხვი, საკმაოდ გაზარდა. არსებობს ალკოჰოლური კატეგორიები, სადაც მამაკაცები ქალებს პირველობას უთმობენ. მაგალითად, ქალები, რომლებიც მშობლებისაგან „მემკვიდრულად“ ღებულობენ ალკოჰოლისადმი დამოკიდებულებას, შემთხვევათა 70-80%-ში იმეორებენ მათ ხვედრს. მამაკაცები კი, როგორც ძლიერი სქესის წარმომადგენლებს შეეფერებათ, უკეთ ეწინააღმდეგებიან მემკვიდრულ წინასწარგანწყობას და მათგან მხოლოდ 45-55% ლოთდება. გარდა ამისა, მამაკაცებში ალკოჰოლიზმი, ქალებთან შედარებით, ნელა ვითარდება. საბოლოო გალოთებისათვის კაცს 10-15 წელი სჭირდება, ხოლო ქალისთვის 5 წელიც

საკმარისია.

და კიდევ ერთი განსხვავება: ლოთ ქალებს შორის საკმაოდ იშვიათია ინტელექტუალი ან კარგად განათლებული, ხოლო კაცებს ინტელექტი, განათლება და პროფესია ვერ იცავს ალკოჰოლიზმის განვითარებისაგან.

„ორგანული“ ალკოჰოლიზმი

ნარკოლოგიაში არსებობს ასეთი ტერმინი და იგი გულისხმობს ალკოჰოლურ დაავადებას, რომელიც ადამიანს თავის ტვინის ორგანული დაზიანების გამო უვითარდება. დაავადების ისტორია ზოგჯერ პაციენტის მუცლად ყოფნის პერიოდსაც კი უკავშირდება. ნარკოლოგისათვის საინტერესოა, როგორი ორსულობა და მშობიარობა ჰქონდა დედას, ხომ არ მიიღო ახალშობილობისას პაციენტმა თავის ტრავმა, ხომ არ ჰქონდა ჰემატომები (სისხლჩაქცევები), ხომ არ ჩატარდა მშობიარობა მაშებით — ყოველივე ეს, შესაძლოა, ზრდასრულ ადამიანში ალკოჰოლიზმის განვითარების წინაპირობად იქცეს.


მაგრამ არა მხოლოდ სამშობიარო ტრავმა ახდენს გავლენას მის მომავალზე.



პარკინსონის დაავადების მკურნალობა

(უახლეს გამოკვლევათა
შედეგები)

2002 წლის აპრილში ამერიკული სამედიცინო ასოციაციის ჟურნალში გამოქვეყნდა უკანასკნელ გამოკვლევათა შედეგები, რომელიც ახლებურად წარმოგვიდგენს პარკინსონის დაავადების (კანკალა ღამბლის) მკურ-



ნალობის მეთოდებს. ეს დაავადება საკმაოდ გახშირდა ასაკოვან ადამიანებში.

ახალი მონაცემების შესაბამისად, პრეპარატი მირაპექსი (პრამიპექსოლი) დაავადების აღრეულ სტადიაზე გამოყენებისას უფრო მეტადაა მიზანშეწონილი, ვიდრე ლევოდოფა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში „ოქროს სტანდარტად“ იყო მიჩნეული. პარკინსონის დაავადების უფრო გვიან სტადიაზე რეკომენდებულია მირაპექ-

სისა და ლევოდოფას პრეპარატების კომბინირება.

მირაპექსის უპირატესობა ის არის, რომ მას კარგად იტანენ პაციენტები. გვერდითი მოქმედებები ძალიან იშვიათად ვითარდება.

გამოკვლევის მსვლელობისას დადგინდა, რომ მირაპექსით ნამკურნალეუ პაციენტებს ნაკლებად აღენიშნება ნეირონების (ნერვული უჯრედების) დეგენერაციის (გადაგვარების) ნიშნები, ვიდრე მათ, ვისი მკურნალობაც სხვა პრეპარატებით

ახალგაზრდობაში მიღებული მიკროტრავმაც კი ხდება ხოლმე ალკოჰოლიზმის მიზეზი. ამიტომაც, რომ ზოგიერთი სპორტსმენი სპორტიდან წასვლის შემდეგ ალკოჰოლს ეძალევა. ეს მხოლოდ სტრესისა და მოდუნების სურვილის გამოხატულება კი არა, ბავშვობასა და ახალგაზრდობაში მიღებული ტრავმის შედეგია. ტვინის ორგანული დაზიანების მქონე ადამიანებს, განსაკუთრებით სწრაფად უვითარდებათ ალკოჰოლისადმი დამოკიდებულება და დაავადების მიმდინარეობაც მათში საკმაოდ მიძიმეა.

„ვსვამ და არ მყოფნის“

ამ სიმპტომს მედიკოსები მიღებულ სასმელზე კონტროლის დაკარგვას უწოდებენ. ადამიანი სულ უფრო და უფრო მეტს სვამს და გამუდმებით აქვს სპირტიანი სასმლის მოთხოვნილება. ეს შეგრძნება წყურვილის ან შიმშილის გრძობას შეიძლება შევადაროთ. მისი მიზეზი ალკოჰოლური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაა.



მამაკაცები ქალებთან შედარებით ძნელად იტანენ ცხოვრებისეულ სიძნელებებსა და წარუმატებლობას. ალკოჰოლური დაავადების საწყის სტადიაზე ისინი ხშირად, შეგნებულად ან ქვეცნობიერად ეძებენ განაწყენებისა და დანადგლიანების მიზეზს, რათა დაღვეის ფორმალური საბაბი გაუჩნდეთ. როგორც ექიმები იტყვიან: „მამაკაცები სტრეს-მიზეზის ძიებაში არიან“. თუ საკუთარი თავი ან ოჯახის წევრი ასეთ

სიტუაციაში მყოფი აღმოაჩინეთ, იცოდეთ: ეს რთული ცხოვრება კი არა – ავადმყოფობაა.

„რას დაღვევ?“

დღეს ბევრი მამაკაცი გადავიდა ლუღზე. სპეციალისტებს კი აქვთ ტერმინი – ჰამპრინიზმი (ლუღის ალკოჰოლიზმი).

ხალხში გავრცელებულია აზრი, რომ ლუღი სასარგებლოა თმისთვის, ფრჩხილებისთვის და საერთოდ – გერმანიაში მას მეძუძური ღებები და მცირეწლოვანი ბავშვებიც კი სვამენ. ნარკოლოგები ამ შეხედულებას ეწინააღმდეგებიან. ლუღი არაფრით სჯობს არაყს, თუ მას უზომოდ და უკონტროლოდ მივიღებთ, მაგრამ ყველაზე დამაფიქრებელი დღევანდელ „ლუღის ეპიდემიაში“ ის არის, რომ ლუღი ასე ვთქვათ, მოდაშია. და თუკი ხვალ ეს მოდა შეიცვლება, ჩვევა მინც დარჩება და დღევანდელი ლუღობანები პოტენციურ დაავადებულებად შეიძლება იქცნენ.

საუნიანო ავთიაჟი წნევიანეზისთვის

სადღეისოდ ჰიპოტენზიური (წნევის დამწვევი) პრეპარატების საკმაოდ ფართო არჩევანია, მაგრამ არტიერიული ჰიპერტონიით დაავადებულები მინც ძიებაში არიან: ისინი ეფექტურ და ნაკლები გვერდითი მოქმედების მქონე პრეპარატებს ეძებენ.

გთავაზობთ მრავალნაცად ფიტორეცეპტებს.

თუ წნევა „გითამაშებთ“

2-3 კვირის განმავლობაში ყოველდღიურად სვით 0,5-1 ჩ/ჰ ახალგამოწერიული ჯარხლის წვენი; წვენის ეს რაოდენობა უნდა მიიღოთ 2-3 მიღებაზე ჭამამდე

და ნახევარი საათით ადრე. ნახევარ-ნახევარი ჩ/ჰ ჯარხლის, შტოშისა და სტაფილოს წვენი შეურიეთ 1 ჩ/ჰ თაფლსა და 100 გ არაყს. ნარევი დადგით გრილ და ბნელ ადგილას ერთი კვირის განმავლობაში და მიიღეთ თითო სუფრის კოვზი 5-7-ჯერ დღეში. ყოველდღიურად შეჭამეთ ერთი პატარა ზომის ხახვი. შეურიეთ ერთმანეთს 1 კგ ხახვისაგან გამოწერიული წვენი, 1 ჩ/ჰ თაფლი, 25 ცალი კაკლის უღელი, 1 ჩ/ჰ ალოეს წვენი (უმჯობესია 3-5-წლიანი ალოე), 300 გ არაყი და დადგით 10 დღის განმავლობაში ბნელ ადგილას. მიიღეთ თითო ს/კ 3-ჯერ დღეში ჭამის წინ.



იქნა დაწყებული. პარკინსონის დაავადების მკურნალობის ტაქტიკის საკითხი დღეს კვლავ სადავოა, თუმცა, აღნიშნული გამოკვლევა მნიშვნელოვან დამატებით ინფორმაციას იძლევა დაავადების ადრეულ სტადიაზე მკურნალობის შესახებ.

მამაკაცებო, დაემშვიდობეთ შიშს!

ტენსისის უნივერსიტეტის მეცნიერები ირწმუნებიან, რომ

მალე, ძლიერი სქესის წარმომადგენლებს იმის საშუალება მიეცემათ, რომ საბოლოოდ დაემშვიდობონ თავიანთ მამაკაცურ ღირსებასთან დაკავშირებულ ყოველგვარ შიშს. ამერიკელმა მედიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ ორგანიზმის მიერ სისხლძარღვების კედლების მოსაღუნებლად საჭირო აზოტმევა, არა მარტო უზრუნველყოფს ერექციას, არამედ მისი ხარისხის გაუმ-



ჯობებსაც შეუძლია. თუმცა, მთავარი მინც ის არის, რომ აღმოჩენილია ფერმენტი, რომელიც ორგანიზმის მიერ აზოტმევის გამოშვებას უზრუნველყოფს, – ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან, შესაძლებელი გახდება აღნიშნული პროცესის მართვა.

მამაკაცები და პლასტიკური ქირურგია



ჭარბი წონა

ბევრმა მამაკაცმა არ იცის, რომ მამაკაცური ჰორმონის – ტესტოსტერონის დეფიციტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი, ჭარბი წონა გახლავთ. ზედმეტი ცხიმოვანი ქსოვილი, ტესტოსტერონს ქალურ სასქესო ჰორმონებად – ესტროგენებად გარდაქმნის. ამგვარად იქმნება მანკიერი წრე: რაც მეტია ესტროგენი, მით მეტად მატულობს ცხიმი და მატულობს პრობლემები ინტიმურ ცხოვრებაშიც. თავად ცხიმოვანი ქსოვილიც უკვე გამაღიზიანებელი ხდება.

მსგავსი „მარაგისგან“ თავის დაღწევა არცთუ ისე ადვილი საქმეა. განსხვავებით ქალებისაგან, რომელთაც ცხიმი კანქვეშ უგროვდებათ, ძლიერი სქესის წარმომადგენლებში ქონი გაცილებით ღრმად ლაგდება და ოპერაციულ მოშორებას არ

ექვემდებარება. ქირურგიულ ჩარევამდე მამაკაცმა უნდა ჩაიტაროს მკურნალობის მედიკამენტოზური კურსი და მას შემდეგ, რაც იგი დაძლევეს თავის მადას და დაიკლებს ათეულობით კილოგრამს, შეიძლება მუცელზე წარმოქმნილი ზედმეტი კანის, აბდომინოპლასტიკის (მუცლის პლასტიკური ოპერაციის) გამოყენებით მოშორება.

სახის კორექცია

საკუთარ ფიზიონომიაში მამაკაცებს ყველაზე სშირად, დიდი ცხვირი, დაცქვეტილი ყურები, შემუპებული თვალის უბეები და ორმაგი ნიკაპი აღიზიანებთ. ზოგჯერ ისეთებიც გვხვდებიან, რომლებიც ნაოჭების გასასწორებლად ოპერაციასაც კი იკეთებენ.

ახალი გარეგნობის შერჩევისას ძლიერი სქესის წარმომადგენლები ძალზედ კონსერვატიულები არიან. მათი ძირითადი მოთხოვნა ინდივიდუალურობის შენარჩუნება და მამაკაცური ნიშნების ხაზგასმა.

თუმცა, მსგავსი ოპერაცია ყველასათვის როდი შეიძლება. „შავ სიაში“ ხვდებიან დაბეჭით, სიმუქნით, გულსისხლძარღვთა სისტემისა და სერიოზული ქრონიკული დაავადების მქონენი. თავს იკავებენ ხოლმე პლასტიკური

ქირურგები მწვევლების მიღებისაგან (რადგან ნიკოტინი აუარესებს ქსოვილთა სისხლით მომარაგებას), შავვკრემანების ოპერირებისაგან (რადგან მათ უფრო მკვეთრად ემჩნევათ ოპერაციის შემდგომი ნაწიბურები), აგრეთვე ალერგიული პაციენტების მიმართ. არიან ადამიანები, რომლებიც გამუდმებით განიცდიან საკუთარი გარეგნობით მანიაკურ უკმაყოფილებას (დისმორფოფობიას). მათი ოპერირება, დანის პირზე გავლის ტოლფასია, რადგან ნებისმიერი შედეგის შემთხვევაში, მაინც უკმაყოფილონი დარჩებიან.

მთავარი შედეგია

პლასტიკურ ქირურგიაზე მთლიანად დაყრდნობა არ ღირს, რადგან ექიმები არ ძალავენ, რომ არსებობს გართულებებისა და საკუთარი გარეგნობით უკმაყოფილების რისკი. ქირურგის დანა ყოვლისშემძლე როლია.

პაციენტი თუნდაც მეცხზე ცაზე იყოს



ოპტიკური ტყუილი

შორი მოგზაურობის დროს, ყველაზე უსიამოვნო ამბავი ის არის, რომ ორგანიზმი კატეგორიულ უარს აცხადებს ადგილობრივი დროით ცხოვრებაზე, ამიტომ ევროპელი, ამერიკაში მოხვედრისას, შუალამისას იღვიძებს, შუადღეზე კი მას ძილი ერევა ხოლმე, – ან პირიქით. ამ თვალსაზრისით, გამორჩეული ადგილი უკავია ავსტრალიას და ალ-



ბათ ამიტომაც, სწორედ ამ ქვეყნის მეცნიერებმა გადაწყვიტეს, როგორმე მოეგვარებინათ აღნიშნული პრობლემა. საინტერესოა, რომ მათ ძალზედ მარტივ ხერხს მიაგნეს – ჩვეულებრივი, მზისგან დამცავი სათვალე გამოიყენეს, ოღონდ – მინიატურული, ლურჯი და მწვანე მასუქებით, რომლის ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ „მოატყუოს“

მხედველობის ნერვები და ორგანიზმს არსებული დროის შესაბამისი ჰორმონები გამოამუშავებინოს. ქალაქ ადელაიდის ფლანდერის უნივერსიტეტის მეცნიერები ირწმუნებიან: დაშუქების სწორად შედეგინდ განრიგს ძალუმს, სრულიად მოუხსნას ადამიანს ხანგრძლივი გადაფრენის სინდრომი. საამისოდ საჭიროა, თვითმფრინვაში ჩაჯდომამდე ორი დღე-ღამით ადრე, გადაწიოთ ხოლმე „მივა საათი“ (სულ სამ-სამი საათით). ■

სისხარულისაგან, წარმატებული ოპერაციის შემდგომ, მიღებული შედეგის შესანარჩუნებლად, მას დიდი ძალისხმევა მოეთხოვება. ზოგიერთ პაციენტს საოპერაციო მაგიდიდან გადმოსვლის შემდეგ, გული სწყდება, როცა შეიტყობს, რომ ამერიიდან ბევრი აღარ უნდა ჭამოს, აქტიურად უნდა იმოძრაოს და

ამასთან ერთად, მკაცრად აკონტროლოს საკუთარი წონა – სხვაგვარად, ყველაფრის თავიდან დაწყება მოუწევს.

ქალბთან შედარებით, მამაკაცები უფრო მყარად ღვანან თავიანთ გადაწყვეტილებასზე – მათგან თითქმის არასოდეს ისმის „ყველაფრის უკან დაბრუნების“ თხოვნა,

რადგან მათ მიერ გადადგმული ნაბიჯი კარგად მოიფიქრებული და გააზრებულია.

თავიანთი ახალი გარეგნობის წარმოშობაზე საუბარი კი კაცებს არ უყვართ. რა მნიშვნელობა აქვს, როგორ გახდით აპოლონი – მთავარი ხომ შედეგია!

გინეკოლოგიის მთავარი საზრუნავი



სიტყვებით შეუძლებელია იმ განცდების აღწერა, რომელსაც ქალი „უშვილობის“ დიაგნოზის შეტყობისას განიცდის. ბევრი ამას განაჩენად მიიჩნევს და ფიქრობს, რომ სიცოცხლე დამთავრდა...

სინამდვილეში კი, მკურნალობის თანამედროვე მეთოდების წყალობით, „უშვილობა“ მხოლოდ ფაქტის კონსტატაციაა: ეკგ-ს (ექსტრაკორპორალური ე.წ. სინჯარის განაყოფიერების) მეშვეობით, გამოსავალი ყველაზე რთულ სიტუაციებშიც კი არსებობს. ამიტომ, თუ ერთი წლის განმავლობაში, ნანატრი ჩასახვა არ მოხდა, დროს ნულარ დაკარგავთ – მიმართეთ

სპეციალიზებულ კლინიკას, რომელიც რეპროდუქციის პრობლემებზე მუშაობს.

გინეკოლოგიის პირველი და მთავარი კითხვა ყოველთვის ერთია: გამავალია თუ არა საშვილოსნოს მილები? სწორედ მათგან იწყება გამოკვლევის პროცესი – თანამედროვე კლინიკებში საშვილოსნოს მილებს ულტრაბგერის მეშვეობით იკვლევენ. ეს პროცედურა პრაქტიკულად უმტკივნეულო და უვნებელია.

საშვილოსნოს მილების მდგომარეობა ქალის რეპროდუქციული ფუნქციონირების ძირითადი მომენტია. მათ შესახებ ინფორმაციას ყველა ქალი უნდა ფლობდეს.

ჯერ ერთი, იმისათვის, რომ დარწმუნდეს, შესაძლებელია თუ არა ჩასახვა, მეორეც – იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ მრავალი უსიამოვნება, მათ შორის საშვილოსნოს გარე ორსულობა.

სწორედ საშვილოსნოს მილში ხვდებიან კვერცხუჯრედი და სპერმატოზოიდი ერთმანეთს. მისი რიტმული მოძრაობით განაყოფიერებული კვერცხუჯრედი საშვილოსნოსკენ გადაადგილდება. თავისი არსებობის პირველ დღეებს კი, ჩანასახი საშვილოსნოს მილში ატარებს. იგივე ხდება იდეალურ პირობებში – „სინჯარაშიც“, თუ მილში ჩასახვა შეუძლებელია.

მაინც რა იწვევს საშვილოსნოს მილებთან დაკავშირებულ პრობლემებს? ფარული ინფექციები, რომელიც კლინიკურად თავს არ ამჟღავნებს. ანთებითი პროცესების შედეგად, მილები იხშობა. ამდენად, რეპროდუქციული ფუნქციონირების შესანარჩუნებლად ყველა ქალმა უნდა დაიცვას პირადი ჰიგიენა, მათ შორის – სქესობრივი ცხოვრების ჰიგიენაც.

თუ მაინც ვერ გაუფრთხილდით მილებს და ანთებითი დაავადების ან საშვილოსნოს გარე ორსულობის შედეგად დაგიზიანდათ, თანამედროვე რეპროდუქციული ტექნოლოგიები გადაგივრით ამ პრობლემას. ექსტრაკორპორალური განაყოფიერება დაგებრუნებთ დედობის სისხარულის განცდის შანსს.

„ღამის პეპლები“
ღამდამობით მუშაობა რომ მავნეა, ყველამ იცის. აი, ის კი, რომ ქალები ამას მამაკაცებზე უკეთ იტანენ, მხოლოდ ორგანიზაციის – Canada Statistics-ის სპეციალისტების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გახდა ცნობილი. მათ შეისწავლეს სტრეს-ფაქტორების გავლენა იმ ადამიანების ფუნქციონირებაზე, ვისაც სის-

ტემატურად უწევთ ღამის ცვლაში შრომა. გამოიკვია, რომ მამაკაცები უფრო ხშირად უჩიოდნენ სტრესსა და პირად პრობლემებს, ვიდრე ქალები. გარდა ამისა, ღამდამობით მომუშავე მამაკაცებში, მწვეველთა რაოდენობამ 45%-ს მიაღწია (საერთო სტატისტიკური მაჩვენებელი კანადაში 27%-ს შეადგენს), მაშინ, როდესაც ქალებში ის, საერთო სტატისტიკურზე დაბალია.



იოანე მარუშისძე — ქართულ სამეფო-სამთავროთა გამაერთიანებელი



ნიკო სილაგაძე

საქართველოს ისტორია ბევრი გამოჩენილი მოღვაწისა და დიდი პატრიოტის სახელს ინახავს, რომლის ღვაწლი, მიზეზთა გამო, არც სათანადოდაა შეფასებული და არც ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი. ერთ-ერთი მათგანია იოანე მარუშისძე, რომლის ღვაწლიც სამშობლოს წინაშე დღევანდელი თაობისთვის თითქმის უცნობია. მემატიანეს იგი ორიოდე სიტყვით ჰყავს მოხსენიებული. თანამედროვეობაში კი, მართალია, მის შესახებ ზოგი რამ დაიწერა, მაგრამ ეს სრულიად არ არის საკმარისი იმ პიროვნების უკვდავსაყოფად, რომლის სახელსაც საქართველოს გაერთიანება უკავშირდება.

ეპოქაში როდესაც იოანე მარუშისძეს მოუხდა მოღვაწეობა, საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე ადრეველი სამეფო-სამთავრო არსებობდა. დასავლეთ საქართველო ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ეკავა; დღევანდელი კახეთი და საინგილო კი — კახეთის საქორეპისკოპოსოსა და ჰერეთის სამეფოს; თბილისი და ქვემო ქართლის ნაწილი მაჰმადიან ამირას ემორჩილებოდა; ქართლის უკიდურესი სამხრეთი ნაწილი კი ლორე-ტაშირის სომეხთა სამეფოს ფარგლებში იყო მოქცეული. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები: კლარჯეთის, ამიერტაოს და იბერტაოს ქართველთა სამეფოები არსებობდა, რომელთაც ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლები ედგნენ სათავეში.

ხსენებული პოლიტიკური ერთეულები საუკუნეების განმავლობაში ებრძოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მათი მტრობა მხოლოდ პირველობისათვის ბრძოლის ნიადაგზე არ იყო აღმოცენებული. უკვე IX საუკუნიდან, მოწინავე ქართველ საზოგადოებაში ფეოდალიზმმა აზრი ქართულენოვანი ქვეყნების, ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების შესახებ. ამას გიორგი მერჩულეს თხზულებაც ადასტურებს, სადაც გარკვევით არის ნათქვამი, რომ „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შიგან ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი აღესრულების“.

ჩანს, რომ გრივად ხანძელის, არსენის, ვერგის და სხვა მოღვაწეთა მცოხებით, ერთიანი საქართველოს პოტენციური საზღვრებიც მოიხაზა და ქვეყნის გაერთიანებისათვის იდეოლო-

გიური საფუძვლებიც მომზადდა. თუმცა, ყოველივე ამას პრაქტიკული განხორციელება სჭირდებოდა, დაყოვნებას კი სავალალო შედეგების მოტანა შეეძლო. სწორედ ასეთ დროს გამოვიდა ისტორიულ ასპარეზზე იოანე მარუშისძე, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა საქართველოს გაერთიანების საქმეში.

იოანე მარუშისძე ეგრის-აფხაზეთის მეფის ერისთავი გახლდათ, რომელსაც საგამებლოდ ქართლი ჰქონდა ჩაბარებული. მის პირად ცხოვრებაზე თითქმის არაფერი ვიცით. მემატიანე მხოლოდ იმას გვაუწყებს, რომ იგი იყო „კაცი ძლიერი და ერმრავალი“. თუმცა, მარუშისძის პოლიტიკური მოღვაწეობის ანალიზი მას ცალსახად წარმოაჩენს, როგორც პატრიოტ, ბრწყინვალე გონების პატრონ, უდიდესი პიროვნული ღირსებებით შემკულ ადამიანს.

როგორც აღინიშნა, იოანე მარუშისძის პოლიტიკური მოღვაწეობის მთავარ მიზანს ქართული სამეფო-სამთავროების, ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება წარმოადგენდა. მან სავსებით მართებულად განსაზღვრა, რომ საქართველოს გამაერთიანებლის როლს ვერ შეასრულებდა დაუსუსტებული ეგრის-აფხაზეთის სამეფო, რომელსაც უსინათლო თეოდოსი ედგა სათავეში და ამტომაც, უპირველეს მოკავშირედ დავით III კურაპალატს მიიჩნევდა, რომელსაც ქართლის გარდა, სომხურ სამეფოებსა და თვით ბიზანტიამაც ჰქონდა დამკვიდრებული სახელი. ერთიანი საქართველოს პირველ მონარქად კი, მარუშისძეს ბაგრატ მესამის კანდიდატურა ჰყავდა შერჩეული. მარუშისძის გეგმაში ყველაფერი დეტალურად იყო გათვლილი. აქ არც ბაგრატის კანდიდატურა გაჩენილა შემთხვევით, რადგანაც ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად, სამი ქართული სამეფო ტახტის მემკვიდრე იყო: ბაგრატს მამის, გურგენის მხრიდან ერგებოდა ქართველთა მეფის ტიტული; როგორც დავით კურაპალატის შვილობილს, იბერტაოს სამეფოზეც ჰქონდა უფლებები; ამასთანავე, იგი ეგრის-აფხაზეთის მეფის, უსინათლო თეოდოსის დისწული და ერთადერთი მემკვიდრე გახლდათ.

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ქართლის ლეგიტიმური ხელისუფალი (ე.ი. იოანე მარუშისძე) საკუთარი ინიციატივით უთმობდა ბაგრატს ქართლზე უფლებებს. ქართლი ამ პერიოდში პოტენციური საქართველოს შემადგენელ უბრალო ნაწილად არ განიხილებოდა — იგი ძველთაგანვე უთმავრეს

სამეფო დომენს წარმოადგენდა და ქართული სამეფო-სამთავროების ბრძოლაც „ქართლსა ზედა“ მიმდინარეობდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იმ დროს მხოლოდ ქართლის მფლობელს შეეძლო საქართველოს გაერთიანებაზე განეცხადებინა პრეტენზია.

მამსადაძე, იოანე მარუშისძე დავით კურაპალატის ძალისა და ავტორიტეტის, ბაგრატ მესამის ლეგიტიმური უფლებებისა და საკუთარი უანგარო დათმობების ხარჯზე აპირებდა თავისი ბრწყინვალე გეგმის განხორციელებას.

საქართველოს გაერთიანებისათვის პრაქტიკული ბრძოლა მან 975 წელს დაიწყო. ამ პერიოდში კახეთის ქორეპისკოპოსმა ქართლი და მისი მთავარი ქალაქი — უფლისციხე დაიკავა. იოანე მარუშისძემ დასახმარებლად დავით კურაპალატი მიიწვია და სთხოვა, მეფედ ბაგრატი გამოეცხადებინა, რომლის უფლებებზეც ზემოთ იყო საუბარი. ბაგრატი მართლაც, 975 წელსვე აკურთხეს მეფედ და მეურვედ მამამისი — გურგენი, დაუნიშნეს. ყველაფერი ბრწყინვალედ იყო მოფიქრებული. ბაგრატს თანდათანობით, უმტკივნეულოდ უნდა შეეერთებინა სამეფოები, თუმცა, საქართველოს გაერთიანებას ამ პერიოდშიც ბევრი მტერი ჰყავდა. თავდაპირველად, მღვდმარობა კახელებმა გააძმვეყვეს, მოგვიანებით კი, დასავლეთ საქართველოში გართულდა ვითარება. მართალია, მემატიანე წერს, რომ მთელი დასავლეთ საქართველო ერთსულოვნად ელოდა ეგრისის სამეფოში ბაგრატის გამეფებას, მაგრამ წყაროების ანალიზი ცხადყოფს, რომ მღვდმარობა არცთუ ისე მარტივი იყო. როგორც ჩანს, ეგრის-აფხაზეთის დიდებულებს სამეფო ტახტისთვის თავიანთი კანდიდატურა ჰყავდათ. სწორედ ეს განხდა მიზეზი იმისა, რომ იოანე მარუშისძე და დავით კურაპალატი უსინათლო თეოდოსის გარდაცვალებას აღარ დაელოდნენ და 978 წელს ბაგრატი ქუთაისში ეგრის-აფხაზეთის მეფედ აკურთხეს. 1001 წელს დავით კურაპალატის და 1008 წელს გურგენ ქართველთა მეფის გარდაცვალების შემდეგ, მან ტაოს სამეფო გურგენიც დაიღვა თავზე. 1008-10 წლებში ბაგრატ მესამემ კახეთ-ჰერეთიც შეიერთა. ამით ფაქტობრივად დასრულდა საქართველოს გაერთიანების ის პროცესი, რომელსაც იოანე მარუშისძემ ჩაუყარა საფუძველი.

დასასრულოს, ერთ უმნიშვნელოვანეს გარემოებას ვვინდა მივაპყროთ მკითხველის ყურადღება. მსოფლიო ისტორია ცხადყოფს, რომ სამეფო დომენის გარშემო ქვეყნის გაერთიანების პროცესი სხვადასხვა ქვეყანაში ძალზედ მტკივნეულად მიმდინარეობდა. უფრო მეტიც, ხშირად მას დიდი სისხლის ღვრაც მოჰყოლია, რაც დღემდე ლაქად აჩნევია უდიდესი ქვეყნების ისტორიას. საქართველოში ამ პროცესმა თითქმის უმტკივნეულოდ ჩაიარა, რაც, რაღა თქმა უნდა, უპირველესად, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის — იოანე მარუშისძის დამსახურებაა. ■


შორენა მერკვილაძე

— პავლე მოციქული განმარტავს, რომ ეკლესია (ერთ-ერთი განმარტებით) არის სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა. იოანე ოქროპირი ამბობს: „ღმერთმა დააარსა ეკლესია, როგორც ნავსაყუდელი, რათა ცხოვრების ზღვის ხმაურისა და მღელვარებისგან შეფარებული ხალხი დატკბეს დიდი სიმშვიდით“, რაც ადამიანმა სულიწმინდის მადლის მიღებით უნდა იგრძნოს. ადამიანის ცხოვრება მშფოთვარე ზღვადაა წარმოდგენილი. ზომალდმა ამ ქვეყნის ნავსაყუდელიდან, იმქვეყნიურ მშვიდობიან ნავსაყუდელამდე უნდა მიიყვანოს მსურველნი. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ეკლესია სულიერი სასწავლებელია, სადაც ადამიანი ყველაზე ფასეულს — სულის გადარჩენის საშუალებებს უნდა დაეუფლოს.

— რამდენი ნაწილისგან შედგება მართლმადიდებლური ტაძარი?

— ძველი აღთქმის მიხედვით, უფალი გამოცხადდა მოსეს და უბრძანა — აღთქმის კარავი აეშენებინა. გამოცხადებაში ასევე დაწვრილებით აუწყა, თუ რა განყოფილებები უნდა ყოფილიყო ტაძარში: წმიდათა წმიდა, სადაც ეპისკოპოსი წელიწადში ერთხელ შევიდოდა, განსაწმენდელი, სადაც მართალი ხალხი დადგებოდა და ეზო მონაწილე ხალხისთვის. ძველი აღთქმის მოძრავი ტაძრის მსგავსად, თანამედროვე ტაძარში სამი ნაწილისგან შედგება: საკურთხეველი, მართალთა ადგილი და სტოა (ეზო). ძველად, სტოა მოუნათლაკი და მონანული (დასჯილი) ხალხისთვის იყო განკუთვნილი. თანამედროვე ტაძარში, სტოა როგორც ცალკე ნაწილი, მონაწილეთათვის აღარ არსებობს. ტაძრის შუა ნაწილს, მართალთა ადგილი ეწოდება, სადაც მორწმუნენი დგებიან და თვალყურს ადევნებენ ღვთისმსახურებას, რომელიც მართალთა ადგილის წინ, შემალეებულ ადგილზე — ამბონზე ხდება. საკურთხეველი კი მართალთა ადგილისგან გამოყოფილია კანკელით (ხის ან ქვის კედლით). საკურთხეველში შესვლის უფლება აქვთ: ღვთისმსახურებს და, კურთხევის შემთხვევაში — მამაკაცს.

— ეკლესიასთან მიანახლოებისას ჭეშმარიტიც და მცირედ მორწმუნეც პირველად ისახავს. რას გამოვხატავთ



ყველა ჭეშმარიტი მორწმუნე აუცილებლად უნდა დაესწროს წირვას

რა უნდა ვიცოდეთ, როდესაც ეკლესიაში მივდივართ

მეოთხე საუკუნემდე ქრისტეს მიმდევრები ყველა სახელმწიფოში იდევნებოდნენ. ამიტომ, პირველი ქრისტიანები, უსაფრთხოების მიზნით, ღვთისმსახურებას კერძო სახლებში აღასრულებდნენ. 313 წელს, რომის იმპერატორის, კონსტანტინე დიდის მიერ გამოცემული ედიქტით (განსაკუთრებული ბრძანება) ქრისტიანებს სრული თავისუფლება მიენიჭათ. ქრისტიანული ტაძრების მშენებლობაც სწორედ ამის შემდეგ დაიწყო. ჭეშმარიტი მორწმუნეებიც თავისუფლად მიდიოდნენ ტაძარში და ღვთისმსახურებაც იქ სრულდებოდა.

რისთვის მიდის მორწმუნე ეკლესიაში? როგორ უნდა მოიქცეს, როდესაც ტაძარს მიუახლოვდება? როგორ უნდა ეცვალოს? რომელ ხატს უნდა მიეახლოს პირველად და საერთოდ, რა ღვთის სათნო ნესების ცოდნაა აუცილებელი, როდესაც ეკლესიაში ვიმყოფებით? — ჩვენთვის საინტერესო კითხვების განმარტება სოფელ დიღმის წმინდა მარინეს ტაძრის მღვდელს, მამა შიოს (მინაბაძეს) ვთხოვეთ.

ამით?

— საერთოდ, არსებობს რწმენის შინაგანი და გარეგანი გამოხატულება. პირველის გამოხატულებაა იმ სარწმუნოებისა, რომელსაც ადამიანი შინაგანად ატარებს. ამ დროს შეგვიძლია წარმოვთქვათ ნებისმიერი ლოცვა (მაგალითად: „იესოს ლოცვა“ — „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი!“; „ღმერთო, მიღხინე მე ცოდვილსა ამას“), ან წარმოვთქვათ: „უფალო, შემიწყალე“. მთავარია, ლოცვა წარმოვთქვათ წრფელი გულით, ყურადღებით. არ შეიძლება პირველად გამოვისახოთ სწრაფად, რათა მოვალეობის მოხდას არ

დაემსგავსოს. რაც შეეხება სამი თითით პირველის გამოხატვის სიმბოლურ დატვირთვას, სამი თითის შეერთებაში იგულისხმება სამება — მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა; დანარჩენი ორი თითის ხელისუფლებზე დადება, ქრისტეს ორბუნებოვნებას გამოხატავს, ხელისუფლები კი — დედამიწას: უფალი დედამიწაზე ჩამოვიდა ორი — ღვთაებრივი და ადამიანური ბუნებით.

— რა უნდა გავითვალისწინოთ უპირველესად, როდესაც ტაძრის კარიბჭეს ვუახლოვდებით?

— სასურველია, წავიკითხოთ ლოცვა ღვთის ფსალმუნებიდან: „შევიდეთ სახლსა შენსა, თავყანი ვსცე ტაძარსა შენსა, შიშითა შენითა“ — რაც თავისთავად, ტაძარში შესასვლელ და ლოცვის წარმოსათქმელად საჭირო განწყობას გვიქმნის. ახალი აღთქმის მიხედვით, როდესაც ქრისტემ მეგობრები (მყიდველები და გამყიდველები) გამოყარა ტაძრიდან, პირდაპირ უთხრა: ეს მამაჩემის სახლია და თქვენ კი ავაზაკთა შესაკრებლად გავიხდით. ამიტომ ეკლესიაში შესვლისას, უპირველესად უნდა ჩამოვიშოროთ მიწიერი საზრუნავი და განვეწყვოთ უფლისგან შემწყობის სათხოვნელად. თუ მეოხებას ვეძებთ, რაც თავისთა-



თუ ადამიანს არა აქვს სანთლის შექმნის შესაძლებლობა, სუფთა სინდისით შეუძლია ილოცოს სხვისი დანთებული სანთლის წინ

საქართველოს ისტორია



ვერ შეიფარებ ვერც იმას, ვისიც გეშინია, ვერც იმას, ვისაც შენი ეშინია.

მარკუს ტულიუს ციცირონი

სირცხვილი, სირცხვილი, სირცხვილი – აი, კაცთა მოღამის ისტორია!

ფრიდრიხ ვილჰელმ ნიცშე

ცხოვრებასთან მეტისმეტი სიახლოვე ხელოვნებისათვის მომაკვდინებელია.

რალფ უოლდო ემერსონი

ზოგჯერ სიკვდილს ინატრებს კაცი, თუმცა ეს ტვირთი უმძიმესია!

რაც უნდა მწარე იყოს ცხოვრება, სიკვდილი უფრო უმწარესია.

ივან კრილოვი

ყოველი კაცი ქვეყანაზე არის ის განძი, რომელსაც უნდა აღმოჩენა და დაფასება.

გალაკტიონ ტაბიძე

სიყვარული ძლიერია, როგორც სიკვდილი, მაგრამ მსხვერვალია, როგორც მინა.

გი დე მოპასანი

მხოლოდ ღოგმის სიკვდილით იწყება მეცნიერება.

გალილეო გალილეი

საუბარში ყველაფერს ცოტ-ცოტათი უნდა შეეხებოთ და არ გაეჩერდეთ რამეზე.

ოსკარ უაილდი

დიდი ნაკლოვანებები მხოლოდ დიდ ადამიანებს აქვთ.

ფრანსუა დე ლაროშფუკო

ტაქარი

ვად, ეკლესიაში მისვლით გამოიხატება, უნდა გვახსოვდეს სახარებისეული შეგონება: „ეძიებდე სასუფეველსა ღვთისას და ყოველივე შეგეძინოთ თქვენ“. დაუშვებელია ეკლესიაში ნასვამი ან ნარკოტიკული ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ მყოფი ადამიანის შესვლა. ქალები ტაძარში, მოკლე კაბითა და უმანდილოდ არ უნდა შევიდნენ. კორინთელთა მიმართ, ნათქვამ ეპისტოლეში პავლე მოციქული პირდაპირ ამბობს: „ყოველი დედაკაცი, რომელიც თავდაუზღუდვად ილოცვოდეს, არცხვენს თავსა თვისსა“. პავლე მოციქული ასევე ამბობს, რომ ქალი თავისი მოქმედებით არ უნდა დაემსგავსოს მამაკაცს. აქედან გამომდინარე, ქალები ტაძარში არც შარვლით უნდა შევიდნენ. მამაკაცებისთვის კი, დაუშვებელია ტაძარში შესვლა მოკლე შარვლითა და ქუდით.

აუცილებელია, ეკლესიაში მივიდეთ იმ იერსახით, რომლითაც ღმერთმა გავაგანინა, – ე.ი. მაკიაჟისა და სამკაულების გარეშე. ტაძარში ყოფნისას ერთადერთი შინაგანი სამკაული – თავმდაბლობა და უბრალოებაა საჭირო. ასევე დაუშვებელია ფეხი ფეხზე გადადებული ჯდომა, საუბარი, ცნობისმოყვარეობის გამოვლენა. ქალებს ხშირად აინტერესებთ, შეიძლება თუ არა დედათა წესის დროს ეკლესიაში შესვლა. შევიდნენ, მაგრამ დადგნენ კარიბჭესთან და არავითარ შემთხვევაში არ მიეახლონ სიწმინდეებს და არ მიიღონ სეფისკვერი.

— როფის შეიძლება ჩამოჯდომა?

— როდესაც ღვთისმსახურება მიმდინარეობს, უფლის მიმართ მოკრძალება ფეხზე დგომით უნდა გამოვხატოთ, მაგრამ თუ ადამიანი გრძობს, რომ არ შეუძლია ფეხზე გაჩერება, ან რაიმე ავადმყოფობა აწუხებს, შეუძლია ჩამოჯდეს.

— რატომ ვანთებთ სანთელს? შეიძლება თუ არა სხვის დანთებულ სანთლებზე ლოცვა?

— სანთლის დანთება რწმენის გარეგნული გამოხატულებაა, როგორც პირველის გამოსახვა. ამასთანავე, ლოცვისთვის განკაფობს. რაც შეეხება იმას, შეიძლება თუ არა სხვის დანთებულ სანთლებზე ლოცვა – ეკლესიურად ეს არ იკრძალება. თუ ადამიანი არა აქვს სანთლის შეძენის შესაძლებლობა, სუფთა სინდისით შეუძლია ილოცოს სხვისი დანთებული სანთლის წინ. ლოცვა სანთლის გარეშე შეიძლება. ნამდვილმა მორწმუნემ უნდა იცოდეს, რომ ტაძარში შესულები ღმერთს ვწირავთ სულიერ შესაწირს, რაც ლოცვით გამოიხატება, ხოლო მატერიალური შესაწირი – ამ შემთხვევაში სანთლის შექენა – მეორეხარისხოვანია. ზოგს ჰგონია, რომ კენტი სანთელი არ უნდა შეიძინოს, რასაც საფუძვლად ხალხის ცრურწმენა უდევს. ეკლესიის სწავლებით კი, იმდენი შეგვიძლია შევიძინოთ, რამდენი სურვილიც გვაქვს.

— რომელ ხატს უნდა მივუხებოთ პირველად, როდესაც ეკლესიაში შევდივართ და საჭიროა თუ არა ყველა ხატის წინ ლოცვა?

— თუ ეკლესიაში ისეთ დროს მივდივართ, როდესაც წირვა მიმდინარეობს, პირველად გამოვიხსნათ თუ არა, უნდა მოვხანოთ თავისუფალი ადგილი და დავედეთ, რათა ზედმეტი მოძრაობით ხელი არ შევუშალოთ მლოცველებს. თუ ღვთისმსახურება არ სრულდება, მივეახლებით ანალოიაზე (ეკლესიის შუაგულში ან მარჯვნივ) დაბრძანებულ ხატს, რომელზეც იმ წმინდანის ან რელიგიური დღესასწაულის ამსახველი ხატი ასვენია, რომლის ხსენების დღეც არის. გრძობის ყველაზე მკაფიო გამოხატულებაა ამბორი – ამ დროს, ხატზე გამოსახულ სიწმინდეს ვთხოვთ შემწეობას. ამის შემდეგ, შეგვიძლია ნებისმიერ ხატს მივეახლოთ.

— რომელ დღესაა აუცილებელი ეკლესიაში მისვლა?

— მეოთხე მცნების მიხედვით, მეშვიდე დღე – კვირა, უფლის დღედ იწოდება, ამიტომ ყველა ჭეშმარიტი მორწმუნე აუცილებლად უნდა დაესწროს წირვას. ამ დღეს უნდა ვიფიქროთ სულიერ საზრდოზე, რაც თავისთავად, ლოცვასა და ღვთის სიტყვის მოსმენაში გამოიხატება.

— როდის უნდა წავიყვანოთ ბავშვები ეკლესიაში?

— მონათვლის შემდეგ, სასურველია, ბავშვები ეკლესიაში ვატაროთ. თუ საზიარებლად მიგვყავს და იმდენად პატარაა ბავშვი, რომ მთელ წირვას ვერ დაესწრება, დედას ეძლევათ კურთხევა, ის უშუალოდ ზიარების დროს მიიყვანონ.

— შეიძლება თუ არა ადამიანს დავაძალოთ ეკლესიაში წასვლა?

— ადამიანი, სანამ თვითონ არ მომწიფდება სულიერი ცხოვრებისთვის და შინაგანად არ გაუჩნდება ჭეშმარიტების ძიების სურვილი, რაც რწმენისადმი ინტერესის გამოჩენასა თუ ეკლესიაში მისვლით უნდა გამოხატოს, არც მშობელმა და არც ახლობელმა არ უნდა დააძალოს, რადგან ჩვენს საქციელს შეიძლება უკურეაქცია მოჰყვეს და საერთოდ შეგაძულოთ ღმერთიც და ეკლესიაც. ასეთი ადამიანი შეგვიძლია მოვიხსენიოთ პირად ლოცვებში. თუმცა, მეორე უკიდურესობასაც ვაწყდებით: ზოგჯერ მშობელი სასტიკად უკრძაღავს შვილს ეკლესიაში წასვლას. არადა, ადამიანს იმიტომ მისცა თავისუფალი ნება უფალმა, რომ საკუთარი სურვილი თვითონვე აღასრულოს. წინააღმდეგობის შემთხვევაში კი, ეს შეგვიძლია ავუხსნათ მშობელს. ქრისტიანის უპირველესი მოვალეობა ყველაფერში ზომიერების დაცვაა.



| | | | | | | | |
|------------------------------------|---------------|---|----------------|---|------------------------------------|---|---------------------------------|
| პარტიის შესაძლო დასასრული ჭადრაკში | 42 კმ. 19 5მ. | ↙ | ინლური ქსოვილი | ↙ | სამხრეთი ამერიკული შინაური ცხოველი | ↙ | „ოლივერ ტვისტი“ ავტორი |
| | ↘ | | ↘ | | ↘ | | ბნეთის კეოს უცხოური სახელწოდება |
| ↘ | | | | | | | ↘ |
| გამომწვარი თინა | | | | | | | ↘ |
| „აიდა“ (პერსონაჟი) | | | | | | | ↘ |

| | | | | | | | | | | | |
|--------------------------|---|--------------------------|----------------|------------------------------|-------------------|------------------------------|----------------------------------|-----------|-----------------------|-----|-------------------------------|
| ნაპოლეონის შობილი ქალაქი | ცეცხლის ინტეგრაცია | მთამსვლელობა | არსენალის დედა | ↘ | | | | მკვლევარი | მსოფლიოს საბჭოს წევრი | | |
| ↘ | ↘ | ↘ | ↘ | ↘ | ↘ | ↘ | ↘ | ↘ | ↘ | ↘ | ↘ |
| | | „ამომავალი მზის ქვეყანა“ | | ესტონეთის დედაქალაქი | მერქნიანი მცენარე | | | | ელფერი | | კლასიკური მექანიკის შემქმნელი |
| | | ↘ | | | | | | | | | |
| | | | | | | ამერიკელი პოლიციელის მეთაური | | | | | |
| | | | | პოლანდიის სიმბოლო | | | | | | სიო | ტელესკოპის გამომგონებელი |
| | | | | | | | ლ. კროლი „სალოცრებათა ქვეყანაში“ | | | | |
| | | | | ფოტოსურათების კრებული | | | | | | | პორტუგალიელი ფეხბურთელი |
| ნადირთა მფარველი ლეონტი | „ბოშათა ბანაკი ცას მძებნავრება“ (მსახ.) | | | ფარის ან ნახირის ერთი ნაწილი | სამაგიდო თამაში | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|----------------------------------|--------------------|-------------------|-------------------|-------------------------------|--|--|--|--|--------------|---------------------------------|
| დახრილი კოშკის აღდგომის დებარება | | | | ღვინის რაქმენი ელემენტი ერთად | | | | | | |
| ↘ | ფიგაროს ხელობა | | | | | | | | 1000.000.000 | |
| | | ნოტი | | | | | | | | დაბალი მაგიდა |
| | | გულკანის მონაწილე | | | ვაზის ფოთლებზე გახვეული დაკეპილი ხორცი | | | | | |
| | | | | ტორეალორის ოპონენტი | | | | | | |
| | | | | | ნათელაშვილი | | | | | |
| | | | | | | | | | | მანძილის ქართული საზომი ერთეული |
| | ზღვის წვრილი თევზი | | პარიზის აეროპორტი | | ჩირაღდანი | | | | | შუადგინა რაბაზ ალანიამ |

18-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-გ; 3-ა.
 51-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ბ; 3-ბ; 4-ა.

კვირის (7 - 13 ოქტომბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

სასწორი - 24/IX-23/X



ამ კვირაში რაღაც დადებითი ძვრები მოხდება თქვენს ცხოვრებაში. შესაძლოა, ეს მხოლოდ სამსახურში ერთი საფეხურით ასვლა იყოს, ან რაიმე სიხარული, რომელიც თქვენს ოჯახთან თუ ახლობელთა წრესთან იქნება დაკავშირებული. აი, პერსონალურ ზეიმს კი, შაბათისთვის უნდა ელოდოთ.

ღრინაბალი - 24/X-22/XI



სტუმრად ან რესტორანში წასვლაზე თავს უარს ნუ ეტყვით, საამისოდ პარასკევი განსაკუთრებით ხელსაყრელია. ბოლოს და ბოლოს, თქვენც ხომ გაქვთ უფლება, ხანდახან მაინც გაილალოთ, ეს კვირა კი, განსაკუთრებით სასიამოვნო უნდა იყოს თქვენთვის: შინაც და სამსახურშიც, ყველა სიტუაციის თქვენს სასიკეთოდ შემობრუნებას შეძლებთ.

მეზილდოსანი - 23/XI-21/XII



თუ დიდი ხანია, განზრახული გქონდათ, თავი დაგენებებინათ თამბაქოს მოწვევისა თუ სხვა მანეჩევისათვის, ნულარ გადადებთ: ახლა ეს უფრო მეტად გაგიადვილდებათ. საერთოდ, ეს კვირა ძალზედ ხელსაყრელია სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის.

თხის რქა - 22/XII-20/I



ამ კვირაში ყველა საქმეს ადვილად გაართმევთ თავს და იმის შანსიც გექნებათ, რომ ოთხშაბათ-ხუთშაბათისთვის დაგეგმილი ყველა ჩანაფიქრიც განახორციელოთ. იმ შემთხვევაში, თუ ამინდიც შეგიწყობთ ხელს, რამდენიმე ხნით სადმე გამგზავრებასაც გირჩევთ: სუფთა ჰაერი და ბუნება ხელს შეგიწყობთ კარგი ფორმის შენარჩუნებაში.

ვერეული - 21/I-19/II




დაიმახსოვრეთ - წინსვლისთვის იმდენად ხელსაყრელი დღე, როგორც ეს ორშაბათია, შეიძლება, კარგა ხანს აღარც გქონდეთ! კარიერაში წარმატება, რაღაც აღმოჩენა ან მნიშვნელოვანი შეხვედრა გელით. დანარჩენ დღეებში კი, როგორც ჩანს, პირადული ხასიათის საზრუნავითა და რომანტიკული განცდებით იქნებით დაკავებული.

თაჭუპი - 20/II-20/III



ამ კვირაში რამდენჯერმე აღმოჩნდებით ისეთ სიტუაციაში, როდესაც სერიოზული არჩევანი უნდა გააკეთოთ. კარგად აწონ-დაწონეთ საქმის ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე, რადგან მიღებული გადაწყვეტილების შედეგი მნიშვნელოვანი იქნება თქვენი მომავლისთვის.

მეჩო - 21/III-20/IV



ამ კვირის მამოძრავებელი ძალა, თქვენთვის სიყვარული იქნება. სხვათა შორის, აუცილებელი არ არის, რომ მეტისმეტად ბოტკარი რომანი გქონდეთ: შესაძლოა, ეს დაკავშირებული იყოს საკუთარი შვილისადმი გრძნობის მოზღვაებაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, თქვენზე ეს შთამავლებლად იმოქმედებს: ენერჯიას იმდენად შეგმატებთ, რომ დროდადრო ექსცენტრიკულიც კი იქნებით.

კერძი - 21/IV-21/V



თუ საშინაო საქმეები დაგივრავდათ, სჯობს, უქმეებისთვის არ გადადოთ: ორშაბათიდანვე შეუდექით და ყველაფერს სწრაფად და შედეგიანად გაართმევთ თავს. ამ კვირაში ძალზედ დინამიკური ციკლი დაგეწყებათ. ოთხშაბათიდან განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეთ: კარიერაში წინსვლისა და პერსპექტიული ნაცნობობის შანსი მოგეცემათ.

პარნეზი - 22/V-21/VI




ორშაბათიდანვე თქვენი ცხოვრება დინამიკურ მოვლენათა ორმოტივალში მოექცევა. გირჩევთ, აპყვეთ მას: ოთხშაბათიდან ახალ რიტმს მოერგებით და თავდაც შეძლებთ ამ მოვლენათა მართვას. უქმეებისთვის, კვირის მანძილზე მომხდარი სიახლეები კარგ შედეგებს მოგიტანთ.

ბირნეზი - 22/VI-22/VII



შესაძლოა, სამსახურში კოლეგების დახმარება დაგჭირდეთ. თავს ნუ აარიდებთ ამას, ოღონდ კარგად შეარჩიეთ თანამშრომელი, რომელიც მართლაც შეძლებს თქვენთვის დახმარების გაწევას. ამ დროს, თქვენს ოჯახში სიყვარული და სიმშვიდე იქნება გაბატონებული, ხოლო თუ ოჯახი არ გაქვთ, ურთიერთობა ახლობელ ადამიანთან უფრო მყარი და საიმედო გახდება.

ლომი - 23/VII-23/VIII



საქმეებში წარმატებები გექნებათ (განსაკუთრებით მაშინ, როცა ჯერ კარგად დაფიქრებაა საჭირო) და თქვენს ქმედებებს სათანადო შეფასებაც მიეცემა. შესაძლოა, სამსახურში მეტი თავისუფლება მოგანიჭონ და ახალი პროექტიც მოგანდონ. და კიდევ: ეს კვირა შორს გამიზნული გეგმების შესაღვენდაც ხელსაყრელია.

ქალწული - 24/VIII-23/IX



სამშაბათს-ოთხშაბათს თქვენს ფინანსურ მდგომარეობაში სერიოზული ცვლილებები შეიძლება მოხდეს: აი, რომელი მიმართულებით - მატებისკენ თუ კლებისკენ, - ძნელი სათქმელია, ამიტომ ყურადღებით უნდა იყოთ. და კიდევ: გაითვალისწინეთ, რომ ახლა ოჯახის წევრებს თქვენი დახმარება და მხარდაჭერა სჭირდებათ - განსაკუთრებით, თქვენი უნარი, აკონტროლოთ ყველანაირი სიტუაცია.

დეპრესია სომ არ მოგემატა?

1) ხდება თუ არა თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში საინტერესო და მრავალფეროვანი მოვლენები?

- ა) ხშირად - 1;
- ბ) თითქმის არა - 0.

2) როგორ გგონიათ, ადრინდელთან შედარებით სომ არ შეგომცირდათ შრომის ნაყოფიერება?

- ა) დიას - 0;
- ბ) არა, უფრო მოგემატა - 1.

3) სომ არ გიჭირთ საბუშაოზე აზროვნება და რაიმე კონკრეტულ საქმეზე ყურადღების გამახვილება?

- ა) ხანდახან - 1;
- ბ) ყოველთვის - 0.

4) განუხებთ თუ არა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები?

- ა) დიას - 0;

ბ) იშვიათად - 1.

5) გქონიათ თუ არა ოდესმე ავეჯის და ქურჭლის დამტვრევის სურვილი?

- ა) ხშირად - 0;
- ბ) არასოდეს - 1.

6) სომ არ გიჭირთ ადამიანებთან ურთიერთობა?


- ა) დიას, ხანდახან - 0;
- ბ) არა - 1.

7) გეჩვენებათ თუ არა, რომ სხვები თქვენზე ბევრად ბედნიერები არიან?

- ა) დიას, საკმაოდ ხშირად - 0;
- ბ) თავს სხვებზე არანაკლებ ბედნიერად მიიჩნევთ - 1.

8) გაქვთ თუ არა ცხოვრებისეული მიზანი?

- ა) დიას, საკმაოდ კონკრეტული მიზნები გაქვთ - 1;



ბ) არა, უბრალოდ ცხოვრების დინებას მიჰყვებით - 0.

9) გალიზიანებით თუ არა თქვენი მისამართით გამოთქმული კრიტიკა და შენიშვნები?

- ა) დიას, ძალიან - 0;
- ბ) თითქმის არასოდეს - 1.

10) ხშირად ტირილ?

- ა) დიას - 0;
- ბ) ძალიან იშვიათად - 1.

11) გიყვართ თუ არა წვეულებები, საღამოები და სმაურიანი შეკრებები?

- ა) დიას - 1;
- ბ) არა - 0.

12) გიყვართ ოცნება?

- ა) დიას, ძალიან - 0;
- ბ) ოცნებისთვის დრო არ გრჩებათ - 1.

დააჯავიეთ ქულები

0-3 ქულა: აშკარაა, რომ ღრმა დეპრესიაში იმყოფებით. კარგი იქნება თუ თავს დროულად უშველით და სასწრაფოდ იპოვით საინტერესო საქმეს და გასართობს. ცუდი არ იქნება, თუ მეგობრების წრეს გაიფართოვებთ და ნაკლებად იფიქრებთ ყოველდღიურ პრობლემებზე.

4-9 ქულა: საერთოდ კარგ განწყობას ინარჩუნებთ სოლმე, მაგრამ არის ისეთი მომენტები, როცა დეპრესია გეძალდებათ და არაფრის გა-

კეთების სურვილი არ გაგაჩნიათ. ნუ დაემორჩილებით დეპრესიას, გაუმკლავდით მას, ეს მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული.

10-12 ქულა: სიტყვა დეპრესია თქვენთვის საერთოდ უცნობია, მუდამ ცდილობთ ცხოვრებისთვის ნაბიჯის შეწყობას, მცირეოდენი მარცხი კი უფრო თამამს, გაბედულს და შეუპოვარს გხდით. ამიტომაცაა, რომ თქვენი ოპტიმიზმი ყველას ალაფრთოვანებს და მრავალი ერთგული მეგობარაც გყავთ.

ქეხ ადამიანებს გადაშენება ემუქებათ?

გერმანელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ 2202 წლისთვის დელამიწაზე ბუნებრივად ქერა ადამიანები აღარ იქნებიან – იტყობინება BBC-ის საიტი. მათი უკანასკნელი წარმომადგენლები ფინეთში დაიბადებიან, სადაც პროცენტულად, ყველაზე მეტი ქერათმიანი ადამიანი ცხოვრობს.

ქერა თმის განმსაზღვრელი გენის მქონე ადამიანთა რიცხვი უკვე დღეისათვის ძალზედ შეზღუდულია მსოფლიოში. ეს გენი რეცესიულია და იმისთვის, რომ ბავშვი ქერა დაიბადოს, მან ასეთი გენი როგორც დედის, ასევე მამის მხრიდან უნდა მიიღოს. მეცნიერთა აზრით, ეს გენი 200 წელიწადში საერთოდ გაქრება.

გერმანელი მკვლევარები ირწმუნებიან, რომ გენის გადაშენებას შედეგობრივად ქერა ქალბატონებიც უწყობენ ხელს. ისინი მამაკაცებისათვის ბევრად უფრო მიმზიდველად გამოიყურებიან, ვიდრე ბუნებრივად ქერები. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, მამაკაცები სწორედ მათ ირჩევენ პარტნიორებად.

არსებობს საწინააღმდეგო აზრიც: ელინბურგის უნივერსიტეტის პროფესორ-დერმატოლოგის, ჯონათან რისის მტკიცებით, ქერათმიან ადამიანებს გადაშენება არ ემუქრებათ, მათი რიცხვის შემცირების საფრთხე კი ნამდვილად არსებობს.

ევოლუციის პროცესში გენის გაქრობა ხდება შემთხვევით ან მაშინ, როცა გენი რაღაც ნაკლის განმსაზღვრელი თვისებისაა, ანუ რაღაც სახით ხელს უშლის განვითარებას. „ეს სხვა შემთხვევაა“, – განაცხადა პროფესორმა, ქერა თმის გენზე საუბრისას. ■

იაპონემა ქაღმა ქმაიხი სასიკვდილო სცემა

იაპონიის ქალაქ შირაოიში დაპატიმრეს ხანში შესული ქალი, რომელმაც ქმრის ცემის ფაქტი აღიარა. მანამდე 71 წლის ხიტომი ზორიკავა ამტკიცებდა, რომ მის 74 წლის მეუღლეს,



ასლომდებარე პარკში, გაძარცვის მიზნით, რამდენიმე სტუდენტი დაესხა თავს. საფულის მიცემაზე უარის მიღების შემდეგ კი, მათ იგი სასიკვდილოდ სცემეს.

პოლიციამ ზემოხსენებული სტუდენტების კვლასაც ვერ მიაგნო და კვლავ დაღუპულის ცოლის დაკითხვა გადაწყვიტა. მეორედ დაკითხვისას ქალმა ჩადენილი დანაშაული აღიარა.

„ის მთელი ცხოვრების მანძილზე მცემდა და მამწარებდა. მე იგი მძულდა“, – განაცხადა ქალმა.

საგამოძიებო მასალების მიხედვით, ზორიკავამ ქმარი ხანგრძლივი კონფლიქტის (ჩხუბი დღის თერთმეტი საათიდან, საღამოს ცხრის ნახევრამდე გაგრძელდა) შემდეგ სცემა. მერე კი „სასწრაფო დანაშაულები“ გამოიძახა და საავადმყოფოში გაგზავნა. ტრავმები იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ დაზარალებული მთელი დღიას გარდაიცვალა. ■

მიციონ-ნახევახი დოჯიხი სააბაზანოში თვადთვადისათვის



ოჰაიოელმა ბიზნესმენმა ოტელ Marriott-ის ქსელის მფლობელებს სასამართლოში უჩივლა, მას შემდეგ, რაც სააბაზანო ოთახის ნათურის პლაფონში

ჩამონტაჟებული მინიატურული ვიდეოკამერა აღმოაჩინა.

ბიზნესმენი ბრაინ ბრუერი მისთვის მიყენებული მორალური ზარალისათვის მილიონ-ნახევარ დოლარს ითხოვს.

ბრაინი ქალაქ ნოქსვილში საკუთარი ფირმის საქმიეებზე იყო ჩასული და სასტუმროს ნომრის სააბაზანოში დამონტაჟებული ვიდეოკამერა სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა: მან ჭერზე პატარა შავი წერტილი შენიშნა, თავდაპირველად, მწერი ეგონა, მაგრამ ახლოდან ხილვისას პლაფონზე ნასვრეტი დააფიქსირა. ცნობისმოყვარე ამერიკელმა არ დაიზარა მისი მოხსნა და მინიატურული კამერა, ჩამწერი მოწყობილობა და ჩამრთველთან მიერთებული გაყვანილობა შერჩა ხელში.

ვიდეოკამერა ელექტროქსელთან იყო შეერთებული და ყოველთვის, როცა სააბაზანოში შუქი ინთებოდა, კამერაც ირთებოდა. დადგინდა, რომ მოწყობილობა დიდი ხნის დამონტაჟებული იყო.

გამოძიებას ნოქსვილის შერიფის დეპარტამენტი აწარმოებს. სასტუმრო Marriott-ის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ტექნიკურმა პერსონალმა ყველა ნომერი შეამოწმა, თუმცა ამ შემოწმების შედეგებს არ ახმაურებენ. ■

71 წლის ინგლისემა ქაღმა თაფლობის თვის ჰიხვედი ჯეიხა ვეი გადაიტანა

ინტერნეტის მეშვეობით გაცნობილმა ახალდაქორწინებულმა ერთად მხოლოდ ხუთი დღე იცხოვრეს. გასული კვირის ოთხშაბათს, 28 წლის პაკისტანელი მუჰამად ზაფარი, 71 წლის ინგლისელი პატრიცია კოლენზზე დაქორწინდა. კვირა დღეს კი ქალი გულის უკმარისობისაგან გარდაიცვალა.

მათ ერთმანეთი ა.წ. მარტში ერთ-ერთი ვებ-ჩატის მეშვეობით გაიცნეს. კოლენზმა თავის შეეყვარებულს 160 წერილზე მეტი მისწერა, ერთი თვის წინ კი პაკისტანში ჩავიდა.

ზაფარმა იგი საკუთარ ოჯახს წარუდგინა, შემდეგ კი წყვილი დაქორწინდა. „ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, ჩვენ შესანიშნავად გვესმოდა ერთმანეთის, ამიტომაც დავქორწინდით, – განაცხადა პაკისტანელმა. – მე მთელი გულით შევიყვარე ეს ქალი, მისი მეშვეობით არც ბრიტანეთის მოქალაქეობის მიღება მსურდა და არც მის ქონებას დავხარბებივარ – ჯულია ხომ დარიბი იყო“.

მიუხედავად იმისა, რომ ექიმებმა ქალის სხეულზე ვერაფერი დაზარალების ნიშანი ვერ აღმოაჩინეს, ზაფარი გამოძიების დამთავრებამდე პოლიციას დაკავებული ჰყავს. ■



ფოტოკუჩიოზები



ახალი ჟურნალი პრესის გონივრებისთვის

621/34

TV-პროგრამა
30.09-6.10 2002 წ.

კვლევა გაბრაბიონის უიღბლო სიყვარული

რეჟისორი

101 წასი 60 თ.

16



მერაბ სუფაშვილის
ვაჟის პირველი
ინტერვიუ

2



მოგზაურება სოფელ
ქვეტის უახლოეს
საყვარელი მოკლა

39



კომენტარი: ირინა
ალბროვაშვილის
შეყვარებული ნაერთმა



ქალი, როგორც
თეატრ ნიკლაურმა
განათავსი ამოგზიარა

„მე მაშინ
მხოლოდ ბავშვზე
ფიქრობდი...“

ყოველ ორშაბათს!